119
1947/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

8

თბილისი

მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

ფელიეტონი ოცდამეოთხე

13695
Ч 375

8

Тбил. ССР Филиал
Библиотека
Тбилиси

19 სახელგამი 47
აგვისტო

საქართველოს
სრულიად
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიზამი განჯელი — რჩეული ლირიკა, თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა და გრიგოლ აბაშიძისა 3
აკაკი ბელიაშვილი — თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა, რომანი, გაგრძელება. 18
შალვა ამისულაშვილი — ორი ლექსი 43
სოლომონ თავაძე — აბესალომ მუხიგული, რომანი, დასასრული 46

მიხა დელბა — ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი ქართულ ენაზე, წერილი 98
პ. რატიანი — ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის საფუძვლების შესახებ, წერილი 112

ვ. ტატიშვილი — ქართველები მოსკოვში, ნარკვევი 134

აკად. ნ. ვ. ციცინი — მცენარეთა შეჯვარების გზები, წერილი 168

პასუხისმგებელი რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშელი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, სერგო კლდიაშვილი, ალიო მირცხულავა (მაშაშვილი), ბესარიონ ჟღენტი, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/X-47 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11½ ფ. უე 12758. შეკვ. № 1498. ტირაჟი 5.300.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მაჩაბელის ქ. № 13.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიზამი განჯელი

რჩეული ლირიკა

★

1

თვალცეცხლა კერპო, გთხოვ ღამით მაინც
გახდე როგორმე ჩემი მდომელი!
ჩემს წამებულ გულს შენთან შეხვედრით
სევდა ჩაუქრე დაუცხრომელი!
განმარტოებით შენი მოხვევნა —
აი სავსებით, რაც მე მჭირდება.
მუშკამბრის ფერის ორი კულულით
ჩემი ხომ ძალგიძს შენ დამშვიდება!
მათხოვართადმი მოწყალებასა
მუდამ იჩენენ ხომ ფადიშანი.
შენც ამ მათხოვარს ფადიშას თვალით
გულკეთილობის მიეც ნიშანი.
რადგან, ო, კერპო, შენდა სამონოდ
ნიზამიმ თავი გამოიმეტა,
მონათმოვაჭრის კარებთან დასვი
მოდარაჯედ და თავის იმედად!

2.

ღამე უშენოდ გათენებული
მძიმე კაეშნით მოწამლულია,
აღმოხდომილი უშენოდ ოხვრა
გულისმომკლავი სინანულია.
შენი კულულის ცელქობას ვფიცავ,
არ მაქვს უშენოდ მე მოსვენება!
მონატრებაც კი შენნაირისა
ჩემთვის შესაძლოდ არ მეჩვენება!
რა იმედია, რომ ჩემნაირსა
ძებნას დაუწყებს მსგავსი შვენება!
ჩემს გვერდითა ხარ შენ ახოვანი,
მე კი ვარ შენ წინ მდაბალი, ნასი.
შენა ხარ ჩემთვის უძვირფასესი,
მე შენთვის არ მაქვს რაიმე ფასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მაქვს თვალნი შენნი მხედველნი,
ყურნი, რომ ხმები ვისმინო მწველნი,
ვინ მომცა ფერხნი შენსკენ სარბენნი,
ან აღსაპყრობნი ლოცვის ჟამს ხელნი?
შენ ხომ ნიზამი არც გაგონდება,
მე მუდამ ფიქრით მოკითხვას გითვლი.
დღე ბედისწერის ეტლს ვანგარიშობ,
ღამე კი ცაზე ვარსკვლავებს ვითვლი.

3.

მწუხრი გამეფდა, ო, ჩემო მთვარევ,
მომინახულე ფარულმან ღამით,
ვცხოვრობ შენდამი ტრფობასთან ერთად,
დაჰყავ ჩემს სახლში მცირედი ჟამი.
ო, უკვდავების წყაროდ ხმობილო,
ჰოი მიზეზო არსებობისა,
რაკი ფიალა ბაგეს შეახე,
გამიხანგრძლივე წამი ტკბობისა.
დამხსენ მე შენსა სიძულვილს, ჩემი
ბედნიერებით ნუ დაჭმუნდები,
ჩემი ცხოვრების მფარველი იყავ,
სისხლის ძიებას ნუკი უნდები.
ჩემს გაყვითლებულ სახეს შეხედე,
შენს გულში ჩემს მტვერს აპკურე ნამი,
ვიდრემდე ჩემი ხარ სნეულება,
წამლადაც იყავ მცირედი ჟამი.
როდემდე უნდა ენთო ალივით,
მჭოლავდე თიხის ნატეხებითა?
ნელსურნელოვან მწვანილად მექეც,
რათა აღავსო ლხინი შვებითა.
შენი თმა არის მთვარის კარავი, —
მოგჩერებივარ და ვხარობ ამით.
მონად რომ გავხდი შენი სახისა,
სულთნად გამიხდი მცირედის ჟამით.

4.

იკურთხოს ჩემი სევდა შენს გამო,
რადგანაც იგი არის მარადი,
მე მას არ დავთმობ, მას მე ათასი
სიხარულისგან დავიფარავდი.
სევდა მის გამო უკეთესია,
ვიდრე იქნება მის გამო ლხენა,
სჯობს მისგან ცემა მისსა ალერსსა,
ამგვარ სიტყვებზე რას იტყვი შენა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ხარ, ვისაც მე ვემსახურები,
თუმცა კი ეს მე არ შემიძლია,
შენ ხარ ის, ვინც მე არ მეშველები,
თუმცა კი შველა შენ შეგიძლია.
უსიტყვოდ მითხარ: ჩემთან შეხვედრას
ეცადე. მიკვირს მე ეს თამაში!
ვეცადო, მაგრამ რა იმედია?
შეხვედრა აქ თუ იმ ქვეყანაში?
სხვას ჩემი გული, აბა მითხარი,
აწ რანაირად შეეთავსება?
სხვა შენ არა გგავს, შენ არ გეტყობა
არავითარი სხვებთან მსგავსება!

5.

შენთან შეხვედრას მონატრებულსა
მე არ ამცდება დაღუპვა მალი.
ძვლამდე დასულა ამ განშორებით
შემოქნეული კაეშნის ხმალი.
შენთა სურვილთა ფართო შარაზე
გული გამიხდა სევდის ხანაგად.
ერთი გაუდგა გზას ქარავანი
და მეორე კი მოდის ბანაკად.
ჩვენი ცხოვრების ნავს მიაქროლებს
ჟამთასვლის ზღვაზე ქარი ძლიერი.
ო, უბედობა! ო, საზარლობა!
ნაპირს მიადგა ის ცალიერი.
ჩიტი, რომელიც გაუსხლტა მახეს,
კვლავ არ გაებმის-იგი ფრთხილია.
ცხოვრებას მაშინ ვით მიეწევი,
როდესაც უკვე ის განვლილია!
ვერ გავარკვიეთ, ჩვენს პაემანს თუ
როგორი ფასი შეეფერება,
რადგან წილად გვხვდა ეს პაემანი
ვით უეცარი ბედნიერება.

6.

იჩქარე, შენს გარდა
არავის არ ველი,
მიშველე, რადგან სხვა
არა მყავს მფარველი.
უშენოდ შთენილსა
მიკვდება მე გული,
მომისწარ!.. კაეშნით
ვარ დამძიმებული!
მუტრიბო ხელობით,
ვგიჟდები იცოდე, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტკბილ ხმათა წყურვილით
რად უნდა ვიწოდე!
ყურთამდე წარბთა მშვილდს
არ უნდა სჭიმავდე,
მესროლე ისარი,
მომკალ და მიმაგდე!
სიცოცხლე გინდა თუ?
ჩემიც ხომ შენია!
ო, ყოფნა უშენოდ
რა მოსაწყენია!..
თუ შენგან ფუჭია
სარგებლის ლოდინი,
ნულარ მსჯი, მაკმარე
ტანჯვა ესოდენი.
ნიზამიმ სიცოცხლე
შენ შემოგთავაზე.
მიიღე, ვერ დამდებ
ამაგს მეტს ამაზე!

7.

გასწი, თუ შენში ვერა ჰპოულობ
სხვა გასახარელს და სალხინოსა,—
დე, მეგობრებთან ნარდს თამაშობდე
და, ვით ურწმუნო, სვამდე ღვინოსა!
ურწმუნოება უდრის ისლამსა,
თუ არ გწყურიან სხვათა ზიანი,
ამ სიტყვების აზრს ვით შეითვისებს
უშინაარსო ადამიანი!
თუ შენ იქნები და ის კი არა,
წყალში გადაჰყრი შრომას ქებულსა,
თავს დაინახავ ყოველგან ისე,
ვით რგოლს კარებზე დაკიდებულსა.
ნუ ამეტყველებ სრულიად ენას
და დაივიწყე მთლად ძიებანი,
რათა სატრფომან ვაჟკაცთა შორის
შენ მოგანიჭოს ტკბილნი შვებანი!
ქვეყანა ესე და ის ქვეყანა
შენთვის ხუნდია ორივე ერთად.
უნდა უარჰყო ორივე, რათა
შეყვარებულებს გაუხდე ღმერთად.

8.

სურნელოვანსა შენსა კულულსა
კაცთა გულების ტყვევნა სჩვევია,
ვინ სთქვას, რამდენჯერ თვალებსა შენსას
სამართლის წესი დაურღვევია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ დაგემონა ყველა, ვისაც კი
ჰყევხარ შენ თუნდაც ერთხელ ნახული,
თავისი სულის დასამშვიდებლად
თავდადებული გახდა მსახური.
გარიჟრაჟის ჟამს მე უკვე ვდგევარ
შენს გამო ლოცვის მღაღადებელი,
ო, არ შეგემთხვას შენ ბოროტება,
თვალი არ გეცეს ავადმხედველი!
თუმცა მე შენი ღირსი არა ვარ,
მაინც დაინდე ეს ჩემი თვალი,
იგი შენს გამო სევდით სველია,
და ან კი როგორ იქნება მშრალი!
შენთან თამაშში ვერ ვითამაშე,
ჩამოველ მცირე — ვარ წაგებული,
მეტ თაღლითობას ვერ დაგანებებ,
მე ამ გრძნობაზე გადაგებული.
შენ სხვა იესო ხარ ცხოვრებაში,
და სასწაულებს ჰქმნის შენი ლალი,
ნიზამის მაგგვარს შენსკენ მრავალსა
დახმარებისთვის უჭირავს თვალი.

9.

სხვას რას მიბრძანებ რომ გავაკეთო,—
ვარ, აჰა, შენზე შეყვარებული!
სირცხვილს ვეწიო, თუ ავირჩიო
მე გზა სიკეთით განათებული.
ვიდრე მექნება სული და გული,
კიქნები შენი მაძიებელი,
ან მე როგორმე ჩამოგშორდები,
ან შენ გახდები ჩემი მხლებელი.
ამ ტრფობის გამო ჩემს წინააღმდეგ
ამხედრებულან ქალაქნი სრულად.
სხვა ვინ დამინდობს, ვინ შემიბრალებს,
თუ კი თავათ შენ დამხვდები მტრულად!
სადაც კი გნახავ, შენი იქნება
ჩემი კულული და ჩემი ხელი.
შმაგი მიჯნურის ჩამოშორება,
შენც კარგად იცი, რომ არის ძნელი.
ნუმც ვინ ყოფილა ასეთ ყოფაში,
ვით მე ვარ შენგან მოშორებული,
ვერც მოგწვდომივარ და მოწყვეტილიც
ვარ საშინელი ტანჯვით ვნებული!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

10.

შენს გამო ლამის ვარ
კაეშნით მკვდარი,
აწყდება ცას ჩემი
ტირილის ზარი.
შენს ხელზე ფრჩხილსაც კი
დავტოვებ განა?
ხომ ხედავ, ძვლამდეა
დასული დანა.
სად უნდა დავმალო
შენდამი ტრფობა
როცა იმ ქვეყნადაც
მისულა ცნობა!
სულს ჰქონდა წყურვილი
შენს გვერდით სვლისა,
მაგრამ, ეჰ, ვერ მოსწვდა
ქარავანს ისა!
ხომ სთქვი შენ: გვექნება
შეხვედრის წამი,
იჩქარე, მოსულა
ამისთვის ჟამი!

11.

მე ყოველ ღამე ვფიქრობ იმას, თუ
რაგვარად უნდა მოგწყვიტოთ გული,
მაგრამ როგორც კი დღე თავს ამოჰყოფს,
კვლავ სიყვარულის მეხსნება წყლული.
გულს შეგიერთებ, რადგან შენა ხარ
თვით სიცოცხლესთან შეერთებული.
მე სხვა სიცოცხლე მინდა, რომ ვიყო
სხვა მეგობარით გულაღგზნებული.
ჰოი, მთვარეო, გაგიხდი მსხვერპლად,
დღესასწაული იყო დიადი.
მე შენს სახეზე ვმკითხაობ უკვე,
როგორც შეღებავს ცას განთიადი.
ასეთ მხედართან, როგორიც შენ ხარ,
მე ვინ მიხილოს ხმალ-მოქნეული?
თუ შენ საჩუქრად მომცემ ასალსა,
ვივლი იმით მე შუბლშეხვეული.
როგორიც მე ვარ შენთვის, იმგვარი
ძღვენის მორთმევა შეშვენით სტუმართ.
ჩემს მარგალიტის ცრემლებს ამიტომ
მე ოქროს ყუთში * ვინახავ ჩუმად.

* სევდით გაყვითლებული სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოაშორე გზასა გულისას
ეგ ჩვეულება — გულის წამება,
თორემ, იცოდე, თავათ შენი გზა
ამ გულის სისხლით მოინამება.
ჩემი გულიდან მოდის ნამდვილად
ნამი თვალთაგან გადმოდენილი,
რათა წავრეცხო ნიზამის მტვერი
შენს სავალ გზაზე მიმოფენილი.

12.

ვარდო მღიმარო, ახოვანებით,
შენ ალვისხეც კი ვერ გეცილება.
მე შენ გეკუთვნი სავსებით, მაგრამ
ჩემი არა ხარ შენ კუთვნილება.
შენა ხარ ჩემი გულის მეუფე,
ჩემი სიცოცხლის პატრონი სრული.
როგორც გინდოდეს გამოიყენე
ჩემი სიცოცხლე და ჩემი გული.
როდი წაგართმევ, თუნდაც მახვილით
მომწვდეს სიმკაცრე შენის ხელისა,
ვიდრე ეგ ხელი არ გადიქცევა
მჭიდროდ საკინძედ ჩემის ყელისა.
ვარ მე დამწვარი წყურვილისაგან
და შენთან მოსვლას იმიტომ ვჩქარობ,
რომ უტკბილესი ეგ შენი ბაგე
მე მიჩანს როგორც სიცოცხლის წყარო.
მოდი, ამაყად რომ აღიმართოს
შენს გამო თავი ახსართანისა,
ის ხომ გვირგვინი არის მეფეთა
და მბრძანებელი ამ დივანისა!

13

ო, მეგობარო, სადა ხარ ახლა
შენ, მარად ჩემი საფიქრებელი?
მე ვარ ხომ შენი საბრალო მონა,
ვისი ხარ ნეტავ შენ მბრძანებელი?
შენი სახის და ბაგისა მიჩანს
მე ორი მოწმე — თვალები შენი,
თუ მომჩივანიც და მოწმეც შენ ხარ,
გასამართლება ვინ შესძლოს ჩვენი?
სახე, რომელიც მე როდი მინდა,
რომ დაინახო სარკეში თავათ,
გემუდარები, რომ არ გახადო
იმ უმეცართა დასანახავად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენა ხარ მუშკი, შენს ხვაშიადში
დილის ნიავი არ გარკვეულა,
მე ვხედავ, თმები დილის ნიავზე
არ გაგიშლია, არ შერხეულა!
შენი ქუჩიდან მდინარებს წყალი
სულის და გულის გასახარები:
ვერ გადარჩება გაუძარცვავი
გზა, რომლითაც შენ დაიარები.

თარგმანი **კონსტანტინე ჯიჯინაძისა.**

*
* *

14.

ო, სულო, ჩემო, შენ ხორცშესხმული
ხარ სილამაზის გამოცხადება,
მშვენიერება მისთვის არსებობს,
როს გააბრწყინოს შენი ხატება.
მე მხოლოდ ერთი კოცნა მსურს შენგან,
განგებამ შენთან ყოფნა მაღირსა,
შენი ამბორი მზის სხივი არის —
გამონაკრთომი ტურფა სახისა.
გული საგულეს ვერ მიპოვნია,
შენთან ვეძებდი ჩემს გულს მზებნელი,
შენ ასე მითხარ: „ამაოდ ეძებ,
დაკარგულს ვეღარ ნახავს მძებნელი“.
შეწყალებას გთხოვ, შენ საწყალ მიჯნურს,
ქვეყნად შენს მეტი რა მეყვარება,
ჩემს სისხლში ხელებს, რომ არ იბანდე,
ცრემლებს იმიტომ გაფრქვევ ღვარებად.
პირმშვენიერო, სულით მაღალო,
სოფლად შენ მეტი არ მსურს დიდება,
ნიზამის ცრემლი, უზომო ტანჯვა
შენს გამო ნურვის გაუკვირდება.
მაგრამ თუ შაჰი ყიზილ არსლანი
უხეშად მოგთხოვს მიუალერსო,
ნეტავ მბრძანებელს რა პასუხს გასცემ,
სად გაექცევი, უძვირფასესო?!

15.

—

იგი მიჯნურებს თვალებით გმირავს,
მისი მიჯნური თუნდ იყოს ლომი,
მის ფეხქვეშ გდია ძალწართმეული,
მისივე ხელით სიკვდილის მდომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემართული აქვს წარბზე წამწამი —
დაჭიმულ მშვილდზე ბასრი ისარი,
ისარს არ გტყორცნის, მხოლოდ შეხედვით
გულში უისროდ დაგჭრის მზისდარი.
მე მისი სახის შუქმა მიმბნიდა,
ვერ მოვაშორე მის სახეს თვალი,
და თუმცა ღვინოს ვერ დავეწაფე
მაინც უღვინოდ დავდივარ მთვრალი.
ბარემ გასწყვიტოს სიცოცხლის ძაფი,
ისე დამოკლდა, ერთი ბეწვია,
რაღა ვარ, ბროლი ჩემი გულისა
მის გულის ქვაზე შემილეწია.
მე ერთი ღამე მახსოვს მუდამ დღე,
მასთან შეხვედრის ღამე პირველი,
ის ღამე აღარ განმეორდება
დაუვიწყარი და მომხიბლველი.
ნიზამი, ძნელი გასაძლებია,
სატრფო რომ გტანჯავს ლამაზთვალება,
მაგრამ არ არი ვარდი უეკლოდ,
შენც გაუძელი ამგვარ წვალებას.

16.

ტრფობას არ შველის გამოცდილება,
ვერ გაექცევი ახალ იარებს,
ცნობისმიმღები ღვინით დაგათრობს,
ტრფობა სხვა ღვინით არ გაზიარებს.
ჩემს გულშიც ტრფობის ცეცხლი ანთია,
რამ გამინელოს, რა მეშველება?
მზე და ვარსკვლავნი აღარ ჩნდებიან,
რაც ნახეს ჩემი სატრფოს მშვენება.
მიჯნურობის ცეცხლს ვინ არ დაუწვავს,
ვის არ გზნებია ტრფობის ხანძარი,
ჩემებრ ტანჯული არვინ ყოფილა,
და სიყვარულით ჩემებრ დამწვარი.
თვალით მანიშნა: „მოთმენა გმართებს,
შენი ვიქნები, ოღონდ მაცალე!“
მე გიცდი, კარგო, მაგრამ როდემდის,
დრო ჩვენ არ გვიცდის, შენ გენაცვალე.
მას ნადირობა უყვარს თვალებით,
მიჯნურთა დაჭრა სიამოვნებით,
ამიტომ ძილშიც არ მასვენებენ
მისი თვალები ნიამორები.
დაე დამსაჯოს, დაე დამტანჯოს,
ნუ მომიშორებს ოღონდ თავიდან,
ოღონდ თავისთან ახლო მამყოფოს,
მე მის სიშორეს ვერ გადავიტან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თუ მართლებს სჯიან, ნიზამი,
შენც აღარ გმართებს ბედთან ჭიდილი,
ყველა სიკვდილს სჯობს, ყველა სიკვდილს სჯობს
შენი სატრფოის ხელით სიკვდილი.

17.

ეს დღე იდიდოს! გიხილე შენ და
ჩემს გულში ცეცხლი აღარ ნელდება,
მე ვლოცავ ჩემს ბედს, ჩემს იღბალს ვლოცავ,
რადგან დღეს ვსუნთქავ შენს სურნელებას,
ღმერთს სამადლობელს აღვუვლენ მაღლით,
რადგან ზმანება დღეს მიცხადდება.
დღეს ბედნიერი დღე გამითენდა,
პირველად ვნახე შენი ხატება.
მე შენთან ყოფნის წუთსაც ვერ დავთმობ,
თუნდაც სიცოცხლე მომცენ თავიდან,
ძნელი ყოფილა სატრფოს სიშორე,
შენს განშორებას ვერ გადავიტან.
ვისაც უნახავს შენი მშვენება
და მოუპყრია შენსკენ თვალები,
მას ჩემი ტანჯვა არ გააკვირვებს,
შენი მიჯნური შევებრალები.
მე შენს სიყვარულს რა დამიჩრდილავს.
მე შენს სიყვარულს რას შევადარებ.
ასე მგონია შენდამი ტრფობას
გაჩენის დღიდან ასე ვატარებ.
რაც შენ გიხილე, რაც შენთან ყოფნა
და სიახლოვე ბედმა მაჩუქა,
ჯავრის პერანგი შემოვიხიე,
გულში ნათელმა შემოაშუქა.
და ამ ლექსს მღერის ახლა ნიზამი,
გაბრწყინებია ღიმილით სახე:
ბედნიერი ვარ, კურთხეული ვარ,
რადგანაც შენი მშვენება ვნახე.

18.

უტურფესო, ჩემს გულს მჭრელად
შენი ტრფობის ხმალი უნდა,
ბნელი ღამის მანათობლად
შენებრ ტურფა თვალი უნდა.
შენი ტუჩის ბროწეულებს
მაჭრად შენი ხალი უნდა,
მაჭრის სიტკბოს დასადნობად
ბროწეულის ალი უნდა.
თუმცა გემო მარილსაც აქვს,
მაჭრის გემო ტკბილი არის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნად შენ ვის შეგადარო,
მზესთან — ყველა ჩრდილი არის,
ერთ სასმისში მოვათავსებ,
ორივ ჩემი წილი არის.
ერთად შევსვამ, ჩამომისხი,
ღვინო ფერად ქარვის მინდა,
შენთა თმათა მუშკისა და
ამბრის სუნთქვა პარვით მინდა,
შენი ყმობა გადავსწყვიტე,
მიჯნურობა ფარვით მინდა,
შენი თმები ჩურჩულებენ:
„ჩვენ სხვა მონა არვინ გვინდა!“

19.

იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს,
როგორ გელოდი, რად არ მოხველი,
თუ ამაღამაც ფიცი გასტეხე,
მერე სიცოცხლეს აღარ მოველი.
როცა სხვას უცქერ, შენი თვალები
ნაზობენ, თითქო ნარგიზებია,
მაშ ჩემს ცქერაში რად მკაცრდებიან,
ან ზედ ეკლები რად იზრდებიან.
ამაყობ მტრების დამეგობრებით,
ველარ მავნებსო მტრების ნესტარი,
მტრებთან მიჯნური რად დამამცირე,
განა მიჯნურთა წესი ეს არი?!
მე მთელ ქვეყანას მტრად გადავუდექ,
უშენოდ მტრებთან ზავის არ მჯერა,
მე არავისი არ მეშინია,
ოღონდ შენ მყავდე მხარის დამჭერად.
ო, სულო ჩემო, რა ფრინველი ხარ.
ვარსკვლავი შენი ნაპერწკალია,
ვეცადე თვალით ვერ შეგიპყარი,
ვერც გული იქცა შენთვის გალიად.
ნიზამის მსგავსად მთელი ქალაქი
შენზედ ამყარებს ახლა იმედებს,
მაგრამ ახსართანს ხელთ ჩავარდნიხარ,
შენ იგი სხვისთვის არ გაგიმეტებს.

20.

გუშინ გამოჩნდა მუშკის ფარდიდან
პირად მთვარე და ტანად ჩინარი,
გულიდან დარდი გადამეყარა,
სატრფო რომ ვნახე სახემცინარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ ბოროტ თვალს ერიდებოდა,
ჩემს წინ მოიხსნა პირსაბურველი.
ვარდი გამოჩნდა ნამდათრთვილული
და საოცნებო დადგა სურნელი.
მე სიხარულით გონდაკარგული
წინ შევეგებე ხელებგაწვდილი,
ვერ მოვაშორე თვალები, თითქოს
თვით იყო ჩემი თვალი ნაწილი.
ასე ვუცქერდით დიდხანს ერთმანეთს,
არც მიფიქრია, თუ რა მელონა,
ბედნიერებამ ფრთები შემასხა,
მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა.
და ბოლოს მითხრა: „ნუ გამიწყრები,
უკვე შინისკენ მივალ, დრო არი,
მითხარ, ნიშანი რა დაგიტოვო,
ამ ბედნიერი დღის სახსოვარი?“
მე მხოლოდ კოცნა გთხოვე ვედრებით
და შემდეგ ენა ველარ დავძარი,
პასუხად ერთი ცრემლი დამეცა,
მან გამიჩინა გულში ხანძარი.
შირვან შაჰის მზეს ფიცავს ნიზამი,
სიმართლე შაჰს არ დაემალება,
სატრფოსთან ცხადად არა ვყოფილვარ,
თურმე მარტოდენ ვნახე ზმანება.

21.

ჩემისთანა ძველ მეგობარს
სევდა რატომ შემომყარე,
რად ივიწყებ, რად იშორებ
ჩემისთანა ძველმოყვარეს.
ჩემს სადარდელს არ გაგიმხელ,
ნურც გიამბობს სხვა ნურავინ,
ზრუნვა მკლავდეს შენ არ გეტყვი
რაა ჩემი საზრუნავი.
მე მიყვარხარ თავზე მეტად,
შენ კი მტრულად მეკიდები,
მე გადიდებ, შენ მამცირებ
ჩემთან ყოფნას ერიდები.
ფერი ასჯერ რომ იცვალო,
მეც ფერს ვიცვლი შენებრ ასჯერ,
შენთვის ასჯერ რჯულს შევიცვლი,
გული რაკი ერთხელ დასჭერ.
შენთვის ცრემლს ვღვრი, შენ რას გიშლი,
ჩემი ცრემლი რად გრცხვენია,
თუ არ ვდარდობ, ეს გაწუხებს, —
ესტირი — ესეც საწყენია?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიზამისთვის ძვირფასი ხარ,
სადაც იყო, სადაც არა,
შენგან ყველა ტანჯვას იტანს,
შენი ტრფობით გადამწვარა.

22.

შენ ისევ ის ხარ, რაც მინახავხარ,
გეტყობა უფრო უკეთესობა,
მე გამფრენია ახალგაზრდობა,
სევდის მახვილი გულზე მესობა.

შენ წყაროს წყალი, მე — ცეცხლის ალი,
როგორც ვძლებთ ერთად ორი მოდავე,
მიტომ არ დაშრი, მიტომ არ გავქრი,
ალბათ ერთმანეთს ვგრძნობდით ორთავე..

იყავ მოწყალე, იყავ მოწყალე,
შენგან მცირედი მინდა ნუგეში,
ვაჟკაცობაში მაინც მაღირსე,
რაც არ მაჩუქე სიჭაბუკეში.

ნუ გაგაკვირვებს ჩემი გატყდომა,
მე სხვაზე უფრო გავტყდი ორწილად,
მე გარეგნობა გამომეცვალა,
შიგნით კი გული არ გამოცვლილა.

რაც კისრად ვიდე შენი მონობა,
ბედნიერება ნიზამს ეღირსა,
მე ცოცხალს მინდა, რომ განვიცადო
შენში სამოთხეც იმა ქვეყნისა.

23.

ლამაზ ქრისტიან ქალზე ვლოცულობ,
ის ჩემი ხატი და ტაძარია,
სად მუსულმანი, სად ხატზე ლოცვა,
ჩემზე იტყვიან: რამ გადარია?!
უმშვენიერეს კერპის წინაშე
გაფენილია ჩემი ფარდაგი,
სალოცავის წინ, ტურფა კერპის წინ
დაცემული ვარ, როგორც ქადაგი.
მე მის მონასტერს მივადექ დილით,
დავაკაკუნე კარზე მორჩილად,
მითხრეს: „ჯერ ბერად ვინც არ შემდგარა,
ამ მონასტერში არ შემოჭრილა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯვარი ვიწამე, ჯვარში სატრფოს ვეძებ,
ჩემი არსება მას ემონება,
ჩემი ბერობა ყველამ გაიგო,
რამ ამირია ასე გონება?!
მესმის მონასტრის ზარების ყღერა,
როგორც დავითის საგალობელი,
სასახლეში ვარ, თუ მონასტერში,
რა ზეიმია, რა სამყოფელი!
მისი სახება — ჩემი ხატია,
ძზე არი მისი სახის სახატე,
მზე ბრწყინავს მხოლოდ მისი სახისგან,
მე მის ხატს შევცქერ და შევღაღადებ!
გულის სისხლით ვარ ნაზიარები,
ჯერ კიდევ სისხლის ჭიქა სველია,
ჩემი თვალები ტაძრად ქცეულან
და სატრფოს ხატი შიგ ასვენია.
ორმოც წელიწადს მორწმუნე ვიყავ,
სარწმუნოება ვიცვალე გვიან,
რჯულზე ფარულად ხელი ავიღე,
ჯერ თუმცა კიდევ მორწმუნე მქვიან.
ქააბას რწმენა რად დამნგრევია,
მიჯნურს გონება აგრე შემშლია?!
სატრფომ ნუგეშად მითხრა: „ნიზამი,
საუნჯე მხოლოდ ნანგრევებშია!“

24.

უთხარ ფარვანას: შუქი ჩააქროს,
ჩემი შუქურა ჩემს თვალწინ არი,
უბრძანე ღრუბლებს: ნამი დაღვარონ,
ვარდი მოსულა ჩემთან მცინარი.
დღეს ჩემი გული ასპარეზია,
ყაბახზე შენ ხარ მოასპარეზე,
შენს მსხვერპლად იყოს ჩემი სიცოცხლე,
მე სხვა სამსხვერპლოს პოვნას არ ვეძებ.
რაზვინი მასთან მისვლას ვერ ბედავს,
ტანი აჭყრია, ვით კიპარისი,
ის ემირია, — მე — მისი მონა,
ის სულთანია, მე ყმა ვარ მისი.
ეს ფარვანის ფრთებს მოედო ცეცხლი,
თუ შისი ლოყა იწვის მხურვალე,
იგი სიცოცხლის წყაროა ჩემი,
წყაროსთან უწყლოდ ვდგევარ მწყურვალე.
ვევედრე: „იყავ ნიზამის ახლო“,
მის ახლოს ყოფნა მე მინატრია,
მან მიპასუხა: „როცა დრო მოვა
შენი ვიქნები, ჯერ კი ადრეა!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

25.

არა, ამალამ ნუ დავიძინებთ,
ლხინში მყოფი სჯობს ლოგინში მძინარს,
ღამის დანაკლისს დღით გავასწორებთ,
ძილის დრო კიდევ ბევრი გვაქვს წინაც.
აქ ხარ, წამწამზე მიზიხარ, კარგო,
ხან მკერდში გიკრავ გულს ჩარაზულო,
შენთან ლხენაში, შენთან ხვევნაში
მსურს გავათენო, ტურფა ასულო.
შარბათ-ბაგეო, ნუშისთვალაო,
დილამდე ღვინოს მიტომ ვსვამ ხარბად,
რომ ნაღვინევი, დილით შევექცე
თვალების ნუშს და ტუჩების შარბათს.
წუხელ სად იყავ, არ მძინებია,
ჯავრით ვიმტვრიე თავქვეშ თითები,
ღღეს შენთან ყოფნას ვდღესასწაულობ,
გვირგვინი მადგას თავზე დიდების.
ყველა დავკარგე შენი გულისთვის,
მხოლოდ შენა ხარ ჩემი ნუგეში,
ჰა კამათელი, რაც უნდა დაჯდეს,
მე ყოველთვის მსურს შენთვის დუშეში.
წყვილი ნაწნავი შეჰკარ ფიცივით,
დილამდე კოცნა არ დაგველიოს,
დავშალოთ ფიცი — დავხსნათ ნაწნავი,
არ დაგვრჩეს ღვინო, — არ დაგველიოს.
ამალამ მაინც საქმე არა გვაქვს,
დილამდე ისევ მე მიმსახურე,
ყური მიუპყარ ნიზამის ლექსებს,
ჩემს ტუჩთან იყოს შენი საყურე.

თარგმანი **გრიგოლ აბაშიძისა.**

4375
13365

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი

თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა *)

*

* * *

აგვისტოს შუა რიცხვებში მოაღწიეს სამშობლოს რუსეთს წარგზავნილმა წარმომადგენლებმა. თითქმის სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ისინი რუსეთს გაემგზავრენ და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ საგულისხმო მოხდა საქართველოში.

ყველაზე პირველად ის, რომ რუსის ჯარმა დასტოვა ეს ქვეყანა და უკანვე გაბრუნდა.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელს ამიერკავკასიაში, თურქეთსა და ირანში.

ამოძრავდა მტერიც და მოყვარეც.

ერეკლემ კაცი აფრინა იმერეთს და სოლომონს შეუთვალა, რომ ერთმანეთს შეხვედროდნენ, საბოლოოდ შეერიგებულიყვნენ და გაერთიანებული ძალებით გაელაშქრნათ თურქეთის წინააღმდეგ. ერეკლეს სურდა, ჯერ ერთი, მტრებისთვის დაენახვებინა რომ საქართველოს ამ ორ სამეფოს რუსეთისაგან დამოუკიდებლადაც, შეეძლო სამხედრო მოქმედება ეწარმოებინა და, შემდეგ, უნდოდა იმპერატრიცის გულიც მოეგო: მართალია ჯარი გაიწვიე, მაგრამ მე მაინც განვაგრძობ მტრების წინააღმდეგ მოქმედებასო. სოლომონიც თუ აქამდე მთელ იმედებს რუსეთზე ამყარებდა, ახლა იძულებელი იყო ერეკლეს საწინააღმდეგო მოქმედებაზე ხელი აეღოთ და მასთან მჭიდრო კავშირზე ეფიქრნა. ამიტომ ერეკლეს შეუთვალა, ერთმანეთს რაც შეიძლება მალე შეხვედროდნენ მოსალაპარაკებლად. ერეკლესაც ბევრი აღარ დაუგვიანებია და აცნობა, რომ მზად იყო დაუყოვნებლივ ეთათბირნა იმერთა მეფესთან.

ივნისის დამლევს მეფენი ერთმანეთს შეხვდნენ ქართლ-იმერეთის საზღვარზე და რუსეთის რწმუნებულის კაპიტან ლეოვის თანდასწრებით დასწერეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ორივე მეფე სამუდამოდ ივიწყებდა ურთიერთშორის აქამდე არსებულ უკმაყოფილებას და პირობას სდებდა რუსეთის იმპერიისა და მთელი საქრისტიანოს მტერთა წინააღმდეგ ერთად ემოქმედნა. გარდა ამისა ამ ხელშეკრულების ძალით ორივე მეფე თავის თავზე ღებულობდა მთელ რიგ ვალდებულებებს: გაეწიათ ორთავეს ერთმანეთისთვის სამხედრო დახმარება, დღიდან ხელშეკრულებაზე ხელისმოწერისა აღარ შეეფარებინათ მოპირდაპირე მხარის განდგომილი თავადი ან აზნაური და მიკედლების შემთხვევაში დაუყოვნებლით შეეპყროთ და დაებრუნებიათ ერთმანეთისათვის, ხოლო თუ ამბოხება იფეთქებდა რომელიმე ძმრძანებლის სამეფოში, მაშინვე მიშველებოდნენ ერთმანეთს.

---

*) გაგრძელება. „მნათობი" № 7.

ამ ხელშეკრულების დედანი ორივეს ხელმოწერისა და ბეჭდის დასმით მაშინვე პეტერბურგში გაგზავნეს, ხოლო თითონ სასწრაფოდ შეუდგნენ სალაშქროდ მზადებას. ოქტომბრის შუა რიცხვებში სოლომონმა ხუთი ათასი კაცი გადმოიყვანა ლიხზე. და ამაზე ცოტა მეტი ერეკლემ დააბინავა გორს (ათასი კაცი — ოსები, თაგაურელნი და ინღუშები ერეკლეს დაქირავებული ჰყავდა): პირველად სოლომონი გაჯიუტდა და მოითხოვდა რომ ახალციხეზე ბორჯომის ხეობით გაელაშქრნათ, სოლომონს არ უნდოდა ძალზე დაშორებოდა თავის ქვეყანას. ერეკლე კი ურჩევდა გორიდან ატენის ხეობით ჯავახეთზე გადასვლას და ახალქალაქის მხრიდან შეტევას, რადგან აწყურის გამაგრებულ ციხეს ვერ გადალახავდნენ. ბოლოს სოლომონი დასთანხმდა და გაერთიანებული ამერ-იმერთა ათიათასიანი ლაშქარი ექვსი ზარბაზანით, ახალციხის საფაშოში შეიჭრა. ქართველთა ჯარებმა ახალქალაქს ალყა შემოარტყეს, ქალაქი აიღეს და საფაშოს თარეშები გაუსიეს. თარეშებმა ყარსსა და არდაგანსაც კი მიაღწიეს, მრავალი სოფელი აიკლეს, მტრის სურსათის მარაგი ხორბლეული მთლად გაანადგურეს, ურიცხვი საქონელი გამორეკეს, მაგრამ... ამ ლაშქრობაში გამოჩნდა სწორედ ქართული ჯარის ყველაზე სუსტი მხარეები. ნადავლით დატვირთულმა ლაშქარმა შაქარივით დაიწყო დნობა. ორივე მეფეს მთელი ჯარი თვალწინ შემოაქრა. მტრის დასარბევად გაგზავნილი რაზმები ბანაკში აღარ ბრუნდებოდნენ, დაუკითხავად პირდაპირ შინ მიდიოდნენ და თან მიჰქონდათ უთვალავი ნადავლი.

გალაშქრების მეექვსე დღეს მთელი ჯარი უკვე ორი ათასს კაცს აღარ აღემატებოდა და ამას კიდევ ზედ დაერთო სოლომონ მეფის ავადმყოფობა.

იძულებული გახდნენ ახალქალაქისათვის ალყა მოეხსნათ და ... დაბრუნებულიყვნენ.

სოლომონმა გორში, მართალია, მოიკეთა, მაგრამ ქართლში აღარ დადგა და იმერეთს მიაშურა. ერეკლე კი იძულებული იყო მაშინვე ცხენზე შემჯდარიყო და შერჩენილი დაქირავებული ჯარით სათარეშოდ შემოჭრილ ლეკთა რაზმებს დადევნებოდა. გორში შიკრიკი მოვარდა და ამბავი მოიტანა, ორიათასი ლეკი მუცალის მეთაურობით შილდას თავს დაესხა და ციხის აღებას ლამობსო.

მესამე დღეს ერეკლე უკვე შილდასთან იყო. მუცალის რაზმი იფრინა, გაჰფანტა, ნადავლიც წაართვა. მრავალს თავებიც დააყრევინა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ახალი ცნობა მიიღო, ლორეს სამიათასი კაცი დასხმოდა თავს და ბორჩალოს სულთანი ჰუსეინ-ოღლი უთვლიდა, მომეშველე, თორემ მთლად გაგვაჩანაგესო.

ერეკლე ახლა იქითკენ გაეშურა, ნადავლით და ტყვეებით დატვირთულ მძარცველებს ყაზახ-შამშადილის საზღვართან დაეწია, ქორივით დააცხრა თავზე და თითქმის მთლად გაანადგურა, მაგრამ დასვენებაც ვერ მოასწრო, რომ კვლავ ახალი ცნობა მოურბენინა შიკრიკმა:

ავარიის ხანი თუშეთს დასხმოდა თავს.

ერეკლე ახლა იქ გაფრინდა. გზაში კიდევ ორჯერ შეეფეთა შიკრიკი. ერთი მანგლისიდან — სამასი ლეკი დაგვეცა, აგვაწიოკა, მოგვეშველეთო, — მეორე ყარაღაჯიდან — აქლემთა ჯოგები გაიტაცეს, მწყემსები ტყვედ წაასხეს, ჩქარა, თორემ მერე გვიან იქნებაო. ერეკლემ მანგლისს სარდალი აღაბაბ ერისთავი გაგზავნა, ყარაღაჯისკენ — დავით ორბელიანი, თითონ კი თუშეთისკენ გზა განაგრძო, მაგრამ ალვანთან აღარც მისულა. თუშები თითონ გამკლავებოდნენ მტერს.

სამაგიეროთ ერეკლეს ცხინვალიდან აცნობეს, სამასი კაცი თავს დაესხა კეხვსა და აჩაბეთს, ეს სოფლები გაძარცვა, ააწიოკა და ახალციხისაკენ გზას გაუდგაო.

მერე დბანისიდან მოვარდა ანას გამოგზავნილი კაცი, გვიშველეთ ხუთი სოფელი აგვიწიოკეს, მოსახლეობა მთლად აჰყარეს და თურქეთისკენ გარეკესო.

ერეკლემ აღარ იცოდა, რომელი სარდალი სად გაეგზავნა, ან ვის მიშველებოდა. ჯარიც აღარ ჰყოფნიდა. სოფლებში მოსახლეობა სამუშაოდ ველარ გამოდიოდა. ნახევარზე მეტი მიწები დაუხვნელი დარჩა. რაც დაიხნა, ახლა იმის მომკასაც ველარ ახერხებდნენ.

ასეთ მდგომარეობაში ერეკლე, ცხადია, მოუთმენლად მოელოდა ლეონისა და ანტონის დაბრუნებას იმ იმედით, რომ ისინი აუცილებლად მოიყვანდნენ ჯარებს. ხშირად უთქვამს თავისიანთა შორის, ჩემი დესპანები ალბათ საქმეს აგვირგვინებენ ასე რომ იგვიანებენო. იმდენად დარწმუნებული იყო ერეკლე, ლეონი ჯარებს მოიყვანესო, რომ სახლთუხუცესის დავით ორბელიანის მუდარას ქართლკახეთის აღწერა ჩავატაროთო, ყურადღებას არც კი აქცევდა. ბოლოს, როგორც დიდი პატივისცემა ისე დართო ნება თავის სიძეს შედგომოდა ამ საქმეს და გამოთხოვილ ექვსასი თუმნის ნაცვლად სამასი თუმანი გაიღო, ეგეც ბევრია ამ ფუჭი საქმისათვისო.

დავითმა შწარედ გაიქნია თავი და იძულებელი იყო ბედს შერიგებოდა, რადგან, როდესაც აღწერის ხარჯთაღრიცხვა შეადგინეს, აღმოჩნდა, რომ ამ საქმისათვის სულ ცოტა ათი-თორმეტი ათასი მანეთი იყო საჭირო. დავითმა, იმის შიშით ბატონმა არ იყვიროს და სულ უარი არა სთქვას ამ განზრახვაზეო, თითონ იკისრა ნახევარი ხარჯების დაფარვა, ხოლო ერეკლეს მოახსენა, ექვსას თუმანზე მეტი არ დაჯდება ეს საქმეო. ერეკლეს ცხადი იყო, მთელი ეს განზრახვა [illegible] ყაწვილურ ოცნებად მიაჩნდა. თუმცა პირველად გულმხურვალედ შეეგება ლეონის აზრს და თათბირიც კი გამართა მორიგე ჯარის დაწესების გამოსარკვევად, მაგრამ ახალციხე-ახალქალაქზე უხეირო ლაშქრობის და ლეკთა თარეშებისაგან თავისი ქვეყნის უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნის შემდეგ, ამ საქმის აღარაფერი სჯეროდა. იმედი არ ჰქონდა, რომ გაჩანაგებულ, აწიოკებულ მოსახლეობაში ჯარის შეგროვებას მოახერხებდა. ერეკლე ახლა ჭაბუა ორბელიანს ეთანხმებოდა, რომელიც უმტკიცებდა, რომ ქართველი კაცი მუდმივ სამხედრო სამსახურისათვის არ გამოდგება, გლეხი-კაცი ან უნდა შრომობდეს ან უნდა ომობდეს და თუ ერთი თვე უსაქმოდ დააყენე, ათას ბოროტებას ჩაიდენსო. მორიგე ჯარს კი საქმე არაფერი ექნება და ერთ წელიწადში ქვეყანა ისე გაირყვნება, ცუდკაცობას დაჩვეული მხედრები ლეკებზე უარეს დღეს თითონ დააყრიან ქვეყანასო.

ჭაბუას თანამოაზრე გაუჩნდა, ერეკლეს ახალი სიძე დავით ციციშვილი, რომელსაც ბატონმა სარდლობა და ქალაქის მოურაობა უბოძა. დავითი ვახტანგ მეფესთან ერთად რუსეთში გადახვეწილ ქართლის მებატონეთა ოჯახის წარმომადგენელი იყო, რომელიც ერეკლემ იმისთვის დაისიძა, რომ ეს დიდი გვარეულობაც შემოემტკიცებინა და ქართლის ტახტის მოცილე ალექსანდრე ბაქარისძისთვის კიდევ ერთი ბურჯი გამოეცალა (ამავე განძრახვით ჩაისიძა ერეკლემ იოანე მუხრან-ბატონიც).

დავით ციციშვილს თვით მამაპაპიდან ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ის აზრი, რომ რუსეთის ქვეშევრდომობის გარეშე საქართველოს სამეფოს ხსნა შეუძლებელი იყო. ამის

შესახებ ის ხშირად საუბრობდა ჭაბუას თანდასწრებით ერეკლესთან. იმ დროს, როდესაც სასახლის ქვედა სართულში დავით ორბელიანი დილიდან საღამომდე მუშაობდა აღმწერებთან, დავთრებს ადგენდა, მოსახლეობის რაოდენობას აჯამებდა და ძალღონეს არ იშურებდა განზრახული საქმის დასაგვირგვინებლად. სოლომონ ლეონიძეს ხშირად ჩამოჰქონდა ამბავი ზემო სართულიდან და უამბობდა დავითს, რომ მისი უმცროსი ქვისლი და ჭაბუა ერეკლეს ანუგეშებენ, დღედღეზე რუსის ჯარი მოგვივა და ღვთით თქვენც დაისვენებთ და ერიცაო. თანაც ციციშვილი ფიცით იჭაჭება, იმპერატრიცა კათალიკოს უარს ვერ უბედავს, რუსეთი ჯარს აუცილებლად მოგვაშველებს და ნეტავ ეს ჩვენი სახლთუხუცესი ტყუილუბრალოდ ამდენ ხალხს რად აცდენს, ხომ იცის რომ მაგ საქმიდან არა გამოვა რაო.

დავითი მშვიდად უსმენდა სოლომონს და საქმეს განაგრძობდა მან დაწვრილებით შეადგინა დავთრები, ყოველივე აღნუსხა, შეაჯამა და გამოირკვა, რომ ქართლკახეთისთვის შესაძლებელი იყო ერთდროულად სამოცდაათიათასი კაცის გამოყვანა, ხოლო თუ მორიგეობას დააწესებდნენ, სასაქართველოს ყოველთვიურად შეეძლო სულ მცირე ხუთიათასი შეიარაღებული მეომარი ჰყოლოდა. დავითი ისე გაახარა ამ შედეგმა, რომ სიხარულით ქუდი ჭერს შეანარცხა და სათითაოდ გადაეხვია აღმწერლებსა და მუშრიბებს. ის არ მოელოდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა ერთდროულად და ისიც ყოველთვიურად ასეთი რაოდენობის ჯარის გაწვევა. ხუთი ათასი კაცი საკმაოებით საკმარისი იყო, რომ სრულიად აელაგმათ საქართველოში მოთარეშე მტრების რაზმები. დავითს ეს წინასწარ ჰქონდა გამოანგარიშებული და გათვალისწინებული.

ალბათ ამან შეუმსუბუქა ერეკლესაც დარდი და გულსტკივილი, თორემ როდესაც შიკრიკებისგან გაგო, რომ ლეონი და ანტონი ხელცარიელი დაბრუნებულიყვნენ რუსეთიდან, კინაღამ დამბლა დაეცა.

ერეკლე არ მოელოდა ასეთ გაწბილებას რუსეთის იმპერატრიცისაგან და ამ ამბავმა ისე იმოქმედა განუწყვეტელი ბრძოლებით დაქანცულ მეფეზე, რომ კარგახანს იჯდა თავზარდაცემული და ხმა არ ამოუღია. ჭაბუა და დავით ციციშვილი მეფეს თვალს ვერ უსწორებდნენ და ჩურჩულით ეკითხებოდნენ შიკრიკს—იქნება სცდები, ან კიდევ ბატონიშვილმა განგებ დაგაბარა, ვითომ ჯარი არ მოჰყავს, რომ მამას მოულოდნელად გული გაუხაროსო.

— ეეჰ, რასა ბრძანებთ, — უპასუხა შიკრიკმა, — ნეტავ მაგრე იყოს, მაგრამ ვაი, რომ აგრე არ არის... ეგ არა და ისეთი ამბავი იყო აქ წამოსვლაზე. არავის არ სურდა ბატონის წინაშე ცუდი ამბის მახარობელი ყოფილიყო. როგორ მოვახსენოთ, რომ ხელცარიელი ვბრუნდებით და ამ ცუდი ამბის მომტანი რად უნდა ვიყვნეთო. ბოლოს წილი ვყარეთ და მე მერგო.

ერეკლე ისევ უფროსმა სიძემ ანუგეშა და მძიმე დარდი სწრაფად განუქარვა, დაწვრილებით უამბო აღწერის შედეგები, აუხსნა, რომ ყოველივე მზად იყო და თუნდაც დღეიდანვე შეეძლოთ მოსახლეობა მორიგე სამსახურში გაწვიათ. ერეკლე თუ აქამდე გულგრილად ეპყრობოდა დავითის თავდადებულ მოღვაწეობას, ახლა გულდასმით უსმენდა მას და დავთრები თავისი ხელით გადასინჯა. მეფეს ეტყობოდა დარცხვენილი იყო და გადაჭარბებული ყურადღებით სურდა გამოესყიდა დანაშაული თავის სიძესთან. შვილის შესაგებებლად არც კი გამგზავრებულა და მთელი დღე დავთარხანაში გაატარა. მხოლოდ სა-

ღამოს, როდესაც ანტონი და ლეონი თავისი ამალით თბილისს დაუახლოვდნენ, ერეკლე ქალაქგარეთ გაეგება მათ, ორივეს სათითაოდ გადაეხვია და შინ მშვიდობით დაბრუნება მოულოცა.

შემდეგ სასახლეში გათენებამდე ისმენდა მათ მოხსენებას.

* * *

დიდმა გზამ და ორწლინახევრით თბილისიდან მოწყვეტამ თავისი გაიტანა და ბესიკს თითქოს ყოველივე სრულიად მიავიწყა. მართლა მას ამ თავის ქალაქში მრავალ მძიმე განცდათა უსაზღვრო მორევში ხშირად დახრჩობის შიშიც კი ჰქონდა განცდილი, მაგრამ ჭაბუკ მგოსანს ახლა აღარც ანასთან შეხვედრის ეშინოდა, აღარც ერეკლეს რისხვის. მგზავრობაში ნახულმა და განცდილმა ფოლადივით გამოაწრთო და გააკაჟა. როდესაც თავის ქვეყანას დაუახლოვდა, დარიალის ხეობა გაიარა, თოვლიან მყინვარს სიამაყით ახედა, ხევსურთა და მთიელთა ციხე-სიმაგრეთ ქცეულ სოფლებს თვალი გადაავლო და არაგვის ხეობაში თავი ვეღარ გაართვა ტყით შემონაბდულ ცამდე ამართულ გოლიათ მთებს, სიხარულის გრძნობამ აიტაცა. თუ აქამდე უსაზღვრო რუსეთის მოვლის შემდეგ მას თავისი ქვეყანა საოცრად მცირედ ეჩვენებოდა და გზადაგზა ბევრჯერ უანგარიშნია რამდენი საქართველო დაეტეოდა, თუნდაც მოზდოკიდან ყიზლარამდე გადაწოლილ თვალუწვდენელ ტრამალებზე, ახლა ამ ბუმბერაზ მთების ახლებურად დანახვამ სრულიად თავისებურად შეაგრძნობინეს თავისი პატარა ქვეყნის სიდიადე. ახლა დაინახა ბესიკმა ღრუბლებამდე აზიდული ამ მთების სიმაღლე, ჩანჩქერთა არაჩვეულებრივი გიჟმაჟი მდინარება, იალაღებზე მოფენილ ცხვრის ფარათა თავისებური შვენება. თანამემამულეთა არწივისებური ბასრი გამოხედვა და ამ დაკიდულ ფერდობებზე აღმართზედაც და დაღმართზედაც ერთნაირად მსუბუქი სიარული. თითქოს ფრინველები იყვნენ ეს მუხლმაგარი მოხევენი, მთიულნი და ხევსურნი, ისე ადვილად მოჰქროდნენ ისინი სოფლებიდან, ხტებოდნენ ქვებზე, ევლებოდნენ ხრამებზე, ამორბოდნენ აღმართებს, რომ გზათმიმავალ ლეონ ბატონიშვილისთვის შეეხედათ, თაყვანი ეცათ და შემდეგ მისი ქებადიდება ფანდურზე დაემღერებინათ:

„ხმალი სჭრის ბაგრატიონისა
ნეფისა ერეკლისაო:
ნეტავი გამაცნობინა,
ლევანს უქებენ შვილსაო...“

გუდამაყარში ლეონს სამასზე მეტი ხევსური ეახლა, თაყვანი სცა და ქალაქამდე მიაცილა. ბევრი მათგანი ნაცნობი აღმოჩნდა. ზოგს ასპინძაში ელაშქრნა ბატონიშვილთან და ზოგს—ნახჭევანში. ბესიკი აღტაცებით შესცქეროდა ამ თავისებურად მორთულ ჩაუქებს. ყოველ ხევსურს ლამაზად ნაქსოვი შალის ჩოხა ეცვა ჭრელად ნაქარგი ნაწიბურებით, ასეთივე ნაქარგი საბეჭურებით და პერანგის გულისპირებით, ხოლო ბეჭზე ჯვარი ჰქონდა ამოქარგული. მზეზე ბრწყინავდნენ მათი მოვერცხლილი ხირიმები, ხმლები და ფარები.

ასევე დიდად მოეჩვენა ბესიკს ანანურის ციხესიმაგრე თავისი დიდი და მშვენიერი ტაძრით. შემდეგ მცხეთის სვეტიცხოველი მაღალი ქონგურებიანი გალავნით და კოშკებით. მართალია ეს ტაძრები ოდნავადაც ვერ შეედრებოდნენ სიდიდით რუსეთშინახულ ტაძრებს, მაგრამ ესენი მაინც თავისებურად მაღალი იყვნენ, ლამაზნი და ქართველი ქალივით ტანწერწეტნი.

ერთადერთი თბილისი იყო, რომელმაც ბესიკზე ვეღარ მოახდინა ის შთაბეჭდილება რომელსაც გუნებაში მოე-

ლოდა. მას სურდა ეს ქალაქი საოცრად დიდი დაენახა და მშვენივრად მოსჩვენებოდა, მაგრამ როდესაც მას ბექობიდან გადახედა, გული უსიამოდ შეეკუმშა. მოსკოვისა და განსაკუთრებით პეტერბურგის შემდეგ ცხადია მას საოცრად საცოდავად მოეჩვენა თბილისის დაბალი და თიხით ნაგები სახლები, ვიწრო და ჭუჭყიანი ქუჩები, ტყედ გაშვებული ბაღები და წალკოტები. ჭაბუკური გატაცებით ცდილობდა ბესიკი თავი მოეტყუებინა და ყოველივე ეს უკეთესად დაენახა, მაგრამ როგორც კი მოაგონდა იმპერატრიცა ეკატერინეს ზამთრის სასახლე, შემდეგ ნევის სანაპირო, პეტრეს ცნობილი ბაღი ლარივით გადაჭიმული გზებით, მარმარილოს ბუდეებში ჩასმული აუზებით, წარმტაცი ქანდაკებებით და შადრევნებით, უკვე აღარავითარი ოცნება აღარ ეყო, თავისი ქალაქი უფრო მშვენივრად და დიდად რომ წარმოედგინა. მართალია, ადრე მას არანაკლებ მდიდარი და დიდი ქალაქები ჰქონდა ნახული ირანში მგზავრობის დროს, მაგრამ ასე მკვეთრად ეს განსხვავება მაშინ არ განუცდია, რადგან გარეგნულად თბილისი სავსებით წააგავდა იმ ქალაქებს.

ერთადერთი ისევ ერეკლეს სასახლე იყო, რომელიც თავისი მარმარილოს სვეტებით, მინანქრიანი თაღებით და ბროლითა და სარკეებით შემკული დარბაზებით ძვირფასი თვალივით ბრწყინავდა მთელს ქალაქში.

სასახლე ბესიკს თითქმის ცარიელი დაუხვდა. დიდი სიცხეების გამო ყველანი აგარაკებზე გაკრეფილიყვნენ, სამეფო კარის მოხელეთა გარდა, რომელნიც სამსახურის გამო იძულებულნი იყვნენ აეტანათ ეს ტყვიისდამდნობი პაპანება.

სხვებთან ერთად ბესიკი მოსვლისთანავე მაშინვე აბანოებისაკენ გაემართა, რომ მიწის წიაღიდან ამოხეთქილ ამ სამკურნალო წყალით განებანა მგზავრობისაგან დაგროვილი მტვერი და ჭუჭყი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან რომ ბრუნდებოდა, ეზოში ერთ-ერთ ნობართან შეეხვია. მოხუცი მეიგზნობარი მამაშვილურად გადაეხვია ბესიკს და მშვიდობით დაბრუნება მიულოცა.

— ვეჟო, ქვეყნად კუთხე აღარ გინდა დასტოვო უნახავი? — უთხრა ღიმილით მოხუცმა ბესიკს, — კიდითკიდემდე უნდა მოვლო? აბა ერთი დაჯექ, მიამბე რა ნახე, როგორ იმგზავრე?

— ამას ყოველივეს გიამბობ, ჩემო იასე, შენ მითხარი, აქ რა ამბებია ჩემს შემდეგ?

— აბა რა გითხრა, ჩემო ბესიკ! სასახლის ამბებს ჩემზე უკეთ სხვები გიამბობენ. ბატონმა თავისი ორი ქალი გაათხოვა, ერთი მუხრანბატონს გააყოლა, მეორე — დავით ციციშვილს. თვითონ ბატონს კიდევ ორი შვილი შეეძინა.

— ალექსანდრეს შემდეგ?

— ჰო, ალექსანდრე ხომ იმ წელიწადს დაიბადა, ბატონი რომ ასპინძას ლაშქრობდა. თქვენ რომ რუსეთს წახველით, იმ წელს კვლავ ვაჟი შეეძინა, ლუარსაბი დაარქვეს, ახლა კიდევ ვაჟი ფარნაოზი დაარქვეს. ღმერთმა დღეგრძელი ჰყოს, მაგრამ... — აღარ დაამთავრა და თავი გადიქნია იასემ.—სხვა რაღა გიამბო... იმერთა მეფემ სოლომონმა და ჩვენმა ბატონმა პირობის ქაღალდს ხელი მოაწერეს, დღეიდან ჩვენს შორის ძმობა და მეგობრობა უნდა დამყარდესო. განდგომილი ყმა არ შევიფაროთ და მაშინვე პატრონს დავუბრუნოთო...

— რაო? — შეხტა ბესიკი,—ეგ ნამდვილად აგრეა?

— ნამდვილად.

— მამაჩემი იმერეთს აპირებდა თავის შეფარებას, გამოდის რომ...

ეეჰ! ჩემო ბესიკ, პირობა იწერება მაგრამ, განა სრულდება. ამ პირობის

შემდეგ შეიფარა ბატონმა როსტომ რაჭის ერისთავის ვაჟი მეთოდე, ხოლო იმერთა მეფემ—ელიზბარ ერისთავი...

— როგორ, ელიზბარ ერისთავი...

— ხომ იცნობ ანიკო ორბელიანის ბიძა...

— როგორ არა...

— უკვე იმერეთის მეფის კარზე ბრძანდება, და როგორც ამბობენ, პირველ კაცადაა მიღებული. ასე რომ, ჩემო ბესიკ, პირობას არც ერთი ასრულებს და არც მეორე. კიდევ რაღა გითხრა. ჰო, ანიკოს ხსენებაზე გამახსენდა: ამ რამდენიმე დღის წინათ სასაცილო ამბავი მოხდა. გიორგი ბატონიშვილს მუხრანიდან ესტუმრა ახალი სიძე, იმერეთის ტახტის მაძიებელი დავით ბატონიშვილი თავისი მეუღლით. საღამოჟამს აივანზე მსხდარიყვნენ. ამ დროს მოლა მინარეთზე ასულიყო და მართლმორწმუნეებს სალოცავად უხმობდა. ი, შენი რჯული კი დაიქცეს, ქრისტიანების დედაქალაქში მოლას რა უნდაო, გადმოელო თავისი ხირიმი, ეს მიკვირს როგორ გაარტყა ამოდენა მანძილზე, ესეც კი არ ვიცოდი, რომ ბატონიშვილი გიორგის სასახლის აივნიდან მინარეთი მოჩანდა. გადმოიღო თურმე თავისი ხირიმი, ამოიღო ნიშანში, ესროლა და ჩიტივით ძირს ჩამოაგდო. ბატონს რომ გაეგო, ისეთი ამბავი დაეთია, არ ვიცი როგორ აგიწერო. ეს სულელი ვინ მოიყვანა აქ, ან სად გაგონილა ასეთი უტვინო ტახტისმემკვიდრე ბატონიშვილად ითვლებოდესო. გიორგის ძლივს დაემშვიდებინა მამამისი, შეხვეწნოდა, ჩემი სტუმარია და პატივი, მაგას ეგონა კარგ საქმეს აკეთებდა, განა ცოტა გაუჭლეტიათ მუსლიმანებს ჩვენი მღვდელმონაზვნები და ეგ ერთი მოლაც იმათი ჭირისსანაცვლო იყოსო. იცი, ებრძანებინა ბატონს? შენც იმის ჭკუის ყოფილხარ, დავღუპულვარ და მოდით ბარემ ახლავე ცოცხლად მიგლოვეთო. მას შემდეგ ეს რამდენიმე დღეა იმერთა ბატონიშვილი სიცხეებლით გარეთ ველარ გამოდის თურმე.

— მაშ ანიკოც აქ არის?

— აქ არის. წირვაზე სიონში ბრძანდებოდა. მაშინ ვნახე. ველარ იცნობ. დაჩრულდა და ისეთი სანახავია, თვალს ვერ მოაშორებ. თუ აქამდე ბებიამისი იყო ჩვენი ქალაქის მშვენება, ახლა ეგ მისი შვილიშვილია. ალბათ ამისთვისაა, რომ ანა, რაც ქმარი გარდაეცვალა, თბილისში აღარ მინახავს, დმანისს აღარ, მოშორებია და ამბობენ, მგონი, მონოზნად აპირებს აღკვეცასო. ჰაი დედასა, რა ქალი დასჭკნა და დაბერდა იმ მიხრწნილი ბებერის ხელში...

— ეგ ყოველივე კარგი, შენ, როგორა ხარ? — ჰკითხა ბესიკმა იასეს, რომ საუბარი შეეცვალნა: შეგირდები არ აიყვანე? წიგნებს თუ სწერთ? აბა, მე რუსეთში სტამბები ვნახე...

— კარგი?..

— ნახვადა ღირს. ისეთი ოსტატები არიან მჭრელები, გრავიორებს უწოდებენ, აბა სურათებს ისინი სჭრიან და მერე როგორის ხელოვნებით. დახედავ სურათს, გაოცდები, აბრეშუმის ტალღისებრ ელვარებასაც კი გადმოსცემენ სურათებზე...

— აგრეევე ბეჭდავენ?..

— აგრეევე ყარგად ბეჭდავენ. მე ჩამოვიტანე იქაური წიგნები.. რუსული და უცხოური. ქართული წიგნებიც, ხომ იცი, რომ იბეჭდება მოსკოვს...

— ლოცვანები, ჟამნი, დავითნი...

— ჰო, საეროს არ ბეჭდავენ.

— ლოცვანები აქაც ბევრი იბეჭდება. საწყობები გამოტენილია საეკლესიო წიგნებით და მყიდველი კი აღარ არის. შარშან პარაკლიტონი დაბეჭდეს ათასი ცალი, ერთიც არ გაყიდულა. ახლა იოანე დამასკელს ბეჭდავენ, ალბათ, არც ის გაიყიდება. სამაგიეროთ ხალხი ყოველდღე კითხულობს, „ვეფხისტყაოსანი“ მოგვეცითო. იმათ არა აქვთ, ჩვენთან მოდიან, ჩვენც ვწერთ,

მაგრამ ყველას სტამბის წიგნი უნდა. ხელნაწერს ძვირად ეტანებიან. სტამბის წიგნი ადვილი საკითხავია და ლამაზიცაა. თბილელს ვეხვეწე ეს ერთი წიგნი მაინც დამაბეჭდინე, ხარჯი ჩემი იყოს, ოღონდ სტამბა მომაქირავე, რა გინდა-მეთქი. საქმე არა გაქვს! პირიქით, გადამეკიდა და მოსვენებას არ მაძლევს. თქვენ მანდ ეშმაკეულ წიგნებს სწერთ, ხალხსა რყვნით და სასულიერო წიგნებს აღარავინ ეკარებაო. დამემუქრა, კათალიკოსი ჩამობრძანდება და მე შენ გიჩვენებ, თბილისიდან სულ გადაგასახლებო...

— რადაო?

— აბა რა ვიცი. თითონ საწყობში წიგნები ულპება და მე მაბრალებს. ამბობენ, ორიათასხუთასი თუმნის წიგნები დაუგროვდათო და აბა ამოდენა ზარალს როგორ გაუძლებენ. საერო წიგნებს კიდევ არ ბეჭდავენ. ჯერ ეს უნდა გავასაღოთო. ან კი როგორ გაასაღებენ, ქალაქში მყიდველი აღარ არის, სხვა ქალაქებიდან ან სოფლებიდან აქ მომსვლელი არავინაა. შიშით გარეთ ვერავინ გამოსულა. სამას კაცზე ნაკლები ამალით მგზავრობა ყოველად შეუძლებელია. ამოდენა ამალას ბატონიშვილებიც კი ვერ აგროვებენ რომ იახლონ და ჩვენისთანა უბრალო მომაკვდავს ვინ აღირსებს...

— მაგის დარდი ნუ გექნება, ჩემო იასე,—ანუგეშა ბესიკმა მოხუცი მწიგნობარი, — მალე ყოველივე ისე მოეწყობა, რომ..

— ეჰ, რა მოეწყობა. ტყუილუბრალოდ მოვლეთ რუსეთი. ჯარი ვერ მოიყვანეთ...

— იქნებ ეგ უკეთესიც იქნეს, ჩვენი საკუთარი მუდმივი ჯარი გვეყოლება...

— ტყუილი იმედია. დაიცა, სად მიიჩქარი?

— კიდევ განახავ, ჩემო იასე! — უკვე კარებიდან უპასუხა ბესიკმა.

— დაიცა, შენი ლექსები პატარა წიგნად გადავწერე, მთელი ქალაქი მოსვენებას არ მაძლევს, არ გინდა გიამბო... — დაადევნა სიტყვა იასემ, მაგრამ ბესიკმა ყურადღება არ მიაქცია და გზა განაგრძო.

ჭაბუკ მგოსანს ეგონა, რომ სასახლეში აუცილებლად შეხვდებოდა ანიკოს, რომელიც ალბათ ლეონის სანახავად მოვიდოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. სასახლეში თათბირი მიმდინარეობდა და ყველა დიდი თანამდებობის დიდებული მეფესთან იყო ჩაკეტილი. ქვედა სართულში მდივნები, მუშრიბები და სხვა უფრო დაბალი თანამდებობის პირნი შეგროვილიყვნენ, რომელთაც ხელში ჩაეგდოთ ბესიკის თანამგზავრი გადამწერი გიორგი სტეფანიშვილი და რუსეთში ნახულსა და განცდილს აამბობინებდნენ. ბესიკის დანახვაზე ყველანი გახარებულნი წამოიშალნენ და საყვარელ მგოსანს მხიარული ყიჟინით შეეგებნენ. ხელი სტაცეს, შუაში ჩაისვეს, ხოლო თავდახსნილმა სტეფანიშვილმა თავს უშველა და გაილალა.

— აბა, გვიამბე ჩქარა ყოველივე,— მოუთმენლად მიმართა სოლომონ ლეონიძემ ბესიკს. — შენ თუ გაგვაგებინებ რაიმეს, თორემ...

— დაიცათ, ხალხო, რა უნდა გიამბოთ? — მიმოიხედა ბესიკმა.

— როგორ თუ რა, — არ ეშვებოდა სოლომონი,—მთელი ქვეყანა მოვლე და საამბობი ცოტა გაქვს?

— დამაცა, ჯერ გონება მოვიკრიბო.

— თუ გონება რუსეთში დაჰფანტე, ტყუილი იმედია, **შენ მას** ველარ მოიკრებ. თუმცა განა დასაფანტავი რა გქონდა, ერთი თხილის გულის ოდენა გონებას ველარ მოუარე!

— აბა რა გიამბოთ? პირველი ისაა, ჯარი ვერ მოვიყვანეთ.

— ეგ უშენოდაც ვიცით.

— მეორე ის, რომ რუსეთი ძალზე დიდი ქვეყანა ყოფილა.

— ეგეც ვიცით.

— ვაჰ, თუ იცით, მოლა ნასრედინისა არ იყოს, მაშ რაღას მეკითხებით!

— შენ სხვა გვიამბე.

— ჰმ! — ჩაიცინა ბესიკმა, — თქვენ იქნებ გგონიათ, რომ რაც მე ვნახე, ის შეიძლება ერთ საღამოს გიამბოთ. ან ერთ დღეს, ან ერთ თვეს!

— რაც ირანში ნახე იმაზე მეტი?

— ირანში რა არის, — ხელი ჩაიქნია ბესიკმა, — ირანში იგივეა თითქმის, რაც ჩვენში. აქლემთა ქარავნები, ქარვასლები, სასახლეები. თქვენ რუსეთი უნდა ნახოთ, ჯერ რამოდენა ქვეყანაა, აქამდე რომ იტყოდნენ თვალუწვდენელიო, ახლა ასეთ თქმაზე მეცინება თვალი როგორ მისწვდება ამ ქვეყანას. მერე მისი ქალაქები უნდა ნახოთ. მოსკოვი და პეტერბურგი ხომ ენით აუწერელი ქალაქებია. არა მგონია, რომ პეტერბურგზე ულამაზესი, ქვეყნად კიდევ არსებობდეს ქალაქი. თუ კი ღმერთმა ადამიანი შეჰქმნა მსგავსად სახისა თვისისა, ახლა ჩემის თვალით ვნახე, როგორ შეუქმნია ადამიანს კუთხე მსგავსი სამოთხისა. რა სასახლენი, რა წალკოტნი, რა ქანდაკებანი, შადრევნები, ვეჭვობ, რომ სამოთხე ამაზე უმშვენიერესი იქნეს. ჰმ, ხალხო ხომალდები ვნახე, თითოზე ოთხმოცი ზარბაზანი იდგა...

— რაო?... — გაოცებით გადახედეს ერომანეთს მსმენელებმა სოლომონ ლეონიძის გარდა, რომელმაც ბევრი რამ იცოდა სამხედრო ხომალდების შესახებ.

— ოთხმოცი ზარბაზანიო.

— ვაჰ, ხომალდზე დგას და არ იძირება?

— ოთხმოცი ზარბაზანი თავის ყუმბარებით, — განაგრძო ბესიკმა — ორასორმოცდაათი მარტო მეზარბაზნეა ასეთ გემზე, სხვა რომ აღარ ვიანგარიშო...

— ეგ მართალია, რომ ულვაშიანი მამაკაცი იმპერატრიცას ვერ დაენახვებაო? — ჰკითხა ბესიკს სარიგით აყუდებულმა მანუჩარ თუმანიშვილმა, რომელსაც სასაცილოდ დაკიდებული გრძელი ულვაშების გამო ხუმრობით წმინდა ნინოს ჯვარს უწოდებდნენ.

— დიდებულნი მართლაც სულ გაბარსულნი არიან. ჩემმა მზემ, შარვლები რომ არ ეცვათ, ყველანი ქალები გეგონება, რადგან თმებიც რო ქალებივით ან დაწნული აქვთ, ან კიდე კავღულამბარებად ჩამოშლილნი. შარვლებიც ისეთები აცვიათ, რომ ჩვენებურ საცვალს უფრო ჰგავს, ვიდრე შარვალს.

— დაიცა ერთი, რა დროს ულვაშებია, — შეაჩერა სოლომონმა, — შენ ეს მითხარი, მართალია, რომ რუსეთში სამკვიდრო თანამდებობანი არ არსებობსო?

— მართალია, სამკვიდრო იქ მარტოდმარტო სამეფო ტახტია.

— ჩვენში კი, — სოლომონს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მიმოიხედა და შედგა. მსმენელთა უმრავლესობას თავიანთი თანამდებობანი სწორეთ მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული. და ამ წესის საწინააღმდეგოდ გამოთქმული მოსაზრება შეიძლება მათ პირად შეურაცხყოფად მიეღოთ... ამიტომ ამაზე გაჩუმება არჩია და ბესიკს ახლა მათი შუამდგომლობის მარცხის მიზეზი ჰკითხა.

ბესიკმა დააპირა პასუხის გაცემა, მაგრამ ამ დროს დარბაზში ფარეში შემოვიდა და ხმამაღლა იკითხა:

— გაბაანთი რომელი ბრძანდებით. იმერეთის მემკვიდრე დედოფალმა ბრძანა გვეახლოსო.

ბესიკი იძულებული იყო გულდაწყვეტილი მსმენელები მიეტოვებინა და მაშინვე გაჰყვა ფარეშს.

*
* *

პირველად ბესიკი უხერხულად შედგა თითქოს თავის თავს ეკითხებოდა, ხომ არა ვცდებიო. მას ვერ წარმოედგინა, თუ ამ ხნის განმავლობაში ანიკო ასე უცნაურად შეიცვლებოდა. მართალია გარეგნობით უფრო დამშვენებულიყო, მაგრამ მისი ღვთაებრივი, ბავშვური უმანკო გამომეტყველება სადღაც გამქრალიყო და ახლა ბესიკს უცქეროდა თავშეუკავებელი ვნებით ათრთოლებული ქალი, საოცარი თვალებით და სველი ტუჩებით.

— ბესიკ, გამარჯობა, — მღერასავით ოდნავ გაჭიანურებულად უთხრა ანიკომ და ორივე ხელი ისე გაუშვირა, თითქოს სურდა მოხვეოდა. შემდეგ გვერდით მოისვა და საუბარი დაუწყო.

თვალებში უცქეროდა ბესიკს, ოდნავ ულიმოდა და ისიც აშკარად ხედავდა, რომ ანიკო რაზედაც ელაპარაკებოდა, იმაზე არ ფიქრობდა. თვალები თანდათან ებინდებოდა, მერე გააჟრჟოლა, ბესიკს მაჯაში ხელი ჩაავლო, გაიცინა და თავი ისე გაიქნია, თითქოს ცუდი ფიქრები სურდა თავიდან მოეშორებინა.

— ჰო, რაო, რაო, — განმეორებით ჰკითხა ანიკომ ბესიკს, — რუსეთში მგზავრობისაგან დაიქანცე? რატომ დაიქანცე? — კიდევ გაიცინა და თვალებში შეხედა.

ამ სულელურმა და უაზრო კითხვამ მთლად დააბნია ბესიკი. რატომღაც თითონ შერცხვა და აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ჩვეული სითამამე მოლად გაუქრა და შემკრთალმა მიმოიხედა, ხომ არავინ გვიცქერისო, თუმცა გარეგნულად არც ერთი და არც მეორე ისეთს არაფერს სჩადიოდნენ, რომ ვინმეს ყურადღება მიეპყროთ. ბესიკი, მართალია, გვერდით უჯდა ანიკოს, მაგრამ მათ შორის საკმაო მანძილი იყო.

„რა ვნებააშლილი მიცქერის", — გაიფიქრა ბესიკმა და ანიკოს ხმამაღლა კი ჰკითხა:

— ხომ ბედნიერი ხართ? როგორი ყოფილა გათხოვება?

— ბედნიერი, ჰო, რატომაც არა ვარ ბედნიერი, — თვალებზე უცნაურმა სევდამ გადაუქროლა ანიკოს, თითქოს ფრინველის ჩრდილმა გადაუარა, — ბედნიერი ვარ მაშ, შენ როგორ გეგონა, უშენოდ ვერ გავძლებდი!?

— მეხუმრებით, თქვენო ბრწყინვალებავ?

— არ გიყვარს ხუმრობები? — ისევ ეშმაკურად გაუცინა თვალებმა ანიკოს, — რომ იცოდე, როგორ გამეხარდა შენი ჩამოსვლა. იცი, როგორ მომეწყინა. მე ხომ სულ მარტოდმარტო ვარ.

— როგორ თუ სულ მარტოდმარტო. თქვენ ქმართან რომ ბრძანდებით, ეგ მარტოდმარტო ყოფნაა?

— იჰ! — მძიმედ ამოიოხრა ანამ და ხელი ჩაიქნია, — როგორ გეტყობა, რომ ჯერ ჯეელი ხარ...

ბესიკმა ჩაიცინა.

— რას იცინი? განა წლოვანებით ჩემზე უფროსი რომ ხარ, ჩემზე მეტი იცი! — წარბებშეკრულმა ანიკომ გაბუტულივით ქვემოდან შეხედა ბესიკს და ტუჩები აიბზუა, — შენ ჯერ ბალღი ხარ.

— მარტოდმარტო რისთვის ბრძანდებით...

— სულ მარტოდმარტო ვარ, — უცბად ცრემლები მოაწვა თვალებზე, თავი დახარა, აბრეშუმის ხელსახოცით თვალები მოიწმინდა და შეეცადა ნაძალადევად გაეღიმა, — აღარავის აღარ ვახსოვარ.

— ანა, ბატონო?

— ეჰ დიდედა, რაც გავთხოვდი, აღარ მეკარება. მე თითონ ვეახლე შარშან და მთელი წელიწადი გავატარე დბანისს, მაგრამ ახლოც კი არ მომკარებია. სხვა ვინ გითხრა. თითქოს

ჭირი შემყროდეს, ყველა გამირბის. ნეტავი ვის რა დავუშავე? უსახლკარო, დავეხეტები ხან აქ ხან იქ. იმერეთის ტახტისმემკვიდრე დედოფალს კი მეძახიან. ნეტავ ის მაინც ვიცოდე, ველირსები კია იმერეთის ტახტზე...

— როგორ არ ეღირსებით. სახელოს ხომ მიბოძებთ? — ღიმილით ჰკითხა ბესიკმა, — აუცილებლად იმერეთს გეახლები.

— მართლა? — გაეხარდა ანიკოს.— შენ იქნები ჩემი პირველი ვეზირი. რუსულად რას ეძახიან, კან...

— კანცლერი.

— ჰო, კანცლერი...

ორივენი ღიმილით უცქეროდნენ ერთმანეთს და, ცხადია, არც ერთმა და არც მეორემ არ იცოდა, რომ ათიოდე წლის შემდეგ მართლაც ასე მოხდებოდა, იმერეთის ტახტის ბატონ-პატრონი ანიკო იქნებოდა, ხოლო ქვეყნის ბედიღბლის განმგებელი — ბესიკი. ახლა კი ორივეს ეს თავაზიანი წინასწარმეტყველება, გულუბრყვილო ხუმრობად მიაჩნდა. განსაკუთრებით ბესიკს, რომელსაც საერთოდ არა სჯეროდა, რომ ოდესმე ანიკო და მისი ქმარი იმერეთის ტახტს ეღირსებოდნენ და ამის გამო ეს ახალგაზრდა ქალი კიდევაც ებრალებოდა.

— ბესიკ, მართალია რუსეთის დედოფალს აუარება საყვარლები ჰყავსო?

ამ კითხვამ ბესიკი შეაკრთო. ანიკოს თვალებში შეხედა და მაშინვე გაიფიქრა: „საყვარლად ვუნდივარ“.

— არ ვიცი. ამბობენ კია, რომ...

— რას, რას ამბობენ?

— ამბობენ რომ ქმარი თითონ მოაკვლევინა ხოლო მემკვიდრე ბატონიშვილის მამა ვიღაც სალტიკოვი არისო...

—ეგ მართალია? — ისეთი გაფაციცებით ჰკითხა ანიკომ, თითქო ამ ამბავის სინამდვილეზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, — მეც აგრე გავიგე და მინდა ვიცოდე, ნამდვილია თუ არა.

— ნამდვილად აგრე უნდა იყოს. თუმცა ამ ამბავს ისე ფალავენ, რომ ვერ წარმოიდგენ.

— მერე სხვა საყვარელი გაუჩენია...

— ორლოვზე ამბობდნენ, მაგრამ ახლა მგონი ერთი სარდალი აღმობრწყინდა, პოტიომკინი და ის ფლობს დედოფლის გულსაო.

— რამდენის წლისაა რუსეთის დედოფალი?

— ასე ორმოცდახუთისა...

— ის ვიღაც პოტიომკინი ალბათ სულ ბებერია.

— ჩემის ხნისა იქნება.

— უი, ღმერთო, ეგ როგორ იქნება. ვაჟი მესმის, უფროსი რომ იყოს ქალზე, მაგრამ... — ანიკომ გაოცებით შეხედა ბესიკს, ვერ შეამჩნია, რომ ახალგაზრდა მგოსანს სახე წამოუწითლდა. — მაგრამ ქალი! სხვა კიდევ, სხვა მიამბე რა. რას გაჩუმდი. გაზით უნდა ამოგაგლიჯო ყოველი სიტყვა.

— რა ვიცი, რაღა გიამბო?

— ყველაფერი, ყველაფერი თავიდანბოლომდე.

— მაგას ბარემ ორი სამი თვეც კი არ ეყოფა, არა თუ ერთი საღამო.

— რა კარგია, შენც დადექ და მიამბე. მე ამ ზამთარს თბილისიდან არ მივდივარ. აქ სასახლეში ვიცხოვრებ დიდედას ბინაში, ისიც მარტოკა. ჩემი ქმარი სამეგრელოს აპირებს გამგზავრებას და, სულერთია, აქაც რომ იყოს, ის, გიორგი ბატონიშვილის სასახლეში იცხოვრებს. აქ ბატონს ველარ დაენახვება, სულელმა მოლა მოკლა.

— მოლა, მელა ხომ არ ეგონა, — გაიცინა ბესიკმა.

— რა ვიცი. ბატონი ისე გაჯავრდა, რომ კინაღამ არ გაგვყარა ორივენი საქართველოდან .მოხვალ ხოლმე, ხომ?

— ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, თუ კი გავხდები ღირსი ყოველდღე თქვენი ხილვისა.

— ხომ მიამბობ ყველაფერს?

— მზად ვარ სამსახურად, დედოფალო.

— ხომ? — ისე ჰკითხა ანიკომ, თითქოს კიდევ სხვა რამეს ჰგულისხმობსო.

— ხომ! — ღიმილით უპასუხა ბესიკმა, თითქოს დაუდასტურა ანიკოს ნაგულისხმევი.

ისევ შეხედეს ერთმანეთს თვალებში და ისე აშკარად მიხვდნენ ერთმანეთის გულის ნადებს, რომ ცოტათი კიდეც შერცხვათ, თვალები ძირს დახარეს და ორივეს ერთნაირად აღმოხდა კვნესის მაგვარი შეკავებული სიცილი, რომლის ჩვეულებრივად ასოებით გამოხატვა შეუძლებელია და მხოლოდ დაახლოებით შეიძლება მივამგვანოთ „კჰმ“.

ბესიკმა მაშინვე დააპირა წასვლა. ანიკომ ხელი სტაცა.

—მოიცა. მიდიხარ? რა გეჩქარება?

— უნდა წავიდე, — ბესიკმა მიმოიხედა. მეორე ოთახში რაღაც საეჭვო ხმაური მოესმა.

— დაიცა. ნურაფრის ნუ გეშინიან, — თავისკენ მიიზიდა ანიკომ.

ბესიკი ისევ დაჯდა, თუმცა ისე იჯდა ბეჭებით წინ გადმოხრილი, ეტყობოდა მაშინვე უნდა ამდგარიყო.

— გახსოვთ, „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელი რომ ეთხოვება ნესტანს? — უთხრა ბესიკმა, — გახსოვთ?

— ეგ როდის?

— ნესტანმა და ტარიელმა რომ ითათბირეს, ხვარაზმშას შვილი მოვკლათო. შემდეგ ტარიელი რომ ამბობს:

„ესე შეტად მომეწონა
თათბირი და გამორჩევა,
ჩემთა მტერთა დავაცადე
დასახოცლად ხმლისა ქნევა;
მერე ავდეგ წამოსავლად,
მან დამიწყო ქვექვე წვევა,
მწადდა, მაგრამ ვერ შევმართე
შეჭიდება შემოხვევა.

— წადიი! — მოუქნია ხუმრობით ხელი ანიკომ, — შენ პირიქით, შეჭიდება შემოხვევა შეგიძლია, მაგრამ ხვარაზმშას შვილს, ვეჭვობ, რომ გაუძკლავდე. წადი. არ მომეკარო.

— მივდივარ, დედოფალო! — წამოიჭრა ფეხზე ბესიკი და კარისაკენ გაემართა.

—მოხვალ ხომ? — მიაბახა ანიკომ.

— ხათრიჯამი ბრძანდებოდეთ!

გავიდა თუ არა ბესიკი ოთახიდან, მეორე კარიდან მაშინვე შემოვიდა როსთო და პირქუშად აისვეტა კართან. აფორიაქებული და ბედნიერი ანიკო კი ფეხზე წამოიჭრა და უდარდელად გაემართა მეორე ოთახისაკენ. როსთოს დანახვაზე მოულოდნელად შედგა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია:

— შენ აქ რა გინდა?;— ჰკითხა გაბრაზებულმა ანიკომ, როდესაც მოულოდნელობისაგან გამოწვეულმა შიშმა გაუარა.

— ქალბატონო... — როსთო შედგა. სიტყვა ველარ მოაბრუნა პირში.

— შენ აქ რა გინდა-მეთქი, არ გესმის?

— ქალბატონო, სისხლს დავლევ...

— რაო?

— მე ხატზე მაქვს შეფიცული და აღთქმა დადებული...

— რაო? — ანიკომ მიმოიხედა, რაღაცას თვალით დაუწყო ძებნა, ხანჯალი დაინახა, მისწვდა და როსთოს ვეფხვივით მივარდა, — შენ ვის უბედავ ასეთ ლაპარაკს...

— ქალბატონო....

ანიკომ ხელი აიქნია და ლაპლაპა ბრტყელი ხანჯალი როსთოს სილასავით გაუტყაპუნა ლოყაზე. როსთომ სიმწრით განზე გასწია თავი, მაგრამ ახლა მეორე მხრიდან მოხვდა ბრტყლად ნატკეცი ხანჯალი.

— შენ ვის უბედავ ასეთ ლაპარაკს?

— ქალბატონო,—დაეცა მუხლებზე როსთო, — მომკალი, თუ გინდა...

— რაო, კიდევ ლაპარაკობ? ესეც შენ, ესეც შენ, — დაუზოგავად სცემდა ანიკო ხანჯლით როსთოს რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ისე, რომ ტყუილუბრალოდ არც კი გაუკაწრავს... სცემდა და სიბრაზისაგან აცახცახებული დასძახოდა: შენ თუ ხატის გეშინოდა, გიჟი ქმრად რისთვის მომგვარე, შე სასიკვდილე შენა...

დაიღალა. ხანჯალი განზე ისროლა და ტახტზე მოწყვეტით დაეცა. სულს ძლივს ითქვამდა.

როსთო იქვე ჩაჩოქილიყო კართან, თავზე ხელები წაეფარებინა, თითქოს კვლავ უპირებდნენ ცემას.

— ქალბატონო... — ამოილუღლუღა ბოლოს როსთომ, — მომკალი, თორემ სულერთია ცოდვას დავატრიალებ...

— შენ ჩემი ცოდვაც გეყოფა ტვირთად. გაეთრიე აქედან.

— ქალბატონო, ნუ მიზამ მაგ საქმეს, შემიბრალე. აღთქმა მაქვს დადებული...

— აღთქმა! — დაცინვით წამოიძახა ანიკომ. — ამას დამიხედეთ. თურმე აღთქმებსაც რომ სდებს. სულ ერთია, არც მე და არც შენ ჯოჯოხეთი არ აგვცილდება და ამქვეყნიურ ცხოვრებას ტყიულუბრალოდ ნურც მე მიმწარებ და ნურც შენ იმწარებ. წადი, გაეთრიე აქედან და მეორედ აღარ გაბედომ ასეთი რამე.

— ღმერთო, — აღაპყრო ხელები მაღლა როსთომ, — ღმერთო დიდებულო. შენ მოკითხე ყოველივე იმას, ვინც მე ამ უბედურებაში შთამაგდო...

— გადი გარეთ და იქ ილოცე და იწყევლე, გესმის თუ არა, — უყვირა ანიკომ როსთოს და ფეხზე წამოიჭრა, — აღარა მსურს გისმინო.

როსთო მძიმედ წამოდგა და წელში მოხრილი დათვივით გაბაჯბაჯდა გარეთ.

ანიკომ თვალი გააყოლა ერთგულ მსახურს, მერე მოწყვეტით შებრუნდა, სარკესთან მივიდა და სარტყლის სწორებით თავის თავი შეათვალიერა.

ნაკვერცხალივით გაღვივებულიყო და თვალებიც თითქოს ნაპერწკლებს აფრქვევდნენ.

* *

ლეონმა დაარწმუნა მამამისი, რომ დაყოვნება საჭირო არ იყო და რაკი დავთრების შედგენა უკვე დაემთავრებინათ, მაშინვე შედგომოდნენ მორიგე ჯარის გაწვევას. ერეკლე დასთანხმდა და ლეონის დაბრუნების მეორე დღესვე დაიგზავნა შიკრიკები საქართველოს ყოველ კუთხეში მეფის ბრძანებისა და, პირველ რიგში გასაწვევთა სიების გამოსაქვეყნებლად.

მთის მცხოვრებნი, მოხევენი და თუშ-ფშავ-ხევსურნი გათავისუფლებულნი იქნენ მორიგე ჯარში გაწვევისაგან, რადგან ისინი არსებითად მუდმივ სამხედრო სამსახურში იმყოფებოდნენ და საქართველოს ჩრდილო აღმოსავლეთ საზღვრებს სდარაჯობდნენ.

ბრძანების გამოქვეყნებისთანავე დაიწყო შეკრება ჯარმა დანიშნულ ადგილებში და პირველ სექტემბერს ყველა უკლებლივ გამოცხადდა თავთავიანთ ადგილას. ერეკლემ ბრძანა, რომ პირველი თითონ გავიდოდა მორიგე ჯარში და მართლაც ასე მოიქცა. თავისი საველე საჭურველით, მცირე კარავით, გუდა ნაბადით და სურსათსანოვაგით, ის უბრალო მეომარივით გამოცხადდა მცხეთის ბანაკში და სარდალ აღაბაბ ერისთავს მოახსენა: მიმსახურე როგორც უბრალო მეომარი, მე შენი ყოველი ბრძანების შემსრულებელი ვარო. ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ საქართველოში და ის გავლენა მოახდინა, რომ დიდი და პატარა ერთმანეთს ეჯიბრებოდა სამსახურის ასრულებაში. თუ აქამდე თავადები თაკილობდნენ აზნაურ მიმბაშთა ან უზბაშთა ბრძანების შესრულებას, ახლა ვერცერთი ველარ ბედავდა ხმა ამოე-

ღო, თუნდაც უბრალო გლეხი რომ დაენიშნათ რაზმის უფროსად. სექტემბრის დამლევს კი ერთმა შემთხვევამ საბოლოოდ დაარწმუნა ყველა, რომ ჯარში ისეთი უფროსი, რომელსაც სამხედრო ხელოვნება ესმოდა, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა და მარტო დიდი გვარის ქონება არ იყო საკმარისი ამ თანამდებობის მისაღებად.

ქართლიდან თბილისს მოემგზავრებოდა გიორგი უფლისწულის მეუღლე ქეთევანი, რომელსაც ამალად და მცველ რაზმად ახლდა ახლადგაწვეული მორიგე ჯარის სამასი კაცი. ღართისკარს ქეთევანი წააწყდა სათარეშოდ შემოჭრილ ლეკთა რაზმს, როლიც დაახლოებით ხუთასი კაცისაგან შესდგებოდა. ქართველები დაიბნენ, მიიხედ-მოიხედეს და აღმოჩნდა, რომ რაზმში ერთი კაციც არ იყო ისეთი, რომელსაც სცოდნოდა სამხედრო ხელოვნება და ეს დაბნეული მეომრები მტრის წინააღმდეგ წაეყვანა, ერთი წუთი და ყველანი თხებივით გაიფანტებოდნენ, მაგრამ მოულოდნელად ქეთევანმა თითონ იკისრა რაზმის მეთაურობა, რაზმს უბრძანა, არ დაბნეულიყო, მის განკარგულებას დამორჩილებოდა და კვალდაკვალ მიჰყოლოდა. ცხენს მათრახი გადაჰკრა, იშიშვლა ხმალი და მტრის დასახვედრად გაჰქუსლა. ქალის ასეთმა მოქმედებამ ისე გაალომკაცა მხედრები, რომ სამასმა კაცმა თვალისდახამხამებაში გაანადგურა ლეკების რაზმი. ამბავის წამღებიც კი აღარ გაუშვიათ და ყველანი თითქმის მთლიანად გაჟლიტეს.

მორიგე ჯარის დაფუძნების შემდეგ ეს იყო პირველი ბრწყინვალე გამარჯვება ამ ახალი ჯარის ერთერთი რაზმისა და, როდესაც ერეკლეს ეს ამბავი ახარეს, მის აღტაცებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. სასიქადულო რძალს გზაზე შეეგება და თბილისში დიდის დიდებითა და ზეიმით მოიყვანა. მეფის ბრძანებით ქალაქი უფლისწულის მეუღლეს ზარბაზნების გრიალით შეეგება. ბოლო ღამით ყოველი კუთხე საზეიმოდ იყო გაჩირაღდნებული.

მართალია, მორიგე ჯარის გაწვევას პირველ ხანებში ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი და ნაკლულოვანება აღმოაჩნდა, მაგრამ მისი დადებითი შედეგები სასწაულივით მოულოდნელი და საოცარი იყო.

ღართისკართან შემოჭრილი თარეშის განადგურებას მოჰყვა თითქმის იმავე ხანში სურამთან მეორე მოთარეშე რაზმის მოსპობა. მალე ქიზიყიდან მოვიდა ამბავი, ერთი მეორეზედ ორი გუნდი მოესპოთ მოთარაშე ლეკებისა. მერე ჯავახეთშიაც აეკაფათ ათასი ლეკი.

მალე დაღესტანში ხმა გავარდა, გურჯისტანში ჩვენი ლაშქრობა შეუძლებელი გახდა, ერეკლეხანს ერთი უძლეველი შვილი გაზრდია ლევანი, რომელსაც არც ტყვია ეკარება, არც ხმალი და ხონთქრისთვის კიდე მას ფრთიანი ცხენი წაურთმევია, რომლითაც ის უფსკრულებს, ხევებს, მთებსა და ზღვებს ზედ ევლებაო.

ამხედრდნენ დაღესტნის უძლეველი ვაჟკაცები, აისხეს იარაღი, რომ შური ეძიათ ქართველთა წინააღმდეგ — ძმათა და მამათა განადგურებისათვის. სამიათასი კაცი ექვს რაზმად დაჰყვეს და სხვადასხვა კუთხიდან ერთსა და იმავე დროს შეუსიეს საქართველოს.

შეუსიეს, მაგრამ ექვსივე რაზმი თითქოს ხაფანგში გაბმულიყვეს. თითო რაზმიდან ათ-ათი კაციც არ დაბრუნებულა თავის ქვეყანაში.

ატირდნენ ლეკის ქალები. აიშალნენ ძველი არწივები, თეთრწვერა მოხუცები, ბრძოლაში ნაცადი მეომრები. უყიელეს თანამოძმეთ და მთელი ზამთარი ამზადებდნენ მეომრებს.

გაზაფხულზე თორმეტი ათასი ლეკი მოადგა ქართლკახეთის საზღვრებს.

ექვსი ათასი ჭარბელაქნიდან, სამიათასი ახალციხიდან და სამიათასი დიგორის მხრიდან, მაგრამ ჭარბელაქნის საზღვარზე მათ ლეონი შეეგება, ახალციხის მხარეზე დავით სარდალი, ხოლო ქრცხინვალთან აღაბაბ ერისთავი და...

კვლავ ხუთასი თუ ექვსასი კაცი თუ დაუბრუნდა უკან დაღესტანს.

კიდევ სცადეს სათარეშოდ განავარდება მცირე რაზმებით საბოლოოდ დამფრთხალმა მეკობრეებმა, მაგრამ კვლავ საშინელი დღე დაადგათ. საქართველოში არა თუ ყოველი გზა აღმოჩნდა შეკრული, არამედ მათი მცირე რაზმებისათვის ტყეებიც კი აღარ გამოდგა თავშესაფარად, საითაც არ წავიდნენ ყველგან ხაფანგში გაებმნენ.

ნელნელა მინელდა და ბოლოს სულ შესწყდა ლეკთა თარეშები.

თავისუფლად მოითქვა სული ქვეყანამ. საქართველოს მინდორ-ველებზე გაისმა მშრომელი გლეხის სიმღერა, თავისუფლად ხნავდნენ, სთესავდნენ, მკიდნენ გლეხები ყანებს, უშიშრად ერეკებოდნენ ნახირს პატარა მწყემსი ბიჭუნები. აღარავის ეშინოდა ერთი სოფლიდან მეორეში უიარაღოდ წასვლა. ქალებს თამამად მიჰქონდათ შორეულ ყანებში სადილ-სამხარი თავიანთ ქმრებთან. გახშირდა ქორწილი, ნელნელა დალაგდა ცხოვრება, მოშენდა სოფლები, პატარა ქალაქებში გაჩნდნენ ვაჭრები, რომელთაც მოჰქონდათ უცხო ფარჩეული, სხვადასხვა წვრილმანი ნივთები, რკინეული, სამაგიეროდ ჰყიდულობდნენ უცხოეთში გასატანად ენდროს, აბრეშუმის შულოებს, მატყლს, ბამბას, ხორბალს, ყველს, ცოცხალ საქონელს, ღვინოს.

ამას ზედ დაერთო საქართველოს საგარეო საქმეების საოცრად გამოკეთება, ჯერ კიდევ შემოდგომაზე ერეკლემ მიიღო იმპერატრიცა ეკატერინეს უმაღლესი გრამატა. იმპერატრიცა განსაკუთრებული თავაზიანი კილოთი უთვლიდა ერეკლეს, რომ ბირობისამებრ არ დაეკავებინა საქართველოს საქმენი და თურქეთთან ახლად-დადებულ საზავო ხელშეკრულებაში საგანგებოდ გაეთვალისწინებინათ, რომ ბრწყინვალე პორტას ამიერიდან და სამუდამოდ ხელი აეღოთ საქართველოს შევიწროებაზე, ახალგაზრდა ქალვაჟთა ტყვეებად წაყვანაზე და ეცნო ეს ქვეყანა როგორც ხელშეუხელებლი და თავისუფალი, გარდა იმ კუთხეებისა, რომელნიც ძველთაგან ეკუთვნოდნენ ბრწყინვალე პორტას.

მართალია ქუჩუკ—კაინარჯის ხელშეკრულების იმ ამონაწერის ასლში, რომლის ერთი პირი სოლომონმა მიიღო და მეორე ერეკლემ, ნათლად ვერ გაიგებდით კერძოთ რომელ სამეფოს შეეხებოდა ეს მუხლი, იმერეთისას თუ ამერეთისას (უფრო იმერეთისას), მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოსთვის იმ საბედისწერო ხანებში ესეც დიდი მიღწევა იყო და ამ ამბავმა სასახლეში უდიდესი სიხარული გამოიწვია.

მალე ამას ახალი სასიხარულო ამბავი დაერთო. ირანიდან დაბრუნდნენ ერეკლეს მიერ ყაენთან წარგზავნილი გლახა ციციშვილი და გივი თუმანიშვილი, რომლებმაც მეფეს ქერიმხანისგან გამოგზავნილი ძვირფასი საჩუქრები მოართვეს: ოქროქსოვილი ხალათი და სარტყელი, ოქროთი დარახტული სისვი ბედაური და რკინის გალიით წყვილი ლომის ლეკვი.

დესპანებმა საიდუმლოდ მოახსენეს მეფეს ირანსა და თურქეთის შორის ჩამოვარდნილი უკმაყოფილების შესახებ და ცხადი იყო ქერიმს სურდა ერეკლეს გული წინასწარ მოეგო.

ბოლოს სტამბოლიდანაც დაბრუნდა მირზა გურგინა ენაკოლოფაშვილი ხონთქარის ელჩის თანხლებით. ერეკლე, ქალაქგარეთ, ისაია უზბაშის ბაღთან შეეგება მათ, . რომელთაც მოართვეს მეფეს ახლად ტახტზედ ასულ

სულთან აჰმადისაგან გამოგზავნილი საჩუქრები: ოქროს რახტით მძიმედ შეკაზმული ცხენი, ხონთქრის ნასხამი ქურქი, ერთი ალმასის საათი, რომელსაც წუთის ისარიც ჰქონდა. სულთანის დიდ ვეზირს აზამს ებოძა მეფისათვის ალმასით მოოქვილი ოქროს ბურნუთის კოლოფი, უცხო ხელოვნებით ნაკეთები გულქანდა, რომელსაც შუაში ცერის ფრჩხილის ოდენა ძვირფასი ლალი ამშვენებდა. რეიზ ეფენდის ებოძა მეფისათვის ყავის მძიმე ფიალა, რომელსაც ზარბი ოქროსი ჰქონდა და ალმასით და წვრილი იაგუნდით იყო მოოქვილი, ერთი კიდევ უცხო ხელოვნებით ნაკეთები საათი, რომელმაც ყოველი მნახველი განცვიფრებაში მოიყვანა.

ცხადი იყო, რომ ხონთქარიც ცდილობდა ერეკლეს გულისმოგებას ქერიმ-ხანთან მოსალოდნელი ომის გამო.

არასოდეს არ ყოფილა საქართველოს საქმეები ასე ბრწყინვალედ დასახარბიელოთ.

შერისხულმა და პატიების მომლოდინე მსაჯულმა იესე ოსეს-ძემ, რომელიც თავის ცხოვრების დღიურებს წერდა, პირადი საქმეებით იყო გართული და ქვეყნის ბედიღბალი მაინცა და მაინც არ ეცხელებოდა, ეს ამბები მაინც ჩასწერა დღიურში და სხვებთან ერთად თითონაც გაიზიარა ის აღტაცება, რომელითაც მაშინ ყოველი ქართველი იყო შეპყრობილი.

„განცვიფრდა ყოველი სული,—ჩასწერა დღიურში იესემ ხონთქრის საჩუქრების ხილვის შემდეგ, — და ადიდებდნენ ღმერთსა ამის ასეთ ბედნიერებას. ხონთქარი ესრეთ, ყეენი ესრეთ, რუსეთის იმპერატორი ესრეთ შვილნი მორჩილნი ესრეთ და სხვა მრავალი ბედნიერობა აურაცხელი“.

მაგრამ ამ მოპოებული ბედნიერებით თუ გაიხარა გლეხმა და მოქალაქემ ხელოსანმა, ოსტატმა ან ვაჭარმა სულ სხვა ამბები დატრიალდა სასახლის კარზე. უსაქმურობისა და ბოროტების ბრალი იყო ეს თუ სხვა რამ მიზეზით, დიდებულთა შორის უცბად იფეთქა შურმა და მტრობამ. დაიწყო წარმოუდგენელი ბრძოლა სასახლის კარზე გავლენის მოსაპოებლად, მეფის გულის მოსაგებად და საკუთარი მდგომარეობის გასამტკიცებლად. გახშირდა დაბეზღება, ჯაშუშობა, ცილისწამება, ხრიკების მოწყობა, ოინბაზობა, ათასგვარი მანქანიერება და ერთმანეთისათვის მახის გაბმა.

ამ ამბებს უნებურად მეთაურობდა დარეჯან დედოფალი, რადგან მისი გულისგასახეთქად სასახლეში უცბად უდიდესი გავლენა მოიპოვა მეფის უფროსმა სიძემ დავით ორბელიანმა. დარეჯანს ეს არ სიამოვნებდა და როდესაც მას თავის გერს თამარს ურიგებდა, პირიქით იმაზე ოცნებობდა, რომ ორივეს სრულიად მოიშორებდა თბილისიდან. მართალია, დავითს ძალზე მეგობრობდა დარეჯანისვე პირმშო ლეონი და ეს ორი რაინდი სიძეცოლისძმა განუყრელი მეგობრები იყვნენ, მაგრამ დარეჯანს იმდენათ სძულდა თავისი გერი თამარი, რომ ამის გამო დავითიც ათვალისწუნებული ჰყავდა. ლეონის დავითთან დამეგობრებაში რაღაც საფრთხეს ხედავდა და ყოველ ღონეს ხმარობდა ისინი ერთმანეთს დაეშორებინა.

დავითმა და ლეონმა კი სწრაფად მოიპოვეს უდიდესი გავლენა სასახლის კარზე და არსებითად ქვეყნის ბატონ-პატრონნი შეიქნენ. ეს გავლენა მათ დაუმკვიდრა საქართველოში მორიგე ჯარის დაფუძნებამ და საშინაო საქმეებთან ერთად საგარეო საქმეთა ასე კეთილად გამოკეთებამ. ერეკლემ ახლა თვალნათლივ დაინახა, რომ სხვის იმედზე დაყრდნობით საკუთარ ძალთა მოდუნება არ შეიძლებოდა. წინასწარ-

მეტყველებასავით გამართლდა დავითის სიტყვები, რასაც ის მეფეს ჯერ კიდევ აჯაყალის ციხეში ეუბნებოდა, რომ სამი დიდი სამეფო: რუსეთი, ირანი და თურქეთი უფრო მეტი პატივისცემით მოეპყრობოდნენ საქართველოს, თუკი ეს ქვეყანა მათ თავისთავს ძაბუნად არ უჩვენებდა და პირიქით თითონ შეეცდებოდნენ საქართველოსთან მჭიდროდ დამეგობრებულიყვნენ.

ერეკლე უდიდესი პატივისცემით გაიმსჭვალა თავისი სიძის მიმართ. მეფე ახლა უკვე არავითარ გადაწყვეტილებას არ ღებულობდა დავითისა და ლეონის რჩევის გარეშე.

მხნედ შეუდგნენ ახალი თაობის სახელმწიფო მესვეურნი საქმეს, მაგრამ...

ის უკურნებელი სენი, რომელიც საქართველოს სამეფო სხეულს შეჰყროდა და უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის მანძილზე არ ასვენებდა, სენი თავადთა საკუთარ მამულებისათვის ბრძოლისა, სასახლის კარზე გავლენის მოპოებისა, ღალატისა, გამყიდველობისა და მუხანათობისა მხოლოდ დროებით მოშუშებული აღმოჩნდა და მალე უფრო დიდი სიძლიერით იჩინა თავი.

ეს გადაგვარებული თავადაზნაურობა ისეთი კრკილი აღმოჩნდა საქართველოსათვის, რომელსაც სრულიად ვამოეხრა ამ ქვეყნის გული და მხოლოდ გარეგნული სახე შეენარჩუნებინა მისთვის. საკმარისი იყო რაიმე ისტორიული, თუნდა სულ მცირე ქარტეხილი ამოვარდნილიყო, რომ მთლად გაენადგურებინა საუკუნოების მანძილზე მხნედ მებრძოლი ეს პატარა ქვეყანა, სრულიად მოესპო და აღეგავა პირისაგან მიწისა მისი აქა-იქ შერჩენილი მოსახლეობა და წარეხოცა ისტორიდან მისი არსებობა.

ეს კარგად იცოდა ერეკლემ და მიუხედავად მდგომარეობის გაშოკეთებისა მაინც არ დაუტოვებია ფიქრი რუსეთის მფარველობის მოპოებაზე და მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდებოდა. მას ჯერ კიდევ [illegible] რუსეთში გამგზავრების ხანს, შვილის გაცილების შემდეგ გზიდან მობრუნებულს მოუტანეს ამბავი მაჩაბელთა გვარეულობის შეთქმულობის შესახებ. ამ შეთქმულებაში ზაალ ორბელიანიც ღებულობდა მონაწილეობას, რომელმაც თავისი შვილი წარგზავნა რუსეთს ვითომ სწავლა-განათლების მისაღებად, ნამდვილად კი ვახტანგის მემკვიდრეებთან კავშირის დასამყარებლად. შეთქმულნი შეხვედროდნენ იმერეთიდან რუსეთისაკენ გზად მიმავალ დესპანს სტატსკი სოვეტნიკ ბაკუნინს და დახმარება ეთხოვნათ. დესპანს ენუგეშებინა ყველანი, იმპერატრიცა მეფე ერეკლეს ურისხდება და მალე ტახტიდან გადააყენებსო. ზაალი შეეედრებოდა, თუ ეგრე არის, ეს საქართველო ან რუსს ვინმეს უბოძოს ან იმერთა მეფეს სოლომონსაო.

ერეკლემ მაშინვე დაატუსაღა მაჩაბლები, რომლებმაც წამების დროს დაასახელეს ყველა თანამოაზრე, მათ შორის ელიზბარ ერისთავიც, მაგრამ სანამ შეთქმულებს შეიპყრობდნენ, ყველამ თავს უშველა, ზოგმა იმერეთს მიაშურა და ზოგმა — ახალციხეს.

მაშინ საბოლოოდ გადასწყვიტა ერეკლემ, რომ სოლომონ მეფე ტახტიდან გადაეგდო და მის ნაცვლად იმერეთში გაემეფებინა თავისი შვილი ლეონი. ეს აზრი მან დავით ორბელიანს გაუზიარა, რომელიც აღტაცებით გადაეხვია თავის სიმამრს და მხრები დაუკოცნა.

ეს იქნებოდა პირველი ნაბიჯი საქართველოს გასაერთიანებლად.

*
* *

დავითმა ერეკლეს განზრახვა საიდუმლოდ გაანდო ლეონს, მაგრამ მალე ეს ამბავი ცნობილი გახდა ბატონიშვი-

ლის ერთგულ თანამოაზრეთათვისაც და ყველაში აღტაცება გამოიწვია. მალე ახალგაზრდობამ ხშირად დაიწყო თავისმოყვარა ხან ლეონთან ხან დავით ორბელიანთან, ხან სოლომონ ლეონისძესთან, ან შიოშ თუმანიშვილთან და შეიქნა ერთი ჩურჩული და მითქმამოთქმა.

უფროსი თაობის დიდებულებმა ყური მოჰკრეს ამ საიდუმლო შეკრებათათბირებს და მაშინვე ერთი კვლევაძიება შეექნათ. მოულოდნელად ახალგაზრდათა საიდუმლოს გაგება შეუძლებელი გახდა და ამან კიდევ უფრო გააძლიერა დიდებულთა ცნობისმოყვარეობა. განსაკუთრებით ჭაბუა ორბელიანი ვერ ისვენებდა, რომელსაც საერთოდ მის მოსაზრებათა მარცხის და ერეკლეს თვალში ღირებულების დაკარგვის შემდეგ დარდისაგან ძილიც კი გაკრთომოდა. მით უმეტეს ყოველდღე მისი გულის გასახეთქად ამბები ისე ვითარდებოდა, როგორც ამას დავით ორბელიანი და ლეონი ამტკიცებდნენ , ჭაბუა კი იძულებული იყო ხმა ჩაეკმინდა და კუდამოძუებული კუთხეში მიმდგარიყო.

განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო ჭაბუა ბესიკის ხელახალი დაწინაურებით. რატომღაც ამ ჭაბუკ მგოსანში ბოროტების სადგურს ხედავდა და ჭირივით ათვალწუნებული ჰყავდა. ცხოვრება თითქოს განგებ დასცინოდა გარეგნობით მახინჯ ჭაბუას და ეს ბრწყინვალე შთამომავლობის საქართველოს პირველი თავადი ასეთი გონჯი და მახინჯი შეექმნა, ხოლო უგვარო მღვდლის შვილი — ასეთი თვალწარმტაცი. მერე გულის გასახეთქად ეს გარეგნული სიმახინჯე ყოველ ფეხის ნაბიჯზე უბედობას ატეხდა თავზე. ყველა თვალს არიდებდა, არავინ არ მეგობრობდა, უცხოეთში დესპანად არ გზავნიდნენ, ხოლო თუ მეფეს უცხო სტუმარი ეწვეოდა, მართალია, მიღებაზე ისწრებდნენ,—ისეთს, არასაკადრისს, არაფერს ეუბნებოდნენ, — მაგრამ თითონ ხდებოდა, იძულებული ან მოშორებით ჩრდილში დგარიყო ან წასულიყო დარბაზიდან. გარეგნული მშვენებით დაჯილდოებულ დიდებულთა შორის ის ისე სასაცილოდ გამოიყურებოდა, რომ უცხო ადამიანთა თვალში უნებურ დამცინავ ღიმილს იწვევდა. ამას, ცხადია ვერავინ ვერ გრძნობდა ჭაბუას მეტი. ის ყოველივეს ხედავდა, საშინელი სიმწარით განიცდიდა, რის გამო ეზარებოდა მთელი ქვეყანა და პირველ რიგში — ბესიკი, რომელიც ახლა ლაღად და უდარდელად მიმოდიოდა სასახლის დარბაზებში, თავისი გარეგნობით კვლავ ხიბლავდა ქალებს, ხოლო თავისი ლექსებით, სიმღერით, მოსწრებული სიტყვით — დიდებულებს და უცხო ქვეყნის სტუმრებს.

ბევრჯერ ეცადა ჭაბუა ბესიკისათვის ქედმაღლურად ეცქირნა, ჩაეთვალნა ტაკი-მასხარად, დიდებულთა გამრთობ-მომღერალ მოშაირედ, მაგრამ ვერ სძლია. სცადა თითონაც ეწერნა ლექსები, მაგრამ მის ლექსებს ზედაც არავინ უცქეროდა, ხოლო ბესიკისას ხელიდან სტაცებდნენ ერთმანეთს. დაუწერა საპასუხო ანბანთქება და ბესიკმა ისეთი პასუხი დაუწერა რუსეთიდან დაბრუნებისთანავე, რომ გულის ჭრილობები ხელახლა დაუსერა. ჭაბუა კიდევ ადვილად აიტანდა ყოველივეს, რომ ხალხის ოდნავი თანაგრძნობა განეცადა, მაგრამ ყველა ისე იქცეოდა, თითქოს განგებ სურდათ გაეხელებინათ და ბესიკზე მიესისინებინათ.

უკანასკნელად, როგორც კი მოჰკრა ყური ჭაბუამ, რომ დავითის სასახლეში, ლეონთანაც და კიდევ ერთ-ორ ადგილას ახალგაზრდები, საიდუმლო თათბირებს მართავდნენ, რომლებსაც ბესიკი არა თუ ესწრებოდა ხშირად, როგორც ამბობდნენ — კიდეც ხელმძღვანელობდა, მაშინვე გულში გაჰკრა,

რომ ახალგაზრდებს რაღაც განეზრახათ ისეთი, რაც გავლენადაკარგულ თავადებს საბოლოო ლახვარს ჩასცემდა.

ჭაბუამ მაშინვე გადასწყვიტა გუნებაში, რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდა — ეს საქმე გაეხსნა და თუ ამას ვერ შესძლებდა, როგორმე ბესიკი განედევნა სასახლიდან.

სრულიად მოულოდნელად ჭაბუას მოკავშირე გაუჩნდა.

მორიგე ჯარის დაფუძნების შემდეგ ისე გაიტაცა ყველანი ამ ახალი საქმის კარგად მოწესრიგებამ და გარდა ამისა იმდენი სხვა ახალი საქმეებიც გაჩნდა, რომელნიც დილიდან საღამომდე მუშაობას მოითხოვდნენ, რომ დრო შეუმჩნევლად მიქროდა. ლეონმა და დავითმა მოპოებული გავლენა მეფეზე და სასახლის კარზე მართლაც რომ კეთილად გამოიყენეს. ლეონი მთლიანად მორიგე ჯარის საქმეებს განაგებდა და თუ სალაშქროდ არ იყო, დილიდან საღამომდე თავის დივანხანაში იჯდა, დავთრებს ამოწმებდა, ცხენებს ანაწილებდა, თოფიარაღის საქმეებს აწესრიგებდა და, როგორც თითონ იცოდა ხოლმე თქმა, თავის მოსაფხანადაც არ ეცალა.

დავითი შინაური საქმეების მოწესრიგებას შეუდგა და პირველ რიგში შეეცადა უსაქმოდ მოხეტიალე დიდებულნი საქმით დაეტვირთა. ყველას აუკრძალა სასახლეში უნებართვოდ მესვლა და სათითაოდ საქმე მიუჩინა. მეფის დივანხანის საქმეები დარგობრივად დაჰყო და მათი ხელმძღვანელობა მდივანბეგს ჩააბარა. იოანე ორბელიანს სკოლებისა და მწიგნობრობის საქმეთა ხელმძღვანელობა დაავალა, თეიმურაზ ციციშვილს სასამართლო საქმეები ჩააბარა, ჭაბუა დავთარხანის უფროსად დანიშნა, რამაზ მდივანბეგს სამთამადნო საქმეთა ხელმძღვანელობა დააკისრა და ამგვარად არცერთი დიდებული არ დაუტოვებია, რომ საქმე არ მიეჩინა. შემდეგ დააწესა, რომ ყოველი მათგანი ვალდებულ[illegible] ყოველდღე გამოცხადებ[illegible] [illegible] [illegible] [

კუთხისა, რათა საქართველოს მეფისათვის მორჩილება ან ერთგული მეგობრობა დაედასტურებინა. ერეკლე იძულებელი იყო ხელგაშლილად დახვედროდა ასეთ სტუმრებს, განსაკუთრებული პატივი ეცა მათთვის, გაემართა ნადიმები, მიეწვია სანადიროდ ირმებზე, ჯიხვებზე და ჯეირნებზე, მოეწყო ჯირითი, მუშაითთა და ჯამბაზთა სახეობანი, უხვად დაესაჩუქრებინა არა მარტო თვით საპატიო სტუმარი, არამედ მისი ამალის ყოველი წევრი.

რიგრიგობით ესტუმრა მეფეს, ჯერ ერევნის ბეგლარბეგი ჰუსეინ-ალიხანი, რომელსაც მრავალი ცოდვა ჰქონდა მოსანანიებელი ერეკლეს წინაშე, შემდეგ განჯის მმართველი მამად ხანი, შორეული ხოის პატრონი აჰმად ხანი, შაქის ხანი ჰაჯი-უსუფ, რომლის პაპა ჰაჯი-ჩალაბი ერთ დროს მოსისხლე მტერი იყო ერეკლე მეფისა, და ბოლოს, შემოდგომის მიწურულს, ყარაბაღის მფლობელი იბრეიმ-ხანი. ერეკლე მაშინ შინ არ ბრძანდებოდა და სტუმრებს ლეონ ბატონიშვილი დაუხვდა.

ლეონმა სტუმრებს სათითაოდ მიუჩინა დიდებულნი და როდესაც გაიგო, რომ იბრეიმ ხანს თან ახლდა მთელს ადერბაიჯანში სახელგანთქმული მგოსანი ვაღიფი, მაშინვე ბესიკი იხმო და მისი მეჰმენდარობა დაავალა.

მგოსნებმა სასტუმრო ქარვასლაში გაიცვნეს ერთმანეთი. ვაღიფი მხიარულად მოსაუბრე, წარმოსადეგი ახალგაზრდა აღმოჩნდა, რომელმაც მაშინვე სთხოვა ბესიკს, თქვენი ქალაქი დამატარე ,მინდა თვალი გავაძღო მშვენიერების ხილვითო.

ნამგზავრი მგოსანი ბესიკმა ჯერ აბანოში წაიყვანა და მიწის წიაღიდან ამოხეთქილ ცხელ წყალში აბანავა. ვაღიფმა ყველა აბანო სათითაოდ დაიარა და განცვიფრებაში მოვიდა. ამის მსგავსი მას არაფერი არ ენახა.

— ახლა კი მივხვდი, რად არის თქვენში ქალი და კაცი ასეთი ტურფა და მშვენიერი,—უთხრა მან ბესიკს,— ეს რა საოცარი წყალია, მარგალიტების შადრევანი. ღმერთო დიდებულო, დიდია შენი ძალი და დიდება. ეს ალბათ ფერიებისთვის შეუქმნია ღმერთს და მას ადამიანები დაუფლებიან.

აბანოებიდან ორივენი სასახლისაკენ გაემართნენ. ვაღიფი ხარბად აცქერდებოდა უჩადრო ქალებს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე უზიარებდა ბესიკს აღტაცებას. როდესაც სიონს დაუახლოვდნენ, წირვა უკვე დამთავრებულიყო და ხალხი ტაძრიდან გამოდიოდა. ვინაიდან თბილისისათვის ჩვეული ოქროსფერი მზიანი დღე იყო, თბილი და სანეტარო, დიდებულ ქალთა უმრავლესობა უქურქოდ იყო ფარჩა-აბრეშუმის კაბებში მორთულნი, ტანის ნარნარი რხევით მოდიოდნენ ისინი ტაძრიდან და ვაღიფი მათ დანახვაზე მთლად მიიბნიდა.

— ღმერთო ძლიერო ახლა კი მესმის რისთვის უარყო შეიხ სანანმა ისლამი! — ვაღიფმა თვალი დახუჭა, თითქოს სურდა აღარ შეეხედნა მათთვის, მაგრამ როდესაც გაახილა, სწორედ იმ წუთში გამოვიდა ტაძრიდან ანიკო, რომელიც ერთ წუთს შედგა და ბესიკს გაუღიმა.

ვაღიფმა დაბნეულად მოიხედა და ბესიკს ხმის კანკალით ჰკითხა:

— ღმერთო ჩემო! ვინ არის ეს ქალი? ნუთუ ეს ამქვეყნიური არსებაა. ღმერთო ჩემო. რას ჩავაცივდი ამ ღმერთს. მე ჩემი ღმერთი არა მყოლია. ეს რა ვნახე. იქნებ მე უკვე ზეცას ვარ ასული და ნამდვილ სამოთხესა ვჭვრეტ. ან იქნებ ღმერთს ეს თქვენი ქვეყანა მისთვის შეუქმნია, რომ ჩვენი სარწმუნოება გააცამტვეროს. თუ მართლა ალლაჰი ერთია ამ ქვეყნად, ნუთუ მან შექმნა ასეთი არსებანი ურწმუნო ქრისტიანებად. ალლაჰ! აღარა მჯერა შენი...

ბესიკი თავშეკავებული ღიმილით უცქეროდა უცხოელ მგოსანს და შემდეგ თავაზიანად მიიწვია იგი გზა განეგრძოთ. ქალები წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ ვაღიფი ფეხს არ იცვლიდა, თითქოს კიდევ მოელოდა ეკლესიიდან მშვენიერ ასულთა გამოსვლას. ბოლოს, როდესაც ბესიკმა მაჯაში ხელი ჩასჭიდა და ოდნავ შეანჯღრია, როგორც იქნა — გამოერკვა და მასპინძელს მორჩილად მიჰყვა.

საღამოს სასახლეში ნადიმი იყო გამართული. არსებული წესის მიხედვით ასეთ ნადიმზე მხოლოდ მეფის ან სახლთუხუცესის პირადი მოწვევით შეიძლებოდა დასწრება. ერეკლე ყოველთვის გულმოდგინედ ჩამოუთვლიდა ნადიმზე მოსაწვევ პირებს ეზოსმოძღვარს, რომ არავინ გამორჩენოდა. დიდებულები მუდამ გულისფანცქალით ელოდნენ მიწვევას, რადგან იმის მიხედვით, მიიწვევდნენ მათ თუ არ მიიწვევდნენ, ბევრი რამ ირკვეოდა. რასაკვირველია იყვნენ, ისეთი თანამდებობის პირები, რომელთა მიწვევა უდავოდ იყო მიჩნეული სამეფო სუფრაზე, მაგრამ ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც დიდი თანამდებობის პირნიც ჰკარგავდნენ ამ უპირატესობას და მათ მიპატიჟებულთა სიაში არ შეიტანდნენ. ეს ნამდვილ უბედურებად იყო მიჩნეული. და ხშირად მივიწყებული დიდებული დარდისაგან ავადაც კი ხდებოდა.

ლეონმა ეს კარგად იცოდა, მაგრამ უცბად ხასიათმა წამოუარა და ეზოსმოძღვარს მხოლოდ, ისეთების მოწვევა დაავალა, რომელნიც თითონ ეპრიანებოდა. ამის გამო არ იყო მიწვეული არც ზოგიერთი მდივანბეგი და დიდი თანამდებობის პირი და არც სამეფო სახლის მრავალი ნათესავი. ლეონმა უმთავრესად ახალგაზრდობა მიიწვია და არავითარი ყურადღება არ მიუქცევია იმისათვის, თუ რა თანამდებობა ეჭირა რომელიმეს, ან როგორი გვარისა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს, როდესაც სასახლეში ნადიმი უკვე გაჩაღებული იყო, ჭაბუამ სახლში ველარ გასძლო და გულის გადასაყოლებლად ქუჩაში გამოვიდა. ვიწრო შუკიდან ვერცხლის რიგს დაუყვა. ზარგარები მოწიწებით ესალმებოდნენ დიდებულს: უსტაბაშმა სტეფანემ კი გაოცებით ჰკითხა:

— თქვენო ბრწყინვალებავ, რატომ ნადიმზე არა ბრძანდებით? სასახლეში ისეთი ამბავია, რომ...

— ნადიმი, ეჰ! — ტუჩის აბზუებით ჩაილაპარაკა ჭაბუამ და ისე ჩაიქნია ხელი, თითქოს უნდოდა ეთქვა,— თავი გამაბეზრეს ამ ნადიმებმაო,—განა ყოველი ნადიმზე უნდა დავესწროთ მე და შენ, ჩემო სტეფანე...

სასახლის მოედანზე რომ გავიდა, დააპირა სიონისკენ წასვლა, რომ მწუხრის წირვა მაინც მოესმინა, მაგრამ წინ შეეფეთა ცხენოსანთა მარაქას. ჭაბუა შედგა, რომ ცხენოსნებისთვის გზა მიეცა, მაგრამ ამ დროს შავებში მორთულმა ქალმა ცხენი სწორედ მის წინ შეაჩერა და ჰკითხა:

— ნუთუ ასე გამოვიცვალე, რომ შინაურიც ველარა მცნობს.

— ანა,—წამოიძახა ჭაბუამ,—თქვენ ბრძანდებით? როგორღა უნდა მეცნე, შე დალოცვილო, მონაზონივით შავებში გახვეულხარ.

ანა ცხენიდან ჩამოხტა, სადავე ჯალავდარებს გადასცა და ჭაბუასთან ერთად სასახლის ეზოში ჩავიდა. აბჯრიანმა დარაჯებმა თავაზიანად დაუთმეს გზა ორივეს.

ჭაბუას სურდა ანას გამოთხოვებოდა, მაგრამ მან არ გაუშვა.

— ჩემთან წამოდი, — უთხრა ანამ ჭაბუას, — შენთან მე ბევრი საქმე მაქვს.

*
* *

ორივემ დინჯი ნაბიჯით აიარეს მარმარილოს კიბეები. თაღებიან დერეფანს გასცდნენ და მეორე სართულზე ავიდნენ. აქედან მეორე დერეფანში მოხვდნენ, რომლის ერთი მხარეს მრგვალი სარკმლები დიდ დარბაზს გადაჰყურებდა. სარკმელს ქალები მისეოდნენ და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ მონადიმეებს. ანას და ჭაბუას დანახვაზე ერთი შეჰკივლეს და დამფრთხალი მერცხლებივით ფრთქიალით გაცვივდნენ დერეფნიდან.

ანამ სარკმელში გადაიხედა და ჭაბუას ჰკითხა:

— ეს რა ამბავია.

— ყარაბაღის ხანი გვესტუმრა და ბატონიშვილმა ნადიმი გაუმართა.

— მერე შენ რატომ იმ ნადიმზე არა ხარ? — უთხრა დარბაზის თვალიერებით გართულმა ანამ. ეტყობოდა ის გაფაციცებით დაეძებდა ვიღაცას.

— მე ხომ მეზურნე არა ვარ, ასეთ ნადიმზე რომ მომიწვიონ? მე უბრალო დიდებული ვარ.

— რაო, რა სთქვი?—გაოცებით შეხედა ჭაბუას ანამ, — როგორ თუ მეზურნე?

— ასეა. ისეთი დრო დაგვიდგა, ჩემო ანავ, რომ დიდებულებს მეზურნეების ფასი დაედო, ხოლო იმათ კიდევ დიდებულებისა.

— არაფერი არ მესმის შენი!—ანამ ისევ გაიხედა სარკმელში და ეტყობოდა ვიღაცას მოჰკრა თვალი. კარგა ხანს უცქირა დაძაბული ყურადღებით და ოდნავ ქვედა ტუჩზე იკბინა. მერე უცბად მოსწყვიტა თვალი სარკმელს და ჭაბუას ჰკითხა: — რაო, რა სთქვი? ჩემი ძმა სადა ბრძანდება?

— ახტალას წაბრძანდა მადნების დასათვალიერებლად.

ანა მოსცილდა ფანჯარას და თავის პალატებისაკენ გაემართა. ჭაბუა მორჩილად მიჰყვა.

ლეონის რუსეთში გამგზავრების შემდეგ ანა მხოლოდ ერთხელ იყო თბილისში და ისიც რამდენიმე დღით. დანარჩენი დრო მან დმანისში გაატარა და თავის ციხედარბაზს არ მოშორებია. პირველ ხანებში ანა ოთახიდანაც კი აღარ გამოდიოდა გარეთ და მთელ დროს ან წიგნების კითხვაში ან ლოცვა ვედრებაში ატარებდა. სტუმრებს იშვიათად ეჩვენებოდა და არც შინაყმათა საქმეებში ერეოდა. მთელ შინაურ საქმეებს გულვარდისა განაგებდა და როსაბ მოურავს განკარგულებებსაც ის აძლევდა.

ერთი წლის შემდეგ მიიღო ანამ გზიდან გამოგზავნილი ბესიკის წერილი, სადაც ის თავს იმართლებდა, რომ შეუძლებელი შექნილიყო მისთვის ბატონიშვილის ამალიდან თავის დაღწევა.

შესაძლებელია, ეს ბარათი ადრე რომ მიეღო ანას, ბესიკის წასვლის პირველ ხანებში, ასეთი თავისმართლებით უფრო გაცეცხლებულიყო და ბარათიც ნაკუწნაკუწად ექცია, მაგრამ ახლა დროს მაინც თავისი გაეტანა და ანა ამ ბარათმა კიდევაც დაამშვიდა. მოშუშებულ გულის ჭრილობას ეს უსტარი მალამოსავით დაედო. ანა მოლოდინის გრძნობამ შეიპყრო და გამოცოცხლება დაეტყო. საქმეებისადმი გულისყური გაუჩდა, თითქოს კიდევაც გამხიარულდა. ახლა უკვე ხშირად იბარებდა მოურავს და ანგარიშებსა სთხოვდა. სოფლების შენებას თითონ დაუწყო ხელმძღვანელობა და რამდენჯერმე თავისი მამულები კიდევაც მოიარა.

საქმიანობამ კიდევ უფრო შეუმსუბუქა კაეშანი და დროთაც შეუმჩნევლად გაიარა. კიდევაც გაუკვირდა, როდესაც გაიგო ლეონი და ანტონი თბილისში დაბრუნდნენო, რომ ორწელნახევარზე მეტი გასულიყო მის შემდეგ. პირველად დააპირა თბილისს გამგზავრება, მაგრამ გადაიფიქრა. ზაფ-

ხულის პაპახება სიცხეში თბილისში გამგზავრება ყველას თვალში ეცემოდა და არც უნდოდა ბესიკისათვის საბაბი მიეცა — ეფიქრნა ჩემი გულისათვის მოვიდა თბილისშიო. ისევ მოთმინებით ლოდინი ამჯობინა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ბესიკი როგორმე ან თითონ მოინახულებდა ან ბარათს მაინც მოსწერდა. ბეჩვეულმა ლოდინმა შეუმჩნევლად მოპარა დრო და ნოემბრის ერთ მზიან, მაგრამ დათოშილ დღეს ანას უცნაურად შეუტრიალდა გული რატომღაც იგრძნო, რომ ბესიკი მისთვის აღარ არსებობდა, რომ თელი ეს მოლოდინი მხოლოდ თავისმოტყუება იყო და მეტი არაფერი, რომ ბესიკს ის, იმ დღიდან, როდესაც რუსეთში წავიდა, უკვე აღარ უყვარდა.

მერე გაახსენდა, რომ ანიკო ხშირად დადიოდა მუხრანიდან თბილისში, გაახსენდა, რომ ის ამჟამადაც თბილისში იყო და თუმცა მისი ქმარი გიორგი ბატონიშვილთან იდგა ბინად, თითონ ანან პალატებში ბინადრობდა.

გაახსენდა ეს ანას და მაშინვე ბრძანა—ცხენი შეეკაზმათ.

გზაში აკვიატებული აზრი აწუხებდა. სულ თვალწინ ჰქონდა წარმოდგენილი, როგორ მივიდოდა სასახლეში, მოულოდნელად შეაღებდა თავის საწოლი ოთახის კარებს და ბესიკსა და ანიკოს წაისწრებდა. გულის უცნაური ტკივილით განიცდიდა ანა შურისძიების სანეტარო გრძნობას როდესაც წარმოიდგენდა მათ ელდანაცემ სახეებს. ამის შემდეგ რატომღაც ანას ოცნება აღარ ჰყოფნიდა და უკვე იმაზე აღარ ფიქრობდა, ორივე როგორ დაესაჯა. აქ მისი ოცნება სწყდებოდა და ისევ თავიდან იწყებოდა: როგორ აივლიდა სასახლის კიბეებს, გააღებდა კარს და უცბად დაინახავდა ერთმანეთსგადახვეულ ანიკოსა და ბესიკს. ორივე საოცრად გაფითრებული სახით წამოიჭრებოდნენ ფეხზე. ანა ნელი ნაბიჯებით მიუახლოვდებოდა მათ...

— ოჰ, ღმერთო დიდებულო, — მოითქვამდა ხოლმე სულს ანა.

და ისევ... ნელა ადიოდა სასახლის საფეხურებს... უახლოვდებოდა თავის პალატებს.. შეაღებდა კარს და დაინახავდა ერთმანეთსგადახვეულ ანიკოსა დ ბესიკს.

ისე შეეჩვია ამაზე ფიქრს, რომ როდესაც ქანდარის სარკმლიდან დიდ დარბაზში მონადიმეთა შორის ბესიკი შენიშნა, გული დაწყდა, რადგან ისე არ მოხდა, როგორც თითონ სურდა დაენახა. არც ანიკო დახვდა სახლში. მოახლემ მოახსენა, რომ ანიკო ეს რამდენიმე დღეა სახლთუხუცესის მეუღლესთან თამართან ბრძანდება, ღამითაც მასთან იძინებს და აქ აღარ მოსულაო.

მოულოდნელად ამ ცნობამ ანა დამშვიდების ნაცვლად უფრო გააცეცხლა. იმდენად შეეჩვია აზრს, ბესიკსა და ანიკოს ტრფობის დროს შევესწრებიო, რომ ახლა რადგან ისე არ მოხდა როგორადაც თითონ ფიქრობდა, გული დაწყდა და გაბრაზდა. ჯერ, როდესაც ბესიკს თვალი მოჰკრა სანადიმო დარბაზში იმედის გაცრუება მაშინ იგრძნო. ანა ანლა უკვე იმაზე კი არ ფიქრობდა, რომ ბესიკის გულს ოდესმე კვლავ დაეუფლებოდა, მას მხოლოდ შურისძიების გრძნობა ამოქმედებდა. მას აუცილებლად სურდა ბესიკი და ანიკო ბოროტმოქმედებაში დაეჭირა და ამისთვის რაიმე უტყუარი საბუთი სურდა ჩაეგდო ხელში. მას სურდა ენახა მათი წერილები, გაეგო რამდენჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს და, რაც მთავარია, მათთვის მიესწრო მაშინ, როდესაც ისინი ერთად იქნებოდნენ. ანა ვერ ამჩნევდა თავის თავს, რომ ყოველი ასეთი გაფიქრების დროს ის უნებურად განიცდიდა ნეტარებას, შურისგების ნეტარებას და ტანში საამო ჟრუანტელი უვლიდა.

ანამ თავაზიანად სთხოვა ჭაბუას დაბრძანდითო. თითონ მეორე ოთახში გავიდა და მოახლე გაიყოლა. ქურქი გაიძრო და მაშინვე ანიკოს პატარა ყუთს ეცა. ყუთი დაკეტილი აღმოჩნდა, მოახლემ გასაღებები მიაწოდა, მაგრამ ანას მათი მორგების თავი არა ჰქონდა. მოთმინება არა ჰყოფნიდა. დაბალი კარადის თავზე პატარა ხანჯალს მისწვდა. სახურავში წვერით შეუყო, შეატრიალა და ყუთს თავი ტკაცუნით ავარდა ბღუჯად წერილები ამოიღო და გაფაციცებით დაუწყო თვალიერება. საკუთარ მინაწერ ბარათებს ერთი დახედვით ცნობდა და განზე ისროდა. დანარჩენებს გულდასმით კითხულობდა, ყველა გადაათვალიერა მაგრამ ბესიკისაგან მინაწერი არც-ერთი არ აღმოჩნდა.

მოახლე შორიახლოდან ადევნებდა თვალს თავის ქალბატონს და შიშისაგან მუხლები უკანკალებდა.

— სად ინახავს კიდევ ბარათებს?— ანამ ქალალდები მოაგროვა და უკანვე ჩაჰყარა ყუთში. — არ გესმის, შენ გეკითხებიან.

— არა ვიცი რა, დედოფალო!

— ვის ემიჯნურება არც ის იცი?

— უი, მე! რასა ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, — იტკიცა ლოყაზე ხელი მოახლემ. — მისი ქმრის პატრონი, ეგ როგორ იქნება...

ანამ ზიზღით გადახედა ახალგაზრდა გოგოს, რომელიც ცხადია, ანიკოს გულის მესაიდუმლე იყო და შანთით რომ ეწამებინათ, ხმას არ გაიღებდა.

— წადი, გულვარდისას უთხარი, ურმების მოვლა მგელიკას ჩააბაროს და თითონ ახლავე აქ მოვიდეს!—უბრძანა ანამ მოახლეს.

— ანიკოს ვაცნობებ თქვენ მობრძანებას.

— შენ რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე! — შეჭმუხნა წარბები ანამ. — უშენოდაც გაიგებს...

მოახლე დამფრთხალი ქათამივით გავარდა ოთახიდან. ანამ კი დააპირა ოთახში ძებნა განეგრძო, მაგრამ უცბად მოაგონდა, რომ მეორე ოთახში ჭაბუა ელოდებოდა და ისევ მასთან გავიდა.

— მაპატიე, ჭაბუავ, — მოიბოდიშა ანამ, კაბის კალთები ოდნავ აიკრიფა და გვერდით მოუჯდა, — მართალი გითხრა, მგზავრობამ დამღალა, ურმით მგზავრობას ცხენზე ჯდომა ვარჩიე და ახლა მუხლებსაც ველარ ვმართავ...

— თუ შეჩვეული არა ხარ, ძნელია.

— სხვა, აქ რა ამბებია ახალი? მე ისე გამოვყრუვდი დბანისს, რომ ქვეყნის არა გამეგება რა.

— აბა რა მოგახსენო. ახალი ის არის, რომ მორიგე ჯარი შემოვიღეთ.

— ეგ ხომ მეც ვიცი.

— მებატონენი ჩივიან, გინდა მგელს შევუჭამივართ, გინდა მგლისფერ ძაღლსაო.

— რატომაო?

— რატომ და ხალხი საქმეს მოსწყდა. ყანები დაუხვნელი და მოუმკელი რჩება, და განა სულ ერთი არ არის, გინდა შიმშილს გავუწყვეტივართ, გინდა ლეკის ჯარსა...

— ვითომ განა აგრე მძიმე ტვირთად დააწვა ქვეყანას მორიგე ჯარის შემოღება? — გაიკვირვა ანამ.—მე კი არა მიგრძვნია რა.

— იჰ, როგორ არა. აგერ ახლაც, მზრალად ერთი ორსაც არ ექნება მოხნული ყანა. განა მარტო ყანებია ასეთ დღეში. თითო რაიმე უბედურებას უჩივის. ოსტატი ან ვაჭარიც რომ აიღო, იმასაც თავისი დარის დრო აქვს. ნალბანდს რომ თებერვალსა და მარტში საქმეს მოსწყვეტ, როდესაც მან დილიდან საღამომდე უნდა იმუშაოს და მთელი წლის სარჩო დაიგროვოს, ან კიდევ ვაჭრებს რომ მცხეთობას საბაზროდ არ გაუშვებ, ეგ იმას ნიშნავს, რომ მათთვის წელიწადი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. დავითს

კი ჰგონია რომ საშვილიშვილო საქმე გააკეთა და თავი ისე უჭირავს, თითქოს ის იყოს მეფე და არა ჩვენი ბატონი ერეკლე. აქაც უცნაური წესები შემოიღო და ცდილობს ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეურაცხგვყოს. სასახლეში უნებართვოდ შესვლაც კი აგვიკრძალა...

— მდივანბეგებს?

— ათადან-ბაბადან მდივანბეგისთვის კარი მუდამ ღია იყო მეფესთან, ეს კი... ეჰ! რაღა ვთქო, სამაგიეროდ ბესიკისთანა ბლიაძეებმა გაიხარეს, ისე დაპარპაშობენ სასახლეში, გეგონება ბატონიშვილები არიანო. მაგის თუმცა რა უნდა გამიკვირდეს. ბატონიშვილის გული იმით მოიგო, რომ რაც ქალაქის კახპებია მაგასთან მოჰყავს. ბოდიში კია, ამ სიტყვისათვის.

— როგორაო! ეგ რა სთქვი ჭაბუა — ბატონიშვილი რომ თავშეუკავებელია და ქალთა მოტრფიალე, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ ნუთუ!.. — ანამ ვერ გაბედა ცუდი სიტყვა „კახპა“ ეთქვა.— ნუთუ უწმინდურ ქალს ახლოს ეკარება. ღმერთო, ეს რა მესმის... ეგ როგორ იკადრა.

— ეჰ! — ისეთი ზიზღით წამოიძახა ჭაბუამ, თითქოს ანასთვის უნდოდა ეთქვა, რა გულუბრყვილო ყოფილხარ, ეგ როგორ გიკვირსო, და საიდუმლო ჩურჩულით დასძინა. — ჩვენ იმისი შიში გვაქვს, ბატონმა არ გაუგოს, თორემ ბესიკს ხომ თავს მოჰკვეთს, ცხადია, ლეონსაც კარგად დასჯის. იქნება სულაც განდევნოს თავის ქვეყნიდან. ბატონმა, ღმერთმა მაგისი თავი დღეგრძელი მიმყოფოს, სიყვარულიც დიდი იცის და სიძულვილიც. სიცუდეს არავის არ აპატიებს და მით უმეტეს საყვარელ შვილს. ნეტავ [illegible] შეერთო, თორემ კიდევ [illegible] შეეყრება და რას ეგვანება ათაშანგი რომ...

— კარგი ერთი ჭაბუა. ეგ რაებს ლაპარაკობ. მთლად გაუზრდელებულხარ! — უსაყვედურა ანამ ჭაბუას.

— მაპატიე, დედოფალო, ისეთ ამბებს ვჭვრეტ, რომ უნებურად დავკარგე ზრდილობაცა და თავაზიანობაც, აღარც კი ვიცი, რისი თქმა შეიძლება და რისი არა.

ანას კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს ოთახში ანიკო შემოვარდა, გაექანა და სანამ ანა რამეს მოისაზრებდა გადაეხვია და სახე მთლად დაუკოცნა.

— შენ გენაცვალე, ჩემო ბები. არა ბები კი არა, დედავ, როგორ გამეხარდა შენი მოსვლა, მეგონა სულ ვეღარ გნახავდი. სადა ხარ აქამდე! — გვერდით მიუჯდა და აღტაცებულმა თვალიერება დაუწყო, — როგორ ბრძანდები, ჩემო დედავ. შენ კი გენაცვალე, — ისევ მოეხვია ბებიას და ლოყა ლოყაზე მიადო.

— დაიცა, გიჟო — წყნარად უთხრა ასეთი მოულოდნელი ალერსით გაბრუებულმა ანამ ახალგაზრდა ქალს და თავისდაუნებურად კიდეც გაუღიმა. სად იყავ?

— თამართან გახლდი. ისიც ახლავე მოვა ჩაცმული არ იყო. მე კი, როგორც გავიგე თქვენი მობრძანება, მაშინვე აქეთ გამოვფრინდი. აღარც კი დავუცადე. რა ვქნა, აგრე მოღუშული რადა ხარ, ხომ არავინ გაწყენინა?

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

ორი ლექსი

*

უნაპიროა ჩემი სამშობლო

ასე მგონია თბილისში მოვხვდი, ეს რანაირი დილა გათენდა,
ხოდაბუნებმა აუშვეს ორთქლი, სურთ ყიზილორდას მოგუმბათება.

ქალაქის კართან მთვლემარე ჯანღი შავფეროვანობს ვით შავნაბადა,
ეს ვინ მქუხარებს ქართული ჩანგით, რუსთველის ლანდი ხომ არ ამდგარა?..

ეს სირდარიაც მტკვარივით ანჩხლობს, მტკვარივით ბრუნავს, დუღს და ქაფქაფებს!..
აქ სამკურნალოდ არ ვეძებ ნაცნობს, ვარსკვლავი მიძღვის შუქმოკამკამე!..

და ეს ბიჭები, ლეგა ბიჭები, ჯამბულის ლექსით რომ გამოზრდილან,
შარაზე ისე მოაბიჯებენ, თითქოს სწორები იყვნენ კოჯრიდან...

მათ საქსაული მოაქვთ ურმებით, უდაბნოს ფერი აძევთ აქლემებს,
ჩრდილელი ჩრდილელს ესაუბრება, ალბათ აზიურ ქალაქს აქებენ...

რამ გაათეთრა ეს საქსაული, წინაპართ ძვლებზე ხომ არ იხარა?
კიდევ მოზიდეთ... დაე, ხმაურით ცეცხლმა ფაფარი გადაიყაროს...

დაე, წინაპართ სულთა ზმანებამ ვაჟკაცს ფოლადის ძალა შემატოს,
გულებზე ირმის ძაფად გაგვებას, სიმების ჟღერა თუ მოგვენატროს!..

ასე მგონია თბილისში დავალ, ეს რანაირი დილა დამნათის,
ქუჩებში დიდი ჭადრები დგანან და იძირება ნისლში აღმართი...

უნაპიროა ჩემი სამშობლო, სადა აქვს ბოლო ჩრდილოეთს, სამხრეთს,
სიკვდილმა თქვენთან ვით დამაშოროს, როცა მე თქვენი ყიჟინა მალხენს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

ბაზრობა შუა-აზიაში

ალიზის ღობე, დაბზარული ალიზის ღობე,
გირლიანდებად დახვეული შუადღის ალი,
მნათობს ალაღებს აზიური მაისის ღონე,
მდუმარე ქვიშას ანთებული მიჰყვება კვალი...
ამ კვალს მიჰყვება ცეროდენა მონღოლის ფიქრიც
და ოცნებაში შრიალებენ თეთრი ალვები,
ყოველ ნაბიჯზე ხეივანი ამშვენებს ქვიტკირს,
ყოველ ნაბიჯზე ვარდს ბულბული ეტრფიალება...
აი ქალაქი ჩუქურთმებით, თეთრგალავნებით,
ქარვასლის ჭიშკარს ქარავანი უახლოვდება,
ლურჯ აუზებში თევზეული ფეთქავს რამდენი,
მათ აბჯრის ჟღერას ვით გაუძლონ მუნჯმა ლოდებმა?!
კვირა დღე არი... ეშურება ხალხი ბაზრობას
ალმაატიდან, არალიდან, ფერგანის მხრიდან,
ზოგან ალმურში ავაზები ავზნიანობენ,
ზოგან სახედრებს საქსაულის საპალნეს ხდიან...
ჯიგიტი ჯიგიტს შორიდანვე სალამს მიართმევს,
ვერცხლის თასმებში ბზრიალებენ არგამაკები,
შემორჩენიათ ნარბენალებს მუხლში სიმაგრე,
ნაპერწკლებს ყრიან ტაშირებზე ნაბანაკევნი.
ჯიგიტი ჯიგიტს ეჯიბრება ჰაზამატურად,
ჯიგიტი ჯიგიტს ემუშტრება თოფს და უნაგირს,
თუ ტახტას ვერცხლი უციმციმებს ცვარდაფანტულად,
მიწას ლარივით გაეკვრება წამსვე ქურანი...
კვირა დღე არი... არალივით ღელავს ბაზარი,
კვირა დღე არი... აირანის ბარაქა ფასობს,
— ყუმისი გისვამს, ივაუკაცე, სიტყვა დასძარი, —
ნანადირევზე ეხვეწება ნაცნობი ნაცნობს...
აქა ტრიალებს ცეროდენა მონღოლის დედაც,
ჯანაურის თქმით დაუცია რუხი აქლემი.
მანდილოსნები განა ირგვლივ ცოტანი სხედან,
მაგრამ მას მაინც უთვალავი თვალი დასცქერის...
მოუტანიათ ხალიჩები, ლალი და ვერცხლი,
ეს კი ვეფხვის ტყავს, ვეფხვის პერანგს დასჯერებია,
გამოუცდია მწყურვალობა, უდაბნოს ცეცხლი,
შამბში ნადირი დაუთოფავს გაჯავრებული...
წარბის თავს დღემდი აჭდევია ბრძოლის ნიშანი
და სიზმარივით აგონდება ვეფხვთან ჭიდილი,
მონადირეა, ვერ შეაკრთობს ლომის სიშმაგეც,
მის თვალმართლობას გულში ნატრობს ბევრი ჯიგიტი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მონადირეა, კვლავ იშოვის ნადირის პერანგს,
დაე, მუშტარმა ოქროს ფასში დაისაკუთროს,
ფეხზე წამოდგეს წუთიერად მოღლილი კერა, —
და მისი ქება აულებში გაისმას უფრო!..
მონადირეა, მტკიცედ აჭდევს ტყვიას ტყვიაში,
უღლის გამწევიც თვალმართალი მონადირე ჰყავს,
ახლა დვინაზე ჯარასავით ბრუნავს წყვდიადში,
ჩქარობს ჩაუქი მტერზე ბწკალის მოსაკიდებლად!..

ქ. ყიზილორდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

აბესალომ მუხიგული

რომანი *

★

მეოთხე კარი

I

მანქანა ხევისპირად მიხვეულ-მოხვეულ გზაზე მისრიალებს. ივნისის მზიანი დღეა.

ფერდობზე შეფენილი ტყე ისე ბზინავს, თითქო თითოეული ფოთოლი თავისი განსაკუთრებული ელფერით მზეს უცინისო.

მაღალი კლდიდან დაქანებული ჩანჩქერი ორწოხებში ელვასავით მიიკლაკნება.

შოფერის გვერდით პირსავსე, მხრეგანიერი ახალგაზრდა კაცი ზის; ახალი კოსტუმი აცვია და შრომის წითელი დროშის ახალთახალი ორდენი მკერდს უმშვენებს.

მეოთხე დღეა, მოსკოვიდან რომ წამოვიდა.

ჩაფიქრებულია; სიამით ადევნებს თვალს ნაცნობ მიდამოებს, ტკბება მშობლიური არემარის გულგახსნილი ალერსით და მაინც გრძნობს, რომ დედაქალაქში მიღებული შთაბეჭდილებები ყველაფერს ჩრდილავს.

ლენინის მავზოლეუმი. კრემლი. საბჭოთა ქვეყნის მოწიხავე ადამიანებით სავსე დარბაზი. დიდი ბელადი, ესოდენ ახლობელი, ამამაღლებელი...

ავტო ფართოდ გაშლილ ვაკეზე აიჭრა; ქუფრად აღმართულ მთების გასწვრივ მიჰქროდა, გზა ლარივით იყო გამართული.

ორდენოსანმა მგზავრმა ღრმად ჩაისუნთქა გრილი ჰაერი და მწვერვალებს თვალი ამაყად გაუსწორა. ტანში აღტაცების ჟრუანტელმა დაურბინა, თითქო ახლა მისწვდა იმ ღრმა განცდის დედაარსს, რითაც ეს რამდენიმე დღეა ვამსჭვალულია.

აი, ეს ზღვის ტალღებივით დაგრაგნილი ქედები, ეს თვალგადაუწვდენელი ხეობა, — რამდენი თაობის ძვლებია აქ ჩამარხული, რამდენი სისხლი, ცრემლი, გოდება...

ახლა კი მოვიდნენ ისინი — მისი ამხანაგები, ყოვლად ძლიერნი, შეუდრეკელნი.

თვითონაც მათთან ერთად ადის მაღლა და თავისი მხრებით ააქვს ზევით ძთელი ეს მღელვარე ცხოვრება, ააქვს და იცის, რომ ვერავითარი სიძნელე ვერ შეაფერხებს მის წინსვლას.

კრემლშიაც ამ გრძნობით იყო შეპყრობილი; იდგა, მშვიდად მღიმარე ბელადს მისჩერებოდა, ტაშს უკრავდა და არ იცოდა რა ექნა ასე ჭარბად მოზღვავებული სიხარულისათვის.

შოფერმა უცებ მანქანა შეაჩერა, გადახტა და თვლები დაათვალიერა. ერთ-

* დასასრული. „მნათობი" № 7

ზე საფარი დაშვებულიყო. მყისვე ხელსაწყოების ამოლაგებას შეუდგა.

მგზავრიც გადავიდა. ხანგრძლივად ჯდომის შემდეგ მინდორში გავლა-გამოვლა ესიამოვნა. წელში გაიმართა და მაღალი მთის ძირს დააცქერდა.

დიდი გზა აღარ დარჩენილა, ერთ საათში მივლენ.

რას შვრებიან ნეტავი ახლა ბიჭები?

დიდი ხანი არაა, მშენებლობას რომ მოშორდა, მაგრამ ახლა ისე მიიჩქარის, თითქო მას შემდეგ მთელი წელიწადი გასულიყოს.

ერთობ ბევრი საქმეა ჯერ კიდევ გასაკეთებელი, მშენებლობის ერთი ნაწილი შავად თვეში უნდა დამთავრდეს. თებერვალში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავზე — დენი უნდა მიაწოდონ ახალ ქარხანას. ვინ იცის, კვლავ რამდენი დაბრკოლება შეხვდებათ. მთავარი გვირაბი თუ ამ დღეებში არ გაიყვანეს, მაშინ... მაგრამ არა, ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეანელებს იმთავითვე აღებულ ტემპს!

მოახლოებული მანქანის გუგუნი მოესმა და გზას გაჰხედა. გაეხარდა, მშენებლობიდან მომავალი საბარგო ავტომობილი რომ დაინახა.

გზაზე გავიდა და ხელი აღმართა.

მანქანის კაბინიდან მაღალი, წვერულვაშში ჭაღარა გარეული კაცი გადმოვიდა.

— აა, მანუჩარს გაუმარჯოს!—მიაშურა მას ჭაბუკმა. — რას მეტყვი, მანუჩარ, ახალს? როგორაა საქმე?

მანუჩარი რატომღაც ოდნავ შეკრთა, ულვაშებში გაელვებული ღიმილი ჩაუქრა; ჭაბუკის მკერდზე მოელვარე ორდენმა უნებლიედ თვალი მოსტაცა, გაწვდილი ხელი ავტომატურად ჩამოართვა, ხმის ამოღება კი ვერ შესძლო.

— რა ვქნა, რამ დაგამუნჯა, მანუჩარ? ვერ მიცანი?

— ბოდიში, აბესალომის ჭირიმე, ბოდიში! მოულოდნელად შემხვდი და...

— მერე რა, რომ მოულოდნელად შეგხვდი? რამ შეგაშფოთა?

— როგორ ვუთხრა-მეთქი და ეხა დამება.

— რა არის ასეთი სათქმელი?—შეჰმუხნა თავისი გადაბმული წარბები აბესალომ მუხიგულმა.

— დიდი უბედურება კი არაფერია, მარა...

— რაო? უბედურება?!

— აკი მოგახსენე, დიდი უბედურება არაფერია-მეთქი, სულ რამდენიმე დღეში გამოსწორდება... ინჟინერმა ლევან ცისკარიძემ თქვა — გვირაბის გაყვანა მაინც თავის დროზე მოესწრებაო.

— მაშ აბა, რაა გამოსასწორებელი? რა მოხდა?

— რაღა მაინცდამაინც მე უნდა შეგხვედროდი დღეს? იღბალია ყველაფერი. უბედურ დღეზე ვარ სწორედ გაჩენილი...

აბესალომს მოთმინების ძარღვი გაუწყდა, მანუჩარს გრძელ მკლავზე ხელი ჩაავლო, შეახჯღრია და მკაცრი ხმით უბრძანა:

— რა იცი! სთქვი!

— ეჰ, შე კაცო, ასე ადვილი სათქმელი რომ იყოს! ვიცი შენი გულის ამბავი და იმიტომ მიჭირს. მართლა უბედურება გეგოხება!

— ეს კიდევ თავისას არ იშლის! სთქვი-მეთქი, გეუბნები!

მანუჩარმა შიშჩამდგარი თვალებით ახედ-დახედა აბესალომს, თავი დახარა და ისე ჩაილაპარაკა:

— რა და გვირაბი ჩამოწვა ამ დილას, სულ ცოტაზე ჩამოწვა... ეს არის და ეს...

— რომელ მხარეს?

— ხევისკენ, შესავლის სიახლოვეს.

— შიგ ხომ არავინ ჩარჩა?

— ჩარჩენ, მარა გაჭირვებით არაფერი გაუჭირდებათ. ჰაერი ჭაბურღილი-

დან უნდა ჩადიოდეს, ვენტილატორიც მუშაობს...

— ვინაა ჩარჩენილი?

— ვინა და, ზურაბი მთელი თავისი ბრიგადით, დიბენკო, ნესტორი და კიდევ...

— კიდევ ვინ?

— ჩვენი ახალგაზრდა ინჟინერი ქალი — ნანუ ალურიძე.

— ნანუ?! — წამოიძახა აბესალომმა და სუნთქვა შეეკრა, მკერდზე მოისვა ხელი, თითქო საკინძი უნდა გაიხსნასო.

— ცუდი არაფერი წარმოიდგინო, აბესალომს შემოვევლე! — წრფელი ხმით უთხრა მანუჩარმა და მწუხარების ნოზიარე ჭირისუფალივით დაადვა მხარზე ხელი. — არც ერთს არაფერი არ უჭირს, ჩემი თვალით ვნახე, აწი საცაა კიდევაც გამოვლენ... მე დაბაში მივდივარ, ჩვენი მთავარი ექიმი უნდა ამოვიყვანო.

აბესალომმა ჯერ რაღაც უმწეოდ მიიხედა განზე, ერთ წერტილს დააშტერდა, მერე უცებ შეტრიალდა და ავტოს მიაშურა.

შოფერს ბორბალი უკვე მიემაგრებინა და ხელსაწყოებს კაბინაში ალაგებდა.

— მშვიდად წადი, აბესალომის ჭირიმე, მშვიდად. ექიმი, ალბათ, საჭირო აღარ იქნება, მარა მაინც ამოვიყვან.

აბესალომმა ექიმის გაგონებაზე თავი გაიქნია, თითქო რაღაც საშინელ მოჩვენებას თვალი უნდა აარიდოსო, შოფერს აღარ დაუცადა, თვითონ მიუჯდა საჭეს.

წამიც აღარ დაუყოვნებია; გასროლილი ისარივით მოწყდა მანქანა ადგილს.

მთელი სისწრაფით მიაქროლებდა ავტოს, გზას გაჰყურებდა, თვალწინ კი ნანუ ედგა, ბნელ გვირაბში ჩამწყვდეული, ეგების დაჭრილი...

საოცარია, აგერ მეოთხე წელიწადია, ნანუს რომ ის უბედურება შეემთხვა, მაგრამ აბესალომს ახლა ნანუ ისე კი არ ჰყავს წარმოსახული, როგორც მოსკოვში წასვლის წინ დატოვა, — არა, ნანუს იმ მწუხარე გამომეტყველებას ეხსენერებია, იმ დღეს, პირველი შეხვედრის დროს რომ აღიბეჭდა მის გულში.

ეს მოხდა საღამოს. ქეთევანს გიორგისაგან უკვე გაეგო, რაც მოუვიდა ნანუს.

აბესალომი სამოსს იცვლიდა, სასწავლებელში მიეჩქარებოდა. ამ დროს მოუთხრო ქეთევანმა ნანუს ამბავი. იმ წამს ისე ღრმად არ ჩაფიქრებია აბესალომი ამ ცნობას, მაგრამ როგორც კი ოთახიდან გავიდა, დერეფანში მოულოდნელად ნანუს შეეხეჩა.

შეკრთა ნანუ, თავი ჩაღუნა. ქურდულად აჰხედა აბესალომს.

არა კდემა და შიში, არამედ რაღაც სხვა იყო ამ შემოხედვაში. იგი ისეთი სევდა იყო, რომელიც ენით არ გამოითქმის...

აბესალომს უნდოდა ეთქვა მაშინ ნანუსთვის რაიმე, ენუგეშებინა, მაგრამ ხმა ვერ დასძრა. ძლივს გადადგა ნაბიჯი და უბრად ჩაუარა გვერდით ნანუს. არც უკან მიუხედავს... თვალები კი ცრემლით აევსო...

*
* *

მას შემდეგ ჩვენი გმირების ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა.

ნანუმ კრიზისი გადაიტანა და მთელი ენერგიით სწავლა განაგრძო. თვითონვე დარწმუნდა, რომ ერთადერთი ხსნა შრომაში იყო... წარმატებით ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და წელიწადზე მეტია მშენებლობაზეა.

პირველ ხანებში კი ხანდახან მეცადინეობაზე გული აუცრუვდებოდა და ისეთი სევდა შეიპყრობდა, რომ ს ;ულ სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. არაფერი აღარ იტაცებდა ამ დროს ნანუს. სიცოცხლეს მის თვალში არავითარი ფასი არა ჰქონდა, საზოგადოებას

გაურბოდა. ასეთ წუთებში რევაზ კორდელის აჩრდილი აედევნებოდა და თავისი თავი შეეზიზღებოდა...

მაგრამ გადიოდა დრო და ეს მოგონებაც იფერფლებოდა, როგორც ნაცარში გახვეული მცირე ნაკვერცხალი.

ხოლო ყველაზე დიდი გარდატეხა ნანუს ცხოვრებაში მას შემდეგ მოხდა, როდესაც ბავშვი ეყოლა. სულ მალე გამოცოცხლდა. აყვავდა, თავისებური ეშხით დამშვენდა. ახლა იშვიათად ენისლებოდა სახე გულში ჩარჩენილი ნაღველით; მამას ეალერსებოდა. ქეთევანს დედასავით ეხმატკბილებოდა, აბესალომს კი თითქოს თავს არიდებდა, მაგრამ წინანდლურად აღარ აშინებდა ძასთან შეხვედრა.

ახალგაზრდა დედამ თავის პირმშოს მრავალი საალერსო სახელი გამოუგონა, საბოლოოდ კი გოგი დაარქვა.

იმ თავითვე არაჩვეულებრივად უყვარდათ ერთმანეთი მამაშვილს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნანუს მთელი ის უბედურება შეემთხვა, კიდევ უფრო გაღრმავდა მათი სიყვარული, მშობლიურ გრძნობას სულის ახალი თანაზიარობა დაერთო.

ახლა კიდევ ეს ნორჩი არსება, ეს პატარა გოგი! საოცრად ამობრწყინდნენ მისი თვალები! გიორგიმ რომ ბავშვს პირველი გაღიმება შეამჩნია, ასე ეგონა, მის მკლავებში შორეული მომავალი იცინოდა... ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ქარხნიდან შინ მივიდოდა და გოგის თვალს გადაავლებდა. ძიძასავით უვლიდა, თუმცა ბავშვს დედასთან ერთად ისეთი გამოცდილი და ხელმადლიანი გამდელი გაუჩნდა, როგორიც ქეთევანი იყო.

ერთი პატარა ხინჯი ჰქონდა გიორგის გულში ჩარჩენილი და ისიც მოიშორა, როდესაც გოგი დედის გვარზე ჩააწერინა...

აბესალომმა მუშფაკი დაამთავრა. საღამოობით სწავლობდა, დღისით ქარხანაში მუშაობდა.

შეუმჩნეველად, სწრაფად გაქრა თვეები თავდადებულ სწავლასა და შრომაში.

გიორგის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, აბესალომმა რომ სახელი მოიხვეჭა და დაწინაურდა. ხოლო თვითონ გიორგი რაღაც უხერხულობას გრძნობდა, როდესაც თავის სურათს ნახავდა ხოლმე გაზეთში დაბეჭდილს. წარბშერეჭმით შეავლებდა თვალს სურათს და, თითქო არ სიამოვნებსო, თავს გააქნევდა. ის სურათი, მის მიერ გამოგონებული ჩარხი რომ აამუშავა, მაშინ გადაუღეს გიორგის. დიდი ქურის გვერდით, რკინის დაგრაგნილ ფურცელთან დგას და ჩარხს დაჰყურებს, თითქო გაოცებულია და საკუთარი გამარჯვება უკვირსო.

არ მოსწონს გიორგის ეს ზვიადი გამომეტყველება. არაფერი ამის მსგავსი მას გულშიაც არ გაუვლია. რა მოხდა? რა გააკეთა ისეთი, რომ სხვას დაამადლოს? მხოლოდ გულღვარძლიან ადამიანს შეშურდება თავისი შრომის ნაყოფი მოძმისათვის, მთელი ქვეყნისათვის. ბედნიერება მხოლოდ ისაა, როდესაც რაიმეს ისეთს გააკეთებ, რაც სხვასაც გამოადგებაო.

ასე ფიქრობდა გიორგი თავისთავზე.

სულ სხვა იყო, როდესაც აბესალომის სურათი ნახა „კომუნისტის“ პირველ გვერდზე მოთავსებული. გაზეთი მაღლა ასწია და ულვაშებში გაეღიმა; მეტად კეთილი გრძნობისა და საამო სიამაყის ანარეკლი იყო ეს ღიმილი.

ეს ბიჭი უთუოდ ივარგებსო, ჩაილაპარაკა და ის გაზეთი თავისი სამუშაო მაგიდის უჯრაში შეინახა.

ნანუ რომ სწავლას ამთავრებდა, ბავშვს უკვე ფეხზე დგომა შეეძლო. ამ დროს გიორგიმ ნანუს ერთობ დიდი გამოცოცხლება შეამჩნია. უხაროდა ეს გიორგის თუმცა ის კი არ იცოდა,

რომ ნანუს ეს ხალისიანობა ერთმა ფრიად მნიშვნელოვანმა შემთხვევამ გამოიწვია.

ოქტომბრის თბილი საღამო იყო. ნანუ აივანზე, პატარა მაგიდასთან იჯდა, წიგნს კითხულობდა, მაგრამ სანახევროდ რაღაც სხვაზე ფიქრობდა. გიორგი კრებაზე იყო წასული. ქეთევანი ბავშვს აძინებდა.

თავი ასწია ნანუმ და აივნის ოდნავ გაღებული კარისაკენ გაიხედა. მის გასწვრივ აბესალომი იჯდა და მეცადინეობდა. მაღლიდან ნათურა დაკაშკაშებდა.

ყოველდღე ხედავდა ნანუ აბესალომს, თითქო ძლიერ კარგად ჰქონდა შესწავლილი მისი სახის გამომეტყველება, მაგრამ ამ წამს რატომღაც სულ სხვანაირად მოეჩვენა, დააკვირდა...

არა, რა უნდა შეცვლილიყო, ისევ ის არის: მრგვალი სახე, სავსე, ღაჟღაჟა ღაწვები, უნაოჭო შუბლი, შავი, გადაბმული წარბები, დიდრონი თვალები და სწორი, სულ მცირედ მოსქო ცხვირი; ზედა ტუჩი რომ ოდნავ მოკლე აქვს, ეს კიდევაც შვენის...

მაშ რა შეამჩნია ნანუმ ახალი? იქნება მისივე გულის სიღრმეში იფეთქა უცხო შუქმა და აბესალომის სახეს შეეფინა?

წიგნს თვალი მოსწყვიტა აბესალომმა, განზე მიიხედა, მერე უცებ შუბლი შეჭმუხნა და მარჯვენა ხელზე შეხვეულ თითს დააცქერდა. ალბათ, ტკივილმა შეაწუხა. ნასკვი მარცხენა ხელით ვერ გახსნა და კბილი მოიშველია.

თვითონაც არ მოელოდა ნანუ, უეცრად რომ ადგა, კარი გამოაღო და აბესალომთან მივიდა.

— მოიტა, აბესალომ, მე შეგიხსნი.

განცვიფრდა აბესალომი. ისე შეაცქერდა, თითქო თვალს არ უჯერიაო. ნანუ ხომ პირველ ხანებში აბესალომთან შეხვედრასა და საუბარს გაურბოდა. ალბათ, სცხვენიაო, დაასკვნა აბესალომმა და მუდამ იმას ფიქრობდა, რომ ქალი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეგდო. ძნელი კი იყო ეს მისთვის. განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც...

არა, საოცარია თურმე კაცის გული! სრულიად შეუმჩნევლად ჩაისახება შიგ თითქმის მთელი სიცოცხლის შემცველი გრძნობა, გაიდგამს ფესვებს და მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როდესაც ნაყოფის გამოღებას შეუდგება.

მეტისმეტად დატვირთული იყო აბესალომი ქარხანაში მუშაობითა და სწავლით, თორემ გაცილებით უფრო ადრე შეიპყრობდა ეს გრძნობა. თურმე სიყრმიდანვე მიუთვისებია აბესალომს ნანუს სახე, არმიაში ყოფნის დროს კიდევ უფრო შეუსისხლხორცებია, მაგრამ თავისი მტკიცე ნებისყოფით დაუმორჩილებია ეს უანგარო ტრფიალი.

რატომ?

აბესალომი გიორგისთან იზრდებოდა, მის ოჯახში ხშირად დადიოდა; ნანუსთანაც ისე იყო შეჩვეული, როგორც უმცროს ამხანაგთან, მაგრამ მის წინაშე მაინც რაღაც განსაკუთრებულ მოკრძალებას გრძნობდა. რატომღაც იმთავითვე ჩაენერგა აზრი, რომ გიორგის, სოფიოს და თვით ნანუს იდეალი სულ სხვა არისო, ვინმე დიდად სწავლულ კაცს უნდა მიათხოვონო, იმიტომ ზრდიან ასე სათუთად, იმიტომ აფუფუნებენო...

მაგრამ ახლა...

თავი ჩაღუნა და მორცხვად უთხრა:

— ნუ სწუხდები, ძე თვითონ...

— კარგი ერთი, რა შეწუხებაა! — ბრძანების კილოთი თქვა ნანუმ და აბესალომს მაჯაში ხელი ჩაავლო.

— დღეს იტკინე?

— ჰო, ადუღებული რკინის შხეფი მომხვდა.

— ხელთათმანი არ უნდა წაგეძრო! — ოსტატივით უსაყვედურა ნანუმ, თუმცა მის ხმაში საყვედური კი არა, ალერსი გამოსჭვივოდა.

აბესალომს გულში ნათელი ჩაეფი-

ნა, ნანუს ხელი დაუთმო და... შემკრთალივით გააპარა მზერა ნანუს სახისაკენ...

ნანუ ფრთხილად ხსნიდა ბანდს, ნაზად ეხებოდა მჭედლის ბრტყელ თითებს, ქარვისფერ კოურებიანს.

უეცრად აბესალომის ანთებული თვალების სხივი დაიჭირა...

შუბლი შეიჭმუხნა ნანუმ და თავი დახარა.

არცერთს ხმა არ დაუძრავს.

ნანუმ იარაზე სველი საფენი დაადო, შეუხვია და, თავის ოთახში რომ შევიდა, მღელვარება დიდხანს ვერ დასძლია.

რამდენჯერმე დატუქსა იმ საღამოს თავისი თავი, მაგრამ გულის რომელიღაც კუნჭულში ტკბილად უღვივოდა აბესალომის თვალების სხივი...

II

მიაქროლებდა მანქანას აბესალომი; თვითონაც ისე იყო შემართული, გზას ისე გაჰყურებდა, თითქო გაფრენას ლამობსო.

მოსახვევში, ოღროჩოღრო შარაზე, შეშინებულმა შოფერმა გააფრთხილა— სისწრაფე შეანელეო, მაგრამ აბესალომს მისი ხმა არ გაუგონია, ირგვლივაც ვერაფერს ამჩნევდა, მხოლოდ გზას არჩევდა და ერთი მძაფრი გრძნობით იყო გამსჭვალული: ნანუ საფრთხეშია, ვინ იცის, იქნება...

აქ მთელი თავისი ნებისყოფის ძალით შეწყვეტდა წარმოსახვას, კვლავ გზას გააყოლებდა თვალთა ისარს.

რა მოხდა, დრო გაიყინა, თუ მანძილი გაგრძელდა ასე უსაზომოდ!

აგერ ჯერ კიდევ ძველი ციხის ნანგრევს არ გაშორებია. როგორი სისწრაფეც არ უნდა განავითაროს, ოცი წუთი მაინც დააგვიანდება...

იქნება ჭაბურღილიდან შეიძლება ამოყვანა... ვაი, თუ მანუჩარმა სიმარცლე დაუმალა და საშინელი კატასტროფა მოხდა...

ამ დროს თავისი ოსტატი, — გიორგი, მოაგონდა, შეძრწუნდა.

*

* *

აბესალომის იმედი ჰქონდა გიორგის. თავისი ერთადერთი ქალიშვილის შორს მარტოდ გაშვება უჭირდა. მართალია, ინჟინერია, მაგრამ მაინც ქალიაო, — ფიქრობდა ის, — ახალ მშენებლობაზე მუშაობა გაუძნელდებაო, ბინებიც არ აქვთო ხეირიანი. ვაი თუ, ბავშვს რომ წაიყვანს, ვერ მოუაროსო.

ნანუს კი ბავშვისა და მამის დატოვება უჭირდა, თორემ ისე საოცრად ეჩქარებოდა მშენებლობაზე მუშაობის დაწყება.

სწორედ იმ ხანებში დანიშნეს დაწინაურებული აბესალომი ახალი მშენებლობის ერთერთ ხელმძღვანელად და გიორგიმ მყისვე გადასწყვიტა, რომ ნანუ იქ მოეწყო.

ვინ იცის, იქნება ნანუსაც ეს უნდოდა, აბესალომის სიახლოვეს ყოფნა ერჩია, მაგრამ ეს არაფრით არ გამოუმჟღავნებია. გიორგი კი მეტისმეტად გახარებული იყო.

— აბა თქვენ იცით, რა მარჯვედ იქნებით,—უთხრა გიორგიმ აბესალომსა და ნანუს, როდესაც იგი მშენებლობაზე მიაცილა და უკან ბრუნდებოდა — ნეტავი, მეც თქვენთან ვრჩებოდე! — ინატრა ბოლოს და სიყვარულით შეავლო თვალი ორივეს. — თუმცა არა, არა!—შეშფოთებულივით წამოიძახა,— ჩემი ბიჭიკო იქ არა მყავს!..

ეს რომ თქვა, დამამშვიდებლად მიაპყრო თვალები ნანუს და მტკიცედ უთხრა

— შენ ნუ გეშინია, შვილო, ჩვენ, მე და ქეთევანი, ბავშვს არაფერს გავუჭირვებთ. ქეთევანი ისეთი ქალია, რომ მის ხელში ჩემი ბიჭიკოსთანა ცქრიალა ბავშვი კი არა, უდღეური რომ იყოს, ისიც კი გაიზრდება.

მერე აბესალომს მიმართა:

— ჰო, მართლა! შენ გაბარებ, ბიჭო, ამ გოგოს! ხომ იცი, როგორ წაუხდა ამ ბოლოს ხასიათი, რაიმე საქმეს რომ ხელს მოკიდებს, თავისი თავი ავიწყდება. არც ასე ვარგა. კაცმა თავის მოვლაც უნდა იცოდეს...

„ეჰ, რა დიდი რამ ყოფილა შვილი! — გაივლო ამ დროს აბესალომმა გულში. — ვინ ამბობს ამას, — გიორგი ალურიძე, რომელსაც ხშირად მთელი დღე მუშაობაში ისე დაუღამებია, რომ პურის ჭამაც არ მოგონებია“.

— კარგი, მამა, მე ახლა პატარა არა ვარ, თვითონ მივხედავ ჩემს თავს, არავის დახმარება არ მჭირდება, — უთხრა ნანუმ და მკლავში ხელი გამოსდო, ავტობუსისაკენ გაიყოლია.

ძალიან ეწყინა აბესალომს ეს, სახე მოეღრუბლა, თავი ჩაღუნა. საოცარი მარტოობა იგრძნო, თითქო ყველანი წავიდნენ, ვინც მას უყვარდა და ობლად დარჩა.

ათიოდე ნაბიჯი გაიარეს და გიორგიმ უკან მიიხედა, შეჩერებულ აბესალომს გაკვირვებით შეაცქერდა; მერე თავის ასულს შეავლო თვალი.

ნანუ მყისვე მიხვდა, რაც ეწყინებოდა აბესალომს, მამას პირი აარიდა და ფარული სიხარულის ანარეკლმა სახე დაუმშვენა. შემდეგ მიახლოებულ აბესალომს სიცილით უთხრა:

— აი, ხომ ხედავ, რა ზღვარია მამაჩემის სიტყვასა და საქმეს შორის! სულ იმას მიქადაგებდა — სწავლა და შრომაო, სწავლა და შრომაო. ახლა, როგორც იქნა, მისი ნატვრა ასრულდა, აგერ უკვე საქმეს მოვკიდე ხელი, მას კი ისე ენანება ჩემი აქ დატოვება, თითქო უსუსური ბავშვი ვიყო! რომ შეეძლოს, აქაც იმუშავებს ჩემს მაგიერ.

საოცრად უხდებოდა ნანუს, როდესაც მის სახეზე წაიშლებოდა გულში ჯერ კიდევ ჩარჩენილი კაეშნის კვალი; უმანკო სინორჩის ელფერით გაბრწყინდებოდა ამ დროს ეს ოცდახუთი წლის ქალი, აენთებოდა, ბავშვივით ცელქობდა, მოალერსე ჰანგივით წკრიალებდა მისი სიცილი.

აი, ახლაც, აბესალომს, რომ ღიმი მოჰგვარა, თვითონაც გადიკაშკაშა და მამას მოეხვია.

— კარგი რა, მამა, გამოტყდი, რომ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უდევს დიდი ზღვარი!“

გიორგის სიხარულის შუქი აუკიაფდა თვალებში, მაგრამ შუბლი მაინც შეჭმუხნა და ნანუს შეუტია:

— ერთი ამას უყურე! რა ზღვარი ნახე, გოგო, შენ ჩემს სიტყვასა და საქმეში? ეჰ, შენ ჩემო თავო, მთელი სიცოცხლე შრომაში გამიტარებია და ეს კი...

— არა, არა! სიტყვას ბანზე ნუ აგდებ! — შეაწყვეტინა ნანუმ, — ვითომ არ ვიცი: შენ სულ ხვალინდელ დღეზე ფიქრობ, მომავალზე, სიყმაწვილიდანვე ამისთვის იბრძოდი, ახლაც ამისთვის შრომობ. ჩემთვის კი, რადგან მე იმ მომავალში გსურს დამინახო, უფრო შეღავათიანი შრომა, უფრო კეთილმოწყობილი ცხოვრება გენატრება... აგერ, ახლაც, აქ რომ მტოვებ, არ ამხელ, თვარა გული გიკვნესის.

— აბა, ეს რა შუაშია! — წამოიძახა გიორგიმ და თავისი გრძელი მკლავები გაშალა. — შენ ასე შორს გტოვებ, ამან რომ ცოტათი დამაღონოს, ეს რა გასაკვირველია. მერე კიდევ ქალი ხარ, გაგიჭირდება სანამ შეეჩვეოდე... თუმცა არა, აბესალომი აგერ არ მყავს! — ღიმილით ჩაურთო და განაგრძო: — მე რომ შრომაზე გელაპარაკებოდი, მთელი ჩემი სიცოცხლის დედააზრი სწორედ მაგაშია. რა არ განვიცადე, სად არ ვყოფილვარ, რამდენი მიფიქრია ციხეებში. თქვენ ახლა ამას ვერ მიხვდებით, ვერც გაგაგებინებთ: თავისუფლება, ეს სიტყვა კი არ იყო, ეს იყო მზე, უფრო დიდი, უფრო ბრწყინვალე, ვიდრე ის, რომელიც ყოველდღე ამოდის. ჩვენ მუდამ მზად ვიყავით, რომ მისთვ ს თავი გაგვეწირა,

ყოველგვარი წამება აგვეტანა. რა მძიმე პირობებშიაც არ უნდა ვყოფილიყავი გული არ გამიტყდებოდა, სავსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ ის მზე ამოვიდოდა... ჰო-და, ამ ბრძოლაში ყველაზე მეტად იცით, ვინ შემძულდა? უქნარა, მუქთახორა, ხორცმეტი ადამიანი! ესენი კი საკმაოდ იყვნენ. ესენი არიან ჩვენი მოსისხლე მტრები! დაუნდობლად უნდა ამოიგუგოს მაგათი ნაძთები! მაგათგან გვჭირს, რაც გვჭირს....

გიორგის ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, არც კრებებზე იცოდა ხოლმე გრძელი სიტყვით გამოსვლა, მაგრამ ხანდახან შეზარხოშებულივით აეგზნებოდა და თავის გულის ნადებს მჭევრმეტყველად გამოთქვამდა. ხოლო ახლა თუ უცებ შეჩერდა, ეს იმიტომ. რომ ნანუს მოწყენა შეამჩნია; წამსვე მიხვდა, თუ რამ გამოიწვია ეს და ირგვლივ მიმოიხედა, ყურადღების სხვა საგანზე გადატანისათვის იკითხა:

— რა, ავტობუსი ხომ არ მოსულა?

— არა, გიორგი, განაგრძე. მიყვარს, შენ რომ ასე გატაცებით დაიწყებ ხოლმე ლაპარაკს.—წრფელი ხმით უთხრა აბესალომმა.

— ჰო, იმას ვამბობდი, — კვლავ წამოიწყო გიორგიმ — შრომა... მე ასე მგონია, შრომა—სიყვარულია, ნამდვილი, უანგარო სიყვარული. ეს სიყვარული არაფრით არ ჩამოუვარდება ქალვაჟის სიყვარულს, დედის სიყვარულს. ნუ გაგიკვირდებათ... ნურც მონის შრომას წარმოიდგენთ. მე ვლაპარაკობ კომუნიზმის მშენებელი ადამიანის შრომაზე. ვისაც თავისი სამშობლო უყვარს, ვისაც თავისი ხალხი უყვარს, ვისაც კაცობრიობის მომავალი უყვარს, ის შრომაში აქსოვს მთელ თავის არსებას, თავის გულს, მისწრაფებას, სიყვარულს... აი, ამას ვლაპარაკობ მე და არავითარი ზღვარი არაა ჩემს სიტყვასა და საქმეს შორის... არ მახსოვს, სადღაც წამიკითხავს—ვინც კაცობრიობისადმი სიყვარულზე ლაპარაკობს, მას თავისი თავი უყვარსო. თუნდაც ასე იყოს! რაა მერე? განა საძრახისია ამ წუთისოფლის შვილისათვის, რომ თავის თავს კაცობრიობაში, მომავალში ხედავდეს?.. ასეა ეს... ახლა რას იტყვი, ხომ გაგამტყუნე?

— სრულიადაც არა! — მოგონილი ჯიუტობით მიუგო ნანუმ და მამას კვლავ მოეხვია, სიყვარულით შეაცქერდა თვალებში უსიტყვოდ აგრძნობინა, რომ მასთან სადავო არაფერი არა ჰქონდა...

წასვლის დრო მოახლოვდა. გიორგი უკვე ავტობუსში იჯდა.

მანქანა რომ დაიძრა, ნანუმ ვერ მოითმინა, მამას მიაშურა და ერთხელ, კიდევ გაუმეორა:

— აბა თქვენ იცით, მამიკო, შენ და ქეთევანმა; ბავშვს არაფერი გაუჭირდეს!...

მერე თვალმოუწყვეტლად უმზირეს ერთმანეთს. ნანუს ტუჩები შეუთრთოლდა, მაგრამ მხნედ იღიმებოდა, თუმცა ნათლად ემჩნეოდა, რომ იგი სევდის ღიმილი იყო.

მოსახვევში კბოდეს მოეფარა ავტობუსი და ნანუმ წამსვე მოიწყინა, თვალები თითქო ჩაუღრმავდა გრძელი წამწამების ჩრდილში.

ხოლო შემდეგ აბესალომი და ნანუ უსიტყვოდ გაემართნენ მშენებელთა ბინებისაკენ.

პატარა სოფლის განაპირას, ფართო ვაკეზე იყო ჩამწკრივებული ეს გრძელი, ორსართულიანი სახლები. ირგვლივ მინდვრებსა და მთების ფერდოებზე ერთი მცენარეც არსად მოჩანდა. მშენებლობის დაწყებამდე შორიდან ეს სოფელი უდაბნოში დაბანაკებულ ქარავანსა ჰგავდა. ოდესღაც ამ სოფლისა და სხვა ნასოფლარების ახლომახლო დიდი ტყეები ყოფილა, აქ ირმებზე და შვლებზე ნადირობდნენ. ახლა კი მხოლოდ ერთი მუხა დარჩენილა სოფლის თავში, ძველისძველი, მრავალ ქარტეხილებთან ნაომარი მუხა.

აბესალომმა რამდენჯერმე შეხედა ნანუს, უნდოდა რაიმე ეთქვა, მაგრამ ქალის სახეზე აღბეჭდილმა გულჩათხრობილმა მწუხარებამ შეაკრთო. სწორედ აი, ამგვარი გამომეტყველება უკლავდა გულს აბესალომს; ალღოთი ეჩქნობდა, თუ რა იყო მიზეზი ამ კაეშნიანი გულჩათხრობილობისა. ნანუს აშკარად ემჩნევოდა, რომ ასეთ წუთებში ის თავისთავს სჯიდა, სიყრმის ოცნებას გლოვობდა, ისე საშინლად განადგურებულ ოცნებას. ჯერ კიდევ ვერ ეპატიებინა თავისთვის, რაც იმ ორ თვეში გამოიარა.

გარდა ამისა, შესაძლოა, ნანუს აბესალომთან მარტოოდენ სიყრმის მეგობრობა და კარგი ნაცნობობა აერთებს, მეტი არაფერი. იქნება გული ატყუებს აბესალომს და ამაოდ ჰგონია, რომ ნანუს თვალებში არაერთხელ ამოიკითხა მისდამი თანაგრძნობა.

საოცრად შეშფოთდებოდა ჭაბუკი, როდესაც ამ ეჭვის შხამი ფიქრში ჩაეწვეთებოდა, თავისი თავი შეეზარებოდა.

აგერ ახლაც ამგვარმა მწვავე აზრმა გაჰკრა ბრჭყალი და მოიღუშა, განზე მიიხედა. რად კარგავს დროს? ათასი გადაუდებელი საქმე აქვს. არა სჯობს, აქვე გამოემშვიდობოს და თავის საალმშენებლო უბანს მიაშუროს? ის-ღა აკლია ახლა, რომ ყველაფერი დაივიწყოს...

ბოლოს მაინც ვერ აიტანა აბესალომმა დუმილი, ნანუს შეავლო თვალი და წამსვე უზომოდ შეებრალა.

ოდნავ შეახო მკლავზე ხელი და გულმტკივნეულად შეეკითხა:

— ასე რატომ მოიწყინე, ნანუ?

აბესალომს არ მიუხედა, ისე თავისთვის ჩაილაპარაკა ნანუმ:

— მიდის ახლა საბრალო მამაჩემი და სულ ჩემზე ფიქრობს... შენ კიდევ არ იცნობ, აბესალომ, მამას. ისეთი საწყალი გული აქვს...

— ნუ გეშინია, მივა ქარხანაში, მოკიდებს საქმეს ხელს და მაშინვე გამოცოცხლდება.

— როგორ ფიქრობ, [illegible] მარტო საქმე ეყოფა, სხვა საფიქრელი არაფერი აქვს?

— ეგ ხომ აგრეა, მაგრამ მე მეგონა, რომ შენ სულ სხვა რამის გამოც მოიწყინე.

— სხვა?.. ჰო, იქნება ეგეც იყოს... ნუთუ არასოდეს არ გიფიქრია: ადამიანს რომ სიყრმის მთელი ოცნება დაემსხვრეს, განა ღირს კიდევ კოშკის შენება?

— ხდება ხოლმე: სიმახინჯე ნაოცნებარის იერით იმოსება. სიმახინჯე იმსხვრევა, ოცნება რჩება.

— ნეტავი მაგრე იყოს! ვინ იცის, იქნება მართლა გადახალისდეს ვული!

— ოღონდ სურვილი იყოს და...

მუხის ჩრდილში შედგნენ.

მაისის ციწურული იყო. წელმოვაგრებული ჯეჯილი მზეზე ლივლივებდა.

ფართოდ ტოტებგაშლილი მუხის მთრთოლვარე ფოთლები თითქო ერთმანეთს რაღაცას უჩურჩულებდნენ.

იქვე ახლოს ფეხშიშველა ბავშვები თამაშობდნენ, კბოდის პირს თხრიდნენ და პაწია გომურებს აკეთებდნენ.

აბესალომი თავისთავად, მოუფიქრებლად მიწვდა ნანუს ხელს; ისე მიენდო ეს პაწია ხელი, მოქნილი, თეთრი თითები, რომ აბესალომს მთელ სხეულში დაუვიწყარმა სითბომ დაუარა.

ნანუმ მოკრძალებით დახარა სხივჩამდგარი თვალები და უხერხულობის თავიდან ასაცილებლად აბესალომს შეეკითხა:

— როგორი ადამიანია ის ქალი, რომელთანაც მე ბინა მომცეს?

— დარინე მინდაძე? რა უშავს, ჩვენები ქალბიჭას ეძახიან. — უპასუხა აბესალომმა და ბინებისაკენ ხელიხელჩაკიდებულად გზა განაგრძეს.

სტანდარტული სახლების წინ კომკავშირელებმა პატარა ბაღი გააშენეს; გზისპირად კვიპაროსები და ფიჭვები ჩარგეს. რაღაც ობლად, უმწეოდ გამოიყურებოდნენ ამ ტიალ შემოგარენის ფონზე ეს ჯერ კიდევ ფესვმოუმაგრებელი მცენარეები.

ამ ბაღთან რომ ჩაიარეს, ნანუ უცებ ელდანაკრავივით შედგა.

თვალი ხომ არ ატყუებს?

არა, ეს ისაა, ნატოა, ღრეიძის ქალი! აგერ მათკენ მოდის.

— ამას აქ რა უნდა?! — ჩავარდნილი ხმით შეეკითხა აბესალომს.

— ეს ხომ ინჟინერ ლევან ცისკარიძის მეუღლეა. ამას წინათ ჩამოიყვანა ქმარმა. რა იყო, რამ შეგაკრთო?

— არაფერმა... პირდაპირ ჩვენსკენ მოდის. — გონებაგაფანტულად ჩაილაპარაკა ნანუმ და უკან გაბრუნება გააპირა. მაგრამ უკვე გვიან იყო.

ნატო შორიდან უთვალთვალებდა მათ. ჩამოსვლისთანავე დაინახა ნანუ და გადაწყვიტა ისე შეხვედროდა, როგორც ძველ მეგობარს.

მუხას რომ გამოსცილდნენ, ნატო ფანჯარას მოშორდა და ძირს ჩაირბინა. ქალ-ვაჟის ნელ სიარულს დააკვირდა, მათი ინტიმური საუბარი იგონა... მიახლოებისთანავე სახეზე სიხარული აღიბეჭდა და ნანუს მიაშურა:

— ღმერთო ჩემო! ამას ვის ვხედავ! ნანუ, ქალო, ნუთუ ეს შენა ხარ?

ციჭრა, მოეხვია, ლოყაზე აკოცა. მერე აბესალომს მიუბრუნდა:

— თქვენ უნდა გადაგიხადოთ მადლობა, რომ ეს ჩემი კარგი მეგობარი აქ ჩამოიყვანეთ. საშინელი მოწყენილობაა. კაცი არაა, რომ დაელაპარაკო, ახლა... არა, აქ დარჩები ხომ, ნანუ? ოჰ, რა დიდებულია!...

ამას რომ ამბობდა, აბესალომს მოხდენილად ეკეკლუცებოდა; თან ისე შეაპარებდა თავის ლაჟვარდისფერ თვალებს, რომ ნანუმ ყოისვე ის გამომეტყველება იცნო, რომლითაც ეს ქალი რევაზ კორდელს გაუტიმებდა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც იყო, დასძლია ნანუმ უხერხულობა, მაგრამ ხმა მაინც არ დაუძრავს...

ამის შემდეგ მთელმა წელიწადმა განვლო. მშენებლობა მეტისმეტად გართულდა.

აბესალომი და ნანუ მუდამ გადაუდებელი საქმით იყვნენ დატვირთული.

ხოლო უსაქმო ნატო ხშირად რჩებოდა მარტოდ თავის ოთახში. ბავშვი მას არ ჰყავდა მოსავლელი, არც რაიმე საქმეს აკეთებდა, წიგნების კითხვაც არ უყვარდა. მშენებელთა სახლებში მოცლილი არავინ იყო, რომ ნატოსთან ხანგრძლივად დრო ეტარებინა. ხანდახან ისეთ გუნებაზე დადგებოდა, მზად იყო, შეეკრა თავისი ბარგი და თბილისში გაქცეულიყო, მაგრამ როცა მოაგონდებოდა, რომ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის იქ არავითარი სახსარი არ გააჩნდა, არც რევაზ კორდელი ჰყავდა, რომ ყოველი მისი სურვილი დაეკმაყოფილებინა, — ძალაუნებურად ბედს ემორჩილებოდა.

მიმხვდარი იყო: ლევანს განსაკუთრებით იმიტომ ესიამოვნა ამ მშენებლობაზე გადმოსვლა, რომ ნატო მეგობრებისაგან მოეშორებინა. ამას ნატო დიდ სასჯელად სთვლიდა. ლევანს ზუდამ აყვედრიდა, ემუქრებოდა, მაგრამ ვერ გასტეხა, ვერ დაიყოლია. უკვირდა — ეს კაცი ამ ბოლოს ასე რამ შესცვალაო. წინათ სულ ადვილად დაითანხმებდა, ახლა კი ნატო თითქო ფრინველივით ჰყავს გალიაში დამწყვდეული და როცა მოესურვება, მოწყალების თვალით დაჰხედავს. როდემდის უნდა აიტანოს ნატომ ეს დამცირება, ეს უმწეობა?..

ბოლოს, როდესაც ჯერ ალღოთი და შემდეგ ხანგრძლივი დაკვირვებით გაიგო აბესალომისა და ნანუს ურთიერთობა, ნატოს საქმე გაუჩნდა. დარწმუნებული იყო, რომ რევაზის დაკარგვა-

ში ნანუსა და გიორგის შეუძლოდათ წილი. ამიტომ თავიდანვე გულში ამოიჭრა, ნანუზე შური ეძია. და მოუთმენლად ეძებდა შემთხვევას, რომ რაიმე საშუალებით ჩამოეშორებინა ნანუ აბესალომისაგან. პირველ ხანებში ეგონა, ამ მიზანს ადვილად მივაღწევო, „ვნახავ, აქედან რომ მიძუნძულობდესო“, გულის მოსაოხებლად იტყოდა ხოლმე გუნებაში, მაგრამ დრო გადიოდა და ვერავითარი ქსელი ვერ დახლართა. გულზე სკდებოდა, რა ექნა არ იცოდა.

სწორედ ამ დროს გაემგზავრა აბესალომი მოსკოვს და ნატომ გადასწყვიტა — ან ახლა, ან არასოდესო. აჩქარდა, ბევრი იფიქრა, ათასი რამ წარმოიდგინა, მაგრამ მხოლოდ ერთი ბეტად სახიფათო ხერხი მოიგონა.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც აბესალომმა თბილისიდან დედა ჩამოიყვანა, ნატომ გაიფიქრა: ეს გულკეთილი მოხუცი ქალი აუცილებლად გამომადგებაო, ამიტომ ხშირად ეხმატკბილებოდა ქეთევანს, ყოველნაირად ცდილობდა, მისთვის თავი მოეწონებინა. ხოლო უკანასკნელ კვირაში ქეთევანთან სიარულს მეტისმეტად მოუხშირა.

იმ დღეს კი აბესალომის სამუშაო მაგიდაზე დაწყობილი წიგნები მრავალჯერ შეათვალიერა, მოხერხებულად გააბა ქეთევანთან საუბარი და სულ ადვილად გამოიანგარიშა, თუ რა დროს მოვიდოდა ნანუ ბავშვის წასაყვანად. მერე დასწერა წერილი, რომელშიაც სავსებით ცხადი იყო აბესალომისა და ნატოს ინტიმური კავშირი. ეს ბარათი ნანუს მისვლის წინ ისე მოხერხებულად დადო აბესალომის მაგიდაზე, თითქო იგი ქეთევანს დალაგების დროს წიგნიდან გამოვარდნოდეს. შემდეგ გოგი ხელში აიტაცა, მიეფერა; ქეთევანიც გარეთ გამოიყოლია და ერთხანს ისე ესაუბრა, თითქო მთელი თავისი გულისნადები უნდა გაანდოსო. ამ დროს შორს, ლანდად მოჰკრა თვალი თავისი სამუშაო უბნიდან მომავალ ნანუს და სწრაფად [illegible] ქეთევანს. სახლს [illegible] დან შემოუარა, ქურდულად მიდიოდა — ნანუმ არ დამინახოსო.

„გასჭრის ვითომ?.. უთუოდ გასჭრის, — ფიქრობდა ნატო. — დაავლებს ხელს ბავშვს და გაიქცევა მამასთან. ვიცი მე მაგის აზბავი. მაგას გონია — აბესალომი ციდან ჩამოფრენილი ანგელოზია... სხვა ქალთან რომ აღმოჩენოდა ასეთი რამე, კიდევ აიტანდა, მაგრამ მე? გველივით ვეზიზღები, განა არ ვხედავ... არაფერია, ახლა ვნახავ, ეს ზიზღი თუ შხამად არ იქცევა და მზეს არ დაუბნელებს... რა, ვითომ წერილს აბესალომს უჩვენებს? შეუძლებელია! რა აქვს საეჭვო?.. მთავარია: წაიღებს, თუ იქ დასტოვებს? შეიძლება ქეთევანს უთხრას — წიგნებიდან გადმოგვარდნიაო: მერე რა? ქეთევანმა კითხვა არ იცის, აიღებს და წიგნებში შედებს... როგორც კი წამოიყვანს ბავშვს, იმწამსვე მივალ, ყველაფერს გავიგებ...“

გოგი ნანუს კართან მიეგება, ძირსდახრილ დედას ყელზე მოეხვია. კარგა ხანს იალერსეს. ქეთევანმა დრო იშოვა და სამზარეულოში თეთრეულის რეცხვას შეუდგა.

მხოლოდ წამოსვლის დროს მიიქცია ნანუს ყურადღება აბესალომის მაგიდაზე დადებულმა წერილმა. ვისი უნდა იყოს? იქნება აბესალომმა მოიწერა მოსკოვიდან? ქეთევანმა რატომ არ თქვა? ერთმა გულმა უთხრა — ბარათისათვის ხელი არ ეხლო, მაგრამ უმალვე ისე მიიზადა, თითქო უცნაური რამ უნდა ამოხსნასო.

გადაავლო თვალი. გაშეშდა. პირი გაუშრა. ნერწყვი ძლივს გადაყლაპა. გიჟივით გარეთ გაიჭრა. ჰაერზე სული მოითქვა და კვლავ წაიკითხა. კოცონზე რომ ყოფილიყო დაკრული და ცეცხლი შეშონთებოდა, ამაზე მწვავედ არ დაიდაგებოდა მთელი მისი არსება.

დიდხანს იყო გარინდული. მერე თვალებზე ცრემლები მოადგა და უმწეოდ ამოიგმინა:

„ეჰ, მამიკო, მამა! სადაა თურმე ადამიანი!“...

III

მანქანა სოფელში შეიჭრა. რიყის ქვით ნაშენ სახლებს შუა მიმავალ გზაზე ნისლისფერი მტვერი დადგა.

აქა-იქ ყორეზე ძაღლები გადმოხტნენ და ყეფა ასტეხეს.

უნებლიედ გაჰხედა აბესალომმა მუხას. წამსვე ნანუს ხელის სითბო შეიგრძნო; ისეთმა მძაფრმა ცეცხლმა დაუარა სხეულში, თითქო იგი ბებერი ხეკი არ იყო, სოფლის ყოველდღიური ჭირვარამისაგან განზე გამდგარი ხე, არამედ ცოცხალი არსება იყო, ნანუს სუნთქვის მოზიარე, მისი თვალების სხივით გაშუქებული.

რამდენჯერ შეჩერებულან აქ, რამდენჯერ ამოუკითხავთ ერთმანეთის სახეზე ენით გამოუთქმელი გრძნობა, ამოუკითხავთ და გზა განუგრძიათ...

ახლა კი, ვინ იცის, როგორ არის... იქნება გვირაბში ჰაერი უკვე დაიხშო და სული ეხუთება...

გვირაბის სათავემდე სამი კილომეტრი-ღა დარჩა.

ეჰ, გასძელი, გულო! ეს მცირე აღმართი და...

აგერ რამდენი ხალხია თავმოყრილი! ეს რაა, დასახმარებლად არიან მოსული, თუ სეირს უყურებენ?!

მანქანას მოჰკრეს თვალი და შემოაშტერდნენ. მხოლოდ ოდნავ მაშინ დაიხიეს უკან, როდესაც გაქანებული ავტომობილი ზედ მიადგათ.

ინჟინერმა ლევან ციხკარიძემ შორიდანვე იცნო აბესალომის მანქანა და ჯარის გაღებისთანავე შეეხეჩა.

— როგორაა, ლევან, საქმე? — ძლივს გასაგონი ხმით შეეკითხა სულშეკმეული აბესალომი.

— არა უშავს რა. — დინჯად უპასუხა ლევანმა.

— გვირაბი?.. ცოცხლებია?

— აჰ, უკვე გაიგეთ?! ბევრი არაფერი მომხდარა, შესასვლელის სიახლოვეს ჩამოწვა ერთი პატარა ქანი, მაგრამ მალე გამოვწმინდეთ. არავინ არ დაშავებულა. აგერ ახლა გამოვიდნენ.

აბესალომს ფერი მოუვიდა, თვალები გაუსხივოსნდა, ქუდი მოიხადა და ყველას მიესალმა; ყელსმოწოლილი აღტაცება ვერ შეიკავა და ხმამაღლა შესძახა:

— გამარჯობათ, ამხანაგებო!

აბესალომს ნანუს ნახვა ეჩქარებოდა, ცდილობდა თავი გაეთავისუფლებინა, მაგრამ გარს შემოხვეული მშენებლები ვერ გაერღვია, თვით ნანუკი რატომღაც არსად ჩანდა. „იქნება აქ არ არის, უკვე წავიდა“. — ფიქრობდა ის და ამხანაგებს უღიმოდა, მადლობას უხდიდა, მაგრად ართმევდა თავის მძლავრ ხელს.

„არა, ასე მალე ის ვერ წავიდოდა, სადღაც აქ არის... რატომ არა სჩანს?“ — შეეკითხა თავისთავს და წამოჭარხლებული სახე კიდევ უფრო წამოეგზნო, შუბლი ოფლით დაენამა.

აგერ ნატომ მიაშურა, აღტაცებით მიულოცა; ლოყა მკერდზე მიაყრდნო და მოხიბლულივით შეაშტერდა; ტუჩები შეუთრთოლდა, ფეხის თითებზე შესდგა, ხელი მოხვია აბესალომს და შუბლზე აკოცა. მერე, თითქო ეჩურჩულებაო, დაბალი, მღელვარე ხმით უთხრა:

— მაპატიეთ, აბესალომ, გენაცვალე! თქვენ იმდენი ბედნიერება მოგვიტანეთ, რომ მე სხვანაირად მისი გამოთქმა ვერ შევძელი...

აბესალომს ნატოს განსაკუთრებული მილაციცება არ შეუმჩნევია, არც მისი სიტყვებისათვის მიუქცევია ყურადღება; მოვალეობას იხდიდა და ყველას თავაზიანად ეგებებოდა; თა-

ნაც ირგვლივ იხედებოდა ხოლმე — ეგების სადმე ნანუ დავინახოო.

ბოლოს გვირაბის სათავესთან თვალი მოჰკრა განმარტოებულ ნანუს, რაღაცაზე ღრმად ჩაფიქრებულს, მეტისმეტად მოწყენილს.

დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები ლაფში გასვროდა, წინდებზედაც ტალახის შხეფები აჩნდა. თალხი სატინის კაბა ეცვა, უბრალოდ შეკერილი, მაგრამ მისი მოხდენილი აღნაგობა ამით არაფერს ჰკარგავდა, სისადავის ელფერი შვენოდა. თავზე მტრედისფერი ბერეტი ეხურა, ხელთ კი თავისი განუყრელი პორთფელი ეჭირა, საგეგმო ნახაზებითა და საალმშენებლო საქმეებით სავსე.

სულ რამდენიმე წუთით შეიარა ამ დილას გვირაბში, ზურაბ მანგაიძე უნდა ენახა, რაღაც საკითხი უნდა გაერკვია. მისი სამუშაო უმთავრესად სამმართველოში იყო, საგეგმო ნაწილში, მაგრამ როგორც კი დროს იშოვნიდა, უმალვე მშენებლობის ამათუიმ უბანს მიაშურებდა, ადგილობრივ აკვირდებოდა, ამოწმებდა საქმის მიმდინარეობას.

ხშირად აბესალომი და ნანუ ერთად შემოივლიდნენ ხოლმე რამდენიმე კილომეტრით ერთიმეორისაგან დაშორებულ უბნებს, თათბირობდნენ, სწავლობდნენ, ახალახალ გამოცდილებას იძენდნენ.

აბესალომი ერთობ ფხიანი კაცი იყო, პრაქტიკოსის ნიჭით დაჯილდოებული, სულ ადვილად სწვდებოდა საქმის დედაარსს. თანაც კარგი ორგანიზატორი იყო, მშვენიერად იცოდა ძალების შერჩევა და განაწილება.

ნანუს თუმცა მასზე მეტი თეორიული ცოდნა ჰქონდა მიღებული, მაგრამ ნათლად ხედავდა, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ მისგან უნდა ესწავლა. ამასთანავე აბესალომის სიახლოვეს ყოფნა, მასთან საუბარი აღფრთოვანებდა; ისეთ სიხარულს განიცდიდა, რომ მზად იყო დაუსრულებლად ევლო მასთან ერთად, გამუდმებით ემუშავნა, რამდენჯერ უფიქრია — ნამდვილად — და უკანგარო სიყვარული მხოლოდ თანაზიარი საქმით, თანაზიარი მისწრაფებით გატაცებულ ადამიანებს შეუძლიათო.

განცვიფრდა აბესალომი, ნანუ რომ ასე განთვისებული, ასე მოწყენილი დაინახა. ერთ წამს იდგა, უნდოდა რაღაც გაეაზრებინა, მაგრამ ვერ მოითმინა, მოწყდა ადგილს და ნანუს მიაშურა.

ნანუმ განზე მიიხედა, თითქო წასვლას აპირებსო. აბესალომის გაწვდილ ხელს ალმაცერად დახედა და უნებურად ჩაუდო ხელში ხელი. თან თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მომილოცავს...

აჩქარებით გაითავისუფლა ხელი და წამსვე გაშორდა, ხალხს შეაფარა თავი.

სახტად დარჩა აბესალომი. ღრმად ჩაფიქრებულივით გააყოლა ნანუს თვალები.

„ნანუ!“—უნდოდა დაეძახა ზარდაცემულ აბესალომს და ხმა ჩაუწყდა. „რა მოუვიდა? გვირაბში ხომ არ შეშინდა?“—გაუელვა; გადადგა ნაბიჯი, რომ ადევნებოდა, მაგრამ გონს მოეგო; უხერხულად გაიღიმა, თითქო ნანუს საქციელი ხუმრობად მიიჩნიაო. მერმე ამხანაგებს შეუერთდა და გვირაბის ჩამონგრევის მიზეზი იკითხა, საქმიან საუბარში გაერთო.

საქმე კი ერთობ ბევრი ჰქონდა აბესალომს. მეტად ძვირფასი მადნეულის დამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა უთუოდ დანიშნულ ვადაზე უნდა დამთავრებულიყო. მრავალი დაბრკოლება უნდა დაეძლიათ. განსაკუთრებით გართულებული იყო სხვადასხვა მანქანებისა და მოწყობილობათა გადმოზიდვის საქმე; არც ჰიდროელსადგური კეთდებოდა ისე იოლად, როგორც პირველად ეგონათ. ახლა კიდევ ეს გვირაბი...

— აბა ერთი ვნახოთ, სად ჩამოწვა

ის ფენა?—თქვა აბესალომმა და შესასვლელისაკენ გაემართა. ამ უბნის სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი და ბრიგადირი ზურაბ მანგაიძე გაჰყვნენ თან.

ფერდოზე რომ ჩადიოდა, ერთხელ კიდევ მიიხედა აბესალომმა იქით, სადაც ნანუ ეგულებოდა, მაგრამ მას თვალი ვერ მოჰკრა.

„საოცარია, რა მოუვიდა! ახლავე დავბრუნდები და გამოვარკვევ“,—ფიქრობდა აბესალომი გვირაბში შესვლისას.

ნესტისა და ახლადგათხრილი მიწის სუნი უფრო მძაფრად იგრძნო, ვიდრე ოდესმე. რელსების სიახლოვეს ვაგონეტიდან გადმოცვენილი ხრეშიანი მიწა ეყარა. აქა-იქ ჭანჭრობი იდგა. ელექტრონის ხაზი აღედგინათ და სიღრმეში ნათურები ოდნავ ციმციმებდნენ.

— აი, აქ იყო,—უთხრა აბესალომს ზურაბმა და ერთ წამს შედგნენ.—არა, აქ ნუ გავჩერდებით, გამომყევით, ჯერ კიდევ კარგად გამაგრებული არაა, ვინ იცის, ეშმაკს არ ძინავს,—განაგრძო ზურაბმა.—დიდი კი არაფერი იყო, მარა მიწიდან გასავალს რომ ვერ დაინახავ, ეს ოხერი სიკვდილი მოგაგონდება. ისე კი, ეგერ ჭაბურღილია, იქიდან ჰაერი ჩამოდის, თან კიდევ ვენტილატორი მუშაობდა. არა, საშიში არაფერი იყო, ესაა დღეს გეგმის შესრულება კი შეგვიფერხდა ცოტათი.

— თქვენთან შემთხვევით ქალი ყოფილა, ის კი უთუოდ შეშინდებოდა,—წარმოსთქვა აბესალომმა.

— აა, ნანუ ალურიძე? ის იყო, შემოვიდა თუ არა, მაშინვე იგრიალა. აბა, ტყუილია, ახლა რომ ვთქვა, იმ წუთას არ შემშინებია-მეთქი. ათას უბედურებაში ვარ გამოვლილი, მარა ამ კურმუხეთის, ამ სიკვდილის შიში მაინც ვერ დავძლიე. ხომ იცი, ასეთ დროს რანაირი ჰაერი დადგება გვირაბში,—ასე გგონია, რაღაცა შემოგეხვევა სულთამხუთავივით, თითქო ტომარაში ჩაგსვეს და უფსკრულში გადაგისროლესო. ყველამ ჭაბურღილს მივაშურეთ. ამ დროს მომაგონდა ნანუ. შემრცხვა, იმდენ ხანს რომ ყურადღება ვერ მივაქციე, მიმოვიხედე მაღლიდან ჩამომავალ მკრთალ სინათლეში და აგერ არ დგას მშვიდად! თავისი პორთფელი ხელში უჭირავს და ცალი ხელი ცხვირსა და ტუჩზე მიუდვია; ალბათ, მტვერმა და გარუჯულმა ჰაერმა შეაწუხა. სხვა რომ ყოფილიყო, კივილით ქვეყანას დააქცევდა. მაგის მამას, გიორგი ალურიძეს ვიცნობ, და სწორედ მამას ვგავარო, მაგას ეთქმის...

„მაშ რა მოხდა?!“—უკვირდა აბესალომს. ინჟინერს საქმეზე ელაპარაკებოდა, ხოლო თვალწინ ნანუს დაღვრემილი სახე ედგა. წეღან მხოლოდ ერთხელ აჰხედა აბესალომს და... რა იყო, საყვედური იყო, თუ შიში მის გამოხედვაში? მგონი ტუჩები შეუთრთოლდა; ალბათ, რაღაცის თქმა უნდოდა... აი, ახლავე მონახავს და გაიგებს.

მაგრამ გვირაბიდან რომ ავიდნენ, ნანუ იქ არ დახვდა, ხალხიც დაშლილიყო. მხოლოდ დედა-მისს, ქეთევანს გაეგო შვილის მოსკოვიდან ჩამოსვლა და სულმოუთქმელად გამოქცეულიყო.

აგერ მოდის ის, მოიჩქარის, გრძელსა და სრულ კაბას მოაფართხუნებს; რგვალ სახეზე სიხარულის ნათელი გადაჰფენია, არცერთი ნაოჭი არ ემჩნევა, თვალები უბრწყინავს, მისი სქელი, თოვლივით თეთრი თმა პარიკსა ჰგავს.

ხელში ორწლინახევრის ბავშვი უჭირავს. ეს ტანბრგე ბიჭიკო საკმაოდ მძიმეა, მაგრამ ქეთევანს ის ახლა ისე უპყრია, თითქოს აბესალომს თაიგული უნდა მიართვასო. ბავშვს კარგად შეეძლო ფეხით გაჰყოლოდა, მაგრამ სად ჰქონდა ახლა დრო ქეთევანს ელოდნა, ვიდრე ის გვირაბამდე მიბაჩუნდებოდა.

ეს იყო პატარა გოგი, ნანუს პირმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შო, უმთავრესად ქეთევანის მიერ გაზრდილი.

— რა ვქნა, ასე უნდა დაივიწყო, შვილო, დედა?—ვითომ საყვედურით ამბობს, პირი კი უცინის, ფართოდ შლის მარჯვენა მკლავს და ძლივს აწვდენს განიერ მხარზე აბესალომს, თავდავიწყებით ეხვევა, ჰკოცნის. ბოლოს თავს გადასწევს, შვილის მკერდზე ორდენს დაინახავს, ერთ წამს თვალმოუწყვეტლად უმზერს, მერე ნაზად შეავლებს ხელს.

აბესალომმა გოგის ხელი დასტაცა, გულზე მიიკრა; დედისეულ ფართო თვალებში ჩააცქერდა და ზედიზედ აკოცა, თითქო ლამობსო ახლა შეისრულოს ის სიხარული, რაც ნანუსთან შეხვედრის დროს მოაკლდა.

მერე, ბურთივით რომ ზევით აისროლა, გოგიმ ხმამაღლა გადიხითხითა, აბესალომის მკლავზე წელგამართულად ჩამოჯდა და ისეთი დაუფარავი, გულღია სიყვარულით მიაპყრო მცინარი თვალები, როგორც ბავშვებს სჩვევიათ ხოლმე. თან რატომღაც მარცხენა ხელი ყურში ჩაავლო აბესალომს, ხოლო მარჯვენა მაღლა აღმართა. ეს იმიტომ მოუვიდა, რომ აბესალომს დაჩვეული ჰყავდა, ხშირად ათამაშებდა ხოლმე ცხენობიას.

— უყურე, საჯირითოდ მოემზადა ვაჟკაცი! ჰო, მართლა, რას შვრება შენი ცხენი? ფეხი ხომ არ მოტყდა?

— ის ცენი ალაა.

— მაშ რაა?

— ლაშია.

— ჰოო, ბებომ გასწავლა? შეჯექი აბა ზედ და იქროლე.

გოგიმ აბესალომის მკერდზე მხოლოდ ახლა მოჰკრა თვალი ბრჭყვიალა ორდენს; ეუცხოვა, მყისვე ხელით მოსინჯა.

ამ დროს მეორე უბნის სამუშაოთა მწარმოებელი მოვიდა და შორიახლო დადგა. აბესალომი მიხვდა, რომ ის კაცი მას ელოდა. აჩქარდა, ბავშვი ძირს დასვა, დედას მკლავი გამოსდო და განზე გაიყოლია.

— ნანუ ხომ არ შეგხვედრია დედი?

ქეთევანი შედგა და შვილს გულთამხილავივით შეაცქერდა.

— არა... რად მეკითხები, დედა გენაცვალოს?

— რა ვიცი... რაღაცა სხვანაირად მეჩვენა დღეს... მე რომ წავედი, მას შემდეგ ხომ არაფერი მოსვლია?

— არაფერი, შვილო... მხოლოდ ეს ორი დღეა რატომღაც სულ მოწყენილია, გულჩახვეული. ხო იცი, ჩემს გოგოებში არ გამომერჩევა. ახლა კი... წინა დღეს გამოვკითხე. არაფერიო, რა უნდა იყოსო. შუბლი კი არ გახსნა. რაღაც აქვს გულში ჩამარხული. მე კი არ მითხრა, შვილო, და... რა ვქნა, შენ ხო არაფერი გაგიგია? რაღაც შენც გაწუხებს, თვალებში გატყობ. მე რად მიმალავ, დედა გენაცვალოს?

— არა, ისეთი რა უნდა იყოს. წადი, დედი, ახლა შინ. მე აგერ კაცი მელოდება.

— დაიცა, შვილო, ერთი კარგად შეგხედო! წამო, ტანისამოსი მაინც გამოიცვალე... ჰო, კარგი, დაიცა ერთი რა უნდა გითხრა! მე რაღაცა გული მეთანაღრება: ი ქალი როა, ნატო, არ მომწონს მე ის დედაკაცი. ასე მგონია... ეჰ, მიდიხარ?.. წადი, შვილო, წადი!— გააყოლა ხმა მიმავალ აბესალომს და რატომღაც თვალები დაუნამა.

თვითონაც არ იცოდა, რამ გამოიწვია ეს ცრემლი. გული შეუთრთოლდა და დიდ სიხარულს რაღაც სიბრალულის მსგავსი რამ გრძნობა დაერთო, თითქო ჩვილი ყრმაო აბესალომი და დედას მისაალერსებლად დრო ვერ უშოვნია, თითქო აგერ ახლა გამოვიდა ქეთევანი სახლიდან და პატარა დის ამარა დარჩა აკვანში მწოლარე ბავშვი. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ქეთევანს ამ გრძნობამ ახლაც გაუელვა. სამ წვრილ შვილს ზრდიდა ადრე დაქვრივებული და შეუსვენებლად უნდა

ეშრომა. რამდენჯერ მიუტოვებია მტირალი ბიჭიკო, გულში კი მრავალგზის გაუმეორებია: „მოგიკვდეს, შვილო, დედაი“...

და ახლა ეს კურცხალი როდია, დედის თვალებში რომ ციმციმებს, უკვდავი სიყვარულის შუქია, შორიდან-შორით მფინარე.

აგერ გაჰყურებს ის მიმავალ ვაჟკაცს, მკვრივად ჩამოსხმულს, ძლიერს... საიდან სად ამოვიდა?! თვითონ საპატრონო იყო, ობოლი, ახლა ქვეყანას აშენებს!

დიდმა სიამაყემ აღიტაცა ქეთევანი, ფრთები შეასხა, ცხრა მთას გადაწვდა მისი ფიქრი და მომავალ თაობათა გზას ია და ვარდი მოჰფინა.

„გასწით, იარეთ, შვილებო!—იდუმლად ამბობდა გულში მრავალჭირნახული დედა.—ნურმც გამოგლევიათ საგზლად, ძუძუსთან ერთად რომ სიყვარული გაწოვეთ“.

ბოლოს, როდესაც აბესალომი თვალს მიეფარა, გოგის ჩაავლო ხელი და რატომღაც მაინც წართქვა შინისაკენ მიმავალმა:

— მოგიკვდეს, შვილო, დედაი...

* * *

ახალ მშენებლობაზე ყველაფერი დღითიდღე იცვლება, ფერს იცვლის, იზრდება.

დიდი ხანი არ გასულა, აბესალომი რომ წავიდა, მაგრამ აგერ რამდენი რამ დახვდა ახალი?

გვირაბი უთუოდ მალე დამთავრდება, საგენერატორო სადგურიც... ქარხნის კორპუსებზე ხარაჩოები ამ დღეებში მოიხსნება. აგერ ამ შენობის კედლები სანამდე ასულა!

სამუშაოთა მწარმოებლები, თავიანთი უბნების პატრიოტები, გატაცებით უყვებოდნენ აბესალომს, თუ როგორ გადალახეს დაბრკოლება და გეგმა გაღაჭარბებით შეასრულეს. მიუხედავად ამისა, აბესალომი ნათლად ხედავდა, რომ ყოველივე ეს ჯერ მხოლოდ ნაწილები იყო ერთი დიდი გიგანტისა, დაუმთავრებელი ნაწილები, ჯერ კიდევ უდიდესი შრომაა საჭირო, ვიდრე ყველა ესენი სრულ სახეს მიიღებენ, ურთიერთს გადაებმებიან და ამუშავდებიან, როგორც კარგად აწყობილი მანქანა.

აბესალომმა დედასთან მისვლა ვერ მოახერხა, ქარხნის მშენებელთა სასადილოში ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად ისადილა, შემდეგ საღამომდის უსასრულო ბაგირის გაყვანის საქმეზე დაბანდდა.

მადანი ფრიალო კლდეებშია. ქარხანა კი მთის ძირას, ტაფობში შენდება. მადანს უსასრულო ბაგირით ჩაიტანენ ქარხანაში გადასამუშავებლად.

ამ უბანს ინჟინერი ლევან ცისკარიძე ხელმძღვანელობდა.

აბესალომი ფერდოზე მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს მიჰყვებოდა, ლევანი უკან მისდევდა.

მაღალ კბოდესთან შეჩერდნენ და მდინარეს გადახედეს.

ვეება ლოდებს აწყდებოდა აქაფებული ტალღები და მაღლა ასროლილი შხეფები ალმასივით ცვივოდა.

— ძლიერ კი შეშინდებოდა დღეს გვირაბში ნანუ ალურიძე.—მოულოდნელად წამოიწყო რატომღაც ლევანმა.

აბესალომი შეკრთა. გაუკვირდა: ამ წუთს სულ სხვაზე ფიქრობდა და ნანუ კი არ ახსოვდა. ლევანს გადახედა. არ მოეწონა, ამ ტანმორჩილ კაცს რომ ჩაღრმავებულ შავ თვალებში ირონიული ღიმილის სხივი უკრთოდა.

— რატომ?.. ნანუ მშიშარა ადამიანი არაა,—უნებლიედ შეესიტყვა აბესალომი.

— მართალია, მაგრამ მაინც ქალია...

— თქვენ რა, საერთოდ ცუდი შეხედულებისა ხართ ქალებზე?

— ძნელია ახლა მაგის თქმა... ისე კი

ქალის სულში უთუოდ ეშმაკი ზის... ოო, რომ შემეძლოს, ძალა რომ მომცა, ჩავავლებდი ხელს იმ ეშმაკს, ვაწამებდი, სიკვდილს მოვანატრებდი,—მრისხანედ წამოიძახა უცებ ლევანმა, შუბლი დაუნაოჭდა, თვალებში ავი ცეცხლი აენთო.

სრულიად მოულოდნელი იყო აბესალომისათვის ლევანის ეს უეცარი აპილპილება. კარგა ხანია იცნობს მას, არასოდეს ხმააწეული არ უნახავს, მუდამ დინჯად ეჭირა თავი... თუმცა გულჩახვეული კაცი კი უნდა იყოს. ნეტავი ახლა რამ გააცეცხლა? ეგების ნანუზე იცის რამე.

— თქვენ ნანუდან წამოიწყეთ. იქნება მასზე გინდოდათ გეთქვათ...

უთხრა ეს და მყისვე ეწყინა, ამ კაცთან რომ ნანუზე საუბარი ჩამოაგდო. მოეჩვენა, თითქო რაღაც მწიკვლი შეახო ნანუს სისპეტაკეს.

— როგორ გეკადრებათ, ნანუს ჯვარი წერია!—წამოიძახა ლევანმა.— მე... სულ სხვა.. არა, ისე საზოგადოდ ვთქვი. დავსხდეთ აგერ, შევისვენოთ... რაც არ უნდა მალო კაცმა გულში დაგროვილი ბოღმა, ერთხელ მაინც გადმოინთხევა... ჰო, ქალი... იცით, რა შეუძლია ქალს? თითზე დაიხვევს, სავსებით მჩვრად აქცევს კაცს! აჰ, ეს ათასჯერაა თქმული! თქვენ სინამდვილეში უნდა ნახოთ, უნდა გამოცადოთ!.. აი, გეტყვით მე... ერთ ქალზე. არაფერი მას არ გააჩნია ეგოიზმის მეტი...

მცირე ხანს ჩაფიქრდა და განაგრძო.

— არავითარი პრინციპი, არც საზოგადოებრივი მიდრეკილება. ყველაფერი თავის გულის ჭიისათვის უნდა. წარმოიდგინეთ, ბავშვის აღზრდაც არ იზიდავს, ეშინია, არ შევიზღუდოო, გულის ჭიას საზრდო არ მოაკლდესო... არც არასოდეს კმაყოფილი არაა, მუდამ რაღაც აკლია, რაღაც აწუხებს. ნამდვილად, მთელი არსებით არავინ არ უყვარს. კარგი თვალით უყურებს მხოლოდ იმას, ვინც მას პატივსცემს. მატყუარობა, თვალთმაქცობა, ფარისევლობა—ესაა მისი იარაღი ცხოვრებაში. ამავე დროს დიდად გულუხვია. დროს ტარება, ფულის ხარჯვა, სტუმრები უზომოდ უყვარს. ოღონდ შრომა კი ჭირივით ეჯავრება, ოჯახური საქმეც ეთაკილება. უთუოდ მოსამსახურე უნდა ყავდეს, წინ რომ რაიმე ედგას გადასადგმელი, სხვას დაუსაქმებს... ერთი სიტყვით, ნამდვილი პარაზიტია... მაგრამ პარაზიტს გაცილებით მეტი მოქნილობა და ბრძოლა სჭირდება ცხოვრებაში, ვიდრე რომელიმე მუყაით მშრომელს. პარაზიტი გულხარბია, გაუმაძღარი. მან უდიდესი ოსტატობა და მზაკვრობა უნდა მოიმარჯვოს თავისი ფართო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამასაც ერთგვარი უნარი უნდა, თუ გნებავთ, შრომაც, მხოლოდ არა რაიმე ღირებულების შემქმნელი, არამედ გამანიავებელი. პარაზიტებს შეგუებისა და მიტმასნების უნარი აქვთ ყველაზე მეტად განვითარებული. უამრავი საშუალებებით ახერხებენ თავიანთი მდგომარეობის განმტკიცებას... დიახ... ჰო, ცოტათი შევტოპე, არა?.. ბოდიში... აჰ, ნეტავი ერთი შემეძლოს, ჩიტივით დავიჭირო ქალის სული, გალიაში ჩავსვა და თვალებში ვუცქირო, ეგება მაშინ ამოვიკითხო რამე...

გონება გაფანტულად უგდებდა ყურს აბესალომი, ნანუზე ფიქრობდა, დღევანდელი შეხვედრა ედგა თვალწინ და ვერ აეხსნა, თუ რითი იყო იგი გამოწვეული. ფიქრობდა და ეს ფიქრი თანდათან უფრო მტკივნეული ხდებოდა.

ლევანის ნაამბობიდან კი მხოლოდ ის დასკვნა გამოიტანა, რომ ეს კაცი მეტისმეტად აღშფოთებული იყო, სულიერი წონასწორობა დაკარგული ჰქონდა. ვინ არის ნეტავი ის ქალი, რომელზედაც ასე მწვავედ ლაპარაკობს?..

გაკვირვებით ახედ-დახედა აბესალომმა მის სიახლოვეს მჯდარ ლევანს. ფრიად ეუცხოვა მისი გამომეტყველება. რბილი და მეჩხერი ჭალარა თმა

დაღარულ შუბლზე ჩამოშლოდა, ოფლშემშრალი ღაწვები ყბებში ჩავარდნოდა, თვალები ამონაღველებოდა; ახალ გაპარსული ტუჩების კუთხეებში რაღაც მოდუნება უკრთოდა.

— უკაცრავად, მგონი თავი მოგაბეზრეთ,—თქვა ბოლოს ლევანმა და ცალყბად გაიღიმა, შიშჩამდგარი თვალები შეავლო აბესალომს და უმალვე პირი მოარიდა.

— არა... რატომ.—ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა აბესალომმა.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

კლდის გასწვრივ გაშლილ ვაკეს გააყოლა აბესალომმა მზერა.

აგერ მშენებელთა გრძელი სახლები და ძველი მუხა, ტოტებშეგუმბათებული; მთაგრეხილებისაკენ გადახრილ მზის სხივებში გახვეულა და თავის ჩრდილს დაჰყურებს.

იქ არის სადღაც ნანუ. ნეტავი რას ფიქრობს ახლა, რა აწუხებს?..

IV.

ჩამავალი მზის შუქი ხორბლისფერ ზოლად შეჭრილიყო ოთახში, კარადას შეჰფენოდა, კედლის სარკეში გაბადრულიყო. ფანჯრების რაფებსა და წიგნებით სავსე სამუშაო მაგიდის კუთხეებზე ბუსუსა მტვერი მოჩანდა.

სკამები ოთახში უწესრიგოდ იდგა, ერთზე აბრეშუმის კაბა იყო გადაფენილი, მეორეზე—პირსახოცი. სატუალეტო მაგიდაზე, სარკისა და ოდეკალონის გვერდით, პუდრი დაყრილიყო. სასადილო სუფრაზე რამდენიმე საინი იდგა, საინებითვე თავგადახურული. მწუხრი მოახლოვებული იყო და გაავებული ბუზები საინიდან საინზე დაფრინავდნენ, ნამცეცებს ერთმანეთს სტაცებდნენ.

ღია ფანჯარასთან იჯდა ნატო და სოფლისაკენ მიმავალ გზას გაჰყურებდა. ძირს, ახალგაზრდა მცენარეებთან, მშენებელთა ბავშვები თამაშობდნენ; ხოლო ცოტა მოშორებით, მუხის გრძლად გაწოლილ ჩრდილში ქალიშვილებს მოეყარათ თავი და ერთ-ერთ ბრობდნენ, თითქო ფრიად საიდუმლო საქმეზე თათბირობენო.

ნატო ვერც ბავშვებს ამჩნევდა და ვერც ქალიშვილებს, თვალი გაშტერებოდა ღრმად ჩაფიქრებულს.

წინ საფერფლე ედგა, პაპიროსის ნამწვავებით სავსე.

გამჭვირვალე კაბა ეცვა, ყვითელ კომბინეზონისაგან ნათელშეფენილი.

ოდნავ გამხდარა, მთის ჰაერს მის დაწმენდილ სახეზე ხანდაზმულობის კვალი თითქმის წაუშლია.

კარი გაიღო და ნელა მიიბრუნა პირი, შეღებილ ტუჩებზე რაღაც ირონიული ღიმილის მსგავსი დაეკლაკნა. სხვა ვერავინ შეამჩნევდა ამას, მხოლოდ ლევანს შეეძლო დაენახა იგი, იმდენად შესწავლილი ჰქონდა მისი სახის მოძრაობა.

— აჰ, ლევან, შენ ხარ?—უზომოდ დაღვრემილი ადამიანის ხმით თქვა ნატომ და ნუგეშის მოლოდინში დამწუხრებულად თავი ჩაღუნა.

მრავალჯერ იყო ნაცადი ეს ხერხი. მათი ცოლქმრობის პირველ ხანებში უბრალოდ წარბების შეჭმუხვნაც კი საკმაო იყო, ლევანი უმალვე მიაშურებდა, მოწყენის მიზეზს გამოკითხავდა, რას არ მიმართავდა, რომ გაემხიარულებინა. ნატომაც შეიფერა ეს და, მოსაწყენიც რომ არ ჰქონდა, ლევანის მისვლისას მაინც მოიწყენდა, ხშირად ავადმყოფობასაც იგონებდა, რათა ლევანში მეტი თანაგრძნობა გამოეწვია, მეტი ალერსი მიეღო.

ადრე აუღო ალღო ლევანმა ამ სიმულაციას, მაგრამ მაინც ვერ მოითმენდა ხოლმე, მაინც მიეხმატკბილებოდა თვალთმაქცურად დაღვრემილ ნატოს. ბოლოს ისიც კი გაიგო, რომ მარტოოდენ ალერსისათვის არ იქცეოდა ასე ნატო, რომ ეს არ იყო სიყვარულით გამოწვეული გულუბრყვილობა. პირი-

ქით, ლევანმა შეატყო, რომ ნატოს სიამოვნებას ჰგვრიდა მისი შეწუხება, ამით იამებოდა პატივმოყვარე გულს. შეიცნო ეს და იმ დღიდან დაიწყო მისი წამება...

თუმცა განა მარტო ეს?

მაშ რატომ ვერ გაითავისუფლა თავი ამ მძიმე ტანჯვისაგან?

ნატომ ლევანისაგან პასუხი რომ ვერ მიიღო, თავი ასწია, მოიღუშა, ლაჟვარდისფერი თვალები დაწკურა, სწორედ ისე, კატა რომ თაგვის მოლოდინში გაინაბება.

— რამ ჩაგიგდო, კაცო, ხმა?—შეუტია მოთმინებიდან გამოსულმა.

ლევანმა არც ახლა გასცა ხმა, მაგიდაზე წიგნები გაასწორა და აივნისაკენ გაემართა.

— დაყრუვდი, თუ რა მოგივიდა? — მიაძახა ნატომ.—აჰ, არ უყურებ, ხმის გაცემასაც არ კადრულობს! მე აგერ ხემსი არ ჩამიდვია პირში, მთელი დღეა ვუცდი, მარტოდმარტოდ მიტოვებული. წამომიყვანა ამ დაკარგულ უდაბნოში! კაცი არაა, რომ ხმა გავცე. თვითონ რა ენაღვლება, დაბრძანდება სადაც მოესურვება, მე კი აქ უნდა გამოვშტერდე. ეს არის სიცოცხლე?!

— ნუ გეშინია, შენ თავს არაფერს გაუჭირვებ, არც მშიერი მოკვდები,— ჩაილაპარაკა ლევანმა და აივნის კართან მოდგმულ სკამზე ჩამოჯდა.

— რაო, რა სთქვი? შენ შეგარცხვინოს ღმერთმა და შენი საჭმელიც! რას იმადლები. რა ჭირს შენი სამადური ღრეიძის ქალს?

მრისხანედ წამოიჭრა ნატო, სუფრას მიაშურა და საინებს ხელი გაჰკრა, მხოლოდ ისე კი, რომ ძირს არ გადავარდნილიყო, მაგრამ ვერ მოზომა, ერთი საინი გადასრიალდა და დაიმსხვრა.

ახლა უარესად გააფთრდა ნატო, მართლა გული მოუვიდა, თავი ტანჯულად წარმოიდგინა.

— ღმერთო, შენ გაუჩეჩქვე თავი ასე ჩემს გამწვალებელს! რა დღეში ვარ!—წამოიძახა და აცრემლდა, სკამზე ძალმილეულივით ჩაიკეცა, ქვეშინი მორთო.

ლევანი უძრავად იჯდა, შორეულ მთებს გაყურებდა, სული კბილით ეჭირა.

ბოლოს ნატომ ტირილი შეანელა და ქმარს ქვეშქვეშ დაუწყო ცქერა. „რა მოუვიდა ნეტავი დღეს?—ფიქრობდა ის.—ჩემსკენ სულ არ იხედება. ისევ ხომ არ დაიწყო?..“

თვალები ამოიწმინდა, სატუალეტო მაგიდასთან მივიდა და შეიპუდრა. ჯერ კიდევ თავს ვერ მოერია. გული მოსდიოდა, ლევანი რომ ვერ გატეხა. პაპიროსს მოუკიდა, ფანჯარას მიადგა. მერე უცებ შებრუნდა და ლევანთან მივიდა.

— ლევან!—ნელი, დამტკბარი ხმით მიმართა.—ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა დღეს? რატომ ხარ ასეთ ცუდ ფერზე?

— არა, ერთი გამაგებინე,—რა ხარ შენ, ქალი ხარ თუ ეშმაკი?—მოულოდნელად წამოიძახა ლევანმა და წამოხტა, ნატოს თვალებში შეაშტერდა. — რას გადამეკიდე? რატომ ამომართვი სული? აღარ გეყო ამდენი თვალთმაქცობა? ვეღარ გაძეხი ჩემი წამებით?.. ახ, ღმერთო, სადამდის უნდა ვითმინო!.. როდის იყო, სადილზე რომ მელოდი და თავს შიმშილით იკლავდი? რაა ახლა დღეს ეს?..

ნატოს უკვე გული მოჭმული ჰქონდა, სულ არ უნდოდა გაჯავრებულიყო, მაგრამ ლევანის ეს მკაცრი კილო ვერ აიტანა, თან მისი სახის გამომეტყველებამაც აღაშფოთა, ვინაიდან იგი მართოოდენ ბრაზს როდი გამოხატავდა, რაღაც სიძულვილის მსგავსი რამ გამოკრთოდა.

— ოი, ღმერთო, შენ დალახვრე, სიკვდილი მოანატრე, ვინც მე ასე გამაუბედურა!—აღმოხდა ნატოს და ლევანს მიაშურა.—ვის უბედავ შენ მაგას, ვის? რას იჯღანები? რას მიყურებ ასე

საზიზღრად?.. ვიკივლებ ახლა, მთელ მეზობლებს შევყრი!..

— რაც გინდა, ის ქენი! აღარ მეშინია. წავიდა ის დრო, როდესაც სირაქლემასავით თავს ბუჩქებში ვმალავდი... არა, შენ ეს მიბრძანე, ქალბატონო, რა გინდა, რას ეტმასნები იმ კაცს?

ნატო უცებ შეშფოთდა, უმალვე დააეიწყდა, კივილს რომ აპირებდა.

— რომელ კაცს?!

— ჰმ! რა ხარ შენ, რა ხარ! ვითომ არ იცი!.. რომელ კაცს და აბესალომ მუხიგულს... ვიცი, ვიცი! ორი კურდღელი გინდა ერთად დაიჭირო! აბესალომის გული უნდა მოიგო და ნანუ ალურიძეს გზაზე გადაეღობო. შური გახჩობს ხომ, შური? ვერ იტან, ისიც შენსავით პარაზიტი რომ არაა...

— რას ბოდავ? რა მენაღვლება მე, რამდენი ძროხა დედაკაცი დაეთრევა! როდის ისწავლე პარაზიტებზე ლაპარაკი? შენ არ იყავი—ქალის შრომა ვის გაუგონიაო, ქალი სილამაზის და მშვენიერების გამომხატველი უნდა იყოსო, ესთეტიურ გრძნობას უნდა ავითარებდესო...

— დიდი ესთეტიური გრძნობის აღმძვრელი კი ბრძანდებით სწორედ თქვენ! მორჩა! ვისწავლე ჭკუა! შენს სულშიაც ჩავიხედე!

— არა, საიდან სადაო! რა საქმე მაქვს მე ახლა ალურიძის ქალთან?— ოდნავ კილოშეცვლილად გაიკვირვა ნატომ.

— კმარა, ნუ თვალთმაქცობ! ბრმა კი არა ვარ! განა ვერ შევხედე, როგორ ეხვეოდი დღეს აბესალომს! ვითომ ორდენის მიღებამ შეასხა ფრთები! ვის ატყუებ? შენ გგონია, ძველებურად მოვითმენ?.. რაც იყო, იყო... ახლა კი მიფრთხილდი! გესმის, მიფრთხილდი! ნუ წრიალობ!..

ნატომ სიცილი მოიშველია.

— აი, თურმე რამ გააბრაზა ჩვენი რაინდი!—წამოიძახა და კვლავ გადაიხარხარა.—რა, თვითონ თქვენ ხომ არ ბრძანდებით შეყვარებული? ალურიძის ქალმა კვანტის [illegible], კარგი, კარგი ახლა! საკვირველია სწორედ, ქალმა საყვარელს ზურგი შეაქცია და ნატომ პასუხი უნდა აგოს! რატომ? რისთვის?..

ნატო განზრახ უვლიდა გვერდს აბესალომზე ლაპარაკს, ცდილობდა ქმრის ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა.

ხმაც დაუტკბა ნატოს, თვალები გაუნათდა.

— კმარა ახლა, გვეყოფა, სულ ხომ არ უნდა ვიჩხუბოთ,—არა, ლევან?

ამ სიტყვებით მივიდა მასთან, მხარზე ხელი დაადვა.

— შენ მაინც ჩემი ლევანი ხარ, ჩემი ერთგული ქმარი,—არა, ლევან?.. დღეს მაინც გამაკვირვე. ასე რამ გაგაგიჟა? ალბათ, ვინმემ რამე გაწყენია, ან საქმე ვერ მოგვარდა კარგად და გულმოსული მოდი,—არა, ლევან?

ლევანი ნელინელ მოეშვა, ხელსა და თვალს შუა გაუქრა თავისი სიმტკიცე, თავისი აგზნებული ნებისყოფა. შუბლდანაოჭებული, მოღუშული იდგა, უნდოდა ნატოსთვის ხელი ეკრა, მაგრამ ღონე გამოელია, გამოიფიტა.

— გაჯავრებულ ადამიანს რა არ წამოცდება, ყველაფერი გულთან კი არ უნდა მიიტანო,—არა, გენაცვალე?— უთხრა ნატომ და მკერდი მხარზე მიაყრდნო.

ლევანი ნატოზე დაბალი იყო, ახლა კიდევ უფრო დაილია, ფეხქვეშ თითქოს ნიადაგი გამოეცალაო. მიმოიხედა, იქვე სკამი შეამჩნია და უმწეოდ ჩაიკეცა.

— ცოდვა ხარ შე საწყალო შენ, ცოდვა!—ეფერებოდა ნატო,—სათუთი გული გაქვს,—ხომ, გენაცვალე?

ეს „არა, ლევან“ და „ხომ, გენაცვალე“ სპობდა ლევანს. იცოდა, რომ იგი ნატოს თვალთმაქცობის ერთი იარაღთაგანი იყო, მაგრამ ეს ცოდნა ვერ შვე-

ლიდა; უნაზეს მუსიკასავით წვდებოდა იგი გულში და აჯადოებდა. შესაძლოა, ეს მხოლოდ მოგონება იყო, ერეოლისმომგვრელი მოგონება, პირველი ტრფიალივით დამათრობელი და ბედნიერების მომნიჭებელი. იდუმალი ბურუსივით შემოეფინებოდა იგი ლევანს, შეეპყრობდა, აღიტაცებდა. მყისვე მიეფარებოდა ანგარებით სავსე, მზაკვარი ნატო, მას მხოლოდ ახალგაზრდა, ცქრიალა ნატო ესახებოდა, სიტყვებშიაც იმის ხმა ჟღერდა, იმისი თვალები და ტუჩები იზიდავდა... „ვინ იცის, იქნება ეს არის სინამდვილე, არა, სინამდვილე კი არ არის, სინამდვილეზე მეტია, ის არის, რასაც ადამიანი თავდავიწყებამდის მიყავს, ხოლო თავის მოტყუება ხომ ამ ქვეყანაზე ყველაზე დიდი ნუგეშიაო!..

ასე ფიქრობდა ამ დროს ლევანი, ასეთი განცდა ეუფლებოდა.

გაივლიდა ეს თავდავიწყება. ნამთვრალევივით გამოფხიზლებულ ლევანს თავისი თავის სცხვენოდა. იმდენი ნებისყოფა კი არ შერჩენოდა, რომ გამოსავალი ეპოვნა.

მაგრამ დღეს თითქო რაღაც ახალი ძალა იგრძნო და გადაწყვიტა, ამიერიდან არაფერი არ დაეთმო. პირველი ნაბიჯიც უკვე გადადგა,—ეს იყო, აბესალომთან რომ ენა ამოიდგა.

ახლაც მალე გამოერკვა. ადგა, პაპიროსს მოუკიდა, ენამოთაფლულ ნატოს მკაცრად შეეკითხა:

— შენ მაინც არ მიპასუხე: რა ხლართი დაქსელე ნანუს ირგვლივ?

— ეს კიდევ თავისას არ იშლის! რა დაგიჩემებია ეს დედაკაცი? რა ამბავია მართლა? იქნება ვინმემ რამე გითხრა და შეცდომაში შეგიყვანა?

— ვიცი მე, მიმხვდარი ვარ. გირჩევნია ჭკუით იყო. სულ ერთია, მაგ საქმეს ვერ გაიტან!

„არაფერიც არ იცი“ — გუნებაში თქვა ნატომ, ლევანს კი შეესიტყვა:

— არაფერი გასატანი მე არა მაქვს. არც არავის საქმეში არ ვერევი. რა მენაღვლება მე, ვიღაც გადირეული მჭედელი თუ ჭუჭყიანი ბუმის გოგოს ყვარობს...

ამ დროს ოთახში მოსამსახურე ქალმა შეჰყო თავი, ლევანი დაინახა და გაბრუნება დააპირა, მაგრამ ნატომ მიაძახა:

— რას იცქირები ასე მორიდებულად? შემოდი! საინის ნატეხები აკრიფე და იატაკი მოწმინდე!..

V.

საოცარი იყო ეს დღე: ზღვის ტალღასავით მიმოატარებდა აბესალომს.

წინათაც მუდამ მოძრავი იყო, დაუღალავი. მზის ამოსვლას ასწრებდა ხოლმე, თუ რომელიმე ერთობ გაჭიანურებული კრებიდან არ იყო შინ დაბრუნებული. მშენებლობის არც ერთი უბანი არ რჩებოდა შემოუვლელი, ყველგან მიჰქონდა თავისი შემოქმედი ენერგია, თავისი მოსიყვარულე გული.

მაგრამ ეს დღე მაინც არაჩვეულებრივი იყო. ყველგან რაღაც ახალი ხვდებოდა, ზოგი გასახარელი, ზოგი მტკივნეული.

ყოველივე ამას დაკვირვება, შესწავლა სჭიროდა. სწრაფ ზრდას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს, იგი ხშირად ჰფარავს ნამუშავარის ცუდ ხარისხს. ამიტომ ამთავითვე უნდა მიიღონ ზომები, რომ ეს არ მოხდეს, რომ ყოველი ნაკლი დროზე გამოსწორდეს. მერე რამდენი ცოდნაა კიდევ საჭირო! კვირეები რომ თვეებად იქცეს, მგონია, მაშინაც ძნელი იქნება ამოსწუროს კაცმა ყველაფერი.

ახლაც აღეძრა აბესალომს ასეთი ფიქრი; უფრო მეტი პასუხისმგებლობა იგრძნო ყოველივე იმის გამო, რაც ამ დღეებში განიცადა. თვითონაც გაიზარდა თავის თვალში და ის საქმეც გართულდა, რისთვისაც მას მთელი თავისი სიცოცხლე არ ენანებოდა.

საღამოს ზემო უბნიდან ჩამოსულმა აბესალომმა მექანიკურ ნაწილში შეიარა, სამჭედლოს მიადგა და უმალვე კუნთები შეუთამაშდა. მობოდიშე ღიმილით გამოართვა ამხანაგს ურო და ისე დასცხო ცეცხლივით მოვარვარე რკინას, რომ გრდემლმა ზანზარი დაიწყო. ამით თითქოს თავისთავს დაუდასტურა, რომ დამთავრდა ბრწყინვალე ზეიმი და ახლა საჭიროა თავდაუზოგავი შრომაო.

— უჰ, რა ძალა ჰქონია დალოცვილს!—ჩაილაპარაკა მჭედელმა, როდესაც აბესალომმა ურო მუშას დაუბრუნა, მერე ღიმილით შეათვალიერა და ხუმრობის კილოთი უთხრა:

— ჩემმა მზემ, ე კოსტუმს რო გაუფრთხილდე, ის გირჩევნია.

— არაუშავს რა, გრიგოლ, კაცი იყოს კარგად და...

— მაინც ხო იცი, არ უხდება ეგეთი მორთულობა ჩვენს ხელობას. ხო გაგიგონია, ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო.

— რა ტყავშიაც არ უნდა გამოეხვიოს, ნამდვილი მშრომელი შრომის მადლს ვერ დაივიწყებს.

— ეგ ხო აგრეა, ვისაც შრომა უყვარს, მას ადამიანიც უყვარს,—უპასუხა მჭედელმა და რკინის ზოდი ქურაში შედო.

ასე შემოიარა დღეს ყველა უბანი, მშენებლებს გაესაუბრა, მთელი რიგი ახალი ამოცანა გაითვალისწინა. მაინც კმაყოფილი არ იყო, გულში მაინც მწვავე ხინჯი ჰქონდა ჩარჩენილი. გამოერკვევოდა საქმეებიდან და იმ წამსვე ნანუს კაეშნიანი სახე მოეჩვენებოდა.

რამდენჯერ მოინდომა მიეტოვებია ყველაფერი და მისულიყო ნანუსთან, გაეგო თუ რა მოხდა ამ რამდენიმე დღის განმავლობაში, მაგრამ ვერ მოახერხა, ხან ერთი ამხანაგი იწვევდა თავის სამუშაოსკენ და ხან მეორე.

ახლა კი, სამჭედლოდან რომ გამოვიდა და მარტოდ დარჩა, უეცრად შედგა, თითქო რაღაც სრულიად მოულოდნელი აღმოაჩინაო.

მართლაც და, რაშია საქმე? ნუთუ ნანუ დღეს მას ასე უნდა შეხვედროდა?! ეს დღეები ხომ უბედნიერესი დღეებია მის ცხოვრებაში. ნუ თუ აბესალომის სიხარული ნანუს სიხარულიც არ უნდა იყოს? ნუ თუ ყოველი სამწუხარო არ უნდა უკუეგდო დღეს ნანუს და აბესალომისათვის ერთი ღიმილი მაინც არ უნდა ეჩუქებინა?

თავი გაიქნია. გზა განაგრძო.

აქ რაღაც სულ სხვაა. იქნება ვინმე... არა, სხვა არ უყვარს, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ არც აბესალომი უყვარდეს? რა აქვს სარწმუნო? ერთი გარკვეული სიტყვა მაინც ხომ არ თქმულა მათ შორის. როდის იყო, რომ ნანუმ პირობა მისცა აბესალომს. მარტოოდენ კარგი ურთიერთობა და რაღაც უსიტყვო თანაზიარობა, განა ეს კმარა? თუმცა, მგონია, ესეც ბურუსი იყო. აი, ხომ ხედავ, რაღაც ორ კვირაში გაჰქრა იგი. აბა ერთი აბესალომი ყოფილიყო ნანუს ადგილს. განა ასე შეეგებებოდა მოსკოვიდან დაბრუნებულს? რა გული მოუთმენდა! ვთქვათ, ცუდი რაღაც შეემთხვა? რაი მერე? ამისთვის საყვარელ ადამიანს ზურგს არავინ შეაქცევს... სწორია, ბურუსი იყო ყველაფერი... ღმერთმა მშვიდობა მისცეს...

„აჰ, არა!"—ხმამაღლა წამოიძახა და საშინელი ტკივილი იგრძნო, თვალთ კინაღამ დაუბნელდა.

იქნება დაიღალა დღეს და იმიტომ მოეშვა ასე? თავისი თავი ძლიერი ვაჟკაცი ჰგონია და აგერ გული კინაღამ შეუღონდა!

— აჰ, ნანუ, ნანუ! რომ იცოდე, რა უგულო ყოფილხარ შენ!..

შორიდან მოჰკრა თვალი მანუჩარმა მარტოდ მიმავალ აბესალომს და მაშინვე შესაგებებლად გაეშურა.

კარგა ხანია არტელს თავი მიანება მანუჩარმა და მშენებლობისათვის ხე-

ტყის დამზადებას მიჰყო ხელი. ეს სწორედ მისი შესაფერი საქმე იყო. მშვენიერი ცხენი ყავდა; თავმომწონედ შეჯდებოდა ხოლმე ზედ, ყაბალახს მხარზე გადაიგდებდა და მაყარივით გასწევდა შორეული რაიონისაკენ. სიარული და ლაპარაკი არ ეზარებოდა. გეგმის შესრულებაში ყველა დამამზადებელს წინ უსწრებდა. მუდამ კარვ გუნებაზე იყო, მხოლოდ ხანდახან მოაგონდებოდა ხოლმე ძველი ჩვეულება, ირგვლივ მიმოიხედავდა და თავისებურ ბუზღუნს დაიწყებდა.

ხანდახან ბიჭები ძალად აალაპარაკებდნენ, უყვარდათ მანუჩარის მოსწრებული სიტყვა.

მიუახლოვდა თუ არა აბესალომს, ფართოდ გაეღიმა და ბოდიში დაიწყო:

— ჩემი უიღბლობის ბრალია, აბესალომის ჭირიმე, ჩემი უიღბლობის! რაღა მაინცდამაინც მე შეგხვდით დღეს. ვინ იცის, როგორ იჯავრეთ, სანამ მოხვიდოდით. ერთმა გულმა მითხრა—მოდი არ ვეტყვი-მეთქი, მარა არ ივარგებდა. არა, ხომ გითხარით, არაფერი საშიში არაა-მეთქი. მეც ტყვილა ამოვაჩაჩქაქე საწყალი ექიმი. ქე დამხვდა ყველა მშვიდობით. ძაან შიში კი ვნახე მაინც... რაღა სწორედ იმ დროს მოუწია ამ ჩვენს ინჟინერს, ნანუს, გვირაბში შესვლა. სულ იმისი შიში მქონდა,— რაც არ უნდა იყოს, ქალია, გული არ გაუსკდეს-მეთქი. მარა გაგიგონია, აგერ შემხვდა ახლა; შველს შეეხარბება სწორედ, შველს, მასეთი გავლა!

— მართლა ნახე? სადაა ახლა?— შეეკითხა უცებ გამოცოცხლებული აბესალომი.

— ახლა, მგონია, შინ გეახლა. მარა ისიც ქე მოვა მალე კლუბში. ხალხი უკვე თავმოყრილია. თქვენს მისვლას ელოდებიან.

— აჰ, მართლა!—ახლა მოაგონდა აბესალომს, პარტკომის მდივანმა რომ უთხრა დღეს: მოხსენება უნდა გააკეთო. მას კი არაფერი არ მოუმზადებია. ჩაფიქრდა. როგორ უნდა გაუზიაროს ამხანაგებს თავისი [illegible] შთაბეჭდილებანი...

— ბატონო აბესალომ!—მორიდებით მიმართა მანუჩარმა,—უკაცრავად, მარა მართლა პირადად ნახეთ ის?

— ვინ, მანუჩარ?

— ის,—ჩვენი დიდი ადამიანი.

— ჰოო, სტალინი! — თქვა აბესალომმა და მანუჩარს შეხედა, ღიმილი მოჰგვარა მისმა მოკრძალებულმა გამომეტყველებამ.

— სწორედ ისე, როგორც ახლა მე და შენ ვართ აგერ.

— რა ვიცი, აქანე გაზეთში ქე წავიკითხეთ, მარა მაინც ძნელი დასაჯერებელი იყო სწორედ. აბა, სად მოიცალა ამხელა ბუმბერაზმა ადამიანმა? მერე და აბესალომს შემოვევლე, ხელიც ჩამოგართვათ?

— მეც მაგრე ვფიქრობდი, სანამ ენახავდი. მაგრამ როგორც კი გამოჩნდა, ჯერ სიხარულისაგან სული კინაღამ შემეკრა, მერე დიდხანს ტაშს ვუკრავდი, ამასობაში ისე დავმშვიდდი, თითქოს ძველისძველ მეგობარს შევხვდი, სულ უბრალოს, ჩვენიანს...

— ვაი, სულო! ბედნიერი ვარო თქვენ გეთქმით სწორედ! აბა მე ვინ მაღირსებს მაგას? ის კი არა, წინათ აქ, ჩვენში უნახავთ ჩემი ხნის კაცებს სტალინი. მე კი—ხომ მოგეხსენებათ გაკოტრებული თავადაზნაურების ამბავი, ძაან ახალგაზრდა ვიყავი მაშინ და თავში თუ რამე ჭაჭანობდა—ეს იყო მიმინო, მეძებარი, მწყერი და კურდღელი, მეტი არაფერი...

ამ დროს მათ კლუბისაკენ მიმავალი ამხანაგები შეუერთდნენ, აბესალომს მხურვალედ მიესალმნენ.

მანუჩარი კი ფრიად უკმაყოფილო დარჩა, რადგან თავგადასავალის მოყოლის შესაძლებლობა აღარ მიეცა.

VI

კლუბი მშენებელთა სახლებიდან ცოტათი მოშორებით აეგოთ, მთის ძირას იყო მიდგმული; გარედან გრძელ ფარდულსა ჰგავდა.

გზა პატარა კორდზე ადიოდა; კორდს გადაღმა კი, კლუბის წინ, ვრცელი მინდორი იყო გაშლილი.

ზაფხულში აქ ყოველ საღამოს ცეკვა-თამაში იმართებოდა. აგერ ახლაც, გადადგნენ თუ არა კორდზე აბესალომი და მისი თანამგზავრები, საკმაოდ ფართო წრეს მოჰკრეს თვალი; ერთი ახალგაზრდა კი მაინც ჯარასავით ტრიალებდა შიგ და ხმამაღლა გაიძახოდა: „აბა, განი, განი!“

მზე ახალი ჩასული იყო. დასავლეთით ცის თაღზე შეფენილ იისფერ ღრუბელს ჯერ კიდევ აჩნდა საუცხოო ქობა, ოდნავ მოოქროვილი.

ხელმარჯვნივ, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაღალი მთის თხემის გასწვრივ, სრულიად სავსე მთვარე გადმომდგარიყო და ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, თითქო საკმაოა კაცი ავიდეს იმ მთაზე და ბროლივით ანთებულ მნათობს ხელს მიუწვდენსო.

დამტკბარი საღამო იყო, ნელსურნელოვანი; გრილ ნიავს ღრმა ხევიდან მდინარის შორეული შრიალი მოჰქონდა.

ჩავიდნენ ვაკეზე და ხალხს ნატო გამოეყო, აბესალომისაკენ გამოემართა შესაგებებლად.

აბესალომს მშენებლები გზადაგზა მრავალ შეკითხვას აძლევდნენ, ისიც მოკლედ პასუხობდა და შიგადაშიგ იმაზე ფიქრობდა, თუ კრებაზე როგორ გამოსულიყო.

ამიტომ არ ესიამოვნა ახლა, ნატო რომ გულითადი მეგობარივით მიაფართქალდა, თითქმის მოეხვია და მოხიბლულივით თვალებში შეაცქერდა.

მეტისმეტად ზრდილობიანი და მოკრძალებული იყო აბესალომი, თორემ ისე ეწყინა ამ ქალის მიღაცცება, რომ ხელს ჰკრავდა [illegible] ჩაუვლიდა.

ნატომ კარგად შეამჩნია ეს უხერხულობა, მაგრამ არ დაიბნა, თავისებური სხაპასხუპით გაესაუბრა:

— გული გაგვიწყალდა თქვენს მოლოდინში. არა, მარტო დღეს კი არა, სულ, რაც წახვედით. განსაკუთრებით მას შემდეგ, თქვენი ამბავი რომ გაზეთში წავიკითხეთ. აქ სულ ყველას თქვენი სახელი აკერია პირზე. ახ, ღმერთო ჩემო, რა ნეტარებაა, ადამიანი რომ ასეთ სიყვარულს დაიმსახურებს! თქვენ ახლა ჩვენი სიამაყე ხართ. აჰ, ნუ შეჭმუხნეთ შუბლი, ნუ ხართ ასე მორცხვი! შთაბეჭდილებები... უთუოდ უამრავი შთაბეჭდილებები ჩამოგვიტანეთ, — არა, აბესალომ?

ნატომ კარგად იცოდა საზოგადოებაში თავის დაჭერა; მეტად ზრდილი და დარბაისელი მანდილოსანის იერს იმშვენებდა. ახლა ცოტათი გადააჭარბა აბესალომთან შეხვედრასა და კეკლუცობაში,—აქ ხომ მარტონი არ არიან, ირგვლივ ხალხია, მაგრამ მალე გონს მოეგო, აბესალომს ხელი გამოსდო და ნელი ნაბიჯით გაემართნენ კლუბისაკენ.

ამ დროს კორდზე ნანუ ამოვიდა, აბესალომსა და ნატოს მოჰკრა თვალი და ზარდაცემულივით გაშეშდა. ისევ ის თალხი კაბა ეცვა და ახლა მწუხარე ძეგლს დაემსგავსა, მთვარის სხივებში გამოქანდაკებულს...

კლუბის კარებთან აბესალომმა როგორც იყო თავი დააღწია ნატოს და შეჯგუფებულ ხალხში გაერია.

ყველა ესალმებოდა, გზას უთმობდა. ახლა შეატყო, რომ დღეს რაღაც განსაკუთრებულად უცქერდნენ მშენებლები; უხერხულობა იგრძნო და ნაბიჯს აუჩქარა, ვეღარ დაინახა, კარებთან მის მომლოდინე დედას რომ გვერდით ჩაუარა.

ფიცარნაგზე აირბინა და ფარდას

მიეფარა. გული უჩქროლავდა. კარგა ხანია შეეჩვია კრებებზე გამოსვლასა და თავისუფლად ლაპარაკს. მაგრამ ახლა შეატყო, რომ ღელავდა.

განა ასე ადვილია გაუზიაროს ამხანაგებს ყოველივე ის, რაც მან ამ დღეებში განიცადა? სად იპოვნოს სიტყვები, რომლებიც მის მიერ ნაგრძნობს გამოხატავენ? როგორ მიაღწიოს იმას, რომ ყველანი მისი სიხარულის თანამონაწილენი გახდნენ?

კრება პარტკომის მდივანმა გახსნა.

— სიტყვა ეძლევა ორდენოსან აბესალომ მუხიგულს.—მქუხარე ტაშის შემდეგ დაამთავრა თავისი შესავალი სიტყვა პარტკომის მდივანმა.

იგრიალა ტაშმა და დინჯად წამოიმართა აბესალომი; ოდნავ ფერგამკრთალი იყო, ჩაფიქრებული. დარცხვენილივით დაჰყურებდა ფიცარნაგს, მაინც საშუალოზე უფრო მაღალი მოჩანდა ეს წარმოსადეგი, მხარბეჭიანი ჭაბუკი. ახალი კოსტუმი ტანზე კარგად ადგა, მაგრამ მაინც კაცს ეგონებოდა, თითქოშიგ ვერ ეტევაო. მის მაგარკუნთებიან მკლავებს სახელოები უკვე დაენაოჭებია. მაღალ მკერდს კი პიჯაკი თითქოს ვეღარ წვდებოდა.

ტაში კიდევ უფრო გაძლიერდა.

აბესალომმა ღიმილით ასწია თავი და გაჭედილ დარბაზში თვალი მიმოატარა. ამ დროს უნებლიედ გაუელვა—ნეტავი ნანუ თუ მოვიდაო, და თითქმის ყველა მწკრივს დააკვირდა. ვერ დაინახა. ეწყინა. ამ დიდ სიხარულში რაღაც ტყვიისფერი ჩრდილი შეიპარა. მერე აგერ, წინა რიგიდან დედის თვალმა შემოანათა, უსაზღვრო სიყვარულით ანთებულმა თვალმა, და თვალითვე გულიმა მას; დამშვიდდა, ტრიბუნისაკენ გასწია.

გულათრთოლებულმა ქეთევანმა კი თითქოს შვილის რაღაც დიდი გასაჭირი იგრძნო და ჩვეულებრისამებრ გუნებაში ჩაილაპარაკა: „მოგიკვდეს, შვილო, დედაი“...

ისეთი ხმით დაიწყო აბესალომმა, თითქოს ბოდიშს იხდისო. თავისი სახის კეთილი იერით კი მყისვე აგრძნობინა მსმენელთ, რომ სათქმელი ერთობ ბევრი ჰქონდა, მხოლოდ შესაფერი სიტყვების პოვნა უჭირდა. მაინც მალე მოიშველია თავისი მძლავრი ნებისყოფა, ცეცხლივით შემოწოლილ გრძნობებს მოერია და დინჯად დაიწყო ლაპარაკი.

სრულიად არ უნდოდა გაეკვირვებინა თავისი ამხანაგები, მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ მარტივად, აუჩქარებლად ეამბნა მათთვის, თუ როგორ ავიდა ის უდიდეს მწვერვალზე და მსოფლიოს თვალი მოავლო, როგორ შეხვდა იქ მშრომელი კაცობრიობის წინამძღოლს, დიდ ბელადს, და როგორ გააოცა, როგორ აღაფრთოვანა მისმა გენიალურმა უბრალოებამ.

აქ, ამ ფარდულივით გრძელ დარბაზში ისხდნენ ახლა აბესალომის თანამებრძოლნი, ხანდაზმული და ახალგაზრდა მშენებლები, ძველი, ათას ჭირვარამში გამოვლილი მუშები და ინჟინერები, მგზნებარე კომკავშირელები, შვილების სიყვარულით გულდამწვარი დედები და სატრფიალო ეშხით თვალგაბრწყინვებული ქალიშვილები, — ისხდნენ და აბესალომთან ერთად განიცდიდნენ ენითგამოუთქმელ სიხარულს, სიამაყეს, დიდებას.

აგერ მოდის ის, დიადი ადამიანი, აბესალომი ხელს ართმევს მას...

და ღიმილით გაბრწყინდა მშენებელთა სახეები, განსაკუთრებული აღტაცებით იგრძვნეს ამ წამს, რომ ის მუდამ მათთანაა, ჭირშიც და ლხინშიც.

ეს ჭაბუკიც, ახლა რომ ასე მიმზიდველად მჭერმეტყველობს, მისი გაზრდილია, მისი სხივები ამშვენებს.

თვალმოუწყვეტლად მისჩერებია აბესალომს ქეთევანი და უკვირს—ასეთ სიმაღლეზე როგორ ავიდა მისი სიმწარით გამოზრდილი ბიჭი.

სიყვარულის იმდენი სიმი თრთის ახლა ქეთევანის გულში, თითქო მკვდრეთით ამდგარან მძიმე ჯაფით წელმოწყვეტილი, სიცოცხლეში გაუხარელი, უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ შვილებზე მგლოვიარე, მაგრამ მაინც მომავალ გამარჯვების უბით მზიდველი ქართვლის დედები, ამდგარან და სასოებით შეჰყურებენ მათი სიცოცხლის განახლებას, მათი პირმშოების ძლევამოსილებას.

წინა რიგებში იჯდა ნატო, ჩაფიქრებული იყო; ნელა არკვევდა, რაც მის გულში ხდებოდა. ამდენხანს ეგონა, რომ ნანუს სიძულვილისა და მოწყენილობის გამო ჩაერია ამ საქმეში. ახლა კი გაოგნებული უმზერდა აბესალომს; მის სიტყვებს როდი აქცევდა ყურადღებას ვაჟის შინაგანი ძალა იზიდავდა. ერთ წამს კიდევაც ეწყინა ეს, უეცრად აწყვეტილ ვნებას ლაგამი ამოსდო, ამპარტავნულად შეჭმუხნა წარბები, მაგრამ შემდეგ თანდათან დაიპყრო ვაჟკაცის უტეხმა ძალამ და ნატომ თითქო ახლად აღმოაჩინა იგი.

„აი, ეს არის ამ დროის გმირი, მოუდრეკელი, ცოტათი ტლანქი, მაგრამ ყოვლად ძლიერი,—ფიქრობდა ნატო,—შეხედე, რამხელა ხელები აქვს, სულ არ შეშვენის მისი სახის რაღაც თავისებურ სინაზესა და კეთილ გამომეტყველებას. ჩემი მტერი დახვდა მაგას გზაზე წინ, არ დაინდობს, მიწასთან გაასწორებს...

ჰო-და მერე რა, მამაკაცი სწორედ ასეთი უნდა. სად ეს გამოფიტული ლევანი და სად აბესალომი!..

ამ დროს აბესალომს მქუხარე ტაშით სიტყვა შეაწყვეტინეს, ყველანი ადგნენ.

ნატოც წამოიმართა, ხელი ხელს შემოჰკრა და ფიქრი განაგრძო: „ჩემ სიცოცხლეს სასწორზე დავდებ მაგის გულისათვის. ეგ უთუოდ ჩემი უნდა იქნეს...“

VII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბესალომმა თავისი სიტყვის დასასრულს დიდ მჭერმეტყველობას ვიაღწია. ფართო შუბლი ოფლით დაეცვარა, წამოგზნებულ სახეზე სულის ლამაზი მღელვარება გამოეხატა.

ამ წუთებში ის ანთებული იყო იმ მაღალი შეგნებით, როდესაც საბჭოთა ადამიანი ხედავს თავისი კოლექტივის, თავისი კუთხის, თავისი ერის გამარჯვებას, როდესაც თვალს უსწორებს მშრომელთა უამრავ მტერს, ამაყად გაჰყურებს მთელ ბუნებას და ღრმად არის დარწმუნებული მომავალ თაობათა ბრწყინვალე წინსელაში.

და ბოლოს, მშენებლებთან ერთად რომ ბელადს ტაშს უკრავდა, მომღიმარე სახეებს რომ თვალს ავლებდა, მთელი არსებით გრძნობდა, რომ აქ იყო არა მარტო წრფელი სიყვარული, არამედ უღრმესი სიამაყე, რომელსაც ქართველი კაცი მშობლიური ალერსით გამოთქვამს ხოლმე: „ჩვენი კობა“, „ჩვენი სტალინი“.

შეწყდა ტაში. დარბაზში ხალხი აირია.

ანგარიშმიუცემლად მიმოიხედა აბესალომმა და უკანა რიგებში ნანუ დაინახა. მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა და აბესალომს მოეჩვენა, რომ ნანუს თვალებში მწუხარე საყვედურთან ერთად მომლოდინე შუქიც გამოკრთოდა.

გული აუთრთოლდა, ქუდს ხელი დაავლო და მისკენ გაეშურა. მაგრამ ფიცარნაგიდან რომ ჩადიოდა, წინ ხელგაშლილი ნატო შეეგება. იგი მშენებლობის მთავარ ინჟინერს მოუძღვებოდა.

ეს ხერხი ნატომ ადვილად მოიფიქრა: მთავარი ინჟინერი კრების გახსნის შემდეგ მოვიდა თბილისიდან, აბესალომი არ ენახა და ახლა მისასალმებლად მიიწევდა მისკენ.

— დიდებული იყო, დიდებული! — წამოიძახა ნატომ და აღტაცებით მოხვია ხელი აბესალომს.—ჩემს სიცოცხლეში ასეთი სიხარული არ განმიცდია! თქვენ ჩვენი ნამდვილი გმირი ხართ! აგერ ჩვენი მთავარი ინჟინერიც დამიმოწმებს,—არა, გედევან ვასილიჩ? — მიუბრუნდა ის გედევანს, რომელმაც აბესალომს ხელი გაუწოდა.

აჩქარებული აბესალომი უნებლიედ შეჩერდა, ნატოს მხარი მოარიდა; რატომღაც არ უნდოდა, რომ ეს ქალი შეხებოდა მას ახლა, როდესაც ნანუსაკენ მიისწრაფოდა. გედევანს კი ხელი ჩამოართვა, იძულებული იყო მისი რამდენიმე მისასალმებელი სიტყვა მოესმინა. თან ცალი თვალი იმ კუთხისაკენ ეჭირა, სადაც ნანუ ეგულებოდა.

და სწორედ ამ დროს ჩაწვდა გულში ნანუს მიერ ნასროლი ბოძალი. იელვა თავიდან, ფეხამდე ელვასავით დაუარა. ეს იყო სიძულვილზე უფრო მძაფრი გრძნობით ანთებული თვალები, ნანუს საყვარელი თვალები, რომლებშიაც აბესალომი და ნატო ერთად აღქმულიყვნენ. გაქვავებულივით იდგა იქ ნანუ და თვალი დაესო აბესალომისა და ნატოსათვის. ამ წუთს აბესალომს მოეჩვენა, რომ ნანუ ახლა მზად იყო შურისგების ცეცხლად ექცია თავისი შეურაცხყოფილი გრძნობები და იმ ცეცხლში დაეწვა ნატოცა და აბესალომიც.

— დიდად მოხარული ვარ სწორედ, რომ ჩვენმა მშენებლობამ ასეთი სახელი დაიმსახურა,—უთხრა გედევანმა და აბესალომი უცებ გამოერკვა, ნანუს შორიდან გულღიად გაუღიმა, გედევანს შეხედა და მყისვე დამშვიდდა: „მაშ ეს არის, მეტი არაფერი?“ გაივლო გუნებაში და გამხიარულდა.

სხვა დროს უთუოდ მიაქცევდა აბესალომი ყურადღებას ნატოს სახის გამომეტყველებას, მისი თვალების მოტრფიალე ელვარებას, მაგრამ ახლა მას ხომ ყველა ასეთივე აღტაცებით ულოცავდა. იქნება ამდენ ხალხში ერთმანეთ გულღვარძლიანი მეშურნეც იყო, მაგრამ სად შეეძლო ახლა აბესალომს მტრობისა და ვერაგობის ჯურღმულში ჩაეხედა, როდესაც ასე უხვად აღმოცენებული სიხარულის ყვავილებს ჰკრებდა. მხოლოდ ერთხელ ოდნავ ეუცხოვა, ფიცარნაგთან გაშეშებული ლევანი რომ შეამჩნია; არ ეცალა, თორემ უთუოდ ჰკითხავდა—ასე მწარედ რამ დაგაღონაო.

აბესალომის გვერდით მდგარ ნატოს კი არც ლევანის მზვერავი მზერა გამოპარვია და არც ნანუს თვალთა ისრები. ბოლოს, როდესაც ნანუ კარს მიეფარა, აბესალომს კვლავ ხელი გამოსდო და მზრუნველობით უთხრა:

— გავყვეთ აწი, ნუთუ არ დაიღალეთ? ამდენი გზა გამოიარეთ, ამდენი მღელვარება განიცადეთ...

კართან ჯერ კიდევ გარეთ მიმავალი ხალხი იყო შეჯგუფებული და შეჩერებულ აბესალომს ძალაუნებურად უნდა ეგდო ყური ნატოს ქათინაურისათვის, მაგრამ როგორც კი ჰაერზე გავიდნენ, მაშინვე განშორდა მას და ნანუს ძებნას შეუდგა.

კორდს აჰყვა და რატომღაც მოეჩვენა, თითქო სრულიად არ უხდებოდა კლუბიდან გამოსულთა ხმაური ამ ნშვიდსა და ნათელ ღამეს.

მთვარის შუქით განათებული მთებიც ისე მოჩანდა, თითქო ამ გოლიათებსაც სუროსფერი ნაბადი წამოესხამთ და ჩასძინებიათო.

ბადრ მთვარეს მეთოლიების გუნდებივით უახლოვდებოდნენ დასავლეთიდან დაძრული ღრუბლის თხელი ქულები, რომლებშიაც ვარსკვლავები ისე გამოკრთოდნენ, ვით სიყვარულით მიბნედილი თვალები.

ყველა ჯგუფი შეათვალიერა აბესალომმა, მაგრამ ნანუ ვერსად იპოვნა. ჯერ კიდევ კარგ გუნებაზე იყო, პირზე საოხუნჯო სიტყვები ადგებოდა, რომ ნანუს ეჭვი სასაცილოდ აეღო; თან ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თობ საამო აზრი უტრიალებდა თავში: „აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! იმ ქალის თამამ საქციელს შეუშინებია... შესაძლოა სხვა რამეც დაერთო ამას. მაგრამ რა? არა, უთუოდ ეს არის, დაეჭვებულია. აკი ერთხელ სთქვა ნანუმ: ადამიანს რომ სიყრმის ოცნების კოშკი დაემსხვრევა, განა ღირს მერე ახლის შენებაო... აჰ, ნანუ, ნანუ, შენ ჯერ არ იცნობ აბესალომს!

სთქვა გულში ეს და ირგვლივ მიმოიხედა. მშენებლები საცხოვრებელ ბინებს უახლოვდებოდნენ, ნანუ კი ვერსად აღმოაჩინა.

უცებ შეეცვალა განწყობილება, რაღაც შიში იგრძნო. ვინ იცის, როგორ სწუხს ახლა ნანუ. მარტოა, არავინ მის სიახლოვეს არაა, არც მამა, არც...

ნაბიჯს აუჩქარა, სახე ოფლით შეეკონა, ისე შეწუხდა, თითქო ახლა სიკვდილის პირად დგას ნანუ და როგორმე უნდა მოუსწროსო.

მუხას რომ გასცილდა, მაშინ მოჰკრა თვალი მარტოდ მიმავალ ნანუს. იმ წამს მის მეტს ვერაფერს ხედავდა აბესალომი. მოწყვეტით გადახტა და სწრაფად დაეწია.

— ნანუ!

გაშეშდა ნანუ. ძლივს მიიბრუნა პირი.

გულაძგერებულ აბესალომსაც ენა ჩაუვარდა, უსიტყვოდ უცქირა ერთხანს, მერე ფეხი მოიცვალა, ოდნავ გასაგონი ხმით ჰკითხა:

— რა დაგიშავე, რას მემდური, ნანუ?

მთვარის შუქი ეფინა ნანუს სახეზე და აბესალომმა ნათლად დაინახა:

ჯერ ნიკაპი შეერხა ნანუს, მერე ტუჩები; დახრილ წამწამებს მოწყდა ცრემლი და მჭრქალ ღაწვებზე დაგორდა.

ამით სულის ისეთი მწუხარება გამოხატა, მის დუმილშიაც იმდენი ნაღველი იყო, რომ აბესალომს ზარი დაეცა, თან ისე შეეცოდა ნანუ, მზად იყო ბუმბულივით აეტაცა ხელში და კოცნით ამოეშრო ცრემლით დანამული თვალები.

ის იყო, კიდევაც ასწია ხელი, მაგრამ ნანუ უმალვე გამოერკვა, სახეზე სასტიკი მრისხანება აღებეჭდა.

— უკაცრავად!.. მე თქვენთან სამდურავი ან კი რა უნდა მქონდეს!

ესა თქვა მხოლოდ, აბესალომს თვალი აარიდა და ერთობ სწრაფი ნაბიჯით გაეშურა ბინისაკენ.

რამდენიმე კაცმა ჩაუარა გვერდით აბესალომს, განცვიფრებით შეათვალიერეს; ერთმა მშენებელმა დალაპარაკებაც კი დააპირა, მაგრამ ისეთი ღრმა ფიქრი ამოიკითხა მის სახეზე, რომ აღარაფერი აღარ უთხრა, გზა გაგრძო, მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ კვლავ მიიხედა უკან.

„არა, აქ რაღაც სხვაა“,—თქვა გულში აბესალომმა. ამით თითქო ოდნავ დამშვიდდა, ერთხანს გაჰყვა გზას, მაგრამ შემდეგ უცებ შემოენთო. საშინელი ცეცხლი, ბოლმამ სული შეუხუთა.

სად წავიდეს? განა შინ მისვლა შეუძლია ახლა აბესალომს?

მყისვე გზიდან გადაუხვია და ხევისკენ გასწია.

სიყვარულით იყო აბესალომი გახელებული; ახლა მარტოოდენ ბუნების წიაღში თუ იპოვნიდა სულის მოსათქმელ ადგილს.

კარგა მანძილი გაიარა და მშენებელთა სახლებისაკენ მიიხედა. არავინ მოჩანდა. მცირეოდენი შვება იგრძნო თითქოს; გაბუტულ ბავშვივით ეამა, ყველანი რომ თვალს მიეფარნენ.

მაგრამ როგორც კი გზა განაგრძო, წამსვე აუტანელმა სევდამ შეიპყრო.

შორეულ ქედებს გაჰხედა და მრისხანედ წამოიძახა:

„მაშ, აგრეა, აჰ“!..

აი, თურმე როგორ ცდებოდა აბესალომი! გამოუცდელი ბალღი ყოფილა ამოდენა კაცი! ეგონა, ქალის გულში ვზივარო, იქ კი, ვინ იცის, რა ხდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, ასე როგორ მოტყუვდა?! ნუთუ ეს შესაძლებელია?!

ნანუს სახის უკანასკნელი გამომეტყველება მოეჩვენა და თავი გაიქნია, თითქო რაღაც მზარავ ზმანებას თვალი უნდა აარიდოსო.

საოცარია, ეს სიძულვილი მაინც რითი დაიმსახურა?! თუმცა სიძულვილი კი არა, მგონი რატომღაც გაჯავრებულია... აჰ, ვინ იცის...

ხევის პირად ჩამოჯდა. უნებლიედ მიუგდო ყური მდინარის ჩხრიალს.

გალმა მთვარის შუქი ეფინა კლდოვან კბოდეებს; ნაირნაირ ჩუქურთმებივით გამოკრთოდნენ ჟამთასვლაში დალარული სალი კლდეები. ხოლო ქვევით — ვეება ლოდები დაყუდებულიყვნენ წყალში და ხავსიან მკერდს უშვერდნენ მაღლა ატყორცნილ შხეფებს.

ნანასავით უალერსებდა აბესალომს ამ ნათელ ღამეში მდინარის ეს გაბმული შრიალი; ისეთი სიმშვიდე სუფევდა ირგვლივ, თითქო ნიავიც არ შეხებოდეს მთვარის სხივებში მთვლემარე მინდვრის ყვავილებს.

თანდათან დამშვიდდა, გონს მოეგო. ხვალინდელი საქმეები მოაგონდა.

ადგა და ნელის ნაბიჯით გაემართა შინისაკენ. გულში მაინც მწვავე სევდა უღვივოდა, თითქო სასაფლაოდან ბრუნდებაო...

VIII.

სტანდარტული სახლის ოთახი, რომელშიაც ნანუ და გეოლოგი—დარინე მინდაძე ცხოვრობდნენ, საკმაოდ ფართო იყო. შუა ადგილას მაგიდა იდგა. ირგვლივ კი მოხდენილად იყო განლაგებული: ორი საწოლი, ლამაზად გაწყობილი, ერთიც პატარა—ბავშვისათვის; ორი კარადა, თაროედი. წიგნებით სავსე, რამდენიმე სკამი; ორიოდე პორტრეტი თეთრად შელესილ კედლებზე.

ნანუმ რომ კარი სწრაფად შეაღო, დარინემ მკაცრად შეუბღვირა და ჩუმი ხმით უთხრა:

— ნელა, ცავ! ბაღანაი არ გამოიღვიძო!

მერე ბავშვისაკენ მიიხედა და სიყვარულით ჩაილაპარაკა:

— სძინავს მისი ჭირიმეს!

ტანმორჩილი ქალია დარინე მინდაძე, გამხდარი. მოგრძო სახე აქვს, საოცრად ფერმკრთალი; ცოცხალი, შავი თვალები, გადაშვილდული წარბები, სწორად ჩამოქნილი ცხვირი, ეშხიანი ტუჩები; სქელი, შეკრეჭილი თმა ისე აქვს შემობარდნილი, რომ ყურები სრულიად არ უჩანს. სიცილის დროს ღაწვები მეტისმეტად უნაოჭდება და ხანდაზმულობის იერი აუშნოებს, თუმცა ჯერ ოცდაათი წელიც არ შესრულებია.

ახალგაზრდობისას კი ერთობ ცქრიალა, პირსავსე და სანდომიანი გოგონა იყო, თავმომწონე, გაბედული. მშობლებს თბილისში ძალით გამოექცა. უნივერსიტეტში მოეწყო, დამოუკიდებლად ცხოვრებას ესწრაფოდა. საუბედუროდ, ერთ ისეთ სტუდენტს გადაეყარა, რომელმაც ეს მისი მისწრაფება ბოროტად გამოიყენა, ერთხანს იცხოვრა მასთან და მერე განშორდა.

ყოველივე ამან თავისებური დაღი დაასვა ამ ისედაც თავნება ადამიანს.

ამ მშენებლობაზე რომ გადმოვიდა, გადაწყვიტა, გათხოვებაზე აღარ ეფიქრნა. აქ მართლაც მეტად განკერძოებული იყო, მარტოოდენ მუშაობით იყო გატაცებული. მამაკაცურად იცვამდა; ხშირად უთანამგზავროდ დადიოდა მთებში გეოლოგიური გამოკვლევებისათვის. ამაყობდა, რომ მამაკაცს არ ჩამოუვარდებოდა არც შრომაში და არც გამბედაობაში.

მაგრამ ხანდახან მოულოდნელად შეეპარებოდა ხოლმე გულში სევდა. თითონაც არ იცოდა, რომ ეს იყო წლო-

ვანების ხარკი, სულიერი კრიზისი ქალისა, რომელსაც ტიალ მინდორზე მოშრიალე ხესავით შეუშვერია პირი შემოდგომის სუსხიანი ქარისათვის და თვალნათლივ ხედავს, როგორ სცვივა დამჭკნარი დღეები ახალგაზრდობისა, ყვითელ ფოთლებივით რომ იმარხებიან მტვერსა და სილაში.

დაენანებოდა ხოლმე ასეთი განწყობილების დროს დარინეს თავისი თავი, უსასოო ფიქრები შეიპყრობდა. რატომ უნდა ჩაიაროს ასე უნაყოფოდ მისმა ქალობამ? რამდენი იყო მისი ხნის გოგო, სოფელს არ გაცილებია, არ უსწავლია, ახლა ყველა ქმარშვილიანია. დარინემ რა დააშავა? რატომ დარჩა ის ასეთი უიღბლო?

ძილშიაც ჩაჰყვებოდა ეს ფიქრი, განთიადს შეშფოთებული ეგებებოდა. იმ დღეს არავისთან საუბარი არ ეხალისებოდა. მარტოდმარტო გასწევდა სამუშაოდ მთაში.

ხოლო მას შემდეგ, რაც ნანუმ ბავშვი ჩამოიყვანა, დარინეს თითქო აღარ ეცალა კაეშნიანი განწყობილებისათვის. უსაზღვროდ შეუყვარდა გოგი; სხვა არაფერი უნდოდა, ოღონდ გოგისთან ყოფილიყო, მასთან ესაუბრა, მასთან ეთამაშნა.

გოგი დღისით ქეთევანთან იყო, სალამოობით კი დარინე ხშირად მიასწრებდა ნანუს და ბავშვს წამოიყვანდა. ერთხელ ამ ნიადაგზე ქეთევანს კინაღამ წაეჩხუბა.

— იცი, ცავ, შენ რომ კლუბში წადი, მერე რამდენი ვითამაშეთ მე და გოგიმ!—მიახარა ახლა ბავშვის საწოლთან მისულ ნანუს.—სანამ არ გავუწყერი, არ დაიძინა... არა მართლა, ნანა ვუმღერე. მიმზირა, მიმზირა და ნელა მიერულა თვალები...

კარგა ხანს უცქირა ნანუმ ბავშვს, ფრთხილად შეახო ქოჩორზე ხელი. ოდნავ თითქო დამშვიდდა, სახეზე შვილისადმი სიყვარულის ნათელი შეეფინა... მაგრამ აგერ ჯერ თვალებზე თითქოს დოლბანდი გადაეფარა, მერე უცებ ნისლივით გადნა ... დავს, როგორ ეხვევა ნატო ... როგორ უცინის!...

ღია ფანჯარასთან მივიდა ნანუ, ჩამოჯდა... ერთხელ კიდევ შეეცადა ათასჯერ გადასინჯულ ფიქრებში გარკვეულიყო.

იქნება რაიმე მანკი აქვს ნანუს და ეს ამახინჯებს მის ქალობას? იქნება ესაა მიზეზი, რომ ოცნება და სინამდვილე ერთი მეორისაგან ვერ გაურჩევია. იქნება არ შეუძლია ბოლომდე ვინმე შეიყვაროს ისე, რომ მასში რაიმე საძულველი არ აღმოაჩინოს? შესაძლოა ავადმყოფურია მისი წარმოსახვა და ვაჟი მხოლოდ შორიდან მოსწონს. განა ასე არ მოხდა? მაშინ იყო და ის მზაკვარი გადაეყარა, ახლა კი... არა, როგორ წარმოიდგენდა, რომ აბესალომი სხვაში გაცვლიდა. მერე ვისში? იმავე ღრეიძის ქალში!..

კვლავ ნატო დაუდგა თვალწინ; შეკრთა, თითქოს გველებით სავსე ხვრელს წააწყდაო. ჯოჯოხეთურ წამებას ჰგვრიდა ამ ქალის გახსენება. ისე მონუსხული იყო, რომ სულ ადვილად წამოეგო ნატოს მიერ ნასროლ ანკესზე.

სივრცეს გაჰყურებს ახლა ნანუ და ერთსადაიმავე კითხვას უმეორებს თავისთავს:

ნუთუ არ შეიძლება, ადამიანმა ადამიანის გულში ჩაიხედოს?! უყურებ — კაცი გიღიმის, ასე გგონია მისი ნათელი სული მის თვალებში გამოსჭვივესო. მიუახლოვდები, გინდა დატკბე თანაზიარი მისწრაფებით, მაგრამ უცებ ჩამოვარდება პირბადე, საშინელი სიმახინჯე შემოგეფეთება და სიკვდილს მოგანატრებს...

ხანდახან სულ მცირე შუქი შეიჭრებოდა ამ უსასოო ფიქრებში და თვალწინ დაესახებოდა გულმართალი, უცვლელი აბესალომი.

განა დღეს რაიმე თვალთმაქცობა ამოიკითხა ნანუმ მის სახეში? როგორ

გაეხარდა, გვირაბთან რომ დაინახა, როგორ აღტაცებით მიაშურა! მერე კიდევ ამ საღამოს, მოხსენების დროს, რა მიმზიდველი, საყვარელი გამომეტყველება ჰქონდა!..

მაგრამ სულ მალე ჩაჰქრებოდა ეს სინათლე, აბესალომს მზარავად მომღიმარე ნატო მიელაციცებოდა, მხარზე ხელს მოხვევდა, თვალებში შეჰყურებდა...

და ისევ შესძაგდებოდა ნანუს ყველაფერი. მოეჩვენებოდა, თითქო ორი უზარმაზარი ქვეყანა ებრძვისო ერთიმეორეს, და სწორედ ის იმარჯვებს, რომელსაც მზაკვრობისა და ბოროტების მეტი არა გააჩნია რა.

დარინემ ჩაი დაასხა, ერთხანს უსიტყვოდ უცქირა ფანჯარასთან განთვისებულ ნანუს, მერე დაყვავებით უთხრა:

— კაი ახლა, ნუ იცი შენ ასე მოწყენა! რა გაქვს ამდენი სადარდო, რომ არ ვიცი! მოდი, ერთი ჭიქა ჩაი დალიე.

— გმადლობ, რას მეპატიჟები... მოისვენე აწი შენ. მეც მალე დავწვები,— უთხრა ნანუმ და კვლავ თავის შავ ფიქრებში გაერთო.

დარინემ ჩაით სავსე ჭიქა განზე გასწია, იდაყვს დაეყრდნო და ნანუ შეათვალიერა:

„რა მოუვიდა ნეტაი ამ ციცას? ეს მესამე დღეა, სულ გამოიცვალა... დღეს გახარებული უნდა იყოს, აბესალომი ჩამოვიდა“.

გაიფიქრა ეს და უცნაური აზრი დაებადა; ადგა, ნანუს მოეხვია და გულუბრყვილოდ უთხრა:

— ნანუ, ცავ! ერთი რამე უნდა გკითხო და არ გეწყინოს.

— რა?

— რაი და, კაცი რომ გიყვარდეს, ნამდვილი, წმინდა სიყვარულით გიყვარდეს, შემთხვევამ რომ მოიტანოს, იმის გულისათვის ბალანას დათმობ?

— ვერ გამიგია, როგორ თუ დავთმობ? ვის დავუთმობ?

— ჰო-და, შე ქალო, თუ არ დათმობ, აგერ არ გყავს!.. რა მოგიდგება? რაა ეს, დანა რომ პირს არ გლეჭს?

ნანუმ პასუხის მიცემა ვერ მოახერხა, ადგა და ბავშვს დახედა, თითქო დარინეს შეკითხვამ შეაკრთოო.

დარინემ თვალი გააყოლა, რაღაცა თითქო იაზრა. მიეახლა, ხელი მოხვია.

— იცი, ცავ... ასე მოწყენილს რომ გხედავ, ათასი აზრი მიტრიალებს... რაცხას მიმალავ შენ, უსათუოდ მიმალავ... აბესალომმა ხომ არ გაწყენია? ნეტავი მენახა დღეს,—თვალებში შევატყობდი თუ რამე ცვლილება მოხდა მის სულში... ისე კი მაგ მზაკვარ ნატოიას რომ აქიდან ვინმე გადაათრევდეს, რა გინდა ჩემი...

ნანუს მთელი სხეული შეეკუმშა, თავს ძალა დაატანა, რომ არ ატირებულიყო და მეგობრისათვის ყველაფერი არ ეამბნა. თავს არ უმხელდა, თორემ ჯერ კიდევ ჰქონდა მცირეოდენი იმედი, რომ შავი ბურუსი უცებ გაიფანტებოდა და აბესალომი წინანდელ სახეს მიიღებდა. ეგონა, დარინეს რომ ჩემი მწუხარება გავუმხილო, ეს იმედიც გამიქარწყლდებაო.

— განა არ გამოგიცდია: ხანდახან ნამდვილად არც კი იცი, თუ რა გაწუხებს, ისე შეგიპყრობს ხოლმე ნაღველი.—უთხრა დარინეს და თავი გაითავისუფლა, ოთახში გაიარ-გამოიარა.

მერე, ვიდრე დაწვებოდა, გულმა მოსთხოვა და ფანჯარასთან მივიდა.

ცის დასალიერამდე შეგუმბათებულ მთაგრეხილს გასცქეროდა და ისე შორიშორს რჩებოდა მისი ფიქრები, როგორც ამ მთვარიან ღამეში მკრთალი ნათელით შესუდრული მწვერვალები.

ირგვლივ სრული სიჩუმე იდგა. მშენებლებს ეძინათ.

უეცრად ქვევით, ხეივანში რაღაც ჩრდილს მოჰკრა თვალი.

კვიპაროზს ხომ არ ეფარება ვინმე?

დააკვირდა და ოდნავ გადახრილ შტოებთან აბესალომის სახე გამოკრთა.

გული შეუქანდა. იმდენად მოულოდნელი და ტკბილი იყო ეს წუთი, რომ სულ ყველაფერი გადაავიწყდა, ფანჯარაში თავი გადასწია და უნდოდა ხმამაღლა დაეძახა აბესალომისათვის, ეთქვა, რაც ამ დღეებში წამება განიცადა მისმა მონატრულმა.

მართლაც და, რამ გაახელა ნანუ? განა აბესალომი ახლა აქ მოვიდოდა, რომ მისი სიყვარული არ ჰქონდეს? სხვა ყველაფერი მოჩვენებაა, ბურუსია; აბესალომი აქ არის, გულმართალი აბესალომი. მოდი, გულო! განა უშენოდ ცხოვრება შეუძლია ნანუს? არა გრცხვენია, ამდენი რომ დაიგვიანე? ხედავ, რა ძნელი ყოფილა მარტოობა?

უნდოდა ეთქვა ეს, მაგრამ ხმა ჩაუწყდა, წამიერი აღტაცება საშინელმა სინამდვილემ ჩაახშო: აგერ ის საზიზღარი ქალი ეხვევა აბესალომს, თვალებში შეჰყურებს და რაღაცას ეხმატკბილება. აბესალომიც ყურს უგდებს, კიდევაც უღიმის...

განრისხდა ნანუ, თავი ამაყად ასწია, თვალებში ცეცხლი აენთო.

აბესალომი რომ უფრო ახლო ყოფილიყო, უთუოდ შეძრწუნდებოდა. შორიდან ვერ დაინახა ნანუს სახეზე მომხდარი ცვლილება, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ ნანუ კვლავ გაჯავრდა და ფანჯარას იმიტომ მოშორდა.

ქვედა ტუჩს კბილი დაასო აბესალომმა, რომ გულში აღძრული ტკივილი დაეხშო. ის იყო, ამ წუთას მოვიდა აქ, ხევიდან გამობრუნებული. ნანუს პირველი სიხარული იგრძნო და აღფრთოვანდა. ახლა კი ისევ ეს ნაღველი...

შებრუნდა და მძიმედ გაემართა შინისკენ გულჯავრიანი...

IX.

ნატო მშენებელთა ჯგუფს ჩაფიქრებული მიჰყვებოდა. საუბრის ხასიათზე არ იყო. კლუბიდან რომ გამოვიდა და აბესალომი ჩამოშორდა, მაშინვე მიხვდა, თუ ვის დაეძებდა ის... საცაა ნახავს აბესალომი ნანუს და ყველაფერი გამოირკვევა.

უთუოდ შეცდა ნატო, ასე ადვილად არ მიატოვებს აბესალომს ნანუ, ესეც ხომ რევაზ კორდელი არაა. თანაც კიდევ იმ წერილს უჩვენებს ნანუ აბესალომს და მორჩა,—ნატოს გარეთ აღარ გამოესვლება.

იქნება ამისთვისაც შემოეკლო გვერდი, რაიმე გამოსავალი ეპოვნა, მაგრამ რა უყოს ამ უეცრად ანთებულ ვნებას?

რამდენი რამ გადახდომია ცხოვრებაში ნატოს, აგერ ოცდახუთმეტი წლის ქალია, მაგრამ ასეთი ცეცხლი ჯერ არ გაღვივებულა მის გულში.

იქნება სიბერე მოუახლოვდა და წყალწაღებულივით ხავსს ებღაუჭება?

აჰ, არა, ოცი წლის ქალიშვილი რომ იყო, მაშინაც არ განუცდია ასეთი მოუთმენელი წყურვილი.

აბესალომი ახლა მისთვის მარტოოდენ სასურველი როდი არის, აქ რაღაც სხვაა, უფრო დიდი, უფრო ღრმა.

ამას მხოლოდ ინსტიქტით გრძნობდა, იმ ინსტიქტით, რომელიც ყოველ თეორიას, ყოველ მორალურ მისწრაფებას გვერდს უვლის ხოლმე, ან არა და, ცდილობს დაიმორჩილოს იგი, თავისი მსახური გახადოს.

მართალია, დაიმსვხრა, ნაცარტუტად იქცა ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელმაც ნატოს ბუნება გამოსჭედა, მაგრამ ეს ინსტიქტი მაინც ცხოველად ჰფეთქს მასში.

აბესალომი წარჩინებული ახალგაზრდა კაცია, მის ხელთაა ახლა ცხოვრების საჭე, და აი, ეს ყოვლად ძლიერი ჭაბუკი უნდა მიითვისოს ნატომ, მას უნდა დაეპატრონოს.

ასეთი განწყობილებით იყო შეპყყობილი მშენებელთა გვერდით მდუმარედ მიმავალი ნატო, როდესაც მათ რამდენიმე კაცი დაეწია. ესენი ხშირად აწყვეტინებდნენ საუბარს ენა-

წყლიან მანუჩარს და ხმამაღლა იცინოდნენ.

ნატომ მანუჩარს რომ თვალი მოჰკრა, რაღაცა ეამა, ეს ადამიანი ახლა მისთვის ყველაზე მეტად სანდო მოეჩვენა. არავითარ შეთქმულობაზე არ ფიქრობდა ახლა ნატო, მაგრამ გულმა უაზრა, რომ მანუჩარი მისი ახლობელი იყო, მისი იდუმალი ზრახვების თანამოზიარე.

„ეს გამიგებს, ამას შეიძლება დაენდოს კაცი“,—გაიფიქრა ნატომ და მანუჩარს მიუახლოვდა, გულგახსნილი ღიმილით დაუკრა თავი. უნდოდა ხელი გამოედო და დაემარტოვებინა, მაგრამ ამ დროს ერთმა თანამგზავრმა მიმართა მანუჩარს:

— თუ კაცი ხარ, მანუჩარ, ერთი ამ ამხანაგებს მოუყევი, შენ რომ დათვის ბელი დაიჭირე!

მანუჩარმა ულვაშებზე გადაისვა ხელი და მშენებლები შეათვალიერა.

— რაღაი ახლა, რა, — წამოიწყო მან. ესენი მე კარგად არ მიცნობენ და იქნება ქე არ დაიჯერონ.

— რატომ, ამხანაგო მანუჩარ, ბრძანეთ!—შეაგულიანა ახალგაზრდა თანამგზავრმა.

— თქვენი ნებაა. თქმა ადვილია, მარა... მართლაც რომ საკვირველება იყო სწორედ! ჩემი კუბო დაგედგათ, თუ ერთი ტყუილი გამოვურიო. მონადირეებს ქე ჩვევიათ ცოტა გადაჭარბება, მარა ეს ხომ ნადირობის დროს არ შემმთხვევია... ჰო-და, მივდივარ, ყმაწვილებო, დაბურულ ტყეში. საშინელი აღმართია და ცხენი აღვირით მიმყავს. დიდი ხანი კი არაა მას შემდეგ. აგერ ახლა იყო, ხეტყის დამზადებაზე ვიყავი. წყაროსთან შევისვენე. ცხენი ხეზე მივაბი, სული მოვითქვი. გევიხედე და რას ვხედავ! აგერ გზის პირად დაცუცქულა ორი ბელი; სულ პატარებია, მგონია თვალიც არა აქვთ ახელილი. ისე საცოდავად მიედოთ ერთმანეთზე თავი ამ ორ ბუნთულა ბელს, რომ მათი აყვანა და გულზე მიხუტება ერთ რამედ ღირდა სწორედ! ... მოვითმინე, ფეხაკრეფით მივუახლოვდი. ... იყო დააპირეს ხევში დაგორება, რომ ხელი დავავლე ორივეს, ავიყვანე და მივეფერე. ქე მოგეხსენებათ, რა საყვარელია, სანამ რომელიმე ნადირის ლეკვი გაიზრდება და გამხეცდება. ისე აფათურებდენ თათებს მკერდზე, გეგონებოდათ ძუძუს ეძებენო. „ნუ გეშინიათ თქვე საწყლებო, წაგიყვანთ და იმდენ რძეს გასმევთ, რომ ეს ტყე სულ დაგავიწყდებათ-მეთქი“, ვეუბნებოდიყე გუნებაში. ამ დროს გევიხედე და რას შევხედე! ახლაც მიკვირს, გული რატომ არ გამისკდა მაშინ! აგერ ფერდობზე მოდის, მარა რა მოდის! დათვის მეტი რა მინახავს, ერთი მომიკლავს, თუ ორი, მარა ეს რაღაცა უსაშველო იყო. გავშეშდი, ეს ბელები ქე მყავს გულზე მიხუტებული. მინდა მევიშორო, მარა ხელის განძრევა არ გინდა! ის კი, ის ბანჯგვლიანი, დევივით მოდის, თვალს არ მაშორებს. არ ვიცი, ტარიელი როგორ მოერია ლომსა და ვეფხს, ალბათ, მართლაც დიდი ვაჟკაცი იყო, მარა თქვენ ჩემი მდგომარეობა უნდა წარმოიდგინოთ. ეს ოხერი, ეს ბელები, წინათ რომ სულში მინდოდა ჩამესვა, ახლა ცეცხლად იქცენ და მწვავენ, საშველი აღარაა. იარაღი მაინც მქონოდა რამე. აგერ, ეს დანა რომ მკიდია, ამის მეტი არაფერი გამაჩნდა. მაინც რამე უნდა მოვიფიქრო, თვარა მშვიდობით, მანუჩარ! ამასობაში ერთი დაიღრიალა და ისკუპა დათვმა. უთუოდ განწირული არ ვიყავი. არ ვიცი, როგორ მოვიფიქრე, ერთ ბელს დავავლე მარცხენა ხელი და დაღებულ ხახაში ჩავუტენე დათვს, მეორეთი კი ეს დანა ვიშიშვლე და შიგ ყურში ჩავჰკარი. მაინც წავიქეცი. დანა რომ ხელში არ შემრჩენოდა, არ უნდა ლაპარაკი, დავიღუპებოდი. მარა დაჭრილმა დათვმა რომ ქვეშ მომიქცია, ისე გავშმაგდი, რომ თითქმის მთლად ავკეპე. მერე კი,

თქვენ არ მომიკვდეთ, ცხენზე რომ შევჯექი და წამოვედი, თავი ყარამან ყათილი მეგონა...

— კი, მაგრამ, მანუჩარ, მაშინ მგონია მე შეგხვდით და არც დათვის ტყავი ჩამოგიტანიათ და არც ბელი ჩამოგიყვანიათ. — მიმართა ერთმა, რომელიც სიცილს ძლივს იკავებდა.

— მოდი ახლა და კითხე შენ ამას რამე! — გაიკვირვა მანუჩარმა. — კაცმა ნაღდ სიკვდილს თავი დავაღწიე და დათვის ტყავი და ბელი მომაგონდებოდა მაშინ!.. მერე, სოფელს რომ მიკუახლოვდი, გლეხები შემხვდენ და იმათ ვუთხარი—ამადაამ ალაგას მოკლული დათვია და წადით, ტყავი გახადეთ, ღმერთმა მოგახმაროთ მეთქი. — დასძინა ბოლოს მანუჩარმა, რომ მთელი ეს ამბავი, ტყეში მარტოდ სიარულის დროს შეთხზული, უფრო დასაჯერებელი გაეხადა.

ნატო მანუჩარს გვერდით მიყვებოდა, მაგრამ მისი ნაამბობი არ მოუსმენია, სულ იმაზე ფიქრობდა, თუ კიდევ რა ზერხისათვის მიემართა, რომ ნანუ აბესალომისაგან ჩამოეშორებინა. რამდენადაც ეჩქარებოდა ამ მიზნის განხორციელება, მით უფრო რთულდებოდა იგი. რამდენი გეგმაც წარმოესახა, ყველა ხუხულასავით დაენგრა. ბოლოს, საერთო სიცილი რომ ატყდა, ზრდილობისათვის თვითონაც გაიცინა, გუნებაში კი გულშემატკივარ ნათესავივით გაიფიქრა: „საწყალი მანუჩარი, ვერც კი ამჩნევს, როგორ ალაზღანდარებენ ეს ვიგინდარები“.

არა, რაში უნდა გამოადგეს ნატოს ეს გამასხრებული კაცი? ან არის კი სანდო? მაინც გაესაუბრება, ვინ იცის, იქნება რაიმე მოისაზროს.

გადასახვევთან გამოდო მანუჩარს ხელი, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქო რაღაც საიდუმლო უნდა გაანდოსო.

— საით მიგეჩქარებათ, ბატონო მანუჩარ?

— არსად, ნატოს შემოვევლე! თქვენს სიახლოვეს იყოს კაცი და სხვაგან მიეჩქარებოდეს! ხა, ხა.—ეშხიანად გაიცინა მანუჩარმა.

— როგორ მოგეწონათ დღევანდელი მომხსენებელი?

— ვინ, აბესალომი? ჰო, პირდაპირ სულში მინდოდა ჩამეძვრინა!

— ჰო, მართლა! ალურიძის ქალს, ინჟინერს, ხომ კარგად იცნობთ?

— ისე, შორი-ახლო...

— ხომ იცით, საწყალი რევაზი მაგან დაღუპა. მაგან და მამამისმა გასცეს უბედური. მაგას რა ენაღვლება, დაბრძანდება თავისუფლად. არც საყვარლებს იკლებს. ახლა აბესალომთან ხლართავს საქმეს. არა, სიმართლე თქვით, მანუჩარის ჭირიმე, ასეთი დედაკაცი დასანდობია? მაგი უნდა დანავარდობდეს ასე და ის ოქროსავით კაცი—ჩვენი რევაზი სადღაც ჯურღმულში უნდა იხრჩობოდეს?..

— არ ვიცი სწორედ, რაზე ბრძანებთ თქვენ მაგას. რევაზ კორდელი მისმა დანაშაულობამ დაღუპა. ეს ქალი კი, პირიქით, მოტყუებული დარჩა.

— როგორ გეკადრებათ, მანუჩარ! — წამოიძახა ნატომ; ხმაზე შეეტყო, რომ გული მოუვიდა. — მაგისთანა მეტიჩარა ქალებმა დაუკარგეს ფასი ცხოვრებას! მაგათ გარყვნეს ყველაფერი!..

მანუჩარმა ულვაშზე მოისვა ხელი და ჰერე ორი თითით სრესა დაუწყო. გუნებაში ეღიმებოდა, მაგრამ სახეზე არ იმჩნევდა. ახლა მივხვდი, რაშიც ყოფილა საქმე!—ფიქრობდა ის.—შენი ეშმაკი ჩემი გაზრდილია. ალურიძის ქალი ისევ გზაზე გეღობება. ვინაა ნეტავი? აბესალომი?.. არა, აბესალომს ამასთან საერთო რა უნდა ჰქონდეს?“

— თქვენ ეს მიბრძანეთ, ალურიძის ქალს აბესალომი ხომ არ თხოულობს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ბრძანებთ, თხოულობს კი არა, თვითონ ეჩრება. მაგრამ ლუარსაბ ღრეიძის ქალი არ ვიქნები მე, თუ ეგ საქმე არ ჩავუშალო!..

თვითონაც არ მოელოდა, ისე აღმოხდა ეს ნატოს. ახლა უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. ამიტომ დასძინა:

— მაგი ყველაფრის ღირსია! საჭირო რომ იქნეს, თქვენც დამეხმარებით,—არა, მანუჩარ?

ამ დროს მანუჩარმა ბინისაკენ მომავალ ლევანს მოჰკრა თვალი და პასუხის მიცემის ნაცვლად გამაფრთხილებელი ხმით თქვა:

— აგერ ლევანი მობრძანდება. ამ საქმეზე მოლაპარაკებას სხვა დროსაც მოვასწრებთ.

მანუჩარის კილოში ნატოს თანაგრძნობა მოესმა, მაგრამ ამან არ დააკმაყოფილა, უფრო გარკვეული რამ უნდოდა. მეტისმეტად აღელვებული იყო, თავის დაჭერა უჭირდა; „არაფერს არ დავერიდები, გველს დავისვამ ხელზე, ოღონდ ჩემი ნატვრა ავისრულო.“ ამბობდა გულში. ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ გარკვეული გეგმა ვერ შეიმუშავა. რა გზით უნდა ჩამოაშოროს ნანუ, როგორ დაუახლოვდეს აბესალომს?—სულ ეს უტრიალებდა თავში და მოკავშირეს დაეძებდა. ლევანი რომ მოუახლოვდათ, უჩვეულო ალერსით მიეგება, მანუჩარს არ მოერიდა, დიდი ხნის უნახავივით მოეხვია.

ლევანს ხმა არ დაუძრავს, მხოლოდ მანუჩარის ჩამოშორების შემდეგ შეეკითხა ცივად:

— რა ქენი, მოაწონე თავი აბესალომს?

— ღმერთო ჩემო, რა გაუსწორებელია ეს ჩემი ქმარი! არ გრცხვენია, ლევან, შენს სიცოცხლეში აღარ უნდა დაანებო თავი ეჭვიანობას? ხა, ხა, ხა, ერთი ამას უყურე! ავიდეთ აგერ ოთახში! — ალერსით დაეშუქრა და ნაბიჯს აუჩქარა.

X.

მოსამსახურე ქალი დაძინებული დახვდათ. ნატო თვითონ დატრიალდა. ვახშამი გააწყო. ლევანი, როგორც ჩანდა, მეტისმეტად დაღლილი იყო, სულ ცოტა შეჭამა და ჩქარა დაწვა. ნატომ შეამჩნია, რომ ძალიან გულჩახვეული იყო, რამდენიც არ გაეალერსა, ქვასავით უგრძნობლად შეხვდა.

ბოლოს საწოლზე ჩამოუჯდა, თავზე ნაზად მოუსვა ხელი და ტკბილად კითხა:

— რამ დაგაღონა, გენაცვალე? მართლა ასე დაიღალე, თუ გეწყინა რამე?

— კარგი, თავი დამანებე!—ჩაიბუზღუნა ლევანმა და კედლისაკენ მიბრუნდა.

— დაიძინე, დაიძინე!—უთხრა ნატომ და თვალები გაუშტერდა, კარგა ხანს დუმდა. მერე ისე წამოიწყო, თითქო თავისთვის ლაპარაკობსო:

— რა დიდებული იყო ამ საღამოს აბესალომი! არ ვიცი, შენ შეამჩნიე თუ არა, მე ისე მომეჩვენა, თითქოს მოსკოვიდან სულ სხვა კაცი დაბრუნდა. აბა, ვინ იფიქრებს, ეგ თუ ოდესმე მჭედელი იყო, სახე გამურული, ტლანქი. ის კი არა, ბატონიშვილივით ეჭირა თავი, სიტყვაც რომ უჭრის! ხომ შეხედე, როგორ აღტაცებით შეეგება ხალხი. სხვა რომ ყოფილიყო, ვერ შეიმშვენებდა... არა, კინაღამ გამეცინა, ჩვენი მთავარი ინჟინერი რომ ისე მოკრძალებულად გაესაუბრა. ახლა ყველა ფეხქვეშ გაეგება. ასეც უნდა, ჩემი მტერი დაუდგა ახლა მაგას წინ, მთავრობაც მაგას დაუჯერებს და პარტიაც. არც ჩვენთვის იქნება ცუდი, ერთ საღამოს ვახშამზე რომ გადმოვიწვიოთ,— არა, ლევან?

ლევანმა თავი მოიმძინარა. ერთხანს უცქირა ნატომ, მერე სახეზე ზიზღი გამოეხატა; ადგა და ფრთხილი ნაბიჯით ფანჯარასთან მივიდა.

შორეულ მთაგრეხილამდის დასული მთვარის შუქი სახეზე პირდაპირ ეფინებოდა. ნელ ნიავს ხევიდან სიგრილე მოჰქონდა. გარემოს გამჭვირვალე მარმაში წამოესხა და სდუმდა რულმორეული.

ნატო სივრცეს გაჰყურებდა, მაგრამ ბუნების სილამაზეს როდი ამჩნევდა, არც თუ რაიმეს ფიქრობდა გარკვეულად, ისე, მთელი არსებით გრძნობდა, რომ დღეს რაღაც ახალი ქვეყანა იხილა. ამ ქვეყნის მბრძანებელი აბესალომია და ნატომ აუცილებლად უნდა დაიპყროს ის. არა, მარტოოდენ ვნება კი არ აღელვებს ახლა მის გულს, უფრო დიდი ცეცხლი წვავს. ეს მეტ სიამაყესა და კადნიერებას ანიჭებს.

აჰ, ეს ვინ არის? ნუ თუ აბესალომია? იმ სახლისაკენ შეუხვია, რომელშიაც ნანუ ცხოვრობს.

ოთახში მიმოიხედა. ლევანს ეძინა. კატასავით გადადგა ნაბიჯი, კარი ისე გამოაღო, ჰაერიც არ შერხეულა. ძირს ჩაირბინა და სახლის კუთხეს მიეფარა.

მცირე ხანს იდგა აქ, ხოლო შემდეგ, როდესაც აბესალომი მიიმალა, მეორე სახლისაკენ გაეშურა, აქაც კედელს აეკრა. ეზოს ძაღლმა შეუყეფა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, სხვა დროს კი შიშისაგან უთუოდ შეიკივლებდა.

აგერ კვიპაროსთან დგას აბესალომი. იმ დედაკაცს უნდა ანიშნოს რაღაც. არაფერია, დაიცადოს, ღრეიძის ქალი ისე არ წახდება, რომ მაგენი ერთმანეთს არ დააშოროს.

გაივლო ეს გულში და აბესალომთან პირისპირ შეხვედრის სურვილი შემოენთო. მყისვე მოისაზრა ის ადგილი, სადაც ეს შესაძლებელი იყო, და იქითკენ გაემართა.

ყოველ წამს მეტის სიმძაფრით გრძნობდა, რომ მოლოდინი აუტანელი ხდებოდა. განსაკუთრებით ის აწამებდა, აბესალომი რომ ახლა ნანუს შესტრფოდა. ო, რატომ არ შეუძლია ახლავე შემუსროს ეს დედაკაცი!

ბრაზი მოერია. სიფრთხილე დავიწყდა. ხეივნისაკენ გაჰყვა გზას.

უცებ შედგა, სუნთქვა შეეკმა. მისკენ მომავალ აბესალომს თვალი ვერ გაუსწორა, თავი დახარა.

აბესალომი იმდენად ღრმად იყო ჩაფიქრებული, რომ ნატო მხოლოდ მაშინ იცნო, როდესაც სულ ახლოს შეეფეთა.

— აბესალომ!—აღმოხდა ნატოს და ეს უკვე მისი ჩვეული თვალთმაქცობა აღარ იყო; მისი ხმა წრფელი იყო და გრძნობით სავსე. უთუოდ გული შეუღონდებოდა, აბესალომი რომ არ მიშველებოდა. მაგრამ როგორც კი ვაჟის მკლავს ხელი დააყრდნო, მაშინვე გონს მოეგო.

— ნუ გაგიკვირდებათ, აქ რომ შეგხვდით! მე... უთუოდ უნდა მენახეთ ეს საღამო ყველაზე უბედნიერესი იყო ჩემს ცხოვრებაში. არ ვიცი, როგორ მოხდა ეს. თქვენ რაღაც ჯადო ჩამოგყვათ მოსკოვიდან. გისმენდით ამ საღამოს და... ახ, რა ძნელია ამის გადმოცემა! თქვენ უთუოდ დაიპყრობთ მთელ ქვეყნიერებას... თქვენში მე ყოვლად ძლიერი ადამიანი დავინახე. ასე მოწიწებით ძველად მხოლოდ ღმერთებს შეჰყურებდენ... ჰო, ამისთვის გელოდით, ეს მინდოდა მომელოცა... თქვენ კი, გატყობთ, ჩემთან შეხვედრა სრულიად არ გესიამოვნათ. არა, დამაცადეთ! ღმერთო, რამდენი რამ მაქვს სათქმელი და ენა მებმება! რატომ არ შეიძლება, ადამიანი თავისი ცხოვრების უბედნიერეს წუთს გადაყვეს, რომ მერე აღარ ეწამოს? ასეთ წუთებს განვიცდი ახლა მე, როდესაც თქვენს გვერდით ვარ, თქვენს მაჯისცემას ვგრძნობ. აი, თურმე რა ყოფილა ბედნიერება და სიყვარული, ყველაფერი, რასაც კი გული ინატრებს. უნდა გამოგიტყდეთ,— ან კი თქვენთან როგორ შემიძლია დავ-

ფარო რაიმე,—დღემდე სრულიად არ მწამდა, რომ ამბობდნენ, ახალი ადამიანები იზრდებიანო. ადამიანს ვინ შეცვლის, როგორიც იყო, ისეთი დარჩება-მეთქი, ვფიქრობდი. მაგრამ ახლა კი მივხვდი, რომ დაბრმავებული ვყოფილვარ. თქვენ ეს პირფერობად არ ჩამომართვათ. მე განა შემიძლიან სიტყვით გამოვხატო ის დიდება, რომლითაც თქვენ ხართ მოსილი? აჰ, არა! მე მაგას სად შევწვდები! მხოლოდ ის მინდა გთხოვოთ, რომ მეგობრად მიკადროთ. მართალია, ეს არაფრით არ დამიმსახურებია, მაგრამ მომეცით საშუალება, რომ დავიმსახურო, რომ თქვენი ღირსი გავხდე... ვიცი, ვიცი, თქვენ მე ხელს არ მკრავთ,—ხომ, აბესალომ? ეს იყო, ამისთვის შეგაჩერეთ... ახლა გავყვეთ, ცოტა ხანს გაგაცილებთ, დაღლილი ხართ, მოსვენება გჭირდებათ. ო, ნეტავი შემეძლოს თქვენ გემსახუროთ, როგორც გულითადი მეგობარი, როგორც... აჰ, რა დაღლილი იქნებით ახლა თქვენ!—არა, აბესალომ?..

უნებლიედ დაუთმო აბესალომმა ნატოს მკლავი. მცირეოდენი მანძილი გაიარეს. ნატო განუწყვეტლად ლაპარაკობდა. იმდენად გრძნობიერად ახმიანებდა სიტყვებს, რომ აბესალომმა ვერ შესძლო მისი შეჩერება. სცადა შესიტყვებოდა, მაგრამ ნატო უმალვე მიუხვდა. ქალი დარწმუნებული იყო—ახლა რომ აბესალომმა ცუდი რამ მითხრას, ვერ ავიტანო, და ამიტომ არ აჩერებდა ენას.

ერთ წამს თითქო მოდუნდა ვაჟკაცის ნებისყოფა; ტრფობით ანთებული ქალის არსებიდან საამო სითბო შემოეფინა.

ხოლო ნატო თავისსავე სიტყვებში დნებოდა, არავითარი ანგარება ახლა მას არ ამოძრავებდა. მართალია, თვითონ არ აპირებდა გარდაქმნას, ვაჟის დამორჩილება სწყურდა, მაგრამ ახლა მაზე არ ფიქრობდა, ეს თავისთავად გულისხმებოდა.

ამიტომ ვერ შეამჩნია აბესალომმა ნატოს რაიმე მზაკვრობა, ისე უსმენდა, თითქო ქალის მისწრაფებას. ეზიარებსო. მაგრამ ბოლოს ნანუს მრისხანე სახე წარმოუდგა, ისიც მოაგონდა, თუ როგორი თვალით შეხედა დღეს ნანუმ აბესალომთან მოსაუბრე ნატოს, და გონს მოეგო.

— უკაცრავად, მე დღეს მართლა დავიღალე.—ცივად უთხრა ნატოს და გამოემშვიდობა.

— მოგიკვდეს ჩემი თავი, როგორ შეგაწუხე! ეხლა მოისვენე!—გააყოლა ხმა ნატომ.

ადგილიდან არ დაძრულა, ვიდრე აბესალომი სახლს არ მიეფარა. გული ტკბილად უცემდა. ნელი ნაბიჯით მიდიოდა შინისაკენ, თითქმის სავსებით დაჯერებული იყო, რომ უდიდეს ბედნიერებას აღწევდა.

სახლის შესავალ კარებში ვიღაცის ლანდი მიიმალა.

ვინ იყო?

მგონია ლევანს ჰგავდა. ნუთუ არ ეძინა და უკან გამოჰყვა?

შესდგა. ჩაფიქრდა. მერე უცებ გამოერკვა და კიბე სწრაფად აირბინა. ფრთხილად შეაღო ოთახის კარი.

ლევანი ისევ ისე იწვა ლოგინში. მხოლოდ საბნის რხევას მოჰკრა თვალი, თითქო ის იყო, იმ წამს გადაიხურა. ნუთუ?..

XI

ამომავალი მზის შუქი მიადგა ფანჯარას და აბესალომმაც თვალი გაახილა. მთების მოოქროვილ მწვერვალებზე შეაჩერა მზერა და უმალვე ნანუ მოაგონდა.

„რას მემდური, გულო, რა დაგიშავე?“—შეეკითხა საოცარი სიცხადით ზმანებულს; ისეთი განცდა აღეძრა, თითქო ამბორით შეეხო მის ღაწვებს, ტუჩებსა და ჟუჟუნა თვალებს.

მაინც რა მოხდა? იქნება ცდება აბე-

სალომი და ქალის გულის არაფერი არ გაეგება? ან არა და, როდის იყო, ნანუმ რომ პირობა აღუთქვა? ან აბესალომმა კი სცადა ოდესმე გაემეღავნებინა ნანუსათვის თავისი გულისთქმა? განა ასე ადვილია ეს? აბა, მიდი და ეს უსაზომო სიყვარული სიტყვებით გამოთქვი! თუმცა ეს რა საჭირო იყო, განა ისედაც არ იცოდნენ ურთიერთის მისწრაფება? იცოდნენ? შესაძლოა ეს მხოლოდ აბესალომს მოეჩვენა?

თავი გაიქნია, მთელმა მისმა არსებამ უარყო ეს მოსაზრება. მერე უცებ ნატო მოაგონდა. შუბლი შეიკრა. სწრაფად წამოხტა და ტანთ ჩაიცვა.

ოთახში პირდაბანილი რომ შებრუნდა, ქეთევანმა ჩაი დასხმული დაახვედრა. კარგად იცოდა შვილის ხასიათი: ერთი წუთიც რომ დაგვიანებოდა, აღარ დაიცდიდა, სამუშაოდ გაეშურებოდა. მშენებლობის ყოველ უბანშია სასადილო და იქ ვისაუზმებო, ეტყოდა ხოლმე. მაგრამ ქეთევანს უსაუზმოდ წასული შვილი მთელი დღე უჭმელი რჩებოდა ეგონა. თანაც კიდევ შვილთან საუბარს იყო მონატრებული; განსაკუთრებით ამ დილით ჰქონდა ბევრი რამ სათქმელი.

— მოდი, შვილო, დედა შემოგევლოს. აი, შე რო ნაზუქი გიყვარს, ის გამოგიცხვე გუშინ. შენ კი არ მოხვედი, შვილო, და. განა აგრე უნდა დაიწყო ბებერი დედაი...

— დამაცადე, დედი, გეთაყვა, აგერ ერთი წერილი უნდა დავწერო.— უთხრა აბესალომმა და მაგიდას მიუჯდა. სულ მცირე ხანს იყო ჩაფიქრებული, მერე ჩქარი ხელით დაწერა:

„ნანუ!

რამდენი სიხარულიც ამ დღეებში განვიცადე, ლამის სულ ყველაფერი დაიჩრდილოს. ნეტავი იცოდე, როგორ მოვიჩქაროდი, როგორ მომიხაროდა! ასე მეგონა, მთელი ქვეყნისოდენა ბედნიერება მომქონდა. განა მარტო ჩემთვის? რა ვიცი, მე მგონია მიხვდები, ვისთვისაც ვზრდიდი მას. მერე გზაზე გვირაბის ამბავი გავიგე. აქ როგორ აგიწერო, რაც მაშინ გადამწყდა. ახლა მეგონა უფსკრულში ვეშვები-მეთქი. მაინც კიდევ იმედი მოვიშველე: მე ისეთი მოდგმისა ვარ, სანამ სული არ ამომხდება, გულზე ხელს არ დავიჭდობ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიმე სამწუხაროს მთელი სიღრმით არ ვგრძნობდე. მოვედი და მშვიდობა რომ დამხვდა, აღტაცებამ შემიპყრო. მაგრამ რა გამოვიდა, შენ სახე ამარიდე, გუშინ მთელი დღე გამირბოდი. რატომ? რა დაგიშავე? რას მემდური? ვერა გამიგია რა. შეიძლება ვცდები და ისეთ რაიმეს გაწერ, რაც შენ გულში სრულებით არ გიდევს. რა ვიცი, განა ადამიანის გული ასე ადვილი გამოსაცნობია? იქნება მე უფლებაც არ მაქვს, რომ შენს გულში ჩავიხედო. აგერ, ამის მეტად შენთვის წერილიც არ მომიწერია. მეგონა, ჩვენს შორის ეს ზედმეტი იყო. ჩვენს ძველებს უთქვამთ — გული გულს იცნობსო. თუ კი მათ შეეძლოთ ეს, ჩვენ რაღა მოგვივიდა? არა, უთუოდ რაღაც გაუგებრობაა. გეთაყვა, ნანუ! ნუღარ დააყოვნებ, მაცნობე, რა მოხდა, რა გაწუხებს? ან მე რითი შევირცხვინე თავი შენს წინაშე? ახლა მიმეჩქარება. დღეს აუარებელი საქმე მაქვს. შენს უბანშიაც ბევრი რამაა გასაკეთებელი. ხომ ხედავ, რამოდენა საქმეები გვაქვს. სად გვცალია ახლა ჩვენ რაღაც გაუგებრობით გამოწვეულ ბუტიაობაში ვკარგოთ დრო. გული კი, ეს ოხერი გული მაინც კვნესის, შენი ხმის გაგონებას ელის, შენი მღიმარე თვალების შუქი სწყურია. აჰა, გავბედე, როგორც იყო! ახლა შენ იცი“.

— აი, დედი, ეს წერილი ნანუს მიუტანე, ხელში მიეცი, სხვას ნუ გადასცემ.

— კი, შვილო, ოღონდ შენ უჭმელი ნუ წახვალ, ნანუსთან ახლავე გავიქცევი... ისემც შენი თავი მიბედნიეროს

ღმერთმა, როგორც მე მისი ნახვა მიხაროდეს. მხოლოდ ეს ორი დღეა რაღაცაზე ძალიან დაღონებულია. რატომ, რისთვის? ეს კი ვერ გამიგია... აი, შვილო, ეს ნაზუქი აღარ მოირჩინო, თორემ მეწყინება. გუშინ გული გამიწყალდა შენს მოლოდინში... ჰო, რა უნდა მეთქვა? ნანუსთან წერილების წერა რაღად გინდა, შვილო! მოდი ეს საქმე სანამ ცოცხალი ვარ, მომასწარი. მე ხო ვიცი, ამ საქმეს წინ არა უდგას რა...

აბესალომმა მრისხანე გამომეტყველება მიიღო და ნაძალადევი სიმკაცრით შეავლო თვალი დედას.

— კარგი, შვილო, აღარას ვიტყვი... მხოლოდ ერთი რამ მინდოდა მეთქვა. ჰო, ის ქალი როა, ნატო, რაღაცა გული მტკივა იმაზე, არ არის ის კეთილი სული, ერიდე მას, შემოგევლოს დედაი!

— რისთვის დაგჭირდა, დედი, ეგ?

— რისთვისა? რა ვიცი, შვილო! აზრი მომივიდა ცოდვილსა, იმ ქალის ხელი ხო არ ურევია-მეთქი ნანუს გაჯავრებაში. მელასავით დაძვრება. გუშინ საღამოსაც რაღაც უშნოდ გეტმასნებოდა...

— კარგი, დედი, მივდივარ მე ეხლა. მაგ წერილს ნუღარ დააგვიანებ, თორემ ნანუ სადმე გაგასწრებს.

ჩასავალ კიბემდის მიაცილა ქეთევანმა აბესალომი, შვილთან ახლოს ყოფნა რომ გაეხანგრძლივებინა, ხალათს უსწორებდა, აქა-იქ თითქო ბეწვებს აცლიდა, მერე სწრაფად შებრუნდა, სუფრა აალაგა და ნანუსთან გაეშურა.

კარებში ქეთევანს სამთამადნო უბანში მიმავალი დარინე შეხვდა. ეჩქარებოდა დარინეს, მაგრამ მაინც მისებურად მიიპატიჟა:

— მობრძანდი, ნენა, შენი ჭირიმე! ნახე აგერ წუხელის ჩვენი ბიჭი რამხელა გაიზარდა!

ეს უთხრა, მიბრუნდა, გოგი აიყვანა, ერთხელ კიდევ მიიხუტა და ქეთევანს გაუწოდა.

ქეთევანმა მცინარე ბავშვი დიდი ხნის უნახავივით შეათვალიერა, მიეალერსა, მერე ძირს დასვა და ნანუს აბესალომის წერილი გაუწოდა.

კართან მისულ დარინეს არ გამოეპარა ეს; ერთ წამს შეჩერდა და უხერხული დუმილის დასარღვევად შეეკითხა ქეთევანს:

— აბესალომი ხომ კარგად ბრძანდება?

— რა ქნას, შვილო, ღმერთს ვერ დავემდურები, მხოლოდ მოცლა კი სრულიად არა აქვს, რო თავისთავს მიხედოს. ამოდენა კაცია, ახლა ცოლშვილზედაც უნდა იფიქროს. ხო იცი, შვილო, ამ ქვეყანაზე ყველაფერს თავისი დრო აქვს; უცოლშვილოდ დაბერებული კაცი და გაუხარებელი ნერგი ერთია, ორივე უნაყოფოდ მოჭამს სიცოცხლეს.

— სრული სიმართლეა, ნენა! მეც სწორედ მაგას ვფიქრობ!—წამოიძახა დარინემ და უცებ სახე დაეჩრდილა, მცირე ხანს რაღაცაზე ჩაფიქრდა.

მოლისფერი სპეცსამოსი ეცვა დარინეს, ვაჟურად იყო გამოწყობილი, მაგრამ ქეთევანმა მის სახეზე მაინც ამოიკითხა უშვილო ქალის სევდა.

დარინემ თითქო იგრძნო ეს; ასე ეგონა, რაღაც დანაშაული ჩავიდინეო, თავი მოიმხიარულა, ბავშვს ერთხელ კიდევ გაეთამაშა, მერე პირშებრუნებულ ნანუს შეავლო თვალი და ქეთევანს რატომღაც ბოდიშით მიმართა:

— მაპატიე, ნენა! ამ დილას, მგონია, თავი მოგაწყინე... რომ არ მიმეჩქარებოდეს, გოგის წამოვიყვანდი.

— რა გაქვს, შვილო, საპატიებელი! კარგის მეტი ხო არა გითქვამს რა, კარგი მოგცეს დედაშვილობის გამჩენმა.—უპასუხა ქეთევანმა და მკვირცხლად მიმავალ დარინეს თვალი გააყოლა. „კაცი რო შეხვედროდა, ეს ქა-

ლი მშვენიერ ოჯახს შექმნიდა“. — გაივლო გუნებაში.

დარინე ხეივანში ჩავიდა და ღრმად ისუნთქა გრილი ჰაერი.

ცოცხალი დილა იყო, მზიანი. ცის გამსჭვირვალე ლაჟვარდს ღრუბლის მცირეოდენი ქულაც არსად ჩრდილავდა. ცვარნამით პირდაბანილი მიდამო გულმკერდს კაშკაშა სხივებით იმშრალებდა.

„რა კაი დღეა დღეს!“—ხმამაღლა ჩაილაპარაკა დარინემ და მთებისაკენ გასწია.

ქეთევანმა კარგად შეატყო, ნანუ რომ აბესალომის წერილმა ააღელვა, თუმცა ნანუს ეს არ გამოუმჟღავნებია: წერილის კითხვის დროს ერთხელაც არ შერხეულა, არც ხმა დაუძრავს; ფანჯარასთან მივიდა და ღრმად ჩაფიქრდა.

ერთწამს გოგიც დაავიწყდა და ქეთევანიც.

თავისთავად მიიპყრეს მისი თვალები შორეული მთების მწვერვალებმა; რაღაც მოოქროვილი ზოლი გაება იდუმლად მის გულსა და იმ მწვერვალებს შორის, რომელნიც დილის მზეს ქუდმოხდილი შეხვედროდნენ. მთელი ეს ბუნება, ეს ცისიერი, ეს ნიავი—ყველაფერი მარტოოდენ სიყვარულია... ბგერ მოდის მისი სულის მზე... იარე, გულო! ია და ვარდი ჰფენია შენი სიცოცხლის გზას!.. რა კარგია, კაცი რომ ასე შეგიყვარდება! მარტო ის კი არ არის მშვენიერი, მასთან ერთად შენც კარგი ხარ, შენც იზრდები, მთელი ქვეყნის ოდენა სიყვარულს გულში დაიტევ...

გოგი ქეთევანს გაეთამაშა, ხმამაღლა გაიცინა.

ქეთევანმა ბავშვს ტუჩზე დააფარა ხელი და თვალით ანიშნა—დაჩუმდიო, დედაშენს ფიქრს ნუ შეუშლიო.

ბავშვს დედისეული დიდრონი თვალები გაუფართოვდა და ქეთევანს განცვიფრებით შეაცქერდა, მერე მზერა დედაზე გადაიტანა. ეს დუმილი მისთვის დიდი მოვლენის მომასწავებელი იყო, მხოლოდ რისი, ეს [illegible]; აუცილებლად კი უნდა [illegible]. ამიტომ ქეთევანს ხელი ლოყაზე მიადო, თვალების გამომეტყველებითა და მხოლოდ ერთი სიტყვით ჩუმად შეეკითხრა:

— ბები...

ამ დროს ნანუმ მოიხედა, მღელვარების დასაფარავად ბავშვს მიაშურა, ხელი მოხვია, გულზე მიიკრა, თან მოალერსე ხმით დატუქსა:

— არ გრცხვენია, გოგი, ამხელა კაცი გაიზარდე და ბების აწუხებ, სულ მუხლებზე უზიხარ?

გულთამხილავივით მიხვდა ქეთევანი, რომ აბესალომის წერილმა ნანუ კარგ გუნებაზე დააყენა. ამიტომ შეეკითხა:

— რა ვქნა, შვილო, ნანუ, რად ხარ აგრე გულჩათხრობილი? წინათ რო არ იყავი ეგეთი! ხო არავინ აგიმღვრია, შვილო, გული, ან იმ ჩემმა ბიჭმა ხო არა გაწყენინა რა?

— არა, დედი, ვის რა უნდა ეწყენინებია.—პირშებრუნებულად უპასუხა ნანუმ. მერე საათს დახედა და აჩქარდა.

— უკვე სამუშაოდ წასვლის დრო მოსულა!

ამით აირიდა ქეთევანთან საუბრის გაგრძელება.

* *

საათის ათზე ნანუ სამმართველოდან თავისი უბნისაკენ მიეშურებოდა.

ისეთ გუნებაზე იყო, თითქო ნიავმა დაუბერა და ციდან ღრუბლებს ნელინელ ერეკებაო,—თავის გულშიაც გამოდარების მოახლოვება იგრძნო.

მაინც რა საშინელი იყო ეს დღეები!..

არა, როგორ უნდა აპატიოს თავისთავს აბესალომისადმი ასეთი მოპყრობა! განა არ იცნობს იმ ბოროტ დედაკაცს? ვინ იცის, რა ზომებს არ მიმარ-

თავს, რომ აბესალომი ჩაითრიოს... სწორედ ახლა უნდა მიეშველოს ნანუ, თვალი უნდა აუხილოს...

ამ ფიქრმა ააგზნო, თავი ისე წარმოიდგინა, თითქო რაღაც საგმირო საქმისათვის ამხედრებულიყოს...

მშენებელთა ბინებს რომ მიუახლოვდა, უცებ შესდგა ჩაფიქრებული, ხელი ღაწვზე მიიდო, თვალები გაუფართოვდა და ყრუდ აღმოხდა:

— „ააჰ“...

ამ ბგერამ თითქო აუტანელი სიმძიმისაგან გაათავისუფლა, ამჩატდა, ფრთები შეისხა და წამსვე გაეხსნა აზრი:

„ის წერილი იმ ქალმა ნამდვილად განზრახ შეთითხნა!.. მართლა რომ ყოფილიყო, აბესალომს ისე როგორ დარჩებოდა!.. მე კი რა არ წარმოვიდგინე!.. ნახავ, თუ ეს ასე არ იქნება!.. ეჰ, როგორ გამიფუჭეს ხასიათი მაგ მზაკვრებმა... მაშინ რომ ოცნება დამემსხვრა, მერე ყველგან მუხანათობა მელანდება“...

თვალი ირგვლივ მიმოატარა; ციცკიდურზე თეთრი ღრუბლის ფთილას დააცქერდა. გაღიმებულად დნებოდა ეს მოოქროვილი ღრუბელი და ცისიერში ინთქებოდა; ნანუსაც იდუმლად სწყუროდა ახლა — ამ სპეტაკ ქულასავით ჩაქსოვოდა აბესალომისადმი სიყვარულს...

გაიღიმა, გზა მსუბუქი ნაბიჯით განაგრძო.

გასცილდა თუ არა მუხას, სოფლიდან მომავალ ნატოს მოჰკრა თვალი. სხვა დროს უთუოდ გვერდს შეუვლიდა, ახლა კი პირდაპირ მისკენ გაემართა.

მოულოდნელი იყო ეს ნატოსათვის. დაჯერებული იყო, რომ ნანუს მისი ეშინოდა და ამიტომ ერიდებოდა მასთან პირისპირ შეხვედრას.

„ალბათ, აბესალომი ნახა და წერილი უჩვენა... დამასწრო!“ — გაუელვა ნატოს. მაინც ვერ გადაწყვიტა — პირქუშად შეხვედროდა, თუ სანდომიანად.

ამ დროს მოახლოვებულმა ნანუმ შეაკრთო თავისი მკაცრი გამოხედვა-ლობით, მაგრამ ეს არ შეიმჩნია, მუბალი შეიკრა და მრისხანედ ანთებული თვალები შეაგება ნანუს.

— რას დაწრიალობ, შე ბოროტო სულო?—შეუპოვარი ხმით მიმართა ნანუმ და თვალი თვალში გაუყარა. — შენ გგონია, მიზანს მიაღწევ? კორდელების ოჯახი ხომ არ გგონია აქ? ვის ეპოტინები?.. რა იფიქრე, ის წერილი რომ შეთითხნე? განა არ იცი, ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს?.. დაიცა, ვნახავ აბესალომს და ისიც გაიგებს, რაც ქალი ბრძანდები!

„აჰ, აბესალომისათვის ჯერ იმ წერილის შესახებ არაფერი უთქვამს“.— გაიფიქრა ნატომ და ისეთი პოზა მიიღო, თითქო ნერვებაშლილი ავადმყოფის პირისპირ მდგარიყოს.

— საოცარია სწორედ! — რაღაც გახუნებული ღიმილით წამოიწყო ნატომ, მაგრამ ნანუმ უმალვე შეაწყვეტინა:

— ვიცი, ვიცი! შენი სიტყვა და ქარი ერთი და იგივეა! პირით რომ ტკბილად ლაპარაკობ, გულში გველი გიზის!.. ვიცი!..

ეს უთხრა, პორტფელი ხელიდან ხელში მოინაცვლა და გზა სწრაფი ნაბიჯით განაგრძო.

გაშეშდა ნატო, გაფითრდა... „ეს ქალი მღუპავს მე!“—თქვა გუნებაში.

კარგა ხანს უმზირა მიმავალ ნანუს. მწვავე სევდამ შეიპყრო, სახეზე ჩრდილი გადაეფინა და თვალების ირგვლივ მრავალგზის წანაშალი ნაოჭები დააჩნდა. უსასოო მარტოობა იგრძნო. პაპიროსს მოუკიდა. დედა მოაგონდა და თავისი უდარდელი ბავშვობა. ფუფუნებაში იზრდებოდა. ეგონა, ეს ხალხი იმიტომაა გაჩენილი, რომ ნატოს ყოველი სურვილი შეუსრულოსო... შემდეგ კი—რა საშინლად გაება ამ ულმობელი ცხოვრების ხლართებში! ათასი ხერხი მოიშველია, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. პირველი სიყვარული და-

ემსხვრა... გაბოროტდა და იმ „ქონდრის კაცს“—ლევან ცისკარიძეს გაჰყვა. უკვე გამოცდილი ქალი იყო და ლევანს როგორც მინდა ისე მოვიხმარო... ბოლოს საწადელი თითქო აუსრულდა, — რევაზის გული მოიგო, მაგრამ ეს ბედნიერებაც არ შერჩა: რევაზი ნანუს გადაეყარა და... ახლა კიდევ... ახლა უცებ გაიფანტება ამდენი ვაივაგლახით დაყენებული ბურუსი და აბესალომი და ნანუ შერიგდებიან...

— აჰ, არა, არა! ამას სიკვდილი სჯობია!

ეს თითქო ვიღაცამ ჩასძახა ყურში, ნატოს ასე მოეჩვენა, ნაღვლიანად მიმოიხედა და ისე გადადგა ნაბიჯი, რომ თვითონაც არ იცოდა სად მიდიოდა.

XII.

მძიმე გუგუნით აიჭრა ავტობუსი ვაკეზე, წამსვე სული მოითქვა და მთელი სისწრაფით გაექანა.

გიორგი ალურიძემ ქუდი მოიხადა, გრილ ქარს სახე შეუშვირა და მოახლოვებულ ქოჩორა მთას გახედა. ამ მთის იქით ერთი მაღალი მწვერვალი ცის გუმბათს წვდება. იქ ახლოს არიან ნანუ და გოგი; შუადღისას მათთან იქნება. სამი თვეა არ უნახავს ისინი და ნატვრამ გული გაუწყალა.

ახლა კი ისეთ გუნებაზეა, როგორიც საყვარელი არსების ნახვის მოახლოვებისას სჩვევია ხოლმე ადამიანს.

გაბრწყინვებულ თვალს ავლებს გარემოს და... რა ლამაზია ეს ქედები, ეს ვრცელი ვაკე, ეს მრავალქვიანი გორაკები!

ჯერ კიდევ დილაა, მზემ აგერ ახლა გადმოანათა მწვერვალებს; ხევებში აქა-იქ ჯერ კიდევ კრთიან სხივშემონთებული ნისლის ბურუსეულნი. ზოგან მინდვრის ყვავილებზე ცვარი დარჩენილა და ისე ციმციმებენ, თითქო ციცინათელებივით გაფრენას ლამობენო.

ეს ჰაერიც, მსუბუქი, მჩქეფარე ჰაერი, შუშხუნა მაჭარივით ბუშტებს კაცს, და სიმღერა რომ არ იცოდეს, გულში მაინც ჩაიღიღინებს.

ისეთი წარმტაცი ელფერია ირგვლივ, თითქო, რაც ქვეყნად სიხარულია, ამ მშობლიურ არემარეზე დაფრქვეულა!

ამ უკანასკნელ დღეებში კი ცუდ ხასიათზე იყო გიორგი. პირველად თვითონაც არ იცოდა, თუ ასე მწვავედ რა აწუხებდა. ქარხანაში მისი ბრიგადა კვლ მოწინავე იყო მოწინავეთა შორის. არა მარტო ქარხნის, არამედ დიდ გაზეთებშიაც გიორგისა და მის თანაშემწეებს ხოტბას ასხამდნენ, მათი პორტრეტები არაერთგზის დაბეჭდეს. გიორგიმ ორი ახალი გამოგონება კვლავ განახორციელა. მართალია, დიდ გარდატეხებს არ ახდენდნენ ეს გამოგონებანი, მაგრამ საამქროსათვის კი ფრიად გამოსადეგი იყო. შრომის ნაყოფიერების აძაღლება და ხარისხის გაუმჯობესება, — დღენიადაგ ამაზე ზრუნავდა გიორგი. იმდენი გამარჯვება მოიპოვა ამ მხრივ, ისეთ შედეგებს მიაღწია, რომ ამის იქით წასვლა თითქმის შეუძლებელი იყო. გიორგი კი მაინც არ ისვენებდა; გამოცდილებით იყო დარწმუნებული, რომ ადამიანის გონებას ჯერ კიდევ მრავალი მარტივი რამ ვერ დაუნახავს. საქმე მარტოოდენ ის კი არაა — ფიქრობდა გიორგი, — რომ დილიდან საღამომდის ოფლი ღვარო. უნდა იაზროვნო, ყოველ წვრილმანს უნდა ჩაუკვირდე, მოპოებულით არასოდეს არ უნდა დაკმაყოფილდე. მხოლოდ მომართულ მანქანას შეუძლია აზრის დაუტანებლად იმუშაოს, ადამიანი კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ახალახალ აღმოჩენას უნდა მოელოდეს. აი უზარმაზარ ქვეყნიერებაში ჯერ სულ პატარა სარკმელი შეეღებ და ხახდახან თვალი გვატყუებს, გვგონია ყველაფერს ვხედავთ. ხშირად ცხვირწინაა უდიდესი გაუმჯობესება, ისეთი ხერხი, რომლის მეოხებითაც

ერთ ადამიანს ასი კაცის საქმის გაკეთება შეუძლია...

სწრაფწარმავალი სევდისთვისაც კი არ რჩებოდა ადგილი გიორგის გულში. მაგრამ ამ ორი დღის წინათ მოულოდნელად შეეპარა ნაღველი. ქარხნიდან შინ რომ მივიდა და დასასვენებლად წამოწვა, მაშინ თვალწინ დაუდგა რატომღაც მეტისმეტად შეწუხებული ნანუ. „ხომ არაფერი უჭირს? იქნება ბავშვი გაუხდა ავად?“ — ჩაილაპარაკა და წამოდგა; ღია ფანჯარასთან მივიდა და სივრცეს გაჰხედა.

ბობოქარი ქალაქის ვერცერთმა კუთხემ ვერ მიიპყრო მისი გონების თვალი, მარტოოდენ ნანუსა და გოგის უმზერდა, მაგრამ ისინი მეტისმეტად შორს იყვნენ, უმწეო ლანდსა ჰგავდნენ.

შეებრალა. გული ეტკინა. აგერ ნათლად ხედავს საოცრად დამწუხრებულ ნანუს და ხმას კი ვერ აწვდის, არ ძალუძს ანუგეშოს...

„წერილმაც დაიგვიანა. ნამდვილად რაღაც შეემთხვა“, — გადაწყვიტა გიორგიმ და მეორე დღესვე აიღო შვებულება.

მიჰქრის მანქანა, ახლოვდება ჩასახვევი, საიდანაც მშენებლობის ერთი ხაწილი მოჩანს. აქ კლდის ძირს დაქანებული მდინარე ენარცხება, უზარმაზარ ლოდებს აწყდება და გრიალით მიიკლაკნება ღრმა ხევში. ეს ისეთი მკაცრი სანახაობაა, რომ უნებლიეთ მიიპყრობს ადამიანის ყურადღებას, მაგრამ გიორგიმ მხოლოდ გაკვრით მოავლო თვალი, — შორს მშენებელთა თეთრი სახლები გამოჩნდა და იმან მოსტაცა მზერა.

ქარიშხლის წინ რომ ბუნება გაირინდება, ისე მიყუჩდება ხოლმე კაცის გული დიდი სიხარულის მოლოდინში. აი, საცაა გადასჭრის გზა ამ ხევს და მანქანა სოფელში შეიჭრება. შემდეგ ნაცნობი მუხა და მშენებელთა სახლები. ნანუ ახლა შინ არ უნდა იყოს; იქნება რომელიმე უბანშია წასული. ახ, ნეტავი მისვლისთანავე შემოაშუქებდეს მისი მომღიმარე თვალები!..

გადმოხტა ავტობუსიდან, ჩაავლო ხელი ჩემოდანს და სამმართველოში აირბინა. ნახუ იქ არ დახვდა. აქედან პირდაპირ ქეთევანთან გაეშურა...

ბავშვი რომ ხელში აიტაცა, თვითონაც ბავშვს დაემსგავსა, თითქო არასოდეს არ გაჰკარებოდეს მის გულს სევდა და მწუხარება.

გრძელი მკლავებით ჭერამდე აწვდილი ბიჭიკო ხმამაღლა იცინოდა, ბაბუამისს ჭაღარა თმას ულმობლად სწეწდა, ნეტარებდა და ვერ წარმოედგინა, თუ გიორგის მკლავებზე უძლიერესი ქვეყნად რაიმე მოეპოვებოდა.

ხშირად შეაცქერდებოდა გიორგი ბავშვს ცქრიალა სახეზე, თითქო მისი თვალებიდან გამოკრთოდა იმ საკაცობრიო მზის ნაწილი, რომელსაც ასე ხშირად ახსენებდა ხოლმე გიორგი.

სად არ უნათებდა გიორგის გზას ეს უკვდავი მზე, — საპატიმროების სულისშემხუთველ საკნებში, ციმბირის უღრან ტყეში, შეუსვენარ ბრძოლასა და ჯაფაში, ყოველი განსაცდელის ჟამს სწვდებოდა გიორგის მისი სხივები.

ახლა კი აგერ, მისი შვილიშვილის თვალებში ბრწყინავს იგი...

მოვა დრო, ამოიწურება გიორგისათვის განკუთვნილი სიცოცხლის დღეები, მაგრამ არ ჩაჰქრება მისი მზის ხაწილი, პატარა გოგის თვალებში რომ ელვარებს ახლა.

და ამ თვალებით იხილავს გიორგი ახალი ქვეყნის უდიადეს გამარჯვებას...

ძერე სუფრას მიუსხდნენ.

ქეთევანი ვერ ისვენებდა:

— რა ვქნა, ამ კაცს მადა რამ დაუკარგა! გზაზე ხო არ გიქეიფნია?.. გაგონილა, ამოდენა კაცი ასე ცოტას

ჭამდეს!.. აჰა, ეს ერთი კონიაკი კიდევ დალიე, იქნება პირი გაგეხსნეს...

— მოდი, ახლა გავივლ! — სთქვა ბოლოს ბედნიერებისაგან შეზარხოშებულმა გიორგიმ.—ვნახავ, ამ სამ თვეში ბიჭებმა რა გააკეთეს. თან იქნება ხანუს, ან აბესალომს გადავეყარო სადმე...

მოსეირნესავით გაჰყვა გიორგი გზას. ირგვლივ ყველაფერს დაკვირვებით ათვალიერებდა.

სამექანიკო ნაწილთან შეუხვია. ძალსადგურის ჩახჩახი და დაზგების ღვედების ‘ზრიალი მოესმა. აგერ სამჭედლოში ქურიდან მჭედელმა მზისფერი რკინა გამოიღო და ცეცხლის ‘ზეფებში გაეხვია.

აქ რამდენიმე სახელოსნო იყო, ყველგან გამძაფრებული მუშაობა გაჩაღებულიყო, მაგრამ ეს ინდუსტრიული იერი‘ში დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა ამ თვალუწვდენელ მთებსა და ხევებ‘ში.

სულ ასიოდე მეტრით გასცილდა გიორგი ამ უბახს და მყისვე მისწყდა ხმაური, ვრცელი ტაფობისა და გორაკების დუმილ‘ში დაინთქა.

მხოლოდ გვირაბის სათავეს რომ მიუახლოვდა, აქ კვლავ მოესმა ვენტილატორის გუგუნი და ვაგონეტის ხრიალი ხრე‘შიან რელსებზე.

‘შემდეგ მდინარის პირს გაჰყვა. გზაზე ნაძვისა და ფიჭვის ხეებით დატვირთული ურმები გამოეფინენ.

წინა ურემს გვერდით ცხენოსანი კაცი მოჰყვებოდა; ლურჯი ხალათი ეცვა და მხარზე თეთრი აბრეშუმის ყაბალახი ჰქონდა გადადებული.

ეს მანუჩარი იყო, ამ დილით წავიდა შესაგებებლად.

გიორგიმ გზა მოკლედ მოსჭრა და საცალფეხო ბილიკით გასწია ქარხნისაკენ.

აგერ ხარაჩოებით შემოხერგილი კორპუსები. ირგვლივ უამრავი რკინა, საშენი ქვა, ხეტყის მასალა.

ქარხნის ერთი ნაწილი თითქმის დამთავრებულია, ‘ბიგ უკვე მანქანებს დგამენ.

აქ მშენებლები ორ ცვლად მუშაობენ.

ყველგან შეიხედა გიორგიმ, მაგრამ ვერც ნანუს ‘შეხვდა და ვერც აბესალომს.

ზევით ასვლა მოეხასიათა და აჰყვა აღმართს.

XIII.

მაღლობზე ჩამოჯდა გიორგი. მის გვერდით თითქმის შვეული ფერდობი იყო და უჩვევ ადამიანს სიღრმე თვალს მოსჭრიდა. პატარა კენჭებივით ‘ოჩანდა აქედან აქაფებულ მდინარე‘ში დაყუდებული ვეება ლოდები. ნელი ნიავი რომ ფოთლებს შეარხევს, ისე აღწევდა ტალღების შორეული შრიალი.

ცაზე აქა-იქ ღრუბლები წამოგრაგნილიყო; მზის ‘შუქი მაინც ჟონავდა იმ ნაირნაირ კო‘შკებივით დაკიდებულ ღრუბლების სარკმლებიდან, ოქროსფერ შადრევანივით იღვრებოდა და ხეობას ეფინებოდა. ამიტომ მთელი ‘ძ‘შენებლობა ერთობ გარკვევით მოჩანდა.

ჩაფიქრებული დაჰყურებდა გიორგი ამ მრავალ ჭირნახულ მიდამოს. მარტოოდენ იმას როდი ხედავდა, რაც მის წინ იყო გადა‘შლილი, ისეთ გუნებაზე იყო, როდესაც ადამიანი მთელ თავის სიცოცხლეს თვალს ავლებს ხოლმე.

ფეხის ხმა მოესმა. აიხედა და ზევიდან მომავალი აბესალომი დაინახა. სიხარულით წამოხტა, მია‘შურა, მოეხვია. ‘ემდეგ თავი გადასწია და აბესალომ‘ის ორდენს დახედა. შინაგანმა მღელვარებამ ‘შუბლ‘ზე ჩაგრეხილი ღარი ‘ეურხია, ქვედა ტუჩი ოდნავ შეუთრთოლდა, თითქო ყელამდე მოწოლილ გრძნობებს გა‘ოსავალი ვერ უპოვნიაო...

აღტაცებულმა აბესალომმა თავის ოსტატს გაბედულად დაჰკრა მხარზე ხელი, თანშეზრდილ ამხანაგივით შეანჯღრია და აწეული ხმით შეეკითხა:

— შენ საიდან გაჩნდი აქ, გიორგიჯან?

— ვითომ რა, მუდამ სამჭედლოში უნდა ვიხარშებოდე! ეჰ, შენ ჩემო თავო, განა მე არ შემიძლია სუფთა ჰაერზე ამოსვლა?—ღიმილით შეესიტყვა გიორგი და აბესალომი მიიპატიჟა:

— ჩამოჯექი, ბიჭო, თუ ძალიან არ გეჩქარება. აი, აგერ.

გვერდით მიუჯდა აბესალომი. ურთიერთს ამბავი გამოკითხეს. მერე მცირე ხანს სდუმდნენ. ბოლოს გიორგიმ დაარღვია სიჩუმე, რომ წეღანდელი ფიქრები აბესალომისათვის გაეზიარებინა.

— მთელი მშენებლობა დავათვალიერე. სამი თვეა აქ არ ვყოფილვარ და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაგიკეთებიათ, — დაიწყო გიორგიმ. — არ ვიცი, შეიძლება სიბერე მომიახლოვდა და იმის ბრალია, ამ ბოლოს სულ ცოტა რამ რომ ვნახო გაკეთებული, დიდად მეჩვენება. თუმცა რა, შენ ის არ გეგონოს, გიორგის ცეცხლმა თვალი გამოუღამა და ბუნდოვანად ხედავსო. არა, ჩემო აბესალომ, ჯერ კიდევ მიჭრის თვალი... იმასთან შედარებით, რაც ჩვენ უნდა ავაშენოთ, ჯერ ეს მართლა ცოტაა, მაგრამ იცი, ბიჭო, რა დიდია ეს ცოტა? არ ვიცი, როგორ გაგაგებინო... ეჰ, შენ ჩემო თავო, რამხელა რამ მინდა ვთქვა, ენა კი არ მემორჩილება! აბა გადახედე ერთი ჩვენი ხალხის მიერ გამოვლილ გზას! რამდენი რამ აშენებულა, რამდენი ოფლი და სისხლი დაღვრილა, რამდენი აშენებული დანგრეულა! იმ ნგრევასაც რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს! მაგრამ რა გამოვიდა მერე? ადამიანი მაინც იგივე რჩებოდა, ხან მშიერი და ხან მაძღარი, მუდამ კი მგელივით კბილგაღესილი. მოიგონე, რა ხდებოდა ამ ოცი წლის წინ, მოიგონე მსოფლიო-ომი, საშინელი ხოცვა-ჟლეტა, გაპარტახებული ქალაქები და სოფლები. დააკვირდი როგორ ემზადებიან კაპიტალისტები ჩვენზე თავდასხმისათვის, ერთმანეთის წინააღმდეგაც მახვილს ლესავენ. რა არის ეს? „განათლებული“ ბარბაროსობაა, მეტი არაფერი! ე. ი. ტექნიკურად უფრო შეიარაღებული ველურები ერთმანეთს ჭამენ! ჰო-და, ამ დროს აქ, ჩვენში აშენდა უწმინდესი ტაძარი, რომელშიაც ახალი ადამიანები, ნამდვილი კაცური კაცები იზრდებიან. ამიტომ ვამბობ მე, რომ ჩვენ მიერ აშენებული ცოტაც კი დიდია-მეთქი. განა ამ სტანდარტულ სახლებზე ვლაპარაკობ მე? ან თუნდაც ამ ქარხანაზე და ელექტროსადგურზე? გაივლის ხანი და ამ სახლებს დიდებული სასახლეები შეცვლიან, ამ ქარხნებს კიდევ — სხვა გიგანტები. მთავარი აქ ის არის, რომ ადამიანი იზრდება, ახალი ადამიანი მოდის! ო, რა დიდია ამ ახალი კაცის გონება, რა ღრმაა მისი გრძნობები! შენ გგონია ის მხოლოდ თავისი ოჯახის, თავისი კუთხის, თავისი ერის ინტერესებითაა შემოფარგლული? არა, ის უფრო მაღლა დგას, მთელ მსოფლიოს, მთელ კაცობრიობას წვდება მისი თვალების შუქი! ძლიერი და შეუდრეკელია ის! მას ისეთი ბრძოლები შეხვდება, რომ მთელი ქვეყნიერება ზანზარს დაიწყებს. მაგრამ ის უთუოდ გაიმარჯვებს!

გიორგი უცებ წამოიმართა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, წელზე ხელი შემოიდგა და მთაგრეხილს გაჰხედა. წამოგზნებული სახე და ანთებული თვალები ცხადყოფდა, რომ აღელვებული იყო. წელგამართულად იდგა ტანბრგე და ომახიანი. ოდნავ შეხრილი წარბები და მაღალ შუბლზე ჩაგრეხილი ღარები მისი გონების მძაფრ მუშაობას ამჟღავნებდნენ.

აბესალომი ღრმა სიყვარულით შეჰ-ყურებდა ამ მოუტეხელ მუშას, რომელსაც მთელი ნახევარი საუკუნის სიმძიმე უტარებია, ათას ქარცეცხლში გამოუვლია და თავისი მგზნებარე რწმენა კიდევ უფრო გაუღრმავებია. ის, რაც ახლა გიორგიმ ილაპარაკა, აბესალომისათვის ახალს არაფერს შეიცავდა. ეს იყო დედაარსი იმ საქმისა, რომელსაც ის ყოველდღიურად ემსახურებოდა. ხოლო ყოველდღიურობად რომ რაიმე იქცევა, იმაზე აღარ ლაპარაკობენ, იგი თავისთავად იგულისხმება.

აბესალომს თვითონ გიორგი ხიბლავდა, მისი ახალგაზრდული გატაცება, მისი მოსიყვარულე გული. სიყრმიდანვე ჩაეხერგა ამ შემოქმედი ენერგიით სავსე კაცის პატივისცემა. ერთხელაც არ შეუმჩნევია მისთვის რაიმე არაკეთილშობილი საქციელი. ახლა კიდევ ნანუს სიახლოვე იგრძნო და იმ აღმავალი ცხოვრების შუქი შემოეფინა, რომელსაც ასე ამაყად შეჰხაროდა ამ წამს გიორგი.

ამ დროს ქვევიდან ძახილი მოესმათ.

— ვინ ხარ? — გაეხმაურა აბესალომი.

— მე ვარ, მანუჩარი. დაუყოვნებლად ჩამოდი. ძლიერ საჩქარო საქმე მაქვს.

აბესალომი განცვიფრდა. რა საქმე უნდა ჰქონდეს ახლა მანუჩარს?! რაღაცა უთუოდ სასწრაფოა, თორემ არ დაუძახებდა.

— მე ჩავირბენ, შენ ნელა ჩამოყევი. — უთხრა გიორგის და ჩქარი ნაბიჯით დაეშვა.

XIV.

აღმართში შემოეგება მანუჩარი. ჩქარი სიარულისაგან სახე წამოწარხლებოდა და სულს ძლივს ითქვამდა; ოფლით გაღვარული იყო.

— რა ამბავია, მანუჩარ?

მანუჩარმა მარცხენა ხელი ... ...

ში მოგიკვდე, თუ ეს ასე არ იყოს. არა, მეც რომ ბისი თანამოაზრე უნდა გავეხადე! როგორ გამიბედა! შორიდან მივლიდა. ნატვრის თვალივით ყველაფერს მპირდებოდა. რა ენაღვლებოდა რა, ენას ხომ ძვალი არა აქვს... ჰო, იცი კიდევ, რას მეუბნებოდა? მაგენმაო — ნანუმ და მამაბისმა დაღუპესო რევაზ კორდელი, ამიტომ ყველაფრის ღირსიაო. არაფერი აღარ ვუთხარი.. შენი გაზრდილი ეშმაკი ჩემი შეგირდია-ბეთქი, ვთქვი გუნებაში...

აბესალომმა ბოთმინება დაჰკარგა და ასადგომად წამოიწია, მაგრამ მანუჩარმა ხელი ჩაავლო.

— ცოტა კიდევ მოითმინეთ, აბესალომს შემოვევლე, სადაცაა გამოჩნდება. თქვენი თვალით ნახეთ და დარწმუნდით. ვიცი, რომ რაღაც აქვს გახზრახული, ამაში დარწმუნებული ვარ. ბაგი გამომაპარებს მე რამეს? წეღან, სანამ თქვენთან გამოვიქცეოდი, თვალი მოვკარი, აქეთ წამოვიდა. ვითომ ბინდორში სასეირნოდ და ყვავილების დასაკრებად გამობრძანდა ქალბატონი! ახლა შეუყვარდა ყვავილები!.. ამ ხიდზე, ან ამ ახლო-მახლო რომ აპირებს შეხვედრას, ეს ვიცი... რაღაცა ჯოჯოხეთური განზრახვა აქვს გულში, — დასწყევლოს ღმერთმა მისი გული და სული!.. ნანუს რომ თავიდან მოვიშორებ, მერე მე ვიქნებიო აქ ბატონპატრონი და მე მკითხეო შენი პატივისცემაო. ასე გამოდიოდა მისი სიტყვებიდან...

მცირე ხნის შემდეგ მართლა გამოჩნდა ნატო. ძძიშე ნაბიჯით მოდიოდა ჩაფიქრებული.

— აგერ! — წამოიძახა მანუჩარმა. — არ უყურებ, რავა მელასავით დაძვრება! ბაგი გამომაპარებს მე რაშეს!..

ნატო რომ ხიდს მოუახლოვდა, აბესალომმა ფერდობზე ამომავალ ნანუს მოჰკრა თვალი. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქო ნანუ მართლა რაღაც საეედისწერო გახსაცდელში ენგულებოდა, და ახლა, გადარჩენილი რომ ხახა, ანაზდად მოზღვავებული სიხარულისაგან რა ექნა აღარ იცოდა.

— უყურე, უყურე, რავა ითრევს კუდს!.. აგერ ხახუც მოდის. ახლა კი დროა. ვინ იცის, ბაგ ბოროტს რაშე საწაძლავი არ ჰქონდეს ხელში...

აბესალომი ხიდისაკენ გაეშურა, მახუჩარიც უკან გაჰყვა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, გეგონებოდათ რაღაც ურთულესი ხლართი უნდა გახსნასო.

ნატო რატომღაც შეკრთა, დაიბნა, აბესალომი და მანუჩარი რომ ერთად დაინახა. რაღაც თითქო იაზრაო, უკან გაბრუნება გააპარა, მაგრამ ფერდობზე ამომავალი ნანუ შემოეფეთა და გაშეშდა...

ისე მოეწყო, რომ სამთავენი ერთსადაიმავე დროს მიუახლოვდნენ ბილიკზე შეჩერებულ ნატოს.

და ისეთი წამის ქსელი გაება ამ ოთხ ადამიანს შორის, რომ მყისვე იგრძვნეს: საცაა იელვებდა მწველი სხივი და ტყვიასავით ჩამოწოლილ დუმილს ააფეთქებდა.

ამ სხივმა ნანუს ხმაში გაიელვა:

— ამაზე უკეთეს დროს მე ვერ ვიშოვნიდი... სამივენი აქა ვართ...

პორტფელი გახსნა, წერილი ამოიღო და აბესალომს გაუწოდა:

— აბესალომ, ერთი ამ წერილს გადაავლე თვალი, მინდა გავიგო, მართალია, თუ არა, რასაც ვფიქრობ.

გაკვირვებულმა აბესალომმა წერილი გაშალა, ხოლო ნატომ წასასვლელად ნაბიჯი გადადგა.

— სად მიბრძანდებით, ქალბატონო! — მკაცრი ხმით მიაძახა ნანუმ. — დაიცადეთ! ხომ კარგად იცით, რომ ეს თქვენ გეხებათ?

ნატო შეჯაჭვულივით შედგა.

მძაფრი დუმილი ჩამოვარდა. ირგვლივაც სიჩუმე იყო. ღრუბლებიდან

გამომკრთალი შუქი გარემოს საოცრად აფერადებდა. ხანდახან ნელი ნიავი გაშლიდა ფრთას და მინდვრის ყვავილები ოდნავ შეთრთოლდებოდნენ.

აბესალომძა შუბლი შეიკრა, გადაბმული წარბები თითქოს გადაენასკვაო; სახეზე ნაცრისფერი გადაედო, უმალვე წამოეგზხო. წერილს თავისი ფართო ხელი მოჰხვია მძლავრად. მერე დამხაშავესავით შეავლო ნანუს თვალი; ხოლო ნატოს რომ მიუბრუნდა, ძის გამომეტყველებაში შემმუსრავი ძრისხახება გამოსჭვივოდა:

— რა არის, ქალო, ეს?.. არ გესმის, რა არის-ძეთქი ეს?

ნატომ ძლივს ასწია თავი. მიხვდა, რომ საძუდამოდ დამარცხდა. ვეღარ შეისრულებდა თავის წადილს, აბესალომს ვერ მიწვდებოდა...

და სწორედ ამ მცირე დროის განმავლობაში მის სულში უდიდესი გადატრიალება მოხდა: აბესალომისადმი სიყვარული ღრმა სიძულვილმა შესცვალა. თვალები ზიზღით მოჭუტა და იმდენი ძალა კიდევ მოიშველია, რომ დამცინავად ახედა-დახედა:

— ვის უბედავ! ვის უყვირი თუ იცი?.. რა ვიცი მე, რა არის ეგ! თვითონ დაჯღაბნიდა რაღაცას! ალბათ, სხვას სწამებს ცილს, რომ თავისი გათხოვების საქმე მოაგვაროს...

— ხმა, ხმა ჩაიწყვიტე, შე საძაგელო!—აღმოხდა ნანუს.

მანუჩარმა ნატოს გადახედა და მრავალმეტყველად ჩაილაპარაკა.

— აი, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული!..

ამ დროს მათ ლევან ცისკარიძე მიუახლოვდა. მიხვდა, რომ რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი იყო. შორიახლო დადგა, უფერული სახე გაუფითრდა.

აბესალომმა ლევანი რომ დაინახა, შუბლი გაეხსნა, თითქო რაღაც მოულოდნელი აზრი დაებადაო; ლევანისაკენ გადადგა ნაბიჯი და მწუხარების მონაწილესავით მიმართა:

— ახლა მივხვდი, პატივცემულო ლევან, თუ ვის შეეხებოდა ... — ... შინ მიამბეთ. თქვენ ის ... სიათეთ. ჰოო, მძიმე უღელი გიტარებიათ, ბატონო ლევან, მძიმე! რა გაეწყობა, რაკი ამდენხანს გაუძელით, ალბათ, აწიც ვერ დააღწევთ თავს...

— ლევან, ნუ უგდებ, გენაცვალე, მაგას ყურს! რომელი კეთილშობილი კაცი იკადრებს იმას, რასაც მაგენი კადრულობენ...

ლევანმა სიმწარისაგან თავი ჩაღუნა, შემდეგ სასტიკი გამომეტყველებით ახედა ნატოს და მკაცრი ხმით უბრძანა:

— გასწი! გამიძეხი წინ!..

ამ სიმკაცრემ ახლა უცნაური სიამე აგრძნობინა ნატოს; ქმარს ისე შეაცქერდა, თითქო რაღაც ახალი აღმოაჩინაო მასში. არავისთვის აღარ მიუხედავს, მორჩილად გაემართა შინისაკენ.

* *

წავიდნენ ისინი და დუმილი მანუჩარმა დაარღვია:

— ისე შენ გაიხარე, ნანუს ჭირიმე, რავაც ახლა მე და აბესალომი ვართ გახარებული! ხომ გავაბით ეშმაკი მახეში! იწრიალოს ახლა რამდენიც უნდა. აგერ მიჭირავს მისი სული, აი! აბა, რა ეგონა? მანუჩარი მიწაში რაა, მიწაში, იმასაც კი ხედავს. ჩემი კუბო დაგედგას, თუ ეს ასე არ იყოს...

საუცხოო იყო ნანუსა და აბესალომის მოკრძალება. ჯერ ორივენი ერთმანეთს პირს არიდებდნენ, მერე თითქო სიმი სიმს გაემბორაო, ერთად ასწიეს თავი და ურთიერთს თვალი შეანათეს; მორცხვად გაეღიმათ.

მანუჩარს ახალგაზრდების უხერხულობა არ გამოეპარა, შუაში ჩაუდგა მათ და გზაზე სულ ცასა და ბარს ედებოდა, მისებურად აზვიადებდა რაღაც საფრთხეს, რომელიც თითქო მანუჩარის სიფხიზლის მეოხებით თავიდან აიცილეს.

აბესალომსა და ნანუს, რაკი ერთიმეორის სახეზე ნანატრი პასუხი ამოიკითხეს, ამჟამად სხვაზე არაფერზე ფიქრი არ შეეძლოთ.

მდუმარედ მიდიოდნენ და ნათლად ხედავდნენ, რომ ყველაფერი, რაც კი ამ ქვეყნად ჰყვავის და იფურჩქნება, რაშიაც კი ჰფეთქს და ჩქრიალებს მზის უკვდავი ნაწილი,—მათი სიცოცხლის გზას ამშვენებდა.

აბესალომმა შუაში მიმავალ მანუჩარს გვერდი შეუარა, ნანუს ხელი ჩაჰკიდა და ნეტარებაზე მოჭიკჭიკე ფრინველივით აფართქალდა მის მძლავრ ხელში ნანუს ნაზი ხელი.

* *

სამთამადნო უბნიდან დაბრუნებული გიორგი მშენებელთა სახლების სიახლოეს, ფართოდ ჩრდილგაფენილ მუხის ქვეშ, ქეთევანს ესაუბრებოდა.

პატარა გოგი მდელოზე იჯდა და ბაბუამისის მიერ შეგროვილი კენჭებითა და ნორჩი რკოებით რაღაცას გულმოდგინედ აშენებდა.

ცის გუმბათიდან ღრუბლები გადაკრეფილიყვნენ, მხოლოდ დასალიერზე გაშლილიყვნენ, ვით მაღალი ტყით შემორკალული ტბები. მზე დასავლეთისაკენ გადახრილიყო. ცხელოდა. ნიავი ოდნავ აშრიალებდა მუხის ფოთლებს.

ქეთევანმა უცებ თხრობა შეწყვიტა და გიორგი გზისაკენ მიახედა.

— რა ვქნა, ეს აბესალომი და ნანუ არაა?.. ჩვენსკენ მოდიან.

კარგა ხანს არცერთს ხმა არ დაუძრავს. ბოლოს, როცა მოახლოვდნენ, ქეთევანმა თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა:

— შერიგებულან... დედა-გენაცვალოთ, შვილებო!

მანუჩარი დაწინაურდა და მოხდენილად ჩამოართვა ხელი ქეთევანსა და გიორგის.

— ახლა რომ ვინმე ყანწით ღვინოს მომაწოდებდეს, კარგ სადღეგრძელოს კი გეახლებით სწორედ!—მხიარულად თქვა მანუჩარმა და თავმომწონე მაყარივით ულვაშებზე ხელი გადაისვა. მერე ქეთევანი განზე გაიხმო, დაიხარა და რაღაცა ჩასჩურჩულა.

აბესალომი და ნანუ აღტაცებას ვერ ფარავდნენ; მათი გაბრწყინებული სახეები უსიტყვოდ მეტყველებდნენ იმ უმწვერვალეს ბედნიერებას, რისი მოპოებაც ადამიანს შეუძლია.

ნანუ მამას ყელზე მოეხვია, ჩაეხუტა. მერე ბავშვთან მიიჭრა, აიყვანა, აკოცა და მამას მიჰგვარა, თითქო ამით უხდისო მადლობას ჩამოსვლისათვის.

გიორგიმ პატარა გოგი მაღლა ასწია, სახეზე ისეთი აღფრთოვანება აღებეჭდა, თითქო ხელი ცის მიღმა უცხო ქვეყანას მიაწვდინაო; მერე ნანუს ალერსით დააცქერდა და მისებური კეთილი ღიმილით უთხრა:

— ხომ გეუბნებოდი, გოგონი, რომ ერთადერთი წამალი შრომაა და სიყვარული-მეთქი?

— კარგი რა, მამა! ნუ იცი ხოლმე შენ ჩემი გამტყუნება!

მამამ ასულის ხმაში ის კილო შეიცნო, რომელშიაც მისთვის მომავლის შუქი ენთო.

ეპილოგი

ამ წიგნის გმირებს ომმა ადრე მოუსწრო. 1941 წლის მიწურულში მშენებლობა შეჩერდა. აბესალომ მუხიგული არმიაში გაიწვიეს. ნანუს ძუძუმწოვარა ბავშვი ხელში ეჭირა, როცა აბესალომი თბილისის სადგურამდე გააცილა. გიორგიც იქვე იყო, შუბლშეკრული, ნაღვლიანი; აბესალომსა და ნანუს თითქო თვალს არიდებდა, მრისხანედ გამოიყურებოდა.

განშორების წინ აბესალომმა ნანუს ბავშვი გამოართვა, მიუალერსა. ნორჩი გოგონა იყო, ხუთი თვისა. ბავშვმაც გაუღიმა, მაგრამ წამსვე შემკრთალი თვალები ირგვლივ აზღვავებულ ხალხს მიაპყრო, გაუშტერდა.

ამის შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა და აბესალომი თავის პირმშოს მუდამ ასე ხედავდა,—ერთ წერტილზე მიჩერებულს, უცნაურად გაოცებულს.

არმიიდან აბესალომი 1946 წლის აპრილში გათავისუფლდა. შორი გზა ჰქონდა გასავლელი ჩეხოსლოვაკიიდან საქართველომდე. ხანდახან ისეთი მოუთმენლობა აიტანდა, თითქო ომის ქარტეხილში როდი გამოევლოს, შორს პირველად ნამყოფი ყრმა იყოს და დედასთან მიეშურებოდეს. მოსკოვიდან თვითმფრინავით წამოსვლა მოახერხა. თბილისის აეროდრომზე, ვიდრე ავტობუსში ჩაჯდებოდა, მწვანედ აბიბინებულმა ველმა და მთებმა რაღაც იდუმალი მეტყველებით აგრძნობინეს, თუ რა დიდი ნატვრა დაგროვილიყო მის გულში.

ჩემოდანი სადგურში მიაბარა და მაღალი ხიდისაკენ გაემართა. აუჩქარებლად აჰყვა საფეხურებს, დედა-ქალაქს თვალი მოავლო. განცდის იმდენი ნაადი აღეძრა, რომ მისი ენით გამოთქმა შეუძლებელი იყო, გარს თითქო ბუნდოვანი სიმძიმე შემოეფინა. სიხარულის ეს ტვირთი რომ შეემსუბუქებინა, ჩქარი ნაბიჯით გასწია ქარხნისაკენ, რადგან გიორგი ახლა იქ ეგულებოდა.

არ მოელოდა აბესალომი, ქარხანა თუ ასე დაძველებული ეჩვენებოდა; ეს იმას ჰგავდა, ოცნებით გატაცებულს რომ გზაზე მრავალჭირნახული მოამაგე შემოეგებოს, არა სადღესასწაულოდ გამოწყობილი, არა მომღიმარე, არამედ შრომის ჭვარტლით შემურული, მტკიცე ნაბიჯით წინ მიმავალი.

სამჭედლოს გვერდით ჩაუარა აბესალომმა, ეცნაურა ქურებში ცეცხლის ბუგუნი და ურიების დაგადუგი. არ შეჩერებულა, იმ კუთხეს მიაშურა, სადაც პირველად დაიწყო მუშაობა გიორგი ალურიძესთან. მაშინ გიორგი ხოფლიდან ჩამოსულ ყმაწვილის თვალში დეგგმირსა ჰგავდა, ხოლო ახლა...

შესასვლელთან შესდგა აბესალომი. სიყრმის რამდენი მოგონება იყო დაგროვილი დიდი ქარხნის ამ პატარა კუთხეში! საოცარია, ახლა თითქო ყველაფერი დაპატარავებულა, თანაც პირქუშად შემურულა. მხოლოდ დიდ ქურაში გიზგიზებს ცეცხლი, სხვები ოდნავ შიშინებენ. ძრავების ღვედების შრიალსაც თითქო კილო შეუცვლია. საქვაბე საამქროდან კი ისევ ისე მოისმის ძველებური ჭახაჭუხი.

იქნება შესვენების დროა და გიორგი იმიტომ არა ჩანს... აჰ, აგერ, ახალი დაზგის კუთხეში ყოფილა. გრძელტარიან მარწუხს დაყრდნობია ჩაფიქრებული. გამხდარა, ჭაღარა მორევია, მხრებშიაც ოდნავ მოხრილა, ომის წლებში გაწეულ ჯაფას თავისი დაღი დაუსვამს.

გიორგის გულმა უაზრა, თავი ასწია და, მხედრულად გამოწყობილ წარმოსადეგ ვაჟკაცს რომ შეხედა, პირველად შეჩქვიფდა, მერე თავისი სიძის გადაბმული წარბები და კეთილი თვალების ელვარება იცნო, მარწუხი დააგდო და ხელები გაშალა.

უსიტყვოდ მიიჭრა აბესალომი, მოეხვია...

დილით ადრე მიუვიდათ მანქანა. გიორგიმ ცოტა ხნის შვებულება აიღო და აბესალომს გაჰყვა.

გაზაფხულის ბრწყინვალე დღე იყო. მანქანა მშენებლობისაკენ ახალი გზით მიჰქროდა. ყველაფერი თვალს სტაცებდა აბესალომს: ცის ლაჟვარდში აღმართული მწვერვალები, მწვანედ მოხასხასე ფერდოები, უხსოვარ დღეების ძეგლად მჩინარე კლდეები, ძველი ციხის ნანგრევი, ხევში მოჩქრიალე მდინარე, ნორჩი ფოთლებით დამშვე-

ნებული ხეები და ყვავილები, უამრავი ყვავილები.

მშენებლობა უკვე მეორე წელიწადია განახლდა, დამთავრებას დიდი აღარ უკლია. ბევრი ახალი მშენებელი შეემატა. ძველებიდან კი... ლევან ცისკარიძე რამდენიმე ხანს ჩრდილოეთ-კავკასიაში იყო, მტრის მიერ დანგრეულ ჰიდროელსადგურისა და ქარხნის აღსადგენად მუშაობდა. ახლა აქ არის, მშენებლობის ერთ უბანს ხელმძღვანელობს. არ მოტეხილა, მხოლოდ თმაში თეთრი გაერია და ფერმკრთალ სახეზე ნაოჭები უფრო დააჩნდა. ისე კი ამ ჭქუხარე წლებმა ახალი, მეტად ცხოველი შინაარსი მისცეს მის შრომისმოყვარეობას, უფრო ენერგიულად გამოიყურება.

მანუჩარი მშენებლობიდან არსად წასულა, ერთხანს საწყობებს ყარაულობდა, ახლა ისევ ხე-ტყის დამზადებაზე მუშაობს, სიბერეს არ იმჩნევს.

გეოლოგი დარინე მინდაძე ნანუს გვერდით ცხოვრობს, ახალ სახლში. ხანდაზმულ გასათხოვარ ქალს რომ სჩვევია, ისე კოხტად აქვს მორთული თავისი ნათელი ოთახი; აქ თითქო ყველაფერი, თვითონ დარინეც, შორიდან მომავალ გულითად მეგობარს ელის, ელის და ამ ლოდინში ხანდახან უნებლიედ შეიპყრობს წყნარი, რაღაც პოეტური სინაზით სავსე სევდა. გეოლოგიური გამოკვლევები კვლავ იტაცებს, მხოლოდ სადაც არ უნდა მიდიოდეს, ვაჟურად აღარ იცვამს, ქალ-ბიჭობას ვერავინ შესწამებს.

ნატოს ცხოვრებაში თითქმის არავითარი ცვლილება არ მომხდარა, მხოლოდ მისი მქრქალი სახისა და უკვე სხივმიმკრთალი თვალების გამომეტყველებას რომ დააკვირდეთ, იტყვით: ამ ქალის არსებაში რაღაცა ჩამქრალაო, აი ისე, ქარში გამოტანილ ფანარში რომ ჰაერი შეიჭრეს, მინა შეიმუროს და პატრუქის მიმოფენილი ალის შუქი გარეთ ვეღარ აღწევდეს. ახლაც არავითარი საქმე არ იზიდავს. ქმართან აღარ მიზეზობს, მხოლოდ ხანდახან დაიწყებს ბუზღუნს თავის უღირსობაზე. პატივმოყვარეობის გრძნობას მხოლოდ იმით იკმაყოფილებს, რომ თუ ვინმე ხელში ჩაუვარდა, აღარ მოეშვება, სულ უბრალო რამეზე მთელ საათს ილაპარაკებს, ხანდახან თვითონ შეთხზავს რაიმე ამბავს, რომ თავისი პირადი ღირსება გამოაჩინოს, თანაც მოიგონებს ხოლმე, თუ როგორ გამოირჩეოდა ბრწყინვალე საზოგადოებაში; ლაპარაკით არ დაიღლება, არც სიტყვა შემოელევა. თავმოყვარეობა ნებას არ აძლევს დაიჯეროს, რომ რაიმე სასინაულო ჩაედინოს. ერთხელ ნანუსთან შერიგებაც კი სცადა, მაგრამ ნანუმ არ ისურვა.

მანქანა ზეგანზე მისრიალობდა. აბესალომმა ნაცნობი მთის კალთას მოჰკრა თვალი, მღელვარებამ დასძლია, უმოქმედობა ვერ აიტანა, შოფერს ადგილი შეუცვალა და ავტო მეტი სისწრაფით წაიყვანა.

მზის სხივებში ქარხნის მთავარი კორპუსის სახურავი ალაპლაპდა, გამოჩნდნენ ახალი სახლები.

სწრაფად უახლოვდებოდნენ მშენებლობას და აბესალომის თვალწინ განხორციელებულ ოცნებასავით ჩნდებოდნენ უკვე დამთავრებული ნაგებობანი.

ნორჩი ფოთლებით შემოსილ ძველი მუხის მახლობლად გიორგიმ აბესალომს ზურგზე ხელი დაჰკრა, მანქანა გააჩერებინა; მარდად გადახტა, მდელოზე ბავშვებში მოთამაშე ხუთი-ექვსი წლის გოგონას მიაშურა, ხელი მოხვია, აიტაცა.

აბესალომმა კაბინის კარი გააღო, მძიმედ გადავიდა, წელში გაიმართა, დიდი ბრძოლის წინ თუ გამსჭვალულა ასეთი მღელვარე მოლოდინით.

— აბა, აბესალომ, ამ ცუგრუმელას თუ იცნობ?

აბესალომი მიხვდა, ვინც იქნებოდა იგი, მაგრამ უმალვე ჯერ ნორჩი ბავ-

შვის ერთ წერტილზე მიპყრობილი, გაოცებული თვალები მოაგონდა, მერე იამზის მშვენიერ სახეს დააკვირდა და ნათლად დაინახა, თუ რა დიდი დრო გასულიყო შინიდან წასვლის შემდეგ.

— ხედავ, ბაბუ, მამა მოგვიდა. მიდი, გენაცვალე!

იამზემ ჟუჟუნა თვალები მორცხვად დაჰხარა, მერე ისევ მიაპყრო აბესალომს, მშობლიური სიყვარულის ძალამ მიიზიდა.

ბორცვზე წამოდგმულ ახალი სახლისაკენ გაემართნენ.

მათკენ კოხტად გამოწყობილი ყმაწვილი გამოეშურა. ეს გოგი იყო, მას უკვე ათი წელი უსრულდებოდა. მიირბინა, ხელგაშლილ გიორგის მიეხუტა, მერე კრძალვით მიაპყრო აბესალომს თავისი სხივოსანი თვალები, მოეხვია.

ხოლო ეს, გრძელ კაბას რომ მოაფარფაშებს, ჩქარობს, მაგრამ ძალა არა ჰყოფნის, — ქეთევანია. თოვლივით თეთრ თმაში სიყვითლე შეჰპარვია, დაპატარავებულა, სიხარულისაგან ანთებულ სახეში კი დიდი შინაგანი ძალა გამოკრთის,—მოდის, რაღაცას მობუტბუტებს... შვილს რომ ჩაეკონა, დაღლილობამ უწია, თავი მკერდზე მიაყრდნო და მოძალებული ცრემლი ვერ შეიკავა.

ნანუ ამ წლების განმავლობაში მშენებლობას არ მოშორებია. მას მინდობილი ჰქონდა ნაგებობათა მეთვალყურეობა და მიმდინარე სამუშაოთა ხელმძღვანელობა, ხოლო როცა მშენებლობა განახლდა, ერთ საპასუხისმგებლო უბანს განაგებდა. დიდი გამოცდილება შეიძინა, მშენებელთა შორის ნიჭიერი ინჟინერის სახელი მოიხვეჭა.

აგერ მოიჩქარის ის, ფერმძლახული საზაფხულო პალტო აცვია. სახეზე გაზაფხულის მზე მოჰკიდებია, მაგრამ თითქმის სრულიად არ შეცვლილა, ისევ ისე შვენის თავისი ქალური ეშხი, მხოლოდ მეტად დიდი შინაგანი ძალის გამომხატველი სიდინჯე შემატებია; ის ახალი იერიც, რომელიც მის გამომეტყველებაში გამოსჭვივის, ცხადჰყოფს, რომ ბევრი წუხილი განუცდია, მაგრამ თავისი რწმენა და სიყვარული კიდევ უფრო განუმტკიცებია.

ცოლ-ქმარი რომ ურთიერთს მოეხვივნენ, ქეთევანს კვლავ ცრემლი მოერია და ჩვეულებისამებრ ჩაილაპარაკა:

— მოგიკვდეს შვილო, დედაი...

ბინაში ავიდნენ. გიორგიმ იამზე მკლავზე დაისვა, ფართო აივანზე გავიდა და მშენებლობას თვალი მოავლო.

და იმ წამს მის გონებაში რომ აისახა და ადამიანის სიცოცხლის აზრის შემცველი გრძნობა გაუცხოველა, ეს იყო: აი ასეთ უდაბურ ადგილებში აღმოცენებული ქალაქები, ფაბრიკა-ქარხნები, უთვალავი ნერგებით შემორგული გზატკეცილები, ნაჭაობარზე გაშენებული ბაღები, შეფოთლილი ვენახები და მობიბინე ჯეჯილები, უამრავ სკოლებსა და ინსტიტუტებში მოსწავლე ახალგაზრდობა,—ყველაფერი ეს თავდადებული შრომის მადლით ნათელ-მოსილი ახალი საქართველო იყო.

1940 — 1946 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხა დელბა

ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი ქართულ ენაზე

★

ქართულ ენაზე გამოვიდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი. თხზულებათა პირველი ტომი შეიცავს ამხანაგ სტალინის მიერ 1901 წლის სექტემბრიდან 1907 წლის აპრილამდე დაწერილ შრომებს. ამ ტომში არ შესულა ამხანაგ სტალინის ყველა ნაწარმოები, რომლებიც მას 1901 წლიდან 1907 წლის აპრილამდე დაუწერია. როგორც მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ პირველი ტომისათვის წამძღვარებულ რუსული გამოცემის წინასიტყვაობაშია აღნიშნული „დღემდე არ არის აღმოჩენილი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის არქივი და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ცალკეული გამოცემანი, სადაც იბეჭდებოდა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებები. კერძოდ, დღემდე აღმოჩენილი არ არის შემდეგი ნაწარმოებები: „მუშათა მარქსისტულ წრეებში მეცადინეობის პროგრამა“ (1898 წ.) და „კრედო (1904 წ.)“.

ყველა ის ნაწარმოები, რომელიც თხზულებათა პირველ ტომშია გამოქვეყნებული, დაწერილია უმთავრესად იმ პერიოდში, როცა ამხანაგი სტალინი რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისში, ამიერკავკასიაში. სტალინის თხზულებათა პირველ ტომში შესული თითქმის ყველა ნაწარმოები პირველად ქართულ ენაზე იყო დაწერილი და გამოქვეყნებული, როგორც იმდროინდელ ქართულ პრესაში, ისე ცალკე ბროშურების სახით. სტალინის თხზულებათა პირველი ტომის ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „ამ ტომის ქართულ გამოცემაში არსებითად უცვლელად არის გადმობეჭდილი გაზეთებში და ცალკე ბროშურებად გამოქვეყნებული ნაშრომები ავტორის მიერ ნებადართული შესწორებებით, რომლებიც შეეხება უმთავრესად ბეჭდვის არალეგალური პირობებით გამოწვეულ კორექტურულ შეცდომებს, შემდგომ პერიოდში დადგენილ ქართულ ტერმინებს და აგრეთვე ზოგიერთი სიტყვის ახალ მართლწერას. გათვალისწინებულია ის უმნიშვნელო რედაქციული ხასიათის ცვლილებებიც, რაც ავტორმა რუსულ გამოცემაში შეიტანა. ნაწილობრივ ცვლილება შეეხო რუსული და უცხო წყაროებიდან ციტირებული მასალის ავტორისეულ თარგმნას, რაც გამოწვეულია ორიგინალთა შემდგომი გამოცემების განსხვავებით იმ გამოცემებთან შედარებით, რომლებითაც ამხანაგი სტალინი სარგებლობდა“.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველ ტომში გამოქვეყნებული ნაწარმოებები დაწერილია იმ პერიოდში, როდესაც ვ. ი. ლენინი

საფუძვლებს უყრიდა მარქსისტულ-ლენინურ პარტიას, მის იდეოლოგიას, მის ორგანიზაციულ პრინციპებს. ეს ის პერიოდია, როდესაც სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ლენინიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის გამომუშავება ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. პირველ ტომში გამოქვეყნებული ნაწარმოებები ცხადად მეტყველებენ იმაზე, რომ ამხანაგი სტალინი თავის რევოლუციური მოღვაწეობის პირველ დასაწყისიდანვე ლენინური გზით მიდიოდა. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ყველაზე პირველად ლენინური იდეების მნიშვნელობა ასე ღრმად და ყოველმხრივად მხოლოდ სტალინმა გაიგო. როგორც ამხანაგი ვ. მოლოტოვი აღნიშნავს პირველად „ამხ. სტალინმა, ისე როგორც სხვამ არავინ, ღრმად გაიგო ლენინის გულში ჩამწვდომი იდეები ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შესახებ“.[1]

პირველად სტალინმა დაინახა ლენინში პარტიის დიდი თეორეტიკოსი და ბელადი. და ეს იმ პერიოდში, როდესაც მეორე ინტერნაციონალის „თეორეტიკოსები“, რომლებსაც ნამდვილ მარქსისტებად მოჰქონდათ თავი მთელს მსოფლიოში, არამც თუ არ სცნობდნენ ლენინს და საერთოდ უარყოფდნენ რუსეთში სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობის რაიმე მნიშვნელობასაც კი, არამედ ნამდვილ ომს უცხადებდნენ ლენინურ იდეებს, სხვადასხვა მეთოდებით ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ ლენინური მოძღვრებისათვის, ჩაეშალათ მისი ცხოვრებაში განხორციელება და სხვ. სტალინის მიერ რევოლუციური მოძრაობის დასაწყისიდანვე ლენინური იდეების ღრმა გაგება და ამ იდეების ცხოვრებაში განხორციელებისათვის წარმოებული დიდი ბრძოლა იმის მაჩვენებელია, რომ ეს იდეები მისი ს ა კ უ თ ა რ ი იდეებიც იყო. სტალინისათვის „ისკრის“ იდეები,—სწერს ამხ. მ. ი. კალინინი,— „იყო არა იმდენად ახალი რამ, რამდენადაც რევოლუციურ მოძრაობაზე უკვე მასში ჩამოყალიბებულ შეხედულებათა ავტორიტეტული დადასტურება“.[2]

ამხ. მ. კალინინის ამ აზრების საუკეთესო დამტკიცებას წარმოადგენს სწორედ სტალინის თხზულებათა პირველ ტომში გამოქვეყნებული ნაწარმოებები. ეს გარემოება არ შეიძლება შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს. სტალინის მიერ ლენინური იდეების ღრმა გაგება უნდა აიხსნას რევოლუციური პრაქტიკისა და რევოლუციური თეორიის ერთიანობით; ისე როგორც ლენინისა და სტალინის მთელი მოღვაწეობა, სტალინის თხზულებათა პირველ ტომში გამოქვეყნებული ნაწარმოებები გვიჩვენებენ თეორიისადმი ქმედით დამოკიდებულებას, როდესაც თეორია ემსახურება პრაქტიკას, როდესაც თეორია მოწოდებულია გადასჭრას პრაქტიკის მიერ წამოყენებული საკითხები.

სტალინის თხზულებათა პირველი ტომი — მარქსისტული დიალექტიკის პრაქტიკულ მოძრაობაში გამოყენების შესანიშნავი მაგალითია. ამხანაგ სტალინის ეს ტომი — ისე როგორც მისი ყველა სხვა შრომა, გვასწავლის

---

[1] იხ. კრებული „60 წელი დიდი სტალინის დაბადებიდან“, ქართული გამოც., 1940 წ., გვ. 19.

[2] იქვე, გვ. 78 — 79.

ღრმად გავიგოთ რევოლუციური თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის ერთიანობა, ამხანაგი სტალინი გვაძლევს იმის საუკეთესო მაგალითს, თუ როგორ უნდა დაუკავშირდეს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის საკითხები პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის საარსებო ამოცანებს, თუ როგორ უნდა საზოგადოებრივი ცხოვრების განხილვა განვითარების პროცესში, ამ განვითარების პროცესის ყველა თავისებურობის გათვალისწინება და ამის საფუძველზე მოვლენათა განვითარების წინასწარი განჭვრეტა.

ამხანაგი სტალინი არა მარტო აღიარებს, რომ მარქსიზმი ეს მთელი ფილოსოფიური მსოფლმხედველობაა, საიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს მოძღვრება სოციალიზმის შესახებ, არამედ ამ დებულების ბრწყინვალე დასაბუთებას იძლევა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ცალკეული პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის მაგალითზე.

სტალინი პირველ ტომში მოთავსებულ ყველა ნაწარმოებში სწორედ რომ დიალექტიკურად აყენებს საკითხს, იმ დროინდელი პრაქტიკული მოძრაობის საკითხების გადაწყვეტას ამხანაგი სტალინი საფუძვლად უდებს მარქსიზმის შემოქმედებითად გამოყენებას. მეცნიერება, თეორია უნდა ემსახურებოდეს ცხოვრებას, პრაქტიკას, მუშათა კლასის დიადი მიზნების განხორციელებას, იგი, — თეორია, მეცნიერება, — წინ უნდა მიდიოდეს, უნდა ვითარდებოდეს და არასოდეს არ უნდა უყურებდეთ მას, როგორც დოგმების კრებულს — აი რას ასწავლის პარტიას, ხალხს ამხანაგ სტალინის ყველა ის ნაწარმოები, რომელიც გამოქვეყნებულია თხზულებათა პირველ ტომში.

სწორედ ლენინში, რომელიც რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე იდგა შემოქმედებითი მარქსიზმის პოზიციებზე, უნდა ეპოვნა სტალინს თავის შემუშავებული აზრების ავტორიტეტული დადასტურება. სწორედ ამიტომაა მთელი ჩვენი პარტიის შექმნა, მისი ყოველმხრივი მომზადება განუყოფელად დაკავშირებულია ორი ადამიანის სახელთან: ლენინისა და სტალინის სახელებთან. არ არსებობს ლენინის ამ პერიოდის არც ერთი ისეთი შრომა პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული თუ ტაქტიკური მომზადების საქმეში, რომლის ბრწყინვალე გაგებასა და დასაბუთებას არ იძლეოდეს ამხანაგი სტალინი.

თუ ჩვენ შევეცდებით ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველ ტომში მოთავსებული ნაწარმოებების შინაარსის რამდენიმე სიტყვით დახასიათებას — ეს შინაარსი იქნება მოწინავე იდეების როლის ჩვენება და დასაბუთება ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებაში. სწორედ ამ საკითხის გარკვევაშია ის სიახლე, რომელიც შეიტანეს მარქსიზმის საგანძურში ლენინმა და სტალინმა, როგორც ცნობილია ლენინმა თავის შრომაში „რა ვაკეთოთ?“ იდეოლოგიური საფუძვლები ჩაუყარა ახალი ტიპის პარტიის შექმნას, შემდგომ განავითარა მარქსიზმის მოძღვრება თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის შესახებ, მეცნიერული სიცხადით აჩვენა რევოლუციური თეორიის როლი რევოლუციურ მოძრაობისათვის და მაღალ საფეხურზე აიყვანა პარტიის როლი. ლენინის დებულებების დაცვისა და დასაბუთებისადმია მიძღვნილი სტალინის თხზულებათა პირველ ტომში შესული ორი წერილი ქუთაისიდან და შრომები: „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ და „პასუხად „სოციალ-დემოკრატს“.

ამხანაგი სტალინი თავის შრომაში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ აღნიშნავს, რომ იდეალისტებისათვის საზოგადოებრივი შეგნება [illegible] საფუძველი, რომელზედაც შენდება საზოგადოებრივი ცხოვრება. — იდეალისტები ამტკიცებენ რომ იდეა არის საზოგადოებრივი ცხოვრების წყარო, მისი შემოქმედი.

ასეთი შეხედულება იდეების შესახებ ანტიმეცნიერულია, იგი ეწინააღმდეგება ისტორიის ობიექტური კანონზომიერების მსვლელობას. საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ იდეები ზეციდან არ ვარდებიან, რომ მათ წარმოშობს საზოგადოებრივი ცხოვრება. სწორედ მარქსმა და ენგელსმა პირველად აზროვნების ისტორიაში მეცნიერული სიცხადით დაამტკიცეს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება არის იდეების წყარო, მისი წარმოშობის მიზეზი. საზოგადოების ცხოვრება არის ის საფუძველი, რომელზედაც აღმოცენდა საზოგადოებრივი იდეა, თეორია. ამით მარქსმა და ენგელსმა საფუძველი გამოუთხარეს იდეალიზმს და მეცნიერულად დაასაბუთეს მატერიალიზმის ჭეშმარიტება.

მაგრამ, როგორც იქვე აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, ზოგიერთმა ნახევრად მარქსისტმა მარქსისა და ენგელსის ეს აზრი ისე გაიგო, რომ თითქოს იდეას მცირეოდენი მნიშვნელობა ჰქონდეს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ენგელსი იძულებული იყო თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გამოსულიყო მარქსიზმის ასეთი გაგების წინააღმდეგ; მართალია მარქსისა და ენგელსის შრომებში მწყობრი სისტემის სახით არ არის ჩამოყალიბებული მოძღვრება მოწინავე იდეების როლის შესახებ, მათს წინაშე არც იდგა ასეთი ამოცანა. ისინი თავიანთ ისტორიულ დამსახურებას ხედავდნენ იმაში, რომ განედევნათ საბოლოოდ იდეალიზმი ისტორიის სფეროდან. მაგრამ იდეების როლის საკითხის სწორად გადაწყვეტა და დასაბუთება შესაძლებელია მხოლოდ მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის საფუძველზე. მოწინავე იდეების როლის ჩვენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენ გამოვალთ საერთოდ მატერიალიზმის ძირითად პრინციპებიდან — ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას. მართალია იდეალისტებიც აღიარებენ იდეის როლს, მაგრამ ასეთი აღიარება მოკლებულია ყოველგვარ რეალურ შინაარსს: იდეას, რომელიც თავის თავითაა განსაზღვრული და გარედან იძლევა სინამდვილეს, არაფრის გაკეთება არ შეუძლია ისტორიის განვითარებაში. მხოლოდ ისეთ იდეას შეუძლია შეასრულოს დიდი როლი საზოგადოებრივი არსებობის განვითარებაში, რომელიც თავის წარმოშობით განსაზღვრულია სინამდვილის ობიექტური კანონზომიერებით და რომელიც გამოხატავს ადამიანთა მატერიალური ცხოვრების წარმოების ინტერესებს.

იდეების აქტიური როლის აღიარება, მარქსიზმს კი არ ეწინააღმდეგება, როგორც ეს პლეხანოვს ეგონა, პირიქით, მხოლოდ მარქსიზმის საფუძველზე, მის შემდგომ განვითარებით, შეიძლებოდა მოწინავე იდეების როლის სისტემის სახით ჩამოყალიბება, რაც ასე ბრწყინვალედ შეასრულეს ლენინმა და სტალინმა.

ისტორიული განვითარების ახალი პერიოდი მოითხოვდა იმის დამტკიცებას, რომ სოციალისტურ ცნობიერებას აქვს დიდი მნიშვნელობა მუშათა მოძრაობისათვის, რომ იდეის, სოციალისტური ცნობიერების გარეშე მუშათა მოძრაობა არის ტრედუნიონისტური ხეტიალი. საჭირო იყო „ეკონო-

მისტების“, მენშევიკების განადგურება, რომლებიც არ სცნობდნენ მოწინავე იდეების დამრაზმავ, მაორგანიზებელ როლს.

ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა ლენინმა თავის შრომაში „რა ვაკეთოთ?“. ლენინმა ამ შრომაში ისტორიული მატერიალიზმის პრინციპიდან ამოსვლით, მისი სრული თანხმობით, უდიდესი სიცხადით გააშუქა ცნობიერების აქტიური როლი. ეს საკითხი სრულიად ახლებურად დააყენა ლენინმა. სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს ამხანაგი სტალინი თავის წერილში ქუთაისიდან, რომელიც დაწერილია 1904 წლის სექტემბერ-ოქტომბერში და პირველად ქვეყნდება ამ ტომში. თავის პირველ წერილში ქუთაისიდან ამხანაგი სტალინი სწერს: „მე მგონია, რომ პლეხანოვი ჩამორჩა ახალ საკითხებს. მას ძველი ოპონენტები ელანდება, და ძველებურად გაიძახის: „საზოგადოებრივი შეგნება განისაზღვრება საზოგადოებრივი მდგომარეობით“, „იდეები ციდან არ ცვივა“. თითქოს ლენინი ამბობდეს, რომ მარქსის სოციალიზმი შესაძლებელი იქნებოდა მონობის ან ბატონყმობის დროს. ახლა გიმნაზიელებმაც კი იციან, რომ „იდეები ციდან არ სცვივა“. მაგრამ საქმე ის არის, რომ ახლა ლაპარაკია სულ სხვა რამეზე. ეს ზოგადი ფორმულა ჩვენ დიდი ხანია შევითვისეთ. დადგა დრო მოვახდინოთ ამ ზოგადი საკითხის დეტალიზაცია. ახლა ჩვენ ის გვაინტერესებს, თუ როგორ მუშავდება ცალკეული იდეებიდან იდეათა სისტემა (სოციალიზმის თეორია), როგორ კავშირდებიან ცალკე იდეები ერთ მწყობრ სისტემად“...[1]

მეორე წერილში ქუთაისიდან ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ „ეკონომისტებისა“ და მენშევიკების წინააღმდეგ ბოლშევიკების ბრძოლაში ლაპარაკია „თეორიისა (საკითხი შეგნებისადმი მდგომარეობის დამოკიდებულების შესახებ) და ტაქტიკის (ხელმძღვანელობისადმი ხელმძღვანელობაში მყოფთა დამოკიდებულების) შესახებ“.[2]

ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, რომ ლენინისა და სტალინის წინაშე საკითხი იყო სწორედ თეორიის, იდეების როლის ჩვენება და დასაბუთება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, და არა ისეთი ბანალური ჭეშმარიტების მოწაფურ—დოგმატური განმეორება, რომ „ყოფიერება—განსაზღვრავს ცნობიერებას“, როგორც ამას, მაგალითად, აკეთებდა პლეხანოვი.

მაგრამ როგორია კერძოდ სოციალიზმის იდეების წარმოშობის ობიექტური პირობები?

სოციალიზმის შესახებ მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბების პირობები შექმნა კაპიტალიზმის განვითარებამ და მის საფუძველზე წარმოშობილმა კლასთა ბრძოლამ. „რა თქმა უნდა—სწერს ამხანაგი სტალინი—კაპიტალიზმი და კლასობრივი ბრძოლა რომ არ ყოფილიყო, არც მეცნიერული სოციალიზმი იქნებოდა“.[3] მეცნიერული თეორია სოციალიზმის შესახებ შექმნეს მარქსმა და ენგელსმა. მარქსმა და ენგელსმა კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერების აღმოჩენის საფუძველზე გააკეთეს გენიალური დასკვნა სოციალისტური საზოგადოების აუცილებლობის შესახებ. მარქსმა და ენგელსმა აღმოაჩინეს, რომ კაპიტალისტური

[1] ი. სტალინი, თხზ. ტ. I, გვ. 56.
[2] იქვე, გვ. 59.
[3] ი. სტალინი, თხზ. ტ. I, გვ. 98.

საზოგადოებისათვის დამახასიათებელია გამოუვალი წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის, რომელსაც მივყევართ პერიოდულ კრიზისებისაკენ და მუდმივ ომებისაკენ, გამოსავალი ამ წინააღმდეგობისაგან მხოლოდ სოციალიზმშია, კაცობრიობის ხსნა მუდმივ ომებისა და მოულოდნელ კატასტროფებისაგან მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებას შეუძლია. მარქსმა და ენგელსმა კაპიტალისტურ საზოგადოებაში აღმოაჩინეს აგრეთვე ის სოციალური ძალა, რომელსაც შეეძლო ყოფილიყო სოციალისტური საზოგადოების მესვეური: ეს არის სწორედ მუშათა კლასი, ამიტომ მუშათა მოძრაობამდე მეცნიერული სოციალიზმი შეუძლებელი იყო. როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, „მეცნიერული სოციალიზმის ხსენებაც არსად იყო, რომ მუშები იბრძოდნენ...“ [1]

მაგრამ კაპიტალიზმის პირობებში სოციალიზმის თეორიის შექმნამდე როგორი ხასიათისაა მუშათა მოძრაობა? შეუძლია თუ არა მუშათა სტიქიურ მოძრაობას მეცნიერული თეორიის შექმნა სოციალიზმის შესახებ? შეუძლია თუ არა მუშათა სტიქიურ მოძრაობას სოციალიზმის დამყარება?

ამ საკითხებზე ამხანაგი სტალინი იძლევა ამომწურავ პასუხს ზემოაღნიშნულ შრომებში და მეცნიერული დამაჯერებლობით ასაბუთებს და ანვითარებს ლენინურ მოძღვრებას იდეების როლის შესახებ. მართალია სოციალიზმის შესახებ მეცნიერული თეორიის შექმნას, წინ უსწრებდა მუშათა მოძრაობა, მაგრამ მუშათა ეს მოძრაობა სტიქიური იყო. სოციალიზმის თეორიის წარმოშობამდეც იბრძოდნენ მუშები კაპიტალისტების წინააღმდეგ, აწყობდნენ გაფიცვებს, დემონსტრაციებს, მოითხოვდნენ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ განვითარების ამ ეტაპზე მუშებს თავიანთი მიზნები შეგნებული ჰქონდათ. გარდა ამისა, მათ რწმენაც არ ჰქონდათ იმისა, რომ ისინი შესძლებენ კაპიტალიზმის დამხობას და შექმნიან სოციალისტურ წყობილებას. მუშათა რევოლუციურ მოძრაობას გზას უნათებს მხოლოდ სოციალიზმის თეორია, ეს თეორია აძლევს მას თავის ძალებისადმი მეცნიერული რწმენის ძალას. მაგრამ მეცნიერული სოციალიზმის თეორიის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა დრო და ცოდნა. პროლეტარიატს კაპიტალიზმის პირობებში არც დრო აქვს და არც მეცნიერული ცოდნა საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ. გასაგებია, რომ პროლეტარიატს სანამდის ის პროლეტარიატად რჩება, არ შეუძლია სოციალიზმის მეცნიერული თეორიის შექმნა. მეცნიერულ თეორიას სოციალიზმის შესახებ ჰქმნის ადამიანების მცირე მოწინავე ჯგუფი, რომლებიც გამოსულ არიან გაბატონებული კლასების წრიდან და რომლებსაც ამის გამო თავისუფალი დრო გააჩნიათ და მეცნიერული ცოდნაც აქვთ. ადამიანთა ასეთ მოწინავე ჯგუფს ეკუთვნოდნენ სწორედ მარქსი და ენგელსი.

გასაგებია, რომ რაკი პროლეტარიატს არ შეუძლია მეცნიერული სოციალიზმის თეორიის შექმნა, ხოლო სოციალიზმის თეორიის გარეშე შეუძლებელია მუშათა კლასის გამარჯვების დაჩქარება, მაშასადამე აქედან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა: იმისათვის, რომ მუშათა კლასმა რაც შეიძლება ადრე და ნაკლები მსხვერპლის გაღებით გაიმარჯვოს, საჭიროა მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის თეორიის შეერთება.

---

[1] ი. სტალინი, თხზ. ტ. I, გვ. 97.

მარქსმა და ენგელსმა არა მარტო შექმნეს მეცნიერული თეორია სოციალიზმის შესახებ, არამედ ისინი იბრძოდნენ მისი გამარჯვებისა და გავრცელებისათვის. მარქსიზმის მოძღვრებას მთელს მსოფლიოში გაჩნდა მიმდევრები, მან მოიპოვა უდიდესი თეორიული გამარჯვება. მაგრამ, როგორც ლენინი აღნიშნავს, მარქსიზმის თეორიულმა გამარჯვებამ მისი მტრები აიძულა შეეცვალათ ბრძოლის ტაქტიკა, მარქსიზმის მტრები — ყველა ჯურის ოპორტუნისტები — იძულებული იყვნენ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში სიტყვიერად მიეღოთ მარქსიზმი, გამოსულიყვნენ მარქსიზმის სამოსელით, მაგრამ მარქსიზმში ისეთი შინაარსი ჩაედვათ, რომ იგი მისაღები ყოფილიყო ბურჟუაზიისათვის. მარქსიზმის ასეთ მტრებს წარმოადგენდნენ რევიზიონისტები, ეკონომისტები, მენშევიკები, რომლებიც გამოდიოდნენ რა მარქსიზმის სამოსელით, უარყოფდნენ მოწინავე იდეების როლს, ქედს იხრიდნენ სტიქიურობის წინაშე და ამით სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას აფერხებდნენ. ლენინსა და სტალინს ხვდათ წილად მარქსიზმის მტრების განადგურება და მარქსიზმის თეორიული საგანძურის შემდგომი განვითარება.

ბრძოლას მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის თეორიის შეერთებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის. რუსეთის მუშათა კლასის წინაშე, როგორც ეს ლენინმა აჩვენა „რა ვაკეთოთ?“-ში, ისეთი ამოცანები იდგა, რომელიც მას მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდად ხდიდა, რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლა სოციალიზმისათვის სწარმოებდა სრულიად ახალ პირობებში, ამიტომ თეორიის საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისათვის. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ სრულიად დაადასტურეს ლენინის გენიალური წინასწარი ხედვა.

ლენინი და სტალინი ასაბუთებდნენ, რომ მუშათა სტიქიურ მოძრაობაში გარედან შედის სოციალისტური შეგნება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ თითქოს ასეთი მტკიცება ეწინააღმდეგებოდეს მარქსიზმს. როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, მარტო იდეალისტებს შეუძლიანთ სთქვან, რომ ყველაფერია თეორია და მუშათა მოძრაობა არაფერი. „რა არის, — სწერს ამხანაგი სტალინი,—მეცნიერული სოციალიზმი უ მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ო დ? — კომპასი, რომელიც შეიძლება უხმარებლად დაეანგდეს და წყალში გადასაგდები გახდეს“.[1]

ლენინი და სტალინი არამც თუ არ უარყოფდნენ მუშათა სტიქიური ბრძოლის მნიშვნელობას კაპიტალიზმის წინააღმდეგ, არამედ იმის შესაძლებლობასაც უშვებდნენ, რომ ასეთი მოძრაობაც მიიყვანს მუშათა კლასს „აღთქმულ ქვეყნისაკენ“, ე. ი .სოციალიზმში. გარდა იმისა, რომ სტიქიური მოძრაობის მნიშვნელობის უარყოფა არ არის მეცნიერული შეხედულება სინამდვილის შესახებ — საფრთხესაც უქმნის სოციალიზმის გამარჯვების საქმეს, ვინაიდან ასეთი შეხედულება უარყოფით დამოკიდებულებას ჰქმნის მშრომელთა ბრძოლისადმი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ. როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რასაკვირველია, ოდესმე ეკონომიური განვითარება მუშათა კლასს აუცილებლად მიიყვანს სოციალურ რევოლუციასთან და მა-

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ. ტ. I, გვ. 98.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შასადამე, აიძულებს მას ყოველგვარი კავშირი გაწყვიტოს ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს იქნება ძალზე გრძელი და მტკივნეული გზა.[1]

ლენინს არც ერთი წუთით არ უღალატნია მარქსიზმისათვის, როგორც ეს პლეხანოვს ეგონა, ვინაიდან ლენინს სრულებითაც არ უარუყვია სტიქიური მოძრაობის მნიშვნელობა. მაგრამ ლენინის მოწინააღმდეგეებს არ სურდათ გაეგოთ, რომ ლენინი შორს მიდის, ის არ კმაყოფილდება მხოლოდ მუშათა სტიქიური მოძრაობის როლის აღიარებით. ეს საკითხი ლენინის აზრით სათანადოდ გარკვეულია. საჭირო იყო იმის დასაბუთება თუ რა მნიშვნელობა აქვს მუშათა სტიქიური მოძრაობისათვის შეგნებულობას. შეგნებულობისა და სტიქიურობის მიმართების საკითხს შემდეგნაირად ასაბუთებს ამხანაგი სტალინი:

„ზოგიერთები ამბობენ—გვასწავლის ამხანაგი სტალინი—ვითომ ლენინისა და „უმრავლესობის“ აზრით მუშათა მოძრაობა, თუ მას სოციალისტური იდეოლოგია არ ახლავს, დაღუპვისაკენ მიდის, სოციალურ რევოლუციას ასცდებაო. მაგრამ ეს ჭორია, მოცლილთა ჭორი, რომელიც მხოლოდ იმისთანა ძალად-მარქსისტებს თუ მოუვათ თავში, როგორიცაა ანი (იხ. „რა არის პარტია?“, „მოგზაური“ № 6).

ლენინი გარკვევით ამბობს, რომ „მუშათა კლასი სტიქიურად მიილტვის სოციალიზმისაკენო“, და თუ ამაზე ბევრს არ ლაპარაკობს, — ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მისი დამტკიცება ზედმეტად მიაჩნია, რადგანაც ის ისედაც დამტკიცებულია. გარდა ამისა, ლენინის მიზანი სულაც არ იყო სტიქიური მოძრაობა გამოეკვლია, — მას მხოლოდ ის უნდოდა დაენახვებინა პრაქტიკოსებისათვის, თუ რა უნდა აკეთონ მათ შეგნებულად.[2]

ლენინი ასაბუთებდა იმ აზრს, რომ არამც თუ სოციალიზმი არ შეიძლება მუშათა მოძრაობის გარეშე, არამედ მუშათა მოძრაობაც შეუძლებელია სოციალიზმის გარეშე. „რა არის მუშათა მოძრაობა უსოციალიზმოდ? უკომპასო გემი, რომელიც ისეც მიატანს მეორე ნაპირს, მაგრამ კომპასი, რომ ჰქონდეს უფრო ჩქარა მიადგება ნაპირს და უფრო ნაკლებ ხიფათს შეხვდება.

შეაერთეთ ორივე, და მიიღებთ შესანიშნავ გემს, რომელიც სისწორით გაექანება მეორე ნაპირისაკენ და უვნებლად მიაღწევს ნავსადგურს.

შეაერთეთ მუშათა მოძრაობა სოციალიზმთან, და მიიღებთ სოციალდემოკრატიულ მოძრაობას, რომელიც პირდაპირი გზით გასწევს „აღთქმული ქვეყნისკენ“.[3]

ლენინი და სტალინი იბრძოდნენ იმისათვის, რომ მუშათა კლასი „აღთქმულ ქვეყნისკენ“ წაეყვანათ ადრე, ვინაიდან მუშათა კლასისათვის სულ ერთი არ არის როდის აღმოჩნდება ის „აღთქმულ ქვეყანაში“, და რომ ეს გამარჯვება მომხდარიყო ნაკლები მსხვერპლის გაღებით. ისტორიამ, პრაქტიკამ სრულიად დაამტკიცა რომ მართალი იყვნენ ლენინი და სტალინი. თუმცა მუშათა სტიქიურ მოძრაობაში გარედან შედის სოციალისტური შეგნება, მაგრამ ეს შესაძლებელია სწორედ იმიტომ, რომ მუშათა კლასი სტი-

---

[1] ი. სტალინი, თხზ. ტ. I, გვ. 101.

[2] იქვე, გვ. 99.

[3] იქვე, გვ. 99.

ქიურად მიისწრაფვის სოციალიზმისაკენ და რომ თვით ეს სოციალისტური შეგნება ადექვატურად გამოხატავს მუშათა კლასის, მთელი პროგრესიული კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იბადება კითხვა: ვინ უნდა შეიტანოს ეს შეგნება გარედან მუშათა სტიქიურ მოძრაობაში? როგორ, რა საშუალებებით ხდება მუშათა სტიქიური მოძრაობისა და სოციალიზმის თეორიის შეერთება? ლენინმა და სტალინმა დაასაბუთეს და აჩვენეს, რომ მუშათა სტიქიური მოძრაობისა და სოციალიზმის თეორიის შეერთება შეუძლებელია ახალი ტიპის პარტიის გარეშე, რომელიც მტკიცედ იდგომება მარქსიზმის მსოფლმხედველობაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროლეტარიატს საკუთარი ძალებით არ შეუძლია შეიმუშაოს სოციალიზმი, ამიტომ გასაგებია, რომ მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთება შესაძლებელია მხოლოდ მუშათა კლასში სოციალისტური შეგნების გარედან შეტანით. ლენინმა და სტალინმა აჩვენეს, რომ სოციალისტური შეგნების მუშათა მოძრაობაში შეტანას ანხორციელებს მუშათა კლასის ავანგარდი, მისი პარტია. ლენინისა და სტალინის მტრები, მუშათა კლასის მტრები ამ საკითხშიაც შეეცადნენ ეპოვნათ წინააღმდეგობა, მარქსიზმისადმი ღალატი. მენშევიკები, იყენებდნენ რა ცრუ დემაგოგიას, ბოლშევიკებს ბრალს სდებდნენ „მუშებისადმი უგულვებელმყოფელ დამოკიდებულებას“, ბოლშევიკების მტკიცებას იმის შესახებ, რომ მუშათა მოძრაობაში სოციალიზმის თეორია გარედან შედის, მენშევიკები იმდაგვარად განმარტავდნენ, რომ თითქოს შეგნებულობის ეს შეტანა მხოლოდ და მხოლოდ ინტელიგენციის საქმე ყოფილიყო და რომ თითქოს ბოლშევიკები ახდენდნენ „ინტელიგენციის განდიდებას“. სტალინმა თავის სტატიაში, რომელსაც დიდად აფასებდა ლენინი, „პასუხად „სოციალ-დემოკრატს“, ამხილა მენშევიკ ჟორდანიას დემაგოგია და უდიდესი სიცხადით განმარტა თუ როგორ ესმის ბოლშევიკებს შეგნების გამომუშავების საკითხისა და მუშათა მოძრაობაში მისი შეტანის ურთიერთობა. მენშევიკები ამ ორ საკითხს ერთმანეთში ურევდნენ.

ლენინის მტკიცება იმის შესახებ რომ მუშათა კლასს საკუთარი ძალებით არ შეუძლია სოციალიზმის თეორიის შემუშავება, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მის შემდეგ რაც ასეთი თეორია შეიქმნება, თითქოს მისი შეტანა მუშათა მოძრაობაში მხოლოდ ინტელიგენტი-სოციალ-დემოკრატების საქმე იყოს და ამ საქმისაგან განზე იდგნენ მოწინავე მუშები. ამხანაგ სტალინმა განმანადგურებელი პასუხი გასცა მენშევიკების ცდებს — სახელი გაეტეხათ ლენინისათვის. სტალინი სწერდა: „რად ვერ გაიგეთ, რომ ჩვენი აზრით, ბოლშევიკების აზრით, სოციალ-დემოკრატიას შეაქვს მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნება და არა მარტო ინტელიგენტ-სოციალ-დემოკრატებს? რადა გგონიათ, რომ სოციალ-დემოკრატიაში მარტო ინტელიგენტებია? რით ვერ გაიგეთ, რომ სოციალ-დემოკრატიაში გაცილებით უფრო მეტია მოწინავე მუშები, ვიდრე ინტელიგენტები? ნუთუ არ შეუძლიათ სოციალ-დემოკრატ მუშებს სოციალისტური შეგნების შეტანა მუშათა მოძრაობაში?“.[1]

მეორე ინტერნაციონალის პარტიებს არ შეეძლოთ მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანა, ვინაიდან ამ პარტიებმა საშინლად დაა-

[1] ი. სტალინი, თხზ. ტ. I, გვ. 157.

მახინჯეს თვით სოციალიზმის იდეა და შენიღბულად ებრძოდნენ მარქსიზმს. საჭირო იყო ახალი ტიპის პარტიის შექმნა, პარტიისა, რომელიც სოციალიზმის დიადი იდეების საფუძველზე დარაზმავდა მუშათა კლასს და წაიყვანდა მას ძალაუფლებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის საბრძოლველად. ასეთი პარტიის გარეშე შეუძლებელია მუშათა კლასის წაყვანა რაც შეიძლება ჩქარა და ნაკლები მსხვერპლის გაღებით „აღთქმულ ქვეყნისაკენ". ასეთი პარტიის შექმნისათვის იბრძოდნენ სწორედ ლენინი და სტალინი თავიანთი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე. მაგრამ ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის საჭირო იყო გარკვევა იმ საკითხისა თუ როგორ უნდა შეექმნათ ასეთი პარტია, რით უნდა დაწყებულიყო ასეთი პარტიის შექმნა, როგორი უნდა ყოფილიყო ახალი ტიპის პარტია?

როგორც ცნობილია რუსეთში ახალი ტიპის პარტიის შექმნა უნდა დაწყებულიყო არალეგალური გაზეთის ორგანიზაციით. იმ მრავალრიცხოვან წრეებიდან, რომელნიც მაშინ რუსეთში არსებობდნენ, უნდა შექმნილიყო მთლიანი სოციალ-დემოკრატიული პარტია. მაგრამ, როგორც ლენინი სწერდა, სანამ მოხდებოდეს გაერთიანება, საჭიროა გადაჭრით და გარკვევით გამიჯვნა. რუსეთში გაზეთ „ისკრით" დაიწყო ახლი ტიპის პარტიის შექმნა. გაზეთ „ისკრის" გამოსვლის ათი თვის შემდეგ გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „ბრძოლამ". გაზეთი „ბრძოლა", სწერს ამხანაგი ლ. პ. ბერია, იყო „თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, მისი ლენინურ-ისკრული ჯგუფის პირველი არალეგალური გაზეთი, იცავდა რევოლუციურ მარქსიზმის თეორიულ საფუძვლებს და პროლეტარიატის რევოლუციურ-კლასობრივი ბრძოლის ამოცანებს".[1]

გაზეთ „ბრძოლის" პირველ ნომერში მოთავსებულია ამხანაგ სტალინის სტატია „რედაქციისაგან". ამ სტატიით იხსნება ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველი ტომიც. ამ სტატიაში ამხანაგი სტალინი ასაბუთებს ლენინურ აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა მოეწყოს მუშათა კლასის რევოლუციურ პოლიტიკური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, კერძოთ სტატიაში დასახულია საქართველოსა და ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ამოცანები. ამხანაგი სტალინი ასაბუთებს, რომ მებრძოლი მუშური გაზეთის უპირველესი მოვალეობაა სათავეში ედგეს მუშათა მოძრაობას, უჩვენებდეს მას გზას, რაც შეიძლება ახლოს იდგეს „მუშათა მასასთან, ჰქონდეს საშუალება მუდამ იქონიოს მასზე გავლენა, იყოს მისი შეგნებული და ხელმძღვანელი ცენტრი".[2]

მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო ახალი ტიპის პარტია, რომლის შექმნისათვის დიდი ბრძოლა გააჩაღეს გაზეთებმა „ისკრამ" და „ბრძოლამ"? როგორც ცნობილია ლენინმა თავის შესანიშნავ წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან", გენიალურად დაამუშავა მოძღვრება პარტიაზე, როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელ ორგანიზაციაზე. ამ შრომაში ლენინმა მოგვცა ახალი ტიპის პარტიის ორგანიზაციული საფუძვლების დამუშავება. ახალი ტიპის პარტიის ორგანიზაციული საფუძვლების დასაბუთებისადმი მიძღვნილია ამხანაგ სტალინის შრომა „პროლეტართა კლასი და პროლე-

---

[1] ლ. პ. ბ ე რ ი ა. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", მე-6 ქართული გამოცემა, 1945 წ., გვ. 51.

[2] ი. სტ ა ლ ი ნ ი, თხზ. ტ. I; გვ. 8.

ტართა პარტია". ამ შრომაში ამხანაგი სტალინი ბრწყინვალედ ასაბუთებს პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ლენინურ ფორმულირებას.

როგორც ცნობილია პარტიის II ყრილობაზე ამ საკითხზე წარმოშვა მწვავე უთანხმოებანი. ეს არ იყო უბრალო ტექნიკური საკითხი, როგორც ზოგიერთები ფიქრობდნენ. ეს იყო სრულიად პრინციპული საკითხი ვინაიდან როგორც ამხანაგი სტალინი ასაბუთებს ზემოაღნშნულ შრომაში, პარტიის ორგანიზაციული საკითხი არ არის რაღაც იზოლირებული საკითხი, არამედ იგი (ორგანიზაციული საკითხი) უშუალოდ გამომდინარეობს იმ ამოცანებიდან, რომელიც პარტიამ დაისახა. პარტიის ორგანიზაციული აგების ყოველგვარი ფორმა როდია მისაღები, არამედ ეს ფორმა ისეთი უნდა იყოს, რომ შესაძლებელი შეიქნეს მეცნიერული სოციალიზმის სინამდვილეში განხორციელება. „ჩვენი პარტია სოციალ-დემოკრატიულია — სწერს ამხანაგი სტალინი: — ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს თავისი საკუთარი პროგრამა (უახლოესი და საბოლოო მიზნები მოძრაობისა), თავის საკუთარი ტაქტიკა (ბრძოლის წესი) და თავისი საკუთარი ორგანიზაციული პრინციპი (გაერთიანების ფორმა). პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ შეხედულებათა ერთიანობა ის ნიადაგია, რომელზედაც შენდება ჩვენი პარტია. მხოლოდ ამ შეხედულებათა ერთიანობას შეუძლია შეაკავშიროს პარტიის წევრები ერთ ცენტრალიზებულ პარტიად".[1]

ამხანაგმა სტალინმა გამოამჟღავნა წესდების პირველი პარაგრაფის მარტოვისებური ფორმულირების უსაფუძვლობა და აჩვენა, რომ პარტია უნდა იყოს არა რელიგიური სექტა ან ფილოსოფური სკოლა, არამედ ბრძოლის პარტია. პარტია თავის წევრებისაგან მოითხოვს არა მარტო პარტიის პროგრამული და ტაქტიკური პრინციპის სიტყვიერ აღიარებას, არამედ ამის საქმითაც დამტკიცებას, ბრძოლას მისი განხორციელებისათვის. ამიტომ ახალი ტიპის პარტია ციხე-სიმაგრეს უნდა წარმოადგენდეს, რომლის კარებიც მხოლოდ ღირსეულთათვის გაიღება, რომლებსაც კი არ ეშინიათ დისციპლინის, არამედ მზად არიან საკუთარი სიცოცხლეც არ დაიშურონ იმისათვის, რომ შეასრულონ მუშათა კლასის ავანგარდის საპატიო სახელწოდება.

ახალი ტიპის პარტიის — ლენინიზმის პარტიის ორგანიზაციულ მომზადების საქმეში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ამხანაგ სტალინის მეორე შრომამ „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?" სტალინის ეს შრომა, ისე როგორც მთელი ტომი, ნიმუშია დიალექტიკის ბრწყინვალე გამოყენებისა ისეთ რთულ საკითხის გადასაჭრელად როგორიც არის ნაციონალური საკითხი. „ყველაფერი იცვლება... იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრება და მასთან ერთად იცვლება „ნაციონალური საკითხიც". სხვადასხვა დროს სხვადასხვა კლასები გამოდიან ბრძოლის მოედანზე, — ყველა კლასს კი თავისებურად ესმის „ნაციონალური საკითხი". მაშასადამე, „ნაციონალური საკითხი" სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინტერესებს ემსახურება, სხვადასხვა ელფერს იღებს იმის მიხედვით, თუ რომელი კლასი და როდის წამოაყენებს მას".[2] ამ დებულებას ამხანაგი სტალინი საუცხოოდ ასაბუთებს ნაციონალური საკითხის განვითა-

---

[1] ი. სტალინი, თხზ. ტ. I, გვ. 63.
[2] იქვე, გვ. 32.

რების ისტორიის საფუძველზე, ამიტომ, გასაგებია, რომ პროლეტარიატისთვისაც ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა უპირატესად ყოველივე ხელს უნდა უწყობდეს მისი საბოლოო მიზნების განხორციელებას. [illegible] რუსეთში ძეოცე საუკუნის დასაწყისში ნაციონალური საკითხი სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას იმდაგვარად უნდა გადაეწყვიტა, რომ მას ხელი შეეწყო ერთიანი ცენტრალიზებული სოციალ-დამოკრატიული პარტიის შექმნისათვის, ამიტომ ახანაგი სტალინი ნაციონალური საკითხის გადაწყვეტას იმ პერიოდში უშუალოდ უკავშირებს ახალი ტიპის პარტიის ორგანიზაციული გაფორმების ამოცანებს. სტალინმა ზემოაღნიშნულ ნაშრომში წამოყენებული იდეები შემდგომში განავითარა და დაასაბუთა თავის შრომაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი", რომელიც ჩვენი პარტიის უმნიშვნელოვანეს ღოკუმენტს წარმოადგენს ნაციონალურ საკითხში.

ახალი ტიპის პარტიის იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ საფუძვლების დამუშავებასთან ერთად იმ პერიოდში ამხანაგი სტალინი ამუშავებს და ანვითარებს აგრეთვე პარტიის ტაქტიკურ საფუძვლებსაც. როგორც ცნობილია პარტიის ტაქტიკური საფუძვლები ლენინმა ჩამოაყალიბა თავის შრომაში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში". ლენინის ამ შრომაში წამოყენებული იდეების განვითარებისა და დასაბუთებისაკენაა მიმართული სტალინის თხზულებათა პირველ ტომში გამოქვეყნებული შემდეგი სტატიები: „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!", „ყველა მუშას", „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია", „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა", „მარქსი და ენგელსი აჯანყებაზე" და სხვ.

ამ სტატიებში ამხანაგი სტალინი იძლევა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თავისებურების დახასიათებას, ასაბუთებს ამ რევოლუციაში მუშათა კლასის გამარჯვების კონკრეტულ საკითხებს, პარტიის როლს შეიარაღებული აჯანყების მოწყობის საქმეში. ამხანაგი სტალინი, არკვევდა რა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თავისებურებას, თავის სტატიაში „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია" სწერდა: „საფრანგეთში რევოლუციას ბურჟუაზია მეთაურობდა, რუსეთში კი-პროლეტარიატი. იქ ბურჟუაზია განაგებდა რევოლუციის ბედს, აქ კი პროლეტარიატი."[1] ამიტომ ამ რევოლუციის მთავარი ძალა იყო, როგორც ამხანაგი სტალინი ასაბუთებს ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატი, ამ რევოლუციის მედროშეა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და არა ლიბერალური ბურჟუაზია.

პირველი ტომი მთავრდება შრომით „ანარქიზმი თუ სოციალიზმი", რომელშიც გაშუქებულია მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლები. ამ შრომაში ანარქიზმის გამანადგურებელ კრიტიკასთან ერთად მოცემულია მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლების განვითარება. ამ შრომაში, ამბობდა ამხ. ლ. ბერია, „ამხანაგი სტალინი ავითარებს მარქსისტულ მოძღვრებას დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლების შესახებ. იგი უდიდესი სიღრმით ამუშავებს სოციალისტური რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობი-

[1] ი. სტალინი, თხზ. ტ. I, გვ. 143.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და გარდუვალობის საკითხს, მებრძოლი პროლეტარული პარტიის აუცილებლობის საკითხს, აგრეთვე მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის ამოცანებს". ეს ნაშრომი წარმოადგენს „პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის საარსებო ამოცანებთან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ღრმა საკითხების დაკავშირების ნიმუშს".[1]

„ანარქიზმი თუ სოციალიზმი" შესდგება მოკლე შესავლისა და შემდეგი განყოფილებებისაგან: I. დიალექტიკური მეთოდი, II. მატერიალისტური თეორია; III. პროლეტარული სოციალიზმი.

ამხანაგი სტალინი მარქსიზმის შემდეგს კლასიკურ განმარტებას იძლევა: „მარქსიზმი არ არის მარტო სოციალიზმის თეორია, — ის მთელი მსოფლმხედველობაა, ფილოსოფიური სისტემაა, საიდანაც თავისთავად გამომდინარეობს მარქსის პროლეტარული სოციალიზმი. ამ ფილოსოფიურ სისტემას დიალექტიკური მატერიალიზმი ეწოდება".[1]

ამხანაგი სტალინი აქ გვაძლევს მარქსისტული ფილოსოფიის არსების ამომწურავ დახასიათებას. მარქსისტული ფილოსოფია სრულიად ახალი საფეხურია აზროვნებისა ისტორიაში, ის არ არის უბრალო და ჩვეულებრივი ფილოსოფიური მოძღვრება, არამედ ის პროლეტართა მასის მოძღვრებაა, მათი დროშაა. ამიტომ ამხანაგი სტალინი დიალექტიკური მეთოდის და მატერიალიზმის დახასიათებას უშუალოდ უკავშირებს პროლეტარიატის პრაქტიკულ მოღვაწეობას. ამხანაგი სტალინის ეს შრომა გენიალურ განვითარებას წარმოადგენს მარქსის ცნობილი თეზისისა იმის შესახებ, რომ ფილოსოფია არა მარტო უნდა განმარტავდეს სამყაროს, არამედ ეს სამყარო შეცვლილიც უნდა იქნეს. მარქსიზმის ფილოსოფია უპირველესად ყოვლისა სამყაროს შეცვლის ფილოსოფიაა, ამიტომ ის უაღრესად მებრძოლი და რევოლუციურია.

ლენინმა და სტალინმა დიალექტიკური მატერიალიზმის შემოქმედებითად გამოყენებისა და განვითარების საფუძველზე გენიალურად განსაზღვრეს რუსეთის განვითარების გზები. მათ აღმოაჩინეს, რომ რუსეთი თავს დააღწევს საუკუნოებრივ ჩამორჩენილობას და შეამოკლებს თავის მშობიარობის ტკივილებს თუ მისი ცხოვრების გარდაქმნის საქმეს სათავეში ჩაუდგება მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეიარაღებული პარტია. სწორედ ასეთი პარტია შექმნეს ლენინმა და სტალინმა. მსოფლიოში არც ერთი პარტია არ იყო ისე მომზადებული როგორც ბოლშევიკების პარტია. პარტიის ამ მომზადებაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს ლენინისა და სტალინის შრომებმა.

ლენინისა და სტალინის წინასწარხედვა გენიალურად გამართლდა. ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილმა ბოლშევიკურმა პარტიამ დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში, ვინემ ეს საჭირო იქნებოდა მოვლენების სტიქიურად განვითარების პროცესში, რუსეთი მთელს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე და ძლიერ ქვეყანად აქცია. მეორე მსოფლიო ომმა მთელს

[1] ლ. პ. ბ ე რ ი ა — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 149.

კაცობრიობას უჩვენა რომ რუსეთში ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით აშენებულმა ახალმა სოციალისტურმა საზოგადოებამ, ფაშისტური დამონებისაგან იხსნა მთელი კაცობრიობა.

ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხალხი ბედნიერია იმით, რომ მას ხელმძღვანელობს ისეთი პარტია როგორიც არის ლენინ-სტალინის დიადი პარტია, რომელიც შეიარაღებულია მსოფლიოში ყველაზე მოწინავე იდეოლოგიით—ლენინ-სტალინის მოძღვრებით. ხალხი ბედნიერია იმით, რომ მას წინ მიუძღვის ლენინის საქმის ისეთი დიდი განმგრძობი, როგორიც არის დიდი სტალინი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. რაჯიანი

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის საფუძვლების შესახებ*

★

V

წინა თავებში წარმოდგენილი მიმოხილვიდან გამოირკვა, რომ ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ძირითადად მატერიალისტური იყო, ამავე დროს მას არ ეუცხოებოდა დიალექტიკური მეთოდი და ძალიან ხშირად მარჯვედ იყენებდა ამ მეთოდს ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა ასახსნელად. მაგრამ მის დიალექტიკას გააჩნდა აგრეთვე არსებითი ნაკლოვანებანი, რომლებმაც გამოიწვიეს ი. ჭავჭავაძის მთელი რიგი მეტაფიზიკური შეცდომები და ცალკეული იდეალისტური გადახვევები.

ყველაზე მეტად ილიას შეცდომებმა თავი იჩინეს მის ეთიკასა და რელიგიის ფილოსოფიაში.

გავეცნოთ ჯერ მის ეთიკას, ანუ მოძღვრებას ზნეობაზე.

თუ ჩვენ გვინდა, რომ ილია ჭავჭავაძის ეთიკის არსი გამოვიკვლიოთ და მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის თვალსაზრისით მისი სწორი შეფასება შევძლოთ, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, გავითვალისწინოდ ის კონკრეტულ-ისტორიული ვითარება, რომელშიც ყალიბდებოდა ილიას მსოფლმხედველობა. ზემოთ, როდესაც მისი მსოფლმხედველობის კლასობრივ კუთვნილებასა და ხასიათზე ვლაპარაკობდით, ჩვენ უკვე მივუთითეთ იმ პირობებზე, რომლებმაც განსაზღვრეს ილია ჭავჭავაძის პოზიცია, როგორც ქართველი ხალხის განმანათლებელისა, რომელიც ლაპარაკობს არა რომელიმე ცალკე კლასის, არამედ მთელი ხალხის, მთელი ერის სახელით. ეს ის პირობებია, რომელიც ისტორიულად შეიქმნა ორი საზოგადოებრივი ფორმაციის მიჯნაზე—ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდში. ამ ეპოქის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ახალი (კაპიტალისტური) საზოგადოებრივი წყობილება ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფება და ძნელი დასანახია მისი ნამდვილი სახე, მისი უარყოფითი მხარეები და წინააღმდეგობანი. სოციალურად სწორედ ამ თავისებურებამ განსაზღვრა ილიას ეთიკის საერთო, აბსტრაქტული ხასიათიც.

როგორც უკვე ვთქვით, ჰეგელის დიალექტიკა ილია ჭავჭავაძემ შეითვისა თავისი ნაკლითურთ. აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა ჰეგელის დიალექტიკის „თავდაყირა დგომა", ე. ი. მისი იდეალისტური სამოსელი (რადგან ჰეგელის იდეალიზმის კრიტიკაში ილია ფეიერბახს ეთანხმებოდა, მის მატერიალისტურ თვალსაზრისზე იდგა), არამედ

* დასასრული. „მნათობი" № 7.

უპირველეს ყოვლისა ის, რომ ეს დიალექტიკა მიმართული იყო წარსულისაკენ. ილიას დიალექტიკის მომარჯვება უფრო ეხერხებოდა ისტორიულ მოვლენათა გასაშუქებლად, მაგრამ თითქმის სრულიად ვერ იყენებდა მას ეთიკური კატეგორიების არსის გამოსარკვევად და ასახსნელად. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც რელიგიის ფილოსოფიაში, ილია, ფეიერბახის მსგავსად, იდეალისტურ პოზიციებზე დარჩა.

ეს აზრი, ცხადია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს შეიძლებოდეს ი. ჭავჭავაძის შეხედულებათა სრული გაიგივება ფეირბახის შეხედულებებთან. ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვნიშნა, რომ ი. ჭავჭავაძემ თავისი რუსი მასწავლებლებისა და თანამედროვეების — გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მსგავსად, ბევრ საკითხში წინ გაუსწრო ფეიერბახს, ერთერთ ასეთ საკითხად ჩვენ მიგვაჩნია ილიას მიერ დიალექტიკის იმ აუცილებელი მოთხოვნის შეთვისება, რომ ყველაფერი დამოკიდებულია პირობებსა, ადგილსა და დროზე. აქედან უშუალოდ გამოდის დასკვნა, რომ არ შეიძლება არსებობდეს ყველა დროისა და ყველა ხალხისათვის ერთნაირი მორალი და ერთნაირი ზნეობრივი კანონები; რომ ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ყველა კლასისათვის საერთო და მისაღები „კეთილი“, ან „ბოროტი“, „მადლი“, ან „ცოდვა“—არ არსებობს და რომ აქ საკვირველი არაფერია, რადგან ეს სხვანაირად წარმოუდგენელიცაა. მორალს, ზნეობრივ წეს-შეხედულებებს განსაზღვრავს თვით ცხოვრება, ან უფრო ზუსტად საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები. ამ პირობების შეცვლასთან ერთად იცვლება მორალიც.

ამიტომ ამაო იქნებოდა ეკონომიური უთანასწორობით გამოწვეულ წინააღმდეგობათა შერიგების იმედები დავამყაროთ ისეთ ეთიკურ კატეგორიებზე, როგორიცაა: სიკეთე, ცოდვა-მადლი, და სხვა მისთანა.

მაგრამ ასეთი დასკვნების გაკეთება ილიამ ვერ შესძლო. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მას არ შეეძლო გაეკეთებინა ასეთი დასკვნები. ეს ილიასათვის, რომელიც მთელ თავის იმედებს ქართველი ხალხის ერთიანობაზე ამყარებდა, მეტისმეტად მძიმე იქნებოდა. რა თქმა უნდა, ამაში დამნაშავე იყო არა თვითონ ილია, არამედ საქართველოს მაშინდელი ცხოვრება, მისი პოლიტიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა, განსაკუთრებით კი მისი უუფლებობა, კოლონიური მდგომარეობა, მაგრამ ეს საკითხის არსს არ სცვლის.

თავის ეთიკაში ილიას, ფეიერბახის მსგავსად, მხედველობაში ჰყავს არა კონკრეტულ - ისტორიული ადამიანი, ე. ი. ადამიანი ამათუიმ ეპოქისა, ამათუიმ კლასისა, არამედ ადამიანი საერთოდ, განყენებულად.

ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულებაში იგი მეტისმეტად დიდ ადგილს უთმობს ზნეობას. იგი დაუღალავად ჰქადაგებს კაცთა შორის სიყვარულს, რომელზედაც უდიდეს იმედებს ამყარებს.

„კაცო, გიყვარდეს,
ცათ შთამომძახეს,
როს მათ დამბადეს,
ყველგან ეს სიტყვა
ლამპრად წინ მიმყვა
და ქვეყნად ჩემს სვლას
სკემდა წმინდ ნათელს.
მისთვისც გეტყვი ძმას:
შენცა გიყვარდეს“.

ასეთი სასოებითა და იმედით ლაპარაკობს იგი კაცთა შორის სიყვარულზე ლექსში „გიყვარდეს“ და ეს მეტად დამახასიათებელია ილიას მსოფლმხედველობისათვის.

მაგრამ სიყვარულს გარდა, ადამიანთა შორის ურთიერთობის მოწესრიგების საშუალებად ილიას მიაჩნდა აგრეთვე სიკეთე და მადლი. იგი ფიქრობს, რომ ადამიანს შეუძლია სიკეთის საშუალებით სძლიოს თვით ბოროტ მტერსაც კი. „დამაკვირდი“-ში იგი რჩევას იძლევა.

„სიკეთით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევასა:
სულგრძელობითა ძლევა სჯობს
ვაქკაცობითა ძლევასა“.

ან:

„გებრალებოდეს, ნუ ჰრისხავ
კაცს შენზედ შურით მწდომსაო!..
კეთილი ფარად უფარე
შენთვის ბოროტის მდომსაო,
მადლისა წყაროს ასმევდე
ცოდვის გუბეში მდგომსაო“.

ილიას შეხედულებით—სიყვარული, სინიდის-ნამუსი, სიკეთე და მადლი—აი რამ უნდა მოაწესრიგოს ადამიანთა შორის ურთიერთობა და დაამყაროს საყოველთაო ჰარმონია, ძმობა, ერთობა და სიყვარული. ეს ეხება ყველა დროისა და ეპოქის ადამიანს, განურჩევლად მისი კლასობრივი კუთვნილებისა, ეროვნებისა და სქესისა.

თავისთავად ზემოდმოყვანილი ციტატები ილია ჭავჭავაძეს ახასიათებენ, როგორც უდიდეს მორალისტთა და ჰუმანისტს. იმ დროს, როდესაც ევროპის ცენტრში გერმანიის რეაქციონერ იდეოლოგთა, განსაკუთრებით კი ნიცშეს მეოხებით, ფეხქვეშ ითელებოდა ყოველგვარი ადამიანური მორალი, ქართველი ხალხის დიდი შვილი მთელი ხმით ქადაგებდა, სიკეთესა და სიყვარულს. ილია უდიდესი სისპეტაკის ადამიანია. მთელი მისი შემოქმედება გამსჭვალულია ადამიანის [illegible] ადამიანისადმი არაჩვეულებრივი პატივისცემითა და სიყვარულით. ეს ადამიანური გრძნობები განსაკუთრებით ძვირფასია დღეს ჩვენთვის, საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ადამიანებისათვის. მაგრამ მის დროისათვის, როცა საზოგადოება დაყოფილი იყო ერთმანეთის მოწინააღმდეგე, მტრულ კლასებად, მსგავსი მორალის ქადაგება ამაო იყო. ასეთი მორალი ვერ უჩვენებდა გზას მშრომელ ხალხს უკეთესი მომავლისაკენ. პირიქით, მას შეეძლო აეცდინა მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი სწორი გზიდან.

ახასიათებდა რა ფეიერბახის მორალს, ენგელსი სწერდა:

„ფეიერბახის მორალის თეორიასაც იგივე მოუვიდა, რაც ყველა მის წინამორბედს. იგი ყველა დროისა, ყველა ხალხისა, ყველა მდგომარეობისთვისაა გამოჭრილი და სწორედ ამიტომ არსად და არასოდეს არ გამოდგება. ნამდვილ ქვეყანაში იგი ისევე უძლურია, როგორც კანტის კატეგორიული იმპერატივი. სინამდვილეში ყოველ კლასს, თვით ყოველ პროფესიას თავისი საკუთარი მორალი აქვს, რომელსაც იგი ყოველთვის არღვევს, როცა ამის გაკეთება დაუსჯელად შეუძლია, ხოლო სიყვარული, რომელმაც ყოველივე უნდა გააერთიანოს, მეღავნდება ომებსა, შურსა, დავასა, ოჯახურ კინკლაობასა, ცოლქმრის გაყრასა და ერთი ადამიანის მიერ მეორის რაც შეიძლება მეტს ექსპლოატაციაში... საჭირო იყო ადამიანის განხილვა ისტორიულ მოქმედებაში, რათა ფეიერბახის განყენებული ადამიანიდან ნამდვილ ხორცშესხმულ ადამიანზე გადავსულიყავით“.[1]

[1] ფ. ენგელსი, „ლუდვიგ ფეიერბახი“, 1940 წ., გვ. 35.

ენგელსის მიერ აქ გამოთქმული მოსაზრებანი სრული უფლებით შეგვიძლია მოვუყენოთ ილია ჭავჭავაძის ეთიკასაც. ისევე, როგორც ფეიერბახთან, ილიას ეთიკაში ადამიანი არ არის განხილული ისტორიულ მოქმედებაში, რის გამო იგი განყენებულია ხორცშეუსხმელი, არარეალური.

რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ ზემონათქვამი სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ილია ფიქრობდა რომ, მაგალითად, გლეხკაცი და თავადი ერთნაირად უცქერიან სიკეთეს და მადლს და რომ მათი დამოკიდებულება სავსებით ერთნაირია ამ ეთიკურ ნორმებთან. პირიქით, ილიამ ძალიან კარგად იცის, რომ გლეხის „კეთილი" სხვაა, ხოლო თავადისა—სხვა, და რომ გლეხს თავადის „კეთილი" არა სწამს და არა სჯერა. მაგრამ ამის შემდეგ ილია უკან იხევს დიალექტიკიდან, აღარ მიჰყვება დაპირისპირებულთა ბრძოლის დიალექტიკურ გზას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ შეიძლება შევარიგოთ გლეხისა და თავადის „კეთილი" და ეს იქნება უკეთესი მომავლის საწინდარი, ჰარმონიული საზოგადოების შექმნის გზა და ხიდი.

„ოთარაანთ ქვრივში" არჩილი და კესო მსჯელობენ „ჩატეხილი ხიდის" პრობლემებზე და მიდიან ისეთ დასკვნამდე, რომელიც თვით ავტორის რწმენას გამოხატავს.

„ისინი თავის მხრით მართალნი არიან, — ამბობს არჩილი, უპასუხებს რა კესოს შენიშვნაზე: გლეხებმა არ დააფასეს ჩვენი პატივისცემაო. — ჩვენს შუა ხიდია ჩატეხილი, ისინი იქით ნაპირას დაჭრჩნენ, ჩვენ აქეთ, შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მოგვიწვდენია...

— მაშ მადლი მადლად, კეთილი კეთილად აღარ უნდა გადიოდეს იმათში?!

— ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ, ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, ეუცხოებათ, რადა და რისთვისაო? იკეთებენ ხელმე. კეთილისათვის? რად ეძიზამს კეთილსაო, ჩემი რააო? და აი, სწორედ აქ არიან მართალნი. მართლა-და ჩემი რააო? ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორი-შორსა ვართ-მეთქი... ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია. და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა".

აქ ილია აზროვნების უდიდეს სიღრმეს ამჟღავნებს. სწორედ ასეთია ამ საკითხის დიალექტიკური დაყენება. მაგრამ, სამწუხაროდ, შემდგომ მსჯელობაში ილია ღალატობს დიალექტიკას და დასკვნა გამოდის სრულიად სხვაგვარი. მოვუსმინოთ ქვემოთ:

— „ო, ჩემო კარგო, ზოგჯერ ცრემლი „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია". ცრემლი ყოველთვის, არ არის უბრალო წყალი...

— მაგით რა გინდა სთქვა?

— შენი ტირილი მიხარიან... მეც ვიტირებდი, რომ მარტო უკან-ღა ვიხედებოდე, როგორც ეხლა შენ. იქ, ბნელა... ღამეა...

— არჩილ წინ რაღაა, წინ! — შეჰბღავლა უეცრად კესომ...

— ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბურგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენ-შორის ჩატეხილი ხიდი გაამთელოს და აგრე ორსავ ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა,—შუქია წინასი და შუქი ხომ...

— დასაწყისია განთიადისა, განა, ჩემო კარგო?!

— ს წ ო რ ე დ.

— და-ძმანი სიხარულით ერთმანეთს გადაეხვევნენ".

ილიას გმირები აქ სიხარულით ეხვევიან ერთმანეთს იმის გამო, რომ

ჰგონიათ იპოვეს ჭეშმარიტება და გადასჭრეს კლასთა შორის წინააღმდეგობის მოსპობის პრობლემა. მათ სჯერათ, რომ „ცრემლიან ცოდნას“ შეუძლია გაამთელოს ჩატეხილი ხიდი და მოიყვანოს განთიადის შუქი. ცხადია, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ჩვენი ავტორის გმირების სიხარული მეტისმეტად ნაადრევი სიხარულია.

ასეთია ზოგად ხაზებში ი. ჭავჭავაძის ეთიკა. გამომდინარე აქედან, არ არის საკვირველი, რომ ილიამ ვერ გაიგო 1905 წელი, სწორედ ისევე, როგორც ლუდვიგ ფეიერბახმა ვერ გაიგო 1848 წელი.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი, რომ ილია ჭავჭავაძის ეთიკის შეფასებისას ყოველივე ზემონათქვამით დავკმაყოფილებულიყავით და მხედველობაში არ მიგვეღო მისი მხატვრული ნაწარმოებების მნიშვნელობა ეთიკის თვალსაზრისით. აქ აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც მხატვარი, მთელ რიგ ნაწარმოებებში ბევრად მაღლდება საკუთარ ეთიკაზე და კლასობრივი საზოგადოების შესაფერი ზნეობრივი ნორმების აღიარებამდე მიდის. „კაკო ყაჩაღის“, „გლახის ნაამბობის“ და ილიას მთელ რიგ სხვა ნაწარმოებთა გმირები ხელმძღვანელობენ არა განყენებული ზნეობრივი წესებით, ე. ი. იმ წესებით, რომელსაც თვითონ ილია ქადაგებდა, არამედ ცხოვრების რეალური პირობების მიხედვით, ცხოვრებისა, რომელიც სავსე იყო წინააღმდეგობებით, მტრობით, შუღლით, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრით და ა. შ.

მოვიყვანოთ ერთი დამახასიათებელი მაგალითი.

„გლახის ნაამბობში“ გაბრო ამბობს: „დათიკოს ვუყვარდი და მეც მიყვარდა. მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა ტანდა-უცალოს!..“

ასეთ დასკვნამდე გლეხი გაბრო მიიყვანა ცხოვრების მწარე გამოცდილებამ. შემდეგში იგი სწორედ ამ თავის მიერ აღმოჩენილი დასკვნის მიხედვით მოქმედებს: ჰკლავს ბატონს და ყაჩაღად მიდის.

აშკარაა, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება თვით ილიას მორალს,—კაცთა სიყვარულისა და სათნოების მოძღვრებას. მაგრამ სწორედ იმიტომ იყო ილია ჭავჭავაძე დიდი რეალისტი მწერალი, რომ მოგვცა არა განყენებული სქემები, არამედ ჩვენი ცოცხალი ცხოვრების რეალისტური სურათები. მან არ უღალატა რეალისტი მწერლის გზას და დახატა სინამდვილის ტიპიური სურათები მაშინაც კი, როცა ეს სინამდვილე ეწინააღმდეგებოდა მის საკუთარ სურვილებსა და მისწრაფებებს. ილიას ნაწარმოებებში, როგორც სარკეში, აისახა მე-19 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება მთელი თავისი ავ-კარგიანობით, დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ამიტომ არის მისი პროზა და პოეზია უკვდავი, ამიტომ უყვარს იგი მთელ ქართველ ხალხს.

ასეთია ი. ჭავჭავაძის ზნეობაზე მოძღვრების არსი.

მაგრამ ილიას ეთიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის მოძღვრებასთან რელიგიის შესახებ. სიკეთე, სინდისნამუსი, მადლი და კაცთა სიყვარული იმავე როლს ასრულებენ ილიას რელიგიის ფილოსოფიაში, რასაც ეთიკაში.

აი დამახასიათებელი სტრიქონები ცნობილი ლექსიდან „ქართველის დედას“:

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,

შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს,
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...“
და სხვ.

ძნელი არ არის იმის გამოცნობა, თუ რა თვალსაზრისით უდგება აქ ილია „ქრისტეს მცნებას“. მაგრამ საკითხს ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულების შესახებ რელიგიასთან იმდენად დიდი ადგილი უჭირავს მის აზროვნებაში და ამასთან იმდენად საინტერესოა იგი ილიას მსოფლმხედველობის გამოსარკვევად, რომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხზე უფრო დეტალურად შევჩერდეთ.

VI

ი. ჭავჭავაძეს ბავშვობაში საკმაოდ სისტემატური რელიგიური აღზრდა მიუღია. მისი პირველი მასწავლებელი იყო სოფლის მთავარდიაკონი, რომელიც, თვით ილიას მოწმობით, დიდის მონდომებითა და სიყვარულით ასწავლიდა თავის მოწაფეებს სახარებისა და სხვა საეკლესიო წიგნების შინაარსს. ამის შედეგად, რელიგიურმა რწმენამ იმდენად ღრმად გაიდგა ფესვები ახალგაზრდა ილიას შეგნებაში, რომ მან დიდხანს ვეღარ მოახერხა მისგან განთავისუფლება.

უნივერსიტეტში შესვლის პირველ ხანებშივე ილია ბევრს ფიქრობს სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე. 1857 წ. დეკემბერში ოცი წლის ილია სწერს ლექსს, სათაურით „სანთელი“, სადაც კაცის სიცოცხლეს დამწვარ სანთელს ადარებს და აქედან ასეთ დასკვნას აკეთებს:

„ეგრეთაც კაცი ძლიერი ჰქრება,
რა ეწვევა მას სიკვდილი — მტერი;
მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება
ერთი მუჭაღა გამხმარი მტვერი“.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ ხანებში ჩვენი პოეტი ჯერ კიდევ იზიარებს ქრისტიანული რელიგიის მოძღვრებას.

მხოლოდ მატერიალისტური ფილოსოფიის საფუძვლიანი გაცნობის შემდეგ, დიდი რევოლუციური დემოკრატების — გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეების გაცნობის შემდეგ, ილია თანდათან თავისუფლდება რელიგიური რწმენისაგან და მიდის რელიგიურ მოძღვრებათა წარმოშობის მეცნიერულ ახსნამდე. იგი მალე სტოვებს ღმერთს და ამასთანავე ერთად ბოლო ეღება მის ხანმოკლე გატაცებას ჰეგელის იდეალიზმით.

საინტერესოა გავადევნოთ თვალი ილიას რელიგიური მსოფლმხედველობის გარდაქმნის ამ პროცესს.

1858 წლის ზაფხულში დაწერილ ერთ კერძო წერილში ილია ამბობს: „რა უგრძნო რამ არის სიკვდილი; აბა, პატარა გაუშლელ კოკორსაც აშორებს დედის გულს და მიაქვს საუკუნოდ. თუმცა ყველა ჩვენთაგანი დარწმუნებული არის, რომ საიქიო უფრო ტკბილია თავის განუსაზღვრელ ნეტარებით, ნუგეშით და სიწმინდით, თუმც დარწმუნებული ვართ, რომ ის გაუშლელი კოკორი გასაშლელად უფრო მშვენიერს ბაღნარში გადასახლდა, მაგრამ მაინც დედა შესაბრალისია შვილის საუკუნოს განშორებაზედ... ღმერთი მოწყალეა, ერთი დაჰკარგა, სხვას აჩუქებს ღმერთი“.[1]

ეს ამონაწერი ეჭვს აღარ სტოვებს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლის პირველ ხანებში, ე. ი. 1857-58 წლებში ი. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ რელიგიურ რწმენათა ტყვეა და სწამს ღმერთისა და საიქიოს არსებობა. ამავე აზრს უფრო მეტის სიცხადით ადას-

[1] წერილი ნენესადმი, იხ. საქ. სალიტ. მუზეუმი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, პაპკა, №—1.

ტურებს ამ პერიოდში ილიას მიერ დაწერილი ლექსები.

დამახასიათებელია ლექსი „ლოცვა“, რომელიც დაწერილია 1858 წ. 17 ივლისს:

„მამაო ჩვენო, რომელიცა
ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი
ვდგევარ შენ წინა,
არცა სიმდიდრის, არც დიდების
თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხ-ვჰყო
მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს
ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით
აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა
გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, — არ იციან,
ღმერთო, რას იქმან!“ [1]

ამაზე ორი დღით ადრე ილიას დაწერილი აქვს ფილოსოფიური ლექსი „სიზმარი“. ამ ლექსში უდიდესი ძლიერებით არის დახატული კოსმოსის საშინელი სურათი, სადაც სამყაროს სტიქიურ ძალთა ქაოსში „ღვთის რისხვა“ გამოყვანილია, როგორც მომწესრიგებელი და მბრძანებელი ძალა.

„სისხლით აღვსილსა ფიალასა
იქ მზენი ჰგვანდნენ
და ჯოჯოხეთის უფსკრულადა
ვარსკვლავნი სჩანდნენ,
მზე, მთვარე, ზეცა, დედამიწა
საშიშ გრიალით
უგზო-უკვლოდა წანწალებდნენ
ტრიალით მალით.
აქ მთვარე მზესა — იმ სისხლის ტბას
— მოაწყდებოდა
და ზარით, გრგვინვით და ქუხილით
უკუ-ხტებოდა...

და მზიდამ თითქო სისხლი სიღრმეს
ღვარად სდიოდა
და მუნით ალი ჯიგრის ფრიდა
ამოდიოდა...

. . . . . .

ყველა ელოდა, განუშლიდა
ხელებს სიკვდილსა,
იწვევდა, როგორც უკანასკნელს
ნუგეშს შთობილსა,
მაგრამ სიკვდილიც იქ თვის მეხთა
არ აღვიძებდა
და იმა ქვეყნებს ღვთის რისხვასა
მიანებებდა...“

იმავე სულისკვეთებითაა გაჟღენთილი 1858 წ. 1 აგვისტოს დაწერილი ლექსი „როდემდის“, თუმცა, აქ ილია უკვე გრძნობს საფრთხეს თავისი რწმენისადმი და ეკამათება მათ, ვინც არ ცნობენ ქრისტეს მცნებებს. იგი ამბობს:

„ძრწოდე, სულელო! ნუ თუ ქრისტეს
არ სცნობ სიტყვათა,
ნუ თუ შენს თავსა მტვრითა შექმნილს
ჰხედავ კვლავ მტვრათა
და შენს სიცოცხლეს, ამ უკვდავ ნიჭს,
მტვრის თანამგზავრად?“.

მაგრამ „საფრთხე“ სულ უფროდაუფრო ძლიერდება და ღვთის რწმენას თანდათან ეცლება საფუძველი. ილია ხედავს ამას, მაგრამ უძლურია წინააღუდგეს „ურწმუნოების დემონს“ და შველისათვის ისევ ღმერთს მიმართავს.

ლექსი „ლოცვა“, რომელიც დაწერილია 28 აგვისტოს, გადმოგვცემს პოეტის მაშინდელ სულიერ მდგომარეობას:

„ოდეს დემონი ურწმუნოების
უკუ-თქმისა და მაცდუროების
საწამლავით თვის სავსეს თასს მაცდურს
წინ დაუდგამდეს ჩემს სულსა უძლურს, —

ნუ მანდობ, ღმერთო, ბედისა ტრიალს, —
ნუ დამაწაფებ დემონის ფიალს,
და უკეთუ არს შესაძლებელი,
მე განმარიდენ იგი სასმელი“.

[1] სხვათაშორის, ეს ლექსი საინტერესო ნიმუშია იმ მხრივაც, თუ რა ორგანიულადაა დაკავშირებული ილიას ეთიკა მის რელიგიასთან. აქ მორალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარელიგიურებულია, ე. ი. სარწმუნოებამდეა ასულ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ურწმუნოების დემონის მიერ მიწოდებული სასმელის განრიდება უკვე შეუძლებელი გახდა. ახალგაზრდა ილია მძიმედ განიცდიდა თავის რწმენათა დანგრევას, რადგან მან იცოდა, რომ ეს მოასწავებდა მთელი მისი მსოფლმხედველობის შეცვლას, ცხოვრებაში ახალი გზების ძიებას.

1859 წლის დამდეგისათვის „ურწმუნოების დემონმა" ძირითადად უკვე დაამთავარ თავისი საქმე.

თუ გავითვალისწინებთ მატერიალისტ ფეიერბახის მოძღვრებაში რელიგიის კრიტიკის მდგომარეობას, აგრეთვე რელიგიასთან თვით დიდი რუსი რევოლუციურ-დემოკრატების დამოკიდებულებას, ადვილად გავიგებთ, რომ ი. ჭავჭავაძისათვის, რომელიც ხსენებულ მოაზროვნეთა მოწაფედ ითვლებოდა, ადვილი საქმე არ იყო არც ის, რომ საბოლოოდ შერიგებოდა ქრისტეს მოძღვრების უარყოფას და არც მით უმეტეს ის, რომ გამოემუშავებინა ახალი, მებრძოლი ათეისტური თეორია. ამით აიხსნება, რომ მომდევნო წლებში ილია არა ერთხელ სინანულით იხსენიებს თავის რწმენათა დაკარგვას და სწუხს, რომ დაეკარგა „სიტყვა ლოცვისა".

1859 წლის 30 ნოემბრის თარიღით დაწერილ უსათაურო ლექსში ილია ამბობს:

„ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევ,
სიტკბონი შენნი?
სად არს აღმტაცის სიყვარულის
ტანჯვა, სამოთხე?
განძრცვილვარ გრძნობით, უდროოდ
მეკვეთნენ ფრთენი,
გაზაფხულია, მე კი ვდგევარ
ვით უფოთლო ხე.

აღმესპნენ იგი საოცარნი
ყრმობის სიზმარნი,
გულმა დაჰკარგა იმ სიზმრების
სარწმუნოება...
თვალ-წინ მიყრია უკეთესნი
ყვავილნი მჭკნარნი,
მომიკვდა ეჰვ-ქვეშ მაცხოვარი
თვით სასოება".

მატერიალისტური ფილოსოფიის გავლენით, რუს მოაზროვნეთა ათეისტური იდეების გავლენით ილია საბოლოოდ სტოვებს ღმერთის რწმენას და აღიარებს ქრისტიანული რელიგიის მოძღვრების სიყალბეს. მის მაგიერ იგი სცნობს და ითვისებს ყოველგვარი ღმერთების წარმოშობის მეცნიერულ, მატერიალისტურ ახსნას.

ამ მხრივ, საეჭვო რომ აღარაფერი დარჩეს, თავს ნებას მივცემთ მოვიყვანოთ ვრცელი, მაგრამ უაღრესად საყურადღებო ამონაწერი ი. ჭავჭავაძის სტატიიდან „აი ისტორია", სადაც შესანიშნავად არის გადმოცემული ღმერთების წარმოშობის მეცნიერული შეხედულება.

„ძალნი სოფლის მპყრობელობისა, მზისა და ნათელის მომფენელობისა, წვიმის მომყვანელობისა, ნაყოფთა აღმომცენებლობისა და სხვა ამისთანა მოვლენისა გაღმერთებულნი იყვნენ ყველა ერისაგან მთელს დედამიწის ზურგზედ. ჯერ, მინამ მეცნიერება თავის უტყუარის მცნებით არ მიჰშველებია ადამიანს გაგებად ბუნების მოვლენისა, ყველა ეს ძალნი კაცის გონებისათვის მიუწვდომელნი და გამოუცვნელნი არიან. გონება—კი ადამიანისა იმ თვისებისაა, რომ რა ხარისხზედაც გინდა იდგეს კაცი,—ველურია თუ განათლებული,—ყოველთვის წინ უდგა ამ მრავალფერ ქვეყანაში ჭირვეული საკითხი: საიდან რაა და როგორ?..

„რაკი ესეა და ბუნების დიდნი მოვლენანი უმეცნო კაცისათვის გაუგებარნი არიან, მაშ რა ჰქმნას ახლად ფეხადგმულმა გონებამ კაცისამ, თუ მიზეზად ყოველ ამისთანა მოვლენისა არ იწამოს რაღაც ყოვლად-შემძლებელი, უხილავი არსება და იმას არ მიაწეროს შექმნა და მოვლინება ყოველ იმისა, რის მიზეზი და სათავეც თითონ ვერ

გამოუცვნია და ვერ მისწვდომია. აქედან არის წარმომდგარი ის, რომ უწინდელ დროების ერნი, და ეხლაც ველურნი, ყველა ამისთანა მოვლენის ასახსნელად ცალკე ღმერთსა ჰქმნიან და ღმერთი ხომ ყოვლად შემძლებელია. მზე—ეს დიდებული მნათობი, ნათელის მომფენელი, სიცოცხლის მომნიჭებელი, მთვარე, ვარსკვლავი, ქარი, წვიმა, ჭექა-ქუხილი, ელვა, თითონ ხეც-კი, რომელიც ერთი ბეწო თესლისაგან, რაღაც დაფარულისა და გონება-მიუწვდომელის ძალით, მრავალ-შტოიან უშველებელ საჩრდილობელად გადაიქცევა ხოლმე,—ყველა ეს განსაცვიფრებელი ამბავი უმეცნო კაცისათვის საიდუმლოებაა, დაფარული, უხილავი ყოვლად-შემძლებლობაა, და აქედამ დიდი მანძილი არ არის ამ უხილავის ძალის გაღმერთებამდე. სხვადასხვა რჯულთა, სხვადასხვა ერთა შედარება გვიმტკიცებს, რომ ადამიანის გონებას ყველგან ამ გზით უვლია და ყველა მოვლენასა თუ საგანში ცალკე მიუწვდომელი ძალი უგულვებია და ცალკე ღმერთი შეუქმნია ამ ძალის მომასწავებლად, მიზეზად და დასაბამად...

„ამ ერთ-გზად სვლას ადამიანის გონებისას ერთსახის დასკვნაც მოჰყვებოდა და ამიტომაც ვხედავთ საოცარ მსგავსებას რჯულისას სხვადასხვა ერში, რომელნიც თავის-დღეში ისტორიის გზაზედ ერთმანეთს არ შეხვედრიან... სეისი, რომელიც თითონ სახელგანთქმულს სპენსერსაც-კი ამისთანაებში მოწმედ მოჰყავს, ამბობს, რომ სწორედ ეს გარემოება (დამოუკიდებლად მსგავსება) ამტკიცებსო, რომ ბუნება ადამიანისა, სემიტია თუ არიელი, ზანგია თუ თეთრი, დიდთავა თუ წვრილ-თავა, ყველგან ერთი და იგივეა, თუ გარემოებანი, რომელთ შორისაც ადამიანი ჰტრიალებს, ერთი და იგივეა, თითონ მათი შედეგიც ერთი და იგივე იქნებაო, ერთმანეთს ეგვანებაო. ამიტომაც გვანება, მსგავსება ოჯულისა, ანუ ღმერთებისა, ყოველთვის არა ნიშნავს ერთსა ერსა მეორის მიერ მიღებას. აქ შესაძლია ერთმა ერმა თავისთავად ისეთივე რჯული შეიქმნას, როგორც სხვა ერმა, მსგავს ბუნებასა და გარემოებაში მყოფმა“.[1]

ვფიქრობთ, ეს ამონაწერი ბევრს ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. მართალია, მოყვანილი სტრიქონები დაიწერა განხილულ პერიოდზე ბევრად უფრო გვიან, სახელდობრ 1889 წელს, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ აქ გამოთქმული აზრები ილიამ შეითვისა უკვე 60-იან წლებში, როცა როგორც ზემოდ დავინახეთ, საბოლოოდ უარჰყო ღმერთისა და სულის უკვდავების რწმენა და აღიარა, რომ ადამიანს შეუძლია უკვდავების წყაროს დაეწაფოს მხოლოდ აქ, ცოცხალ ცხოვრებაში. შემთხვევით როდი ამბობდა იგი 1860 წელს დაწერილ ერთერთ ლექსში:

„ნეტა ვინც კარგის საქმით
აღნიშნავს თავის დროსა!
ის აქავ ეწაფება
უკვდავების წყაროსა!..“

ეს იყო მისი დასკვნითი სიტყვა, რომელიც ამთავრებდა პოეტის ძიებისა და ეჭვების გზას. აქედან ბუნებრივად უნდა დაწყებულიყო ახალი ხანა, ყოველგვარი რელიგიის უარყოფისა და პოეტის მსოფლმხედველობაში მებრძოლი ათეისტური იდეების გამარჯვების ხანა. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ილია არ გაჰყვა მებრძოლი ათეიზმის გზას და დაიწყო რელიგიასთან კომპრომისული გზების ძიება. ამ მიზნისათვის მან ისევ ფეიერბახის ფილოსოფია გამოიყენა და შედეგად მივიღეთ მატერიალიზმისა და იდეალიზმის შერიგების ცდის ორიგინალური ნიმუში.

მაგრამ ვიდრე ამ აზრის დასაბუთებას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩ-

[1] „თხზ. სრ. კრებ.“, 1941 წ. ტ. II, გვ. 373.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია შევჩერდეთ ი. ჭავჭავაძის კიდევ ერთ უაღრესად საყურადღებო, დაუმთავრებელ ნაწარმოებზე, რომელიც, როგორც ჩანს, დაწერილია 1860 წელს და რომელშიც უდიდესი სიძლიერით არის გამოხატული ავტორის მსოფლმხედველობის შეცვლის პერიოდის განწყობილებები. ეს ნაწარმოები დაცულია ი. ჭავჭავაძის სტუდენტობის დროის ერთ პატარა წიგნაკში. ეტყობა ავტორს იგი მოუფიქრებია, როგორც ფართო ფილოსოფიური ნაშრომი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მისი რწმენის ძირითადი საკითხები და ამავე დროს დაესახა გზები ახალი მსოფლმხედველობისათვის. ნაწარმოები იშლება დიალოგის სახით. მისი მთავარი გმირი ირაკლი, ჩვენის აზრით, ძირითადად თვით ავტორის სულიერ განცდებს გამოხატავს. სამწუხაროდ, აქ არ არის ადგილი ამ უაღრესად საინტერესო ნაშრომის დეტალურად განხილვისა და ჩვენ მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელი ადგილის ამოწერით დავკმაყოფილდებით:

„მ ა მ ა

ნუ იტყვი, შვილო. ეს ქვეყანა
ბაღია ღვთისა,
არ დაილევა მასში ვარდი
მჯობი მჯობისა,
და მშვენებაზე უფრო მჯობი
მშვენიერება.
ეგრე ყოფილა, ეგრე არის,
ეგრე იქნება!

ი რ ა კ ლ ი

მე არა ვპოვებ მშვენებასა
იმ არსებაში,
სადაც არა სცემს ძარღვი, ძალა
უკვდავებისა,
და ვინ მეტყვის მე, რომ იმ ვარდში,
იმ მშვენებაში,
რომელსაც ამბობ, არის ცეცხლი
პრომეთეისა?

მ ა მ ა

არის, რადგანაც შექმნილია
შემოქმედისა.

ი რ ა კ ლ ი

ეგე ცოტაა! განა ღმერთმა
არ აღუკრძალა
პირველთა კაცთა ის ნაყოფი
მცნებისა ხისა?
იმ ნაყოფშია უკვდავების
უკვდავი ძალა,
სჩანს უკვდავება არ უნდოდა
შენს ღმერთს ჩვენთვისა.

მ ა მ ა

მაგას ნუ ამბობ, შვილო! შვილო!
ნუ გმობ უფალსა!

ი რ ა კ ლ ი

არც მილოცნია ის ჩემ დღეში
და ვერც ვგმობ მასა.
მე მხოლოდ ვამბობ — მას აკლია
ერთი თვისება...

მ ა მ ა

სუ! ვეღარ შევძელ ორ სიყვარულთ
ერთად ტარება:
ერთი ღვთისადმი და მეორე
თვით ჩემ ძისადმი!
ღმერთო, ნუ გამყრი ნურც ერთთანა
უკუნისამდი. (გადის).

ი რ ა კ ლ ი (მარტო)

საბრალო მამავ! მძიმე არის
ტვირთი მცნებისა,
განა? მძიმეა!.. ძალა არ გაქვს
მის ტარებისა.
ჩემ ჭვრეტას ვერ სძლებ, მე გამექეცი,
მე — ძესა შენსა,
მე კი... სად გავექცე თვით
თავსა ჩემსა!"

ამ სიტყვებს მოსდევს ირაკლის გრძელი მონოლოგი, სადაც იგი, მიმართავს რა ღმერთს, სხვათაშორის — ამბობს:

„თუ შენ გიყვარვართ, რაღად ითხოვ
ჩვენგან ლოცვასა,
სიყვარულშია ალაგიცა
არ აქვს თხოვნასა,
შენ დესპოტი ხარ! გიყვარს ხვეწნა
და თაყვანება,
მაგრამ მათ ჩვენგან შენი სიბრძნე
ნუ ელოდება“.

ცოტა ქვემოთ, როცა ირაკლი აუგად იხსენიებს ედემს, მას საიდანღაც მოესმის:

„ხმა

ხმა ჩაიწყვიტე, შემარცხვენო
ღვთის ქმნულებისა!

ირაკლი

იგი ედემი მგზავსი არის
თქვენივე ღვთისა,
ჩვენი სამოთხეც, ჯოჯოხეთიც
თითონ ვართ ჩვენა.

ხმა

შენ ბოროტი ხარ!

ირაკლი

შენის ღმერთის ვარ დანაბადი,
მაშ ის სიკეთე როგორღაა
მას ჰკითხე, წადი!“.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ი. ჭავჭავაძემ საბოლოოდ აღიარა, რომ არ არსებობს არავითარი უკვდავება, არავითარი საიქიო ცხოვრება. მან გადაჭრით უკუაგდო ღვთაება, რომელსაც გაბედულად უწოდა დესპოტი, და ხმამაღლა გამოაცხადა, რომ „ჩვენი სამოთხეც და ჯოჯოხეთიც თვითონ ჩვენა ვართო“. ამით მან სავსებით გააშიშვლა თეოლოგია და ცხადია, რომ შემდგომი ბუნებრივი ნაბიჯი აქედან იქნებოდა უკვე მებრძოლი ათეისტური ლოზუნგების წამოყენება, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვათ, ი. ჭავჭავაძე ამ გზით არ წასულა.

ილია ჭავჭავაძეს არ დაუყენებია რელიგიის მოსპობის, მისი სრული გაუქმების საკითხი. მას, ისევე როგორც ფეიერბახს, სურდა [illegible] მხოლოდ გადაკეთება და სრულყოფა. როგორც ცნობილია, ფეიერბახი ლაპარაკობდა რელიგიასთან ფილოსოფიის „შეერთებაზე“ — იმაზე, სარწმუნოება გახდეს ფილოსოფიური, ხოლო ფილოსოფია — სარწმუნოებრივი, ი. ჭავჭავაძე კი ლაპარაკობდა მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებაზე, იმაზე, რომ სარწმუნოება იყოს გამეცნიერებული, ხოლო მეცნიერება გასარწმუნოებული. არ არის საჭირო დიდი გამჭრიახობა, რომ ადამიანმა ამ ორ კონცეპციას შორის აშკარა მსგავსება დაინახოს. ი. ჭავჭავაძისათვის, ისევე როგორც ფეიერბახისათვის, რელიგია არის გრძნობაზე დამყარებული გულითადი დამოკიდებულება ადამიანებს შორის. ერთიც და მეორეც ცდილობს ჭეშმარიტი რელიგია ბუნების მატერიალისტურ გაგებაზე ააშენოს, რაც ენგელსის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, იმას ჰგავს, რომ ადამიანმა თანამედროვე ქიმია ალქიმიად წარმოადგინოს.

რა თქმა უნდა, არ იქნებოდა სწორი, რომ რელიგიაზე ფეიერბახისა და ი. ჭავჭავაძის შეხედულებებისათვის სრული იგივეობის ნიშანი დაგვესვა. ილია შორს იყო, მაგალითად, იმ აზრისაგან, რომ კაცობრიობის ისტორიის პერიოდები, ერთმანეთისაგან მხოლოდ რელიგიური ცვლილებებით განესხვავებინა. მისი შეხედულებები ისტორიაზე გაცილებით უფრო მეცნიერულნი იყვნენ და ამ მხრივ იგი მთელი თავით მაღლა იდგა ფეიერბახზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეჭვს გარეშეა, რომ ილიას მოძღვრებას რელიგიაზე ფესვები სწორედ ფეიერბახის ფილოსოფიაში აქვს გადგმული.

ილია ჭავჭავაძის რელიგიური მოძღვრების არსი ყველაზე მკაფიოდ ჩა-

მოყალიბებულია სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა 1896 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავებაზე გაენათის მონასტერში. ეს სიტყვა იმდენად მნიშვნელოვანია ილიას მსოფლმხედველობის გასარკვევად, რომ საჭიროდ მიგვაჩნია—მოვიყვანოთ გრძელი ამონაწერი.

„განსვენებული,—ამბობს ილია გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ,—ღრმად მიწევნილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.

„ქვეყანა, ბატონებო, სავსეა ხილულითა და არ-ხილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის. ერთის ბრძნისა არ იყოს, „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ“. ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთა-სწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება მეორესაც საცნაურად ორისავ გზით, და მით უფრო, რაც ადამიანი თვალ-ახილულია და გონება-გაღვიძებული. ნება-უნებლიეთ ამ ორს სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა, რომ იპოვოს ბინა და იქ დაღალული სული შეასვენოს ხოლმე გულთაძვრისაგან და მსოფლიო ღელვისაგან.

„ამ ორს სამფლობელოთა შორის შემაერთებელს ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთის სოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელმთავარი და რომელიც, ჩემის ფიქრით, სხვა არა არის-რა, გარდა მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა, ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად. ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო ძველ-თანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი.

„მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავარისა რომ ავიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნეობისათვის, ან სარწმუნოება-მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული.

„იგი ერთს თავის ქადაგებაში სთხოვდა თავისს სამწყსოს, რომელიც ყოველთვის სულ-გაკმენდით უსმენდა ხოლმე, ევედრენით ღმერთს, რომ მომცეს მე ძალა ჯეროვანად ვემსახურო ეკლესიასა, ესე იგი, თქვენს ცხოვრებასაო, რადგან თვითოეული თქვენგანი და ჩვენგანი ერთად შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც ეკლესია ღვთისა ჰქვიანო. ეს მისთვის ლიტონი სიტყვა არ იყო, საღვთო წერილიდამ ამოკითხული და გაზეპირებული. ეს იყო მისი სიმბოლო, ეს იყო მისი განათლებული რწმენა, ეს იყო მისი გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება. ეს იყო ის, რასაც სიბრძნეს ეძახიან და რის გარეთ მსახურება თვისი მსახურებად არ მიაჩნდა, ღვაწლი-ღვაწლად, მადლი-მადლად, საქმე საქმედ! არ არის არც ერთი მაგალითი, რომ სადმე და რაშიმე ესუსტნოს ამ რწმენისათვის, პირიქით, თვისი ხანგრძლივი სამსახური მარტო ამ რწმენას შესწირა და შეალია. კაცთათვის მსახურება — მსახურებაა ღვთისაო,— ამას მარტო ღრმად გამეცნიერებული სარწმუნოება იტყვის და ამისთანა სარწმუნოებისა იყო იგი, ვისიც სიბრძნე მარტო ჩვენ არ გვანცვიფრებს“.

აქ შესანიშნავად არის გადმოცემული ი. ჭავჭავაძის რელიგიის ფილოსოფია.

ასე „მოარიგა“ ილიამ ჭეშმარიტი რელიგია და ჭეშმარიტი მეცნიერება. ცხადია, მკითხველი მიხვდება, რომ აქ შემთხვევით როდია მითითებული ნიუტონზე,—იმ მოაზროვნეზე, რომელმაც, როგორც ცნობილია, მოძრაობის პირველი ბიძგის მიზეზად ღმერთი აღიარა, და რომელიც ერთსა და იმავე დროს შეიძლება ითქვას, რომ მართლაც იყო „ღვთისა და ბუნებისმეტყველი“.

მაგრამ საკითხავია, რამ აიძულა მატერიალისტი ილია ჭავჭავაძე გადაეხვია სწორი გზიდან და ღმერთთან შერიგების გზები ეძია? რა იყო ამის მიზეზი?

ჩვენის აზრით, ამის მიზეზი იგივე იყო, რა მიზეზმაც მისი სხვა თეორიული შეცდომები და მისი ეთიკის აბსტრაქტულობა გამოიწვია. ილია ჭავჭავაძეს არ სწამდა მეცნიერება—მეცნიერებისათვის, მას იგი მიაჩნდა მხოლოდ როგორც იარაღი ხალხის სამსახურისათვის. ამის შესაბამისად იგი არც სთვლიდა საჭიროდ დაემალა, რომ თავის თეორიას, მოძღვრებას, უყურებდა როგორც იარაღს ერის ცხოვრების გასაუმჯობესებლად. და რადგან ქართველი ერის მაშინდელი მდგომარეობა მოითხოვდა, მისი აზრით, ერთიანობას, რადაც არ უნდა დამჯდარიყო, ამიტომ იგი ცდილობდა თავისი თეორია, მსოფლმხედველობა შეეგუებინა და დაექვემდებარებინა ერის საარსებო ინტერესებისათვის, ე. ი. რეალური ცხოვრების ინტერესებისათვის.

ქრისტიანულ რელიგიაში კი იგი ხედავდა ძალას, რომელსაც შეეძლო დიდი სარგებლობა მოეტანა ამ ინტერესებისათვის. ილია რეალური პოლიტიკის კაცი იყო. რელიგია, ღმერთი მას სჭირდებოდა როგორც იარაღი ქართველი ხალხის გაერთიანებისათვის, როგორც საყრდენი თავისი აზრებისა და მოქმედებისათვის. ფეიერბახის ფილოსოფია კი მის ხელში ... ბაზა იყო, რომლის საშუალებითაც იგი ცდილობდა თეორიულად დაესაბუთებინა და ამასთანავე ერთად გაემშვენიერებინა და შეენარჩუნებინა რელიგია.

იმის დასამტკიცებლად თუ როგორ ღმერთს უარყოფდა ილია და მის მაგიერ როგორი ღმერთი სჭირდებოდა მას თავისი კეთილშობილი მიზნებისათვის, მოვიყვანოთ ამონაწერი მისი ცნობილი „პასუხის პასუხიდან“:

„იმით თამამობთ,
რომ ბეზღით გვწამობთ
ურჯულოებას, ღვთის უარყოფას?
ღმერთი არმობის,
ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას;
ღმერთი მზაკვრობის
და თვალთმაქცობის,
ღმერთი უქმობის უარუყვია,
ღმერთი ხარბობის
და მძარცველობის
თქვენთა მსგავსთათვის მას დაუთმია.
ხოლო გვწამს ღმერთი,
უქმთა წარმწყმედი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,
ღმერთი ტანჯულთა,
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;
ყოველთა ძმობის,
თანასწორობის
მოძღვრობისათვის ქვეყნად ჯვარცმული,
ძლიერთ დამბმელი,
უძლურთ ამხსნელი
თქვენგვარ კაცთაგან გმობილ-დევნული;
ორგულობისა,
ორპირობისა
ძირსა დამცემი და დამთრგუნველი,
ფარისეველთა,
სადუკეველთა
გამაკიცხველი და გამდევნელი“.

ილიას სარწმუნოებრივი იდეების გამოხატულებას ჩვენ ვხვდებით არა მარტო მის პოეზიასა და პუბლიცისტიკაში, არამედ აგრეთვე პროზაშიც. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, უნდა მივუთითოდ მის შესანიშნავ მოთხრობა

[1] ი. ჭავჭავაძე, „თხზ. სრ. კრ.“, 1941 წ., ტ. II, გვ. 542.

„გლახის ნაამბობზე“, რომელშიც გამოყვანილია იდეალური, ყოველი სიკეთით დაჯილდოებული მღვდელი. ამ მღვდლის სახით ილიამ დახატა არა რეალური, მაშინდელი საქართველოს სინამდვილეში არსებული მღვდლის ტიპი (რადგან მან კარგად იცოდა, რომ ასეთი მღვდელი სინამდვილეში არსად არსებობდა [1]), არამედ არ არსებული, მაგრამ სასურველი, ღვთისა და მაშასადამე, ადამიანის იდეალური მსახური. ასეთი მღვდელი შეეფერებოდა ილიას მიერ გალამაზებულ და სრულყოფილ რელიგიას.

რომ უფრო სრულად გავიგოთ ის მიზეზები, რომლებმაც აიძულეს ი. ჭავჭავაძე რელიგიასთან კომპრომისი ეძია, შევეხოთ ერთ მის სტატიას, რომელსაც სათაურად აქვს „ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი“. ეს სტატია დაწერილია 1888 წელს. მასში ვკითხულობთ:

„ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან,—გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორცთვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარი მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას სულ იმაზედ [illegible] ხოლმე, რომ მამული [illegible] ერ[illegible] რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდესს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს.

„აი, სად და რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას. აი რით გაიმაგრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტესი ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი-მტრები ეხვევნენ და ჰლამობდნენ ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. აი რამ მოაგერებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნება მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული — მამულსა და ეროვნებასა და ეგრე მოძღვრებულმა ერმა ეს სამები წაიმძღვარა წინ, ათას ხუთასი წელიწადი ომითა და სისხლის ღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა...

ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება“. [1]

აქ ილია ბევრის მხრით მართალია. ქრისტიანული რელიგია წარმართობასთან შედარებით უდაოდ პროგრესიული მოვლენა იყო და საქართველოში მისი გავრცელება თავის დროზე მოწინავე მსოფლმხედველობაზე გადასვლას ნიშნავდა. უცილო ისტორიული ფაქტია, რომ მუსულმანურ ურიოებთან ხანგრძლივ, მრავალსაუკუნოვან ომებში ქრისტიანობამ ქართველი ხალხისათვის დადებითი როლი ითამაშა. მან დაიფარა მაღალი ქართული კულტურა უფრო დაბალი კულტურის დამღუპველი გავლენისაგან. მრავალი

[1] სინამდვილეში არსებულ მღვდლებზე აი რა ტონით ლაპარაკობს ილია: „ერი ვეღარ გასვლია მღვდლის ხარჯსა, რომელიც მით უფრო ემძიმება ერს, რომ განურკვეველია, განუსაზღვრელი. აბა იფიქრეთ, თუ მღვდელს დიდი ოჯახი აქვს და პატარა სიხარბიც მისდევს, რა მუსრს ადენს თავის სამწყსოსა. ერი ამით ძალიან შეწუხებულია და მომდურავი. ამას ოსათოდ წამალი რომ უნდა დაედოს, თორემ ერს ლამის ქანცი გაუწყდეს“. (ი. ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, 1881 წ. დეკემბერი).

[1] „ნაწერ. სრ. კრებ.“, ტ. VIII, გვ. 350.

საუკუნის განმავლობაში ქრისტიანობა იყო იდეოლოგიური საყრდენი ქართველი ხალხის ერთიანობისა და შთამაგონებელი ძალა მრავალრიცხოვანი გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ ილიას აქ დავიწყებული აქვს საკითხის მეორე მხარე, სახელდობრ ის, რომ ფეოდალურ საქართველოში მმართველი კლასები რელიგიას ხშირად იყენებდნენ, როგორც იარაღს გლეხობაზე მათი ბატონობის განსამტკიცებლად. შემდგომში კი, როცა ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობა ჩაისახა, რელიგია გადაიქცა ბურჟუაზიის მიერ ხალხის მასების მოტყუებისა და ჩაგვრის იარაღად, მოწინავე აზრისა და ჭეშმარიტი მეცნიერების მტრად. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა მუშათა მოძრაობა არა თუ ევროპაში, არამედ რუსეთშიაც ფაქტი გახდა და როცა მუშათა კლასის ისეთი მოწინავე, მეცნიერული მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა, როგორიცაა მარქსიზმი, — დიდი ჩამორჩენილობა იყო იმის ფიქრი, რომ წინსვლა და პროგრესი თითქოს შესაძლებელი ყოფილიყო რელიგიის, თუნდაც შეკეთებული და სრულყოფილი რელიგიის საშუალებით.

ილია ჭავჭავაძე როგორც მოაზროვნე და მეცნიერი სავსებით ეპოქის სიმაღლეზე იდგა, რამდენადაც იგი იზიარებდა მატერიალისტურ თვალსაზრისს ბუნებასა და ისტორიაზე. მას არ აინტერესებდა ღმერთის არსებობის საკითხი თავისთავად და არც იკვლევდა თეოლოგიის პრობლემებს. მას ღმერთი და რელიგია სჭირდებოდა მხოლოდ როგორც პოლიტიკოსს. ამით აიხსნება, რომ მის შემოქმედებაში უცნაურად არის გადახლართული ერთი მეორეში ღმერთისა და რელიგიის კრიტიკა და ამავე დროს მათი აღიარება. იგი ცდილობს გადააკეთოს, გაამშვენიეროს რელიგია, რათა იგი გადაიქცეს კაცთა შორის ძმობის იარაღად.

ცხადია, ეს იყო დათმობა იდეალიზმის წინაშე, მაგრამ ეს [illegible] არ ნიშნავს, რომ იგი, [illegible] ნე თითქოს შეზღუდული ყოფილიყოს. ეს დათმობა და უკან დახევა მატერიალიზმისაგან იყო აუცილებელი ხარკი, რომელიც არ შეეძლო ბუმბერაზ მოაზროვნეს არ გადაეხადა თავისი დროის ჩამორჩენილობისათვის.

აქ სავსებით გამართლდა თვითონ ილიას ღრმა აზროვანი სიტყვები: „არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგრომელ დუღილშია მოუგდია ზედაპირზედა,—ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა, თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც დაიბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს“.[1]

ასეთია ი. ჭავჭავაძის ეთიკა და რელიგიის ფილოსოფია. ასეთია ამავე დროს მისი თეორიულ-ფილოსოფიური შეცდომების არსი.

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფია, უპირველეს ყოვლისა, არსებულით უკმაყოფილების ფილოსოფიაა. აზრი არსებული ყოფა-ცხოვრებით უკმაყოფილებისა მთელი სიძლიერით არის გატარებული მის მდიდარსა და მრავალფეროვან შემოქმედებაში,—პოეზიაში, პროზაში და პუბლიცისტიკაში. მის ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებში, როგორიცაა: „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, „აჩრდილი“ და სხვ. ეს უკმაყოფილება უმაღლეს წერტილს აღწევს და გადასულია მძლავრ პროტესტში მემამულეთა და მეფის რეჟიმის წინააღმდეგ. ჩვენთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს მოვიყვანოთ მრავალრიცხოვანი თვალსაჩინო მაგალითები

[1] ი. ჭავჭავაძე, სტატია „საქართველოს ჰოამბეზედ“.

იმისა, თუ რა მძაფრად აკრიტიკებდა ილია თავისი ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს, მაგრამ ეს მაგალითები ყველასათვის ცნობილია და ზედმეტად მიგვაჩნია მათი განმეორება. არსებული ყოფით ილიას უკმაყოფილებაზე, აგრეთვე მისი კრიტიკის ძალასა და სიღრმეზე რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, საკმარისი იქნება გავიხსენოთ, თუნდაც, მის მიერ 1881 წლის ერთერთ „შინაურ მიმოხილვაში“ ნათქვამი სიტყვები:

„ჰაერი გარშემო დახშულია, ადამიანს სული უგუბდება, სული გვამში ვეღარ მოუტრიალებია, სულით და გულით დახუთულია, გონებით გალაბრებული, გრძნობით მიცვეთილი თითქო მთელს აგებულებაში ტყვია ჩაუსხამთო, ისე დამძიმებული, გულდაწყვეტილია დღეს ადამიანი. ადამიანს რაღაცა ჰწყურიან, რაღაცა ჰშიან, რაღაცას ეტანება მთელის თავის არსებითა, მაგრამ... მისაწვდომს ვერ მისწვდომია... თავ-გაბრუებულები შევყურებთ ხვალინდელს დღესა. რა იმედით? რა ნუგეშით? არავინ იცის. ეს კი ვიცით ყველამ, რომ გუშინდელი ყველას მოსწყინდა, დღევანდელი ყველას შესძაგდა, და თუ დაგვრჩა რამე ნიშნად სიცოცხლისა, სულდგმულობისა, — ეგ ხვალინდელის ლოდინია. გული ნდომით დამძიმებულია და სული მაგ ლოდინითა. სულ ველით რაღაცას, მაგრამ ლოდინი ლოდინად გვრჩება... სული დრტვინავს, გული ჰკვნესის ამაო ლოდინის გამო. შესვა, შეჭლია მაგ ლოდინმა მთელი ჩვენი მხნეობა, ქანცი გაგვიწყდა, და-აჰა! — თუ ამ დაუსრულებელს სიბნელეში ერთი მცირედი რამ შუქი აღმოჩნდეს ადამიანის ნუგეშად!.. საშინელი ყოფაა ეს ყოფა ადამიანისათვის“.[1]

ძნელია ამაზე მკვეთრად და ძლიერად გამოხატოს ადამიანმა არსებული ყოფით უკმაყოფილება. ილია ჭავჭავაძე მთელი არსებით განიცდიდა თავისი დროის ტკივილებს, მას სული ეხუთავდა ეპოქის დახშული ჰაერი, მაგრამ მიუხედავად ამისა, არასოდეს არ ჰკარგავდა სიმხნევესა და მომავლის იმედს. მას მტკიცედ სწამდა თავისი საშშობლოს და მთელი კაცობრიობის უკეთესი მომავალი და არ ზოგავდა ძალღონეს მის დასაჩქარებლად. მისი შემოქმედება არასოდეს არ მისულა საერთოდ ცხოვრების უარყოფამდე, პესიმისტურ დასკვნებამდე. პირიქით, ქართულ ლიტერატურაში ძნელად მოიძებნება მეორე ისეთი მხნე და იმედიანი მწერალი, ისეთი ოპტიმისტი მოაზროვნე, როგორიც ილია იყო.

რაც უფრო მკაცრი და დაუნდობელი იყო ილია „ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფლის“ კრიტიკაში, მით უფრო აღფრთოვანებული და თავგანწირული იყო იმ იდეების დაცვაში, რომლებსაც, მისი აზრით, ხალხისათვის ბედნიერება უნდა მოეტანა. სწორედ იმიტომ იყო იგი დაუზოგავი ყოველგვარი ნაკლოვანებების მხილებასა და თავის იდეურ მტრებთან ბრძოლაში რომ თავდავიწყებით უყვარდა ხალხი და მის ბედნიერებას ყველაფერზე მაღლა აყენებდა. იგი გამოდიოდა, როგორც ნამდვილი სახალხო ტრიბუნი და მუდამ ლაპარაკობდა ხალხის ინტერესებისათვის, ხალხისავე სახელით.

მისი გულისთქმა, მისი კაცობა შესანიშნავად არის გამოხატული მისივე სიტყვებში. „რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარე წადილი გასწორებისა. ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი—ეგ აშკარაა“.[1]

[1] „ნაწერ. სრ. კრებ.“, ტ. VI, გვ. 151-2.

[1] „თხზ. სრ. კრებული“, 1941 წ. ტ. II, გვ. 47.

ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე. ეს ჭეშმარიტება ედვა საფუძვლად მის შემოქმედებას, მის აზროვნებასა და მოღვაწეობას. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ იგი მკაცრად აკრიტიკებდა „უსწორმასწორო წუთისოფელს“, და სწორედ იმიტომ, რომ ასე მკაცრად აკრიტიკებდა მას, მისი მსოფლმხედველობა, მისი ფილოსოფია არის არა პესიმიზმისა და უიმედობის ფილოსოფია, არამედ ოპტიმისტური ფილოსოფია, კაცობრიობის უკეთესი მომავლის რწმენით გაჟღენთილი ფილოსოფია, — სიცოცხლის ფილოსოფია. ამ ფილოსოფიის ცენტრში დგას ადამიანი თავისი მუდმივი ზრუნვით ნათელ ცხოვრებაზე, თავისი ფიქრებითა და განცდებით, თავისი გრძნობებითა და სურვილებით.

ჯერ კიდევ „მგზავრის წერილებში“ — ი. ჭავჭავაძის ამ პირველ დიდ ნაწარმოებში, — გამოჩნდა ავტორის მსოფლმხედველობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. „რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიჟრაჟო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ“.—ამბობდა ილია და ამ სიტყვებში გამოხატული იყო ავტორის მთელი მსოფლმხედველობის: უმთავრესი ტენდენცია.

გავიხსენოთ შესანიშნავი ადგილი „მგზავრის წერილებიდან“, სადაც ნათელი დღისა და ბნელი ღამის ერთმანეთთან შედარებაა მოცემული:

„დალამდა. მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა, მისწყდა ადამიანის მორჭმული ხმაურობა, აღარ ისმის მისი დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნი, ქვეყნის ტკივილმა დაიძინა, ადამიანი აღარა სჩანს ჩემს გარშემო. ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!.. არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა. ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსებულიყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურობაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა. შენთა მოვლენათა დასცეს პირველად თავზარი ადამიანის გონებასა და დააფრთხეს იგი. მას აქეთ შეშინებულსა გზა თავისი ვერ უპოვნია,—და აჰა, იბრძვის ადამიანი და დღევანდლამდე ათასში ერთსა თავისი ერთხელ დამფრთხალი გონება ფრთხოლას ვერ გადაუჩვევია, აი მიზეზი ქვეყნის უბედურობისა, ჰოი, ბნელო ღამევ! მეჯავრები შენ მე. შენის კალთის ქვეშა, ვინ იცის, რამდენი გაბოროტებული მტერი ადამიანისა ეხლა თავს იმალავს? ვინ იცის, ამ ბნელ ფ[illegible]ის ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რამდენი მჭედელი და მტარვალი ქვეყნისა სჭედავს ბორკილთა ადამიანის ბედის შესაჭედად?.. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!..“

ეს სიტყვები დაიწერა 1861 წელს, როცა ილია 24 წლის ახალგაზრდა იყო, მაგრამ შემდეგშიც მას არასოდეს არ უღალატნია აქ გამოთქმული მიმართულებისათვის. მთელ თავის სიცოცხლეში იგი მუდამ იდგა ნათელი დღის მხარეზე და დაუნდობლად ებრძოდა ბნელ ღამეს, ბოროტებას, რეაქციას, უნამუსობას, მზაკვრობას, ქვეყნის მტარვალთ. იგი ვერ გასტეხა მუდმივმა ბრძოლამ, ვერ მოჰქანცა შეუპოვარმა შრომამ. ხანში შესულობის დროსაც მას შერჩა ახალგაზრდული, მჩქეფარე და იმედიანი განწყობილება, რადგან არასოდეს არ დაჰკარგვია რწმენა თავისი ხალხისადმი, მისი მომავლისადმი. ყოველგვარ დაბრკოლებათა და წინააღმდეგობათა მიუხედავად, მას სჯეროდა, რომ შორს არ არის ხალხის ბედნიერების დღე, თავისი უნივერსალური გონებით იგი წინასწარ სჭვრეტდა ქართველი ერის მომავალს, ჩვენს დღევანდელობას.

აი, უკვდავი სიტყვები, რომლებიც დაიწერა 1885 წელს და რომლებშიც გამოთქმულია ილიას გულის ნადები, მისი უსაზღვრო სიყვარული თავისი ხალხისადმი, მისი მტკიცე რწმენა მომავლისადმი:

„ერი თავისის სულით და გულით იმ ტურფა საბალნაროსა ჰგავს, საცა, რუსთაველის სიტყვით, ერთი მოდის და მის მაგიერ სხვა მიდის, თითონ ბალნარი-კი არის და არის მუდამ მწვანე, მუდამ დაუჭკნობელი, მუდამ ყვავილოვანი, ია-ზამბახ-ვარდ-გაშლილი, როგორც ჩვენი ძველი პოეტი ბესიკი იტყოდა.

„მართალია, ხან ცა მოუღრუბლებს ხოლმე და მშვიდობიანი, მორცხვი, კდემით-მოსილი ია ნაღვლიანად თავს ჩაჰკიდებს. ყელმოღერებული და თავმომწონე ზამბახი წელში გადიხრება, ეშხით ცეცხლმოდებული არშიყი ვარდი აღარ აკვნესებს თავის ბუჩქებში ტრფიალებით დამთვრალს და გახელებულს ბულბულსა, მაგრამ ბალნარი მაინც ბალნარია, მაინც ჰყვავის, მაინც ფშვენს, მაინც სიცოცხლის ძარღვი დაუღალავად უცემს სიცოცხლისათვისვე და ემზადება კარგის დღისთვის, სხვა უკეთეს დროსთვის. აბა ეხლა მაშინ ნახეთ ერი, როცა ფირუზის ფრად გადაწმენდილი ცა, უღრუბლო და შუქმოფენილი, თავის უშველებელ ფრთებს ზედ გადმოაშლის ხოლმე, როგორც ფრინველი თავის ბღარტებს, მაშინ ნახეთ ის ტურფა საბალნარო, რომელსაც მე სული და გული ერისა დავარქვი, რა ყვავილების კონას შეჰკრავს! ნუთუ გინდათ ეს სული და გული დაგვიბერდეს!

ღმერთმა ნუ ქნას.

მაშ გაუმარჯოს დაუჭკნობელს სიჭაბუკესა, აწ და მარადის“.[1]

ასეთი გულწრფელობითა და აღფრთოვანებით უმღერის იერ[illegible]ცხლეს, დაუჭკნობელ სიჭაბუკეს, [illegible]ს „ტურფა საბალნაროს“. იგი თითქოს შორიდან ხედავს ჩვენს დღევანდელ სინამდვილეს,—„ფირუზის ფრად გადაწმენდილ ცას, უღრუბლოს და შუქმოფენილს“.

ასეთია ი. ჭავჭავაძის ფილოსოფიის ცენტრალური იდეა, ამ ფილოსოფიის ძირითადი და განმსაზღვრელი ტენდენცია, მისი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია.

ყველაზე კლასიკური ფორმით ი. ჭავჭავაძის სიცოცხლის ფილოსოფია გამოხატულია მის ისეთ გენიალურ ნაწარმოებში, როგორიცაა პოემა „განდეგილი“. ეს პოემა წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მწვერვალს, და არა მარტო, როგორც სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოები, არამედ აგრეთვე, როგორც უაღრესად ღრმა ფილოსოფიური ქმნილება.

ამ ბრწყინვალე პოეტურ ნაწარმოებს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ილიას მსოფლმხედველობის გასარკვევად რომ აუცილებლად მიგვაჩნია მასზე ცოტა დაწვრილებით შეჩერება.

თავდაპირველად რამდენიმე დეტალი ილიას ბიოგრაფიიდან.

ყრმობის წლებში ილიას უყვარდა ტოლ-ამხანაგთა წრიდან განმარტოება და ნაღვლიანი ფიქრები. ცნობილია აგრეთვე ერთი „უცნაური“ მოვლენა ილიას ბიოგრაფიიდან: ესაა მისი განზრახვა ბერად შედგომის შესახებ. ილიას ბიოგრაფები გაკვირვებულნი არიან ამ გარემოებით. მათ ვერას გზით ვერ აუხსნიათ, თუ როგორ შეეძლო ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ჭაბუკს, რომელიც გარიბალდის რაზმში ოლონტერად წასვლასა და ბრძოლაზე ოცნებობდა, ამავე დროს, სერიოზულად ეფიქრა ბერად შედგომასა და გან-

[1] „ნაწერ. სრ. კრებ.“, 1928 წ., ტ. IX, გვ. 23.

9. „მნათობი“, № 8.

დეგილობაზე. ამ მხრივ დამახასიათებელია გრ. ყიფშიძის სიტყვები: „გარიბალდის სახელი და მამაცობა ისე ჰხიბლავდა მაშინდელ შეგნებულ ახალგაზრდობას, რომ ილიას სურვილი ვოლონტერად წასვლისა გასაკვირველი არაფრით არ უნდა იყოს. ბეკრად უფრო გასაკვირველია და საეჭვოდაც მისაჩნევი მისი წადილი ბერ-მონაზნობისა, თუმცა ამას, თვით ილიას სიტყვითვე, ჰმოწმობს ისეთი სანდო ადამიანი, როგორიც არის ავტორი „ბნელო“-სი“.[1]

ჩვენის აზრით, აქ საკვირველი არაფერია. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ილიას განზრახვის ახსნა შეუძლებელია ისეთი საბუთებით, როგორიცაა მისი „ადრე დაობლება“, ან „მისი ბუნებით და მემკვიდრეობით თანდაყოლილი მიდრეკილება მარტოობისა“, როგორც ამას ცდილობს გრ. ყიფშიძე. ეჭვს გარეშეა, რომ როგორც გარიბალდის რაზმთან შეერთების, ისე ბერად აღკვეცის სურვილი ერთი და იგივე მოვლენის ორი მხარეა, ილიას შინაგანი სულიერი მღელვარების, მისი გულის დუღილის ორნაირი გამოსავალია, ერთი პრობლემის ორგვარი გადაჭრაა.

ილია ბავშვობიდანვე გაეცნო ბატონყმური წყობილების უსამართლობას და გაიმსჭვალა მისდამი სიძულვილით, ამავე დროს მას არ შეეძლო არ დაენახა თავისი სამშობლოს უუფლებო კოლონიური მდგომარეობა, და ბუნებით ნიჭიერი, მდიდარი შთაბეჭდილებიანი ახალგაზრდის წინაშე იმ თავითვე დაისვა ალტერნატივა: ან დაუნდობელი ბრძოლა ამ „უსწორმასწორო წუთისოფლის“ წინააღმდეგ, ბრძოლა იარაღით ხელში ცხოვრების უკუღმართობათა გამოსასწორებლად, ან, თუ ეს შეუძლებელია, წასვლა ამ ქვეყნიდან გაქცევა, განდეგილად ცხოვრება, რათა არ გახდე მოწამე, ან უნებლიე მონაწილე ცხოვრების ამ უსამართლობისა; ბრძოლა, მოღვაწეობა, ან ცხოვრებიდან გაქცევა, განდეგილობა, — ასეთი იყო ორი ბუნებრივი საწყისიან ტენდენცია ილიას მსოფლმხედველობისა, მისი ფილოსოფიისა. როგორც დავინახეთ, არც ერთი და არც მეორე ტენდენცია არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა, არამედ ერთსაც და მეორესაც ჰქონდა ღრმა სოციალური მიზეზები. საბედნიეროდ, მეორე ტენდენციამ ვერ ჰპოვა შემდგომი განვითარება და ილიაში იმთავითვე გაიმარჯვა მებრძოლმა, — და მერე როგორმა მებრძოლმა!

„განდეგილის“ გაგება შეუძლებელი იქნება ისე, თუ ჯეროვნად არ გავითვალისწინებით ამ ორი საწყისის არსებობა ილიას მსოფლმხედველობაში. განდეგილის სათავეები ჯერ კიდევ მისი ავტორის ყრმობის დროის ზემოდაღნიშნულ კონტრასტულ სურვილებში უნდა ვეძებოთ. „მგზავრის წერილებში“ მოცემულია იმავე პრობლემის შემდგომი გაშლა და გაფართოება: ბრძოლა თუ განდეგილობა, დღის სინათლე თუ ღამის სიბნელე, ადამიანის სიკვდილი თუ სიცოცხლე, — ასეთია ამ პრობლემის არსი. ილიას აზროვნებაში, მის განწყობილებებში, მის მოქმედებაში ყოველთვის იმარჯვებს მებრძოლი, დღის სინათლის მოტრფიალე, სიცოცხლისა და დაუჭკნობელი სიჭაბუკის მომღერალი. „განდეგილი“ ამ გამარჯვების უმაღლესი გამოხატულებაა.

როგორია პოემის შინაარსი?

მყინვარის მიუვალ, ყინულოვან მთებში ძველ დროს ღვთის მოსავთაგან გამოქვაბულს და აწ გაუქმებულს მონასტერს შეჰკედლებია მეუდაბნოე, რომელიც განშორებია „ამ წუთისოფლის სამაცდუროს“ და დაუთმია „საი-

[1] ი. ჭავჭავაძე, „თხზულებანი“, 1914 წ., ტ. I, გვ. 16 (ბიოგრაფია).

ქიოსთვის ეს სააქაო". ამ გაშორების მიზეზს პოეტი ასე გადმოგვცემს:

„განშორებია ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე-და-ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.
განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა".

ეს სტრიქონები ბევრის მხრითაა საინტერესო. აქ გარკვევით და აშკარადაა მითითებული იმ წმინდა სოციალურ მიზეზებზე, რომლებმაც აიძულეს ადამიანი განდეგილად გამხდარიყო. გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ილია აქ მაღლდება თავის საკუთარ ეთიკაზე, როცა აღიარებს, რომ „მოყვასის წმინდა სიყვარული" ფუჭი სიტყვებია იქ, „სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა". ავტორი ხატავს კლასობრივი საზოგადოების უაღრესად რეალისტურ სურათს.

რა მიზანი დაუსახავს განდეგილს?

„განუდევნია გულიდამ ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწმენდილ და განბანილი".

მაშასადამე, მას, „ხორცი სულისთვის უწამებია", და ამ წამებას ამაოდ როდი ჩაუვლია, არამედ:

„წამება მისი ღმერთს შეუწირავს,
ვედრება მისი ღმერთს უსმენია,
და სასწაული ნიშნად მადლისა
მღაღადებელზე მოუვლენია".

ასე, ადამიანი გაექცა ამ უკეთურ ქვეყანას, დამარხა ყოველგვარი ხორციელი გულისთქმა და [illegible] თა მოიპოვოს სულიერი სიმშვიდე და საფლავში ჩავიდეს „სულით განწმენდილი და განბანილი". მან მიაღწია თავის მიზანს. ღმერთმა ისმინა მისი ვედრება და „მისი სული აყვავდა". ადამიანმა იპოვა სულიერი სიმშვიდე, იგი კმაყოფილი და ბედნიერია. პრობლემა თითქოს გადაჭრილია, წყეული კითხვა მოხსნილი და დამთავრებული.

მაგრამ მწირის მყუდრო სენაკში მოულოდნელად გამოჩნდება ჭექა-ქუხილსა და ავდარს თავშეფარებული ახალგაზრდა მწყემსი ქალი. პოეტმა მწყემსი ქალის სახეში, მოგვცა სიცოცხლის ძალის განსახიერება, რომელიც ასკეტ ბერს იმორჩილებს.

„ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით,
ნაზად, ამაყად ცეცხლა-პირს იჯდა,
ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით".

ახალგაზრდა ქალი სულ უბრალო, ადამიანური კითხვებით არღვევს მწირის შინაგან მყუდრო სამყაროს, მის რწმენას, მის სულიერ წონასწორობას. მწირის მტკიცებაზე, რომ მისი განდეგილობა თითქოს ღვთის ნებაა, ქალი მიუგებს:

„— როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში
უნდა
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?.."
„განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყანას ღვთითვე დაბადებულსა?
... მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთის-სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?"

და შემდეგ:

„ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია".

ამრიგად, ერთ მხარეზეა ცხოვრებიდან განდგომილი ადამიანი, რომელიც სულისათვის სწირავს ხორცს, სწირავს ყველაფერს ამ ქვეყნიურს, რადგან ეს ცოდვილიანი ქვეყანა მას არ აკმაყოფილებს და აქ მას არ დაედგომილება. სულის სიმშვიდეს იგი დაეძებს ამ ქვეყნიურის მიღმა, საიქიოში, ღმერთთან. მეორე მხარეზეა, ახალგაზრდა მწყემსი ქალი, ამ ქვეყნიური სიცოცხლის წარმომადგენელი, რომლისთვისაც ეს ქვეყანა, რა-რიგ უკეთესმართად არ უნდა იყოს იგი მოწყობილი, მაინც ტკბილია და ძვირფასი. ეს ორი ერთი-მეორის საწინააღმდეგო რწმენა ეჯახება ერთიმეორეს და ამ შეჯახებაში გამარჯვებული გამოდის მწყემსი ქალი. სწორედ ამ ფაქტში პოულობს თავის გადაწყვეტას ილიას ფილოსოფიური პრობლემა: სიცოცხლე იმარჯვებს სიკვდილზე, საქაო ცხოვრება საიქიოზე!

პოემის დასკვნითი სიტყვები მეტად დამახასიათებელია:

„და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების,
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ
მსხვერპლი ქებისა და ღაღადების, —
აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარიღა დადის და ქშუის,
და გამომფრთხალი ჭექა-ქუხილით
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის...“

ასე დაეცა „ღმერთი მსჯავრისა და ჭეშმარიტებისა“. პოეტმა იგი საბოლოოდ ჩამარხა ნანგრევთა და ნატამალთა შორის.

სამაგიეროდ, გაიმარჯვა სიცოცხლემ, ცხოვრებამ, ბრძოლამ,—გაიმარჯვა ადამიანმა!

საკითხის ასეთი გადაჭრის მნიშვნელობა რომ კარგად გავიგოთ და საერთოდ პოემა „განდეგილის“ სწორი შეფასება შევძლოთ, ზედმეტი არ იქნება ვავიხსენოთ როგორ აფასებენ საბჭოთა ხალხის დიდი ბელადები ლენინი და სტალინი „განდეგილში“ [illegible] პრობლემის ანალოგიურ [illegible] სხვა ავტორებთან.

ცნობილია, რომ ჯეკ ლონდონის მოთხრობამ „ცხოვრების სიყვარული“ ლენინის შექება გამოიწვია. ნ. ი. კრუპსკაია გადმოგვცემს თავის მოგონებებში, რომ „ილიჩს ეს მოთხრობა მეტის-მეტად მოეწონაო“. ასევე მაღალი შეფასება მისცა ამხანაგმა სტალინმა მაქსიმ გორკის პოემას „ქალიშვილი და სიკვდილი“, რომელიც მან გოეთეს „ფაუსტზე“ უფრო ძლიერ ნაწარმოებად ჩასთვალა. ორივე ამ ნაწარმოებში გატარებულია „განდეგილის“ ანალოგიური იდეა—სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების იდეა. პრობლემა ერთი და იგივეა, მისი გადაჭრაც — ერთნაირი. სწორედ ამიტომ აფასებდნენ ამ ნაწარმოებებს ლენინი და სტალინი. მაგრამ განა შევცდებით თუ ვიტყვით, რომ „განდეგილი“, როგორც პოეტური ნაწარმოები, თავისი მხატვრული სრულყოფითა და მონუმენტალობით გაცილებით უფრო მაღლა დგას ჯეკ ლონდონისა და მ. გორკის ზემოდხსენებულ ნაწარმოებებზე?

განდეგილის ავტორი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გასცილდა თავისი ქვეყნის ნაციონალურ ჩარჩოებს და მოგვცა საკაცობრიო პრობლემის ბრწყინვალე, კლასიკური გადაწყვეტა. ამიტომ ითვლება „განდეგილი“ მსოფლიო ლიტერატურის შედევრად.

ჩვენ ამით დავამთავრებთ ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ამ ზოგად მიმოხილვას.

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიის არსი რამდენიმე სიტყვით ასე გამოითქმის: ცხოვრება ცუდათ არის მოწყობილი და იგი ღირსია შეჩვენებისა, მაგრამ ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანმა იგი მაინც არ უნდა მიატოვოს, არამედ იმუშაოს და იბრძოლოს ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ქვეყნად სამართლიანობისა და კაცთა შორის ძმობის დასამყარებლად.

ამის შესაბამისად, ილია ამბობს: „ადამიანები, განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მოქმედნი პირნიცა. ცხოვრება არის თითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული“.[1]

ეს იყო დიადი აზრი, საიდანაც უშუალოდ გამოდიოდა მოწოდება ადამიანის აქტიური მოღვაწეობისაკენ, დაუღალავი შრომისა და ბრძოლისაკენ.

ასეთია ილია ჭავჭავაძის ფილოსოფია, რომელსაც ჩვენ სიტყვიერ ფილოსოფიას ვუწოდებთ.

მიუხედავად სერიოზული ნაკლოვანებებისა, რომელიც ამ ფილოსოფიას გააჩნდა და რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ, უნდა ითქვას, რომ თავისი დროისათვის იგი წარმოადგენდა უაღრესად მოწინავე და პროგრესიულ მსოფლმხედველობას. ეს მსოფლმხედველობა გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი სიღრმით, მთლიანობითა და მწყობრი თანმიმდევრობით.

---

[1] იხ. „ივერიის“ წინასიტყვაობა, (1), 1877 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ფაფიშვილი

ქართველები მოსკოვში

★

საკრებულოს მდივანს მიხეილ ვოლოშენინოვს საელჩო პრიკაზში ქართველი ელჩების მიღება ჰქონდა.

ვოლოშენინოვმა სკამებზე დასხა ეს იშვიათი სტუმრები მოსკოვისა, გამოჰკითხა მათ: როგორ ბრძანდებით, რისთვის გარჯილხართ, რა დავალებით გამოუგზავნიხართ ქართველ მეფეებს ხელმწიფე ალექსი მიხეილის-ძესთანო.

ქართველმა თავადმა ივანე გრიგოლისშვილმა მდაბლად თავი დაუკრა და სთქვა:

— ჯერ კიდევ თეიმურაზ მეფის წინაპრებმა მოსკოვის დიდი ხელმწიფის ხელქვეითად აღიარეს თავი. მეფე თეიმურაზი პატიოსნად და სიმართლით ემსახურებოდა ნეტარხსენებულ ხელმწიფეს — მიხეილ თეოდორეს-ძეს. ახლა მეფე თეიმურაზი განდევნილია თავის სამეფო კახეთიდან როსტომ-ხანის მიერ და ცხოვრობს თავის სიძე ალექსანდრესთან. მას თან ჰყავს ლაშქარი—ათიათასი კაცი. თეიმურაზი სთხოვს დიდ ხელმწიფეს — ალექსი მიხეილის-ძეს მიაშველოს ჯარი მტრისაგან კახეთის გასაწმენდად, ამასთან ხელმწიფის სიგელით შეუთვალოს სპარსეთის ყეენს, რათა ყეენი დაეხსნას და ხელი აღარ ახლოს საქართველოს მიწა-წყალს. ამას წინათ, — განაგრძობდა თავადი ივანე გრიგოლისშვილი, — მეფე თეიმურაზმა აღუთქვა დიდ ხელმწიფეს, რომ გამოუგზავნიდა თავის ძეს — ბატონიშვილს დავითს, მაგრამ უფლისწული დავითი ბრძოლის დროს ხელში ჩაუვარდათ ურჯულოთ და იგი წამებით მოკლულ იქნა. მეფე თეიმურაზმა მიბრძანა გაუწყოთ, რომ დავითის ნაცვლად, ჩემს შვილის-შვილს ნიკოლოზს, დავითის შვილს, გაახლებთო. თუ ხელმწიფე ინებებს ბატონიშვილს ნიკოლოზს, მის წამოსაყვანად თავისი კაცები გამოგზავნოსო.

საკრებულოს მდივანმა ყურადღებით მოისმინა ქართველი ელჩის სიტყვა, უთხრა, თქვენს სათხოვარს ახლავე მოვახსენებ ხელმწიფესო, სთხოვა დაეცადნათ ხელმწიფის გამოსვლისათვის, ხოლო თვით ზევით ხელმწიფესთან გაეშურა.

ეს მოხდა 1648 წლის 13 აგვისტოს.

ქართველი ელჩები მოსკოვში 1650 წლის 10 ივნისამდე დარჩნენ და საქართველოსკენ გამოემგზავრნენ მდინარე მოსკოვით. მაშინ ეს ჩვეულებრივი გზა იყო. მდინარით წამოსულნი გამოვლინდნენ კოლომნას, პერეიასლავლ-რიაზანსკს, კასიმოვს, მურომს, ნიჟნი-ნოვგოროდს, ყაზანს, მიაღწევდნენ ასტრახანს და აქედან ზღვით თერგში ჩამოდიოდნენ.

ქართველ ელჩებთან ერთად გამოემგზავრნენ ხელმწიფე ალექსი მიხეილის-

ძის ელჩებიც—ივანე მათეს-ძე ტოლოჩანოვი და დიაკი ალექსი იევლევი.

ერთი წელიწადი იმოგზაურეს და, რის ვაივაგლახით, 1651 წლის აგვისტოში საქართველოს ფარგლებს მიაღწიეს.

საზღვარი გადიოდა დათოვლილი მაღალი მთების ქედებზე. დაქანებულ აღმართებზე ელჩებს ჩამოქვეითება უხდებოდათ და მაღლობებზე ცხენის კუდებზე ხელჩაკიდებულნი ადიოდნენ.

რუსი ადამიანებისათვის, რომელთაც პირველად უხდებოდათ მთებში ყოფნა, ყველაფერი აქ უჩვეულო და უცადი იყო. მცხუნვარე მზე მწარედ იკბინებოდა, ფეხქვეშ კი თოვლი ხრაშუნობდა. ცა ლურჯზე ლურჯი იყო. მთელ სამყაროს მყუდროება და სინათლე მოჰფენოდა. აი შემოუარეს მთას და ერთბაშად ნისლსა და წვრილად ცრილი წვიმის თქორში მოყვნენ. გაიარეს კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ნათელი, კრიალა დღის სულზე უცბად ბალახი მიყუჩდა, ტყე გარინდდა, კლდენი ჩამობნელდნენ, ხეობის სიღრმეში ვიღაც უხილავმა, თითქოს მოჭარბებული ძალღონისა, თუ დაქანცულობის გამო, მხრები შეიშმუშნა, და ის იყო გაოცებისაგან პირი დააღეს, რომ მათ თავზე მეხმა ჭექა-ქუხილით დაიგრიალა.

როცა უკანასკნელ უღელტეხილზე ავიდნენ და მზისგან აბრჭყვრიალებულ თოვლზე ფეხი შესდგეს, გამოჩნდნენ ერთი მეორის ზურგს ამოფარებული, მკლავგადაჭდობილი მთები, ახლა უფრო ნაკლებ პირქუში, უფრო ხალისიანი და მხიარული მთები სამხრეთისა; ქართველმა ელჩმა თავადმა ივანემ, რომელსაც სამი წელიწადი იყო სამშობლო არ ენახა, მაღალი ქუდი მოიძრო, მკერდზე მიიკრა და დიდხანს იდგა ასე, შორს მომზირალი, ცრემლმორეული თვალებით.

თეიმურაზ მეფე რიონის სათავეების ახლო მთიან მიდამოებში, [illegible] ციხის — იმერეთის მეფეს [illegible] ალექსანდრეს სამფლობელოში ცხოვრობდა. თეიმურაზის დროებითი სახელდახელო სასახლე გამართული იყო მინდორზე, რომელსაც ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მწვანე ტყით დაბურული მთის ფერდობები დაჰყურებდნენ. სასახლეს ნახევარ-წრედ შემორტყმოდნენ მეფის ახლობელ დიდკაცთა საცხოვრებელი კარვები, ერთი მეორისაგან თანაბარ მანძილზე დაშორებულნი.

თეიმურაზი ახლა მესამედ ღებულობდა ელჩებს მოსკოვიდან.

პირველი ორი სტუმრობა მოსკოველი ელჩებისა საქართველოში მოხდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მეფე მიხეილ თედორეს-ძე ცოცხალი იყო. ელჩების არც პირველი და არც მეორე სტუმრობით თეიმურაზი კმაყოფილი არ დარჩა. ვერც თავადმა ვოლკონსკიმ რომელიც სასულიერო პირთა დიდი ამალით კახეთს ჩამოვიდა, ვერც თავადმა მიშეცკიმ, რომელმაც თეიმურაზს ხელმწიფისაგან ნაბოძები სიგელი, ოციათასი ეფიმკა და ორმოცდა ექვსი ყიასამური მოართვა, ვერ გააკეთა ის, რაც მთავარი იყო: მათ ვერ უამბეს ხელმწიფეს და ვერ დაარწმუნეს იგი, თუ რა დიდად მოიგებდა მოსკოვი და მთელი საქრისტიანო, თუ საქართველო, ქვეყანა, სადაც ინახებოდა კვართი უფლისა და სადაც მართლმადიდებელთა უამრავი ტაძრები იყო, ურჯულოთა შემოსევისაგან დაცული იქნებოდა. რა არ გარდახდენია თავს საქართველოს და მის ცალკეულ სამეფოებს? მხოლოდ ერთს ისეთს საშინელ წელიწადს, როგორიც 1616 წელი იყო, შეეძლო დაემხო და გაეცამტვერებინა თვით უდიდესი სახელმწიფოს ძლიერება. ქართველი ხალხი სძლია მხოლოდ ყიზილბაშთა ათკეცმა რიცხობრივმა უპირატესობამ.

ათეული ათასების გაწყვეტას მოჰყვა ათეული ათასების გადასახლება.

ასიათასი კახელი გარეკილ იქნა ტყვედ. ამაზე არა ნაკლები გაიჟლიტა. კახეთმა დაჰკარგა ორი მესამედი თავისი მოსახლეობისა. შრომისმოყვარე ხალხი მოსწყვიტეს სახნავ-სათეს მინდვრებს, ბაღ-ვენახებს, თუთის ხის ტყეებს, პირუტყვთა უთვალავ ჯოგებს, კეთილმოწყობილ ქალაქებს, დიდებულ ტაძრებს. მზით გადახრუკულს და გარუჯულს არანის და მუღანის ტრიალ უდაბნო ველებზე გაიბაწრნენ სამშობლოდან სამუდამოდ გაძევებული კახელთა რიგები. ირანის სამ პროვინციაში — ხორასანსა, მაზანდერანსა და ფერეიდანში ჩასახლებულ იქმნა გადახვეწილ კახელთა ნაშთი, რომელიც მძიმე და აუტანელ გზას გადაურჩა. არაოდეს მას შემდგომ არ დაუვიწყიათ თავიანთი სამშობლო არც მათ შვილებს, არც შვილთაშვილებს. დაუცხრომელი ნაღველი დაკარგული სამშობლოს გამო დამკვიდრდა მათ გულში სამარადისოდ. ხალხთა ძალადობითი გადასახლების ისტორიაში, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ტრაგიკული გადასახლება.

კახეთის იმ ადგილებში, სადაც მაღალი კულტურის ხალხი განვითარებული საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, მოვიდნენ სამუდამო დასამკვიდრებლად თარაქამები, — თურქთა მომთაბარე ქოჩი ტომები, რომელთაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ ჩაქუჩისა და სადურგლო იარაღის ხმარება. მრავალი გავერანებული ქართული სოფელი მიიტაცეს აგრეთვე ლეკებმა.

მრავალჯერ განდევნა თეიმურაზმა მტერი თავის მიწა-წყლიდან, მრავალჯერ გასწმინდა მისგან არა მარტო კახეთი, არამედ მეზობელი სამეფო ქართლიც.

1624 წელს თეიმურაზმა, გიორგი სააკაძესთან ერთად, სასტიკი ბრძოლა გაუმართა ირანელებს მარაბდასთან, გასწყვიტა იქ თოთხმეტრიანი ყიზილბაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მეფობაში, 1605 წლიდან 1648 წლამდე, თეიმურაზი ხუთჯერ ჰყვეს იძულებული მიეტოვებინა სამეფოს ფარგლები. მონობის უღლისაგან რომ ეხსნა საქართველო, თეიმურაზი ერთი მეორეზე უგზავნიდა შაჰ-აბასს თავის ოჯახის წევრებს. შაჰს მიჰყავდა ისინი. ასახიჩრებდა, აწამებდა მათ. ამას არ ჯერდებოდა, მოითხოვდა გამოცხადებულიყო მასთან თვით თეიმურაზი, ქედმოხრილი, დაჩოქილი, მუხლებზე მხოხავი, როგორც მასთან მიდიოდნენ სხვები, როგორც მასთან მიდიოდა როსტომ-ხანი, რომელიც თავის თავს შაჰის ფეხთა მტვერს უწოდებდა.

თეიმურაზი ეურჩებოდა, არ ნებდებოდა შაჰს. რაკი ერთხელვე ხმალი იშიშვლა, შეუსვენებლად განაგრძობდა ბრძოლას აღმოსავლეთის ამ ერთ-ერთს უძლიერეს ხელმწიფესთან. ორმოცმა ათასმა ყიზილბაშმა ჰპოვა სამარე საქართველოს ველებზე თეიმურაზისა და მის მეომართა ხელისაგან.

1628 წელს მოკვდა შაჰ-აბას პირველი. ირანის ტახტზე ავიდა ლოთი სეფი, კაცი მტარვალი და ბოროტმოქმედი. იმის სიკვდილსაც მოესწრო მეფე თეიმურაზი, მასაც დაუნდობლად ებრძოდა იგი.

ახლა, გამუსულმანებულ ქართველ მეფის—როსტომისაგან კახეთიდან გაძევებული თეიმურაზი თავის სიძეს—ალექსანდრეს შეხიზნოდა და მხოლოდ მოსკოვის იმედით-ღა ცოცხლობდა.

როცა რუსი ელჩები სასახლეში შევიდნენ, შესასვლელი კარების პირდაპირ, კედელთან, იჯდა თეიმურაზი. მის ახლოს იდგა მისი უფროსი შვილისშვილი ლუარსაბი. მარჯვნივ, მე-

ფის ზემოთ, ეკიდა ოქროთი მოვარაყებული და პატიოსანი თვლებით შემოვლებული ღვთისმშობლის ხატი ყრმა იესოთი, მარცხნივ — ღვთისმშობლისავე ხატი.

თეიმურაზს და მის შვილისშვილს შუა იდგა კვერთხი კიდობნითა და ჯვრით. შუა დარბაზში დადგმული იყო ასეთივე თვალმარგალიტით შემკული, ვერცხლით შემოვლებული და მოოქროვილი კვერთხი ოთხკუთხი კიდობნით და ზედჭედილი მაცხოვრის ხატით. მთელი დარბაზი მოფარტაგული იყო. მეფეს ქვეშ ეფინა აბრეშუმისაგან მოქსოვილი ნოხი, ნოხზე გადაფარებული იყო ბამბის ქსოვილი; კედელზე ეკიდა ნაქარგი უბეწვო ხალიჩა. თეიმურაზი იჯდა ოქრომკედითა და ვერცხლის ძაფით ნაკერი შვინდისფერი ატლასის ბალიშზე. მეორე, ასეთივე, უფრო მუქი ფერის ატლასის ბალიში კედელზე იყო მიდებული.

მეფის მარჯვნით ისხდნენ მიტროპოლიტები, ეპისკოპოსები, თავადები და აზნაურები, მარცხნით — გოლგოთის მონასტრის წინამძღვარი ნიკიფორე, რომელიც ორჯერ ჰყავდა თეიმურაზს ელჩად მოსკოვში.

ეს მიღება არ იყო სასიხარულო მიღება თეიმურაზისათვის. პირველად ღებულობდა იგი მოსკოველ ელჩებს მიწა-წყალზე, სადაც იგი არ იყო მეფედ, სადაც საკუთარ სამეფოდან მტერთაგან გაძევებული, გაჭირვებასა და მწუხარებაში სცხოვრობდა. ელჩებმა ვერ ჩამოუტანეს ამჯერად მისთვის ესოდენ საჭირო ფული-ეფიმკები.

— მისი უდიდებულესობის ხელმწიფის ნაწყალობევი ეფიმკები, — სთქვა ელჩმა ნიკიფორე ტოლოჩანოვმა, — შენ — მეფე თეიმურაზს ვერ ჩამოგიტანეთ იმიტომ, რომ დიდმა ხელმწიფემ არ უწყოდა, თუ სად იმყოფებოდი — შენ, მეფე თეიმურაზი, შენი სამეფოს დარბევის შემდეგ.

მიღების პირველ [illegible] აუწყეს თავიანთი ჩამოსვლის მიზანი: ჩამოვედით იმისათვის, რომ თან წავიყვანოთ შენი შვილიშვილი, უფლისწული ნიკოლოზიო.

— მე გაგატანთ ჩემი ძის შვილსა, — სთქვა თეიმურაზმა, — მაგრამ მიათხოვებს კი მას ხელმწიფე თავის დას?

— ესოდენ დიდ საიდუმლო საქმეს, — უპასუხა ტოლოჩანოვმა, — თვინიერ ღრმთისა და ხელმწიფოსა ვერავინ გადასწყვეტს.

— არ გამომიგზავნის ხელმწიფე ჯარსა და ქონებას, რათა მტერთაგან გავსწმინდო ჩემი სახელმწიფო? უამისოდ აზრი არა აქვს გაგატანოთ შვილი ჩემი შვილისა, — სთქვა თეიმურაზმა.

— გაგვატანე შვილიშვილი, — არწმუნებდა თეიმურაზს ტოლოჩანოვი, — ხელმწიფე იმდენ ქონებას გამოგიგზავნის, რომ ვერ წარმოიდგენ. ლაშქრის კაცთა გამოგზავნა კი არასგზით არ შეიძლება; ამ მაღალ მთებს ისინი ვერ გადმოვლენ და ვერც საგზალს გადმოიტანენ. ქვეყანა შენი კი გავერანებულია და ჯარის გამოკვებას ვერ შესძლებს. გაგვატანე შვილიშვილი და შენ ნახავ, თუ რაოდენ მოწყალეა ხელმწიფე. გარდა ქონებისა, რასაც შენ იგი გიბოძებს, ხელმწიფე ბარათს გაუგზავნის შაჰს და სთხოვს დაგიბრუნოს სახელმწიფო. თუ შაჰი უარს იტყვის, ხელმწიფე გურგანის ზღვით გაგზავნის ლაშქარს შაჰის მოსაზღვრე ქალაქებში და უბრძანებს მას, დაარბიოს ათეცად მეტი ქალაქები, ვიდრე შაჰმა დაარბია საქართველოში. ოღონდ ნუ იტყვი უარს, გაგვატანე შვილიშვილი. ჩვენ ნაბრძანები გვაქვს მოგელაპარაკოთ არა მარტო იმის, არამედ ლუარსაბის შესახე-

ბაც, — კარგი იქნებოდა თუ დიდ ხელმწიფესთან ლუარსაბსაც გაგვატანდი.

თეიმურაზი წამოდგა.

— ლუარსაბს, — სთქვა მან აღელვებით, — მე ვერავის დავუთმობ. ერთად ერთი ის-ღა მრჩება. მის გარდა მე არავინ მყავს — სული ჩემი მოიხსენიოს.

— შეიძლება, — დააჩქარა მეფის დამშვიდება ტოლოჩანოვმა,—შენ თავათ მოისურვო მოსკოვს გამგზავრება, თუ გაგიჭირდა მტრისგან დარბეულ ქართულ მიწა-წყალზე ცხოვრება. ჩვენ ნაბრძანები გვაქვს მიგიღოთ შენც და შენი ხელქვეითნიც.

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია,—ცივად მიუგო თეიმურაზმა. ელჩები მივიდნენ თეიმურაზთან ხელზე სამთხვევად.

პირველი მიღება დამთავრდა, თეიმურაზმა ბრძანა გაეგზავნათ ელჩებისათვის სადილი თავის სუფრიდან.

*
* *

მეფე თეიმურაზი ხელმწიფე ალექსი მიხეილის-ძეს სწერდა[1]. „...მოვიდნენ შენი ელჩები: ელჩი ნიკიფორე ტოლოჩანოვი და დიაკი ალექსი, მომიტანეს ძღვნად ოთმხოცდაორი სიასამური მე და თვრამეტი სიასამური—ჩემს დიდებულებს. მივიღე ბრძანება შენი, რომ გამოგიგზავნო უფლისწული, ნეტარხსენებული შვილის ჩემის დავითის ვაჟი, ესე იგი შვილიშვილი ჩემი — ნიკოლოზი. უფლისწული ნიკოლოზი მე მინდოდა გამომეტანებია შენი ელჩის ნიკოფორესათვის, ვუთხარ მას მოეცადა კიდევ ერთი ზამთარი, ვიდრე გამოვგზავნიდი უფლისწულის დედას, და თავათ მეც ჩამოვიდოდი თერგს, რომ უფლისწული გადმომებარებია. სიასამურები, რომელნიც შენ, დღეგრძელო მეფევ, გამომიგზავნე, ჩვენ ქვეყანაში არ ეხმარება, მე ისინი გავგზავნე ბაღრეთს გასაყიდად, და ამიტომაც ვთხოვე შენს ელჩს — ერთი ზამთარი კიდევ მოეცადნა იმისათვის, რომ ერთად გამოვმგზავრებულიყავით აქედან თერგამდე. მე მას ვეფიცებოდი წმინდა ხატის წინაშე, რომ არას მხრით არ მოვატყუებდი, რომ მოეცადნა და ერთად წავსულიყავით. ის არ ერწმუნა ჩემს ფიცს და არ მიიღო სიტყვა ჩემი, მას არც ჩემი ელჩის წამოყვანა უნდოდა.

გიგზავნი ბერს (სახელი მისი თეოფანეა) სიგელით შენი დიდებულებისადმი, რათა მივიღო პასუხი შენი დიდებულებისა. თავათვე უცილობლად ჩამოვალ თერგს, თან წამოვიყვან უფლისწულს დედითურთ და შენ ჩაგაბარებ. ხოლო როცა მას ჩაგაბარებ, დაბალი თავისდაკვრით გთხოვ შენ, დიდო ხელმწიფე, შენის მოწყალებით, გამომიგზავნო ჯარი და ფული.

ხოლო ბერი, რომელსაც შენთან ამ წერილით ვაგზავნი, მალე დააბრუნე, რათა მან, რაც შეიძლება, ადრე ჩამომიტანოს შენი დიდებულების პასუხი“.

*
* *

ადრე გაზაფხულზე, როცა ის იყო, მთებში თოვლი გადნა და თერგისაკენ გზა გაიხსნა, თეიმურაზ მეფე შეუდგა მზადებას უფლისწულის ნიკოლოზისა და მისი დედის — დედოფალი ელენეს ჩრდილოეთში გასაგზავნად.

გულისტკივილით შორდებოდა თეიმურაზი ყრმა უფლისწულს, რომელსაც, ის იყო, ათი წელი შეუსრულდა. საქართველოსა და მამაპაპეული ტახტის გადარჩენისათვის თეიმურაზმა მიმოფანტა და დაკარგა მთელი თავისი ოჯახი. შაჰ-აბას პირველს მან ამანათად გაუგზავნა დედა თვისი — ქეთე-

[1] დედანი დაწერილია ბერძნულად.

ვანი და ორი ვაჟიშვილი — ალექსანდრე და ლეონი. შაჰს არ დაუყოვნებია და როგორც კი მიიღო ცნობა, ირანის ჯარის დამარცხების შესახებ 1620 წელს, მაშინვე დაასაჭურისა ორივე ვაჟი, ხოლო 1624 წელს, როცა ქართველებმა მარაბდის ველზე თოთხმეტი ათასი ყიზილბაში გასწყვიტეს, ამ ამბის მიღებისთანავე შაჰმა ბრძანა წამებით მოეკვდინებინათ დედოფალი ქეთევანი. ქეთევანს ებრძანა მიეღო მუსულმანობა, დედოფალმა უარი სთქვა, მაშინ იგი გააშიშვლეს და მარწუხებით ტანზე ხორცის გლეჯა დაუწყეს. ბოლოს, თავზე ჩამოაცვეს წითლად გავარვარებული ქვაბი. მისი დანახშირებული სხეულის ნაშთები — თავი და ხელის მტევნები ფრანცისკანელმა ბერებმა, რომლებიც ქეთევანის წამებას დაესწრნენ, თეიმურაზ მეფეს ჩამოუტანეს. თეიმურაზმა ნეშტი ოქროს ნაჭედს ყუთში მოათავსა და ალავერდის ტაძარში დაასვენა.

საქართველოს ეკლესიამ ქეთევანი წმინდანთა შორის ჩარიცხა.

თეიმურაზის ერთი ვაჟიშვილი, უფლისწული დავითი ბრძოლის დროს მტრებმა შეიპყრეს და წამებით მოკლეს.

ახლა თეიმურაზ მეფე შორდებოდა თავის ოჯახის ერთ-ერთს უკანასკნელ წევრს. მასთან რჩებოდა მხოლოდ უფროსი შვილიშვილი — ლუარსაბი.

მოსკოვში მოუთმენლად მიელოდნენ ქართველ უფლისწულს. მოსკოვის მეფის ბრწყინვალე ამალაში მას უნდა დაეჭირა მეფის მიმართ ყველაზე უახლოესი ადგილი. მანამდე მუდამ ხელმწიფესთან მყოფი ციმბირელი და ყასიმელი უფლისწულები ამიერიდან უკანა რიგში გადადიოდნენ.

თერგს, ასტრახანს, ყაზანს,—ყველგან დაიგზავნა განკარგულებანი ღირსეულად შეხვედროდენ ქართველ უფლისწულს. 1653 წლის ნოემბერში უფლისწულის ნიკოლოზის და დედამისის დედოფლის ელენეს შესახვედრად მოსკოვიდან ნიჟნი-ნოვგოროდში გაიგზავნენ სტოლნიკი თავადი ბიბეილ სემიონის-ძე პროზოროვსკი, აზნაური ათანასე ოსეფის-ძე პრონჩიშჩევი და დიაკი გლებ პატრაკეევი. თავად პროზოროვსკის ებრძანა ხელმწიფისაგან ყოფილიყო ქართველი უფლისწულის ეტლის მეჯაგრე, ათანასე პრონჩიშჩევს და დიაკ გლებ პატრაკეევს ყოფილიყვნენ პრისტავებად დედოფალსა და უფლისწულთან, ხოლო ივანე პრონჩიშჩევს ებრძანა მდგარიყო დედოფლისა და უფლისწულის ეტლის საატერფულთან, რათა თვალყური ედევნებიათ, რომ ეტლი ღრანტეებსა და ნარეალში არ გადაბრუნებულიყო.

27 დეკემბერს ბატონიშვილი დედითურთ მოსკოვს ჩავიდა. ტვერის ალაყაფთან ქართველი უფლისწულის ქარავანს შეეგებნენ თავადი ხილკოვი და დიაკი დოხტუროვი, ხოლო ქალაქში შესვლისას მათ დახვდა უამრავი ხალხი სტოლნიკების, სტრიაპჩების და მოსკოველი აზნაურების მეთაურობით.

1654 წლის პირველ იანვარს ქართველი ბატონიშვილი მიიღო მეფემ ალექსი მიხეილის-ძემ გრანოვიტაია პალატაში. რინდები (მეფის საჭურველ-მტვირთველნი,—ეს იყო საპატიო თანამდებობა, რომელსაც ჩვეულებრივ ასრულებდნენ დიდი გვარისშვილი ყმაწვილ-კაცები) თეთრ ტანსაცმელში იყვნენ ჩაცმულნი. ამჯერზე რინდებად — საჭურველ-მტვირთველებად დანიშნული იყვნენ თავადი ნიკიტა ოდოევსკის ვაჟები — თედორე და ალექსი და თავადი პროზოროვსკის შვილები — ივანე და პეტრე.

უფლისწულს სამგზის შეხვედრა მოუწყვეს. როცა ბატონიშვილის მარხილი პარმაღს მიადგა, მას და მის ამალას გამოეგებნენ თედორე თედორეს-ძე კურაკინი, თედორე ლევის-ძე პლეშჩეევი და დიაკი გრიგორი ოდინცევი.

ამათ პარმაღამდე მიაცილეს ბატონიშვილი, რომელსაც თავი ღირსეულად, მაგრამ უბრალოდ, ძალდაუტანებლად და თამამად ეჭირა. გრანოვიტაია პალატის პარმაღის კარებთან უფლისწულს შეეგებნენ ბოიარინი — თავადი გრიგორი სემიონის-ძე კურაკინი, სტოლნიკი — თავადი ანდრეი ივანეს-ძე ხილკოვი და ალექსანდრე დუროვი.

მესამე — ყველაზე დიდი შეხვედრა ბატონიშვილს მოუწყვეს იმავე პალატის კარებთან. ამ შეხვედრაში მონაწილეობდნენ მხოლოდ და მხოლოდ ბოიარები: თავადი ალექსი ნიკიტას-ძე ტრუბეცკოი, თავადი ივანე ვასილის-ძე ხილკოვი და საკრებულოს მდივანი სემიონ ზაბოროვსკი.

ქართველმა უფლისწულმა ფეხი შესდგა მოსკოვის დიდი ხელმწიფის ხორომებში. მანამდე არა ერთი და ორი ათეული ქართველი უფლისწული და მეფის ოჯახიშვილი ყოფილა ირანელი შაჰების ბრწყინვალე და დიდებულ სასახლეებში. იქ მათ ხვდებოდნენ არა ნაკლები, ხოლო ზოგჯერ ბევრად უფრო მეტი პატივისცემით. იქ მათ აჯილდოვებდნენ უმაღლესი წოდებით და სახელმწიფო თანამდებობებით. მაგრამ ყოველ ქართველს, შაჰის დარბაზებში ფეხშედგმულს, აწვა დიდი ტვირთი — ქრისტეს სარწმუნოება; მხოლოდ იმ ქართველს შეეძლო სრული მკერდით თავისუფლად სუნთქვა, ვინც უარყოფდა ქრისტეს. პირველ საზეიმო შეხვედრას იქ ხშირად თან სდევდნენ მძიმე ხუნდები, ბნელი საკანი, წამება, ჯალათის მახვილი.

უფლისწული ნიკოლოზი ჯერ კიდევ ძლიერ ყმაწვილი იყო, რომ მას ამის გაგება ჰქონოდა, შედარება მოეხდინა და საჭირო დასკვნები გამოეტანა. მან თავის ბავშვობა თითქმის სულ გზაზე გაატარა — მეფის ოჯახი სულ მუდამ მომთაბარეობდა — მტერს ეხიზნებოდა. როგორც ყოველი ქართველი უფლისწული, ნიკოლოზიც, უწინარეს ყოვლისა, იყო მხედარი და მეომარი. და ეს ყველაზე მეტად უფრო მოსწონდა ბატონიშვილს. მსუბუქი ნაბიჯით, გრაციოზულად მაღლა თავაწეული ბატონიშვილი შევიდა მეფის პალატების მძიმე თაღებს ქვეშ.

უფლისწულის მობრძანება დამხდურთ აუწყა ნიკიფორე სერგეის ძე სობაკინმა. ბატონიშვილს ნიკოლოზს (ის ჯერ ვერ შესჩვეოდა ამ სახელს,— საქართველოში მას ერეკლეს უწოდებდნენ) თან ახლდნენ — თავადი ივანე ანდრეის-ძე ხილკოვი, თავადი დიმიტრი პეტრეს-ძე ვოლინსკი, ათანასე ოსეფის-ძე პრონჩიშჩევი და დიაკები—გერასიმე დოხტუროვი და გლებ პატრაკეევი.

ხელმწიფემ გულმოწყალედ მიიღო უფლისწული და მიიპატიჟა ის საზეიმო სადილზე. სადილს დაესწრნენ სრულიად რუსეთის პატრიარქი ნიკონი, თავადები — ტრუბეცკოი, კურაგინი, ვოლკოვი, და ნიკოლოზის მთელი ამალა, უფლისწულის მამამძუძის ლაზარე დავითაშვილითურთ.

უფლისწულმა აქ თავი უკვე ვაჟკაცად იგრძნო. მამამძუძე ლაზარე დავითაშვილი, ალბათ, გააოცა კიდეც იმ ცვლილებამ, რაც მოხდა ერეკლეში, რომელიც უცბად ნიკოლოზ დავითისძედ იქცა. ქცევაში ის თავის პაპას თეიმურაზს ბაძავდა. ოდნავ თავდახრით დაეწაფა იგი ფიალას და შესვა ის დინჯად, აუჩქარებლად.

ეს და ხელმწიფესთან გამართული სხვა სადილები, რომლებზედაც მიწვეული იყო ბატონიშვილი, მიმდინარეობდნენ იშვიათ სადღესასწაულო ვითარებაში, დიდი ზარზეიმით, რთული სამეფისკარო ცერემონიალით და ეტიკეტით. ყველაფერი ცხადჰყოფდა, რომ უფლისწულის, თეიმურაზის შვილისშვილის, ივერიის ტახტის პირველ შესაძლებელი მემკვიდრის მოსკოვში ჩა-

სვლას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ. უფლისწული თითქმის ძალით იქნა გამოთხოვილი საქართველოდან, — პაპა თეიმურაზი მას ისტუმრებდა მოსკოვს, როგორც ამანათს, მოსკოვის ხელმწიფისადმი თავისი ერთგულების ნიშნად. მიუხედავად ამისა, უფლისწულს ხვდებოდნენ როგორც თანასწორ დიდმპყრობელ სტუმარს.

უფლისწულ ნიკოლოზ დავითის-ძის პატივსაცემად გამართულ პირველ საზეიმო სადილზე პატრიარქი ნიკონი ხელმწიფეს მარჯვენა მხარეს უჯდა, ხოლო უფლისწული — მარცხენა მხარეს.

ბოიარები, საკრებულოს მსახურნი და დიაკვნები, სუფრას უსხდნენ თეთრ თაფთიან ქურქებში და მაღალ ქუდებში მოკაზმულნი. ღვინის მიტანას და დასხმას მეფის სუფრაზე განაგებდა თავადი პეტრე ჩერკასკი, ხელმწიფის თასში ღვინოს ასხამდა სტოლნიკი ივანე კოლიჩევი, ხოლო უფლისწულს ემსახურებოდა სტოლნიკი ივანე პროზოროვსკი.

როცა სადილი დამთავრდა და სუფრაზე წამოიშალნენ, უფლისწულს მოუწყვეს გაცილება, რომელიც ისეთივე ზეიმური იყო, როგორც შეხვედრა. მიაცილებდნენ იგივე პირები, ვინც შეხვდნენ. ამჯერადაც მტკიცედ იცავდნენ სამეფისკარო ცერემონიალს. სტოლნიკებმა — თავადმა თედორე კურაკინმა და თავადმა თედორე პლეშჩეევმა ბატონიშვილი მიაცილეს მარხილამდე. ამის შემდგომ, ხელმწიფის ბრძანებით, თავადი ალექსი ნიკიტას-ძე ტრუბეცკოი უფლისწულს გაჰყვა შინ საშსახურის გასაწევად. ხოლო დედოფალ ელენე ლეონის-ასულთან ხელმწიფემ სადილობისას თავის სუფრიდან გაგზავნა სტოლნიკი ივანე პრონჩიშჩევი.

ექვს იანვარს, ნათლიღების დღეს, უფლისწულს კვლავ ჰქონდა სტუმრობა ხელმწიფესთან. როგორც პირველად, ახლაც მას მოუწყეს სუფრა. ეს შეხვედრა — მცირე, საშუალო [illegible] დი... მისი სტუმრად მოსვლა ახლაც დამხთურთ აუწყა ოკოლნიჩი ნიკიფორე სერგეის-ძე სობაკინმა. რინდებად—საჭურველმტვირთველებად იყვნენ დიდი გვარის ყმაწვილები. იგივე პრისტავები და დიაკვნები მიუჩინეს მას გამცილებლებად.

უფლისწულის მამამძუძე დარბაისელი ქართველი თავადი ლაზარე დავითაშვილი მოხიბლა თავისმა აღზრდილმა, ისე უბრალოდ, თავაზიანად და ამავე დროს ღირსეულად ეჭირა თავი ყრმა უფლისწულს. სამეფისკარო ცერემონიალის საიდუმლოებას იგი უმალ, თავისი აღმზრდელზე უფრო სწრაფად უღებდა ალღოს; კაცს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ რუსული სამეფისკარო წესრიგი უფლისწულისათვის კაი ხნის ცნობილი ამბავი იყო.

მეფე და კარის დიდებულნი კმაყოფილნი დარჩნენ, რაკი ნახეს, თუ რა მოყვანილი, ლამაზი, თავდაჭერილი და ამავე დროს რა ჭკვიანი და მოსაზრებული იყო იგი. მათ არ სჯეროდათ, რომ უფლისწული მხოლოდ თერთმეტი წლისა იყო. ეს მათ მიაჩნდათ თეიმურაზის გამონაგონად, იმ თეიმურაზისა, რომელსაც არ უნდოდა მოსკოვს გაესტუმრებინა ესოდენ ახალგაზრდა შვილიშვილი. მასპინძელთა აზრით, ნიკოლოზ ბატონიშვილის ხნოვანება თოთხმეტ-თუთხმეტ წლისაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

ნათლისღების დღეს სრულიად რუსეთის პატრიარქმა ნიკონმა ხელმწიფესთან ისადილა. ხელმწიფემ უბრძანა თავადს პეტრე ელმურზის-ძე ჩერკასკის ჰხლებოდა საქართველოს უფლისწულს და მიერთმია მისთვის „ხელმწიფისაგან ნაწყალობევი სუფრა საჭმელითა და სასმელით“.

ამ დავალებას განსაკუთრებული

მნიშვნელობა ჰქონდა მიცემული. ჩერკასკის გადაეცა ბრძანებულება საკრებულოს მდივნის — „დუმნი დიაკის“ ალმაზ ივანოვის ხელმოწერით. უფლისწულთან წარგზავნილებს ევალებოდათ „მორიდებით და სიფრთხილით“ ელაპარაკნათ, და ის, რის თქმასაც უფლისწული ნიკოლოზ დავითისძე ინებებდა, ყველაფერი ხელმწიფისათვის მოეხსენებიათ.

ჩერკასკის ყოველი მოქმედება და სიტყვა განრიგებული იყო ბრძანებულებით. ეს წინასწარ შედგენილი გეგმა გვაძლევს ჩვენ ცნობას, რომ თავადი პეტრე ჩერკასკი, მოვიდა თუ არა უფლისწულის სასახლისკართან, მარხილიდან ჩამოხტა და ხორომებში შევიდა; მას უკან გაჰყვნენ მხლებლები სუზანით, ჭურჭლებით, საჭმლითა და სასმლით.

როცა უფლისწულთან შევიდა, ჩერკასკიმ, თარჯიმანის პირით, ნიკოლოზ დავითის-ძეს ამ სიტყვით მიმართა:

— უფლისწულო ნიკოლოზ დავითისძევ! წყალობითა ღვთისათა, დიდმა ხელმწიფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის-ძემ, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელმა და მრავალ სახელმწიფოთა ხელმწიფემ, მოიღო წყალობა თქვენზე და თავისი სუფრიდან ეს საჭმელ-სასმელი მოგართვათ.

ამ სიტყვის წარმოთქმისთანავე ჩერკასკიმ მხლებლებს უბრძანა გაეშალათ სუზანი და დაელაგებიათ მასზე ჭურჭელი, ნუსხის მიხედვით, იმდენი „რამდენსაც სუფრა დაიტევდა“.

შემდეგ ჩერკასკიმ ხელში აიღო თასი სასმელით!

— ამ თასით დღეგრძელი და ჯანმრთელი იყოს დიდი ხელმწიფე და დიდი მთავარი ალექსი მიხეილის-ძე, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი, მრავალ სახელმწიფოთა ხელმწიფე.

უფლისწულმა მიიღო თასი. მან უმალ გაიგო, თუ რა ვითარებაში მოხვდა. გრძელკალთებიანი, მძიმე ტანსაცმელით მოსილნი, ახოვანი და ულვაშიანი, ამასთანავე ზორზოხი ადამიანები — (რომლებიც სრულიადაც არ ჰგვანდნენ პირგაპარსულ, ულვაშიან კახელებს) სულგანაბულნი, მოწიწებითა და ამასთან გამომცდელად უყურებდნენ მას: ელოდნენ, რას იტყვის ჭაბუკი უფლისწული, რომელსაც ჯერ მხოლოდ ღინღლი ამოსვლოდა საულვაშეზე, ყურადღებით შესცქეროდა ნიკოლოზს მისივე მამამძუძე — ლაზარე დავითაშვილი (ანუ კნიაზ დავიდოვი, როგორც მას ახლა უწოდებდნენ მოსკოვში).

დავითაშვილმა შეამჩნია, თუ როგორ შეეცვალა უფლისწულს სახის გამომეტყველება. წარბები მოეღუშა, ტუჩებთან ნაოჭი გაუჩნდა, ნაცრისფერი უდარდელი თვალები უცბად შეუვიწროვდა, მათ ტყვიის ცივი იერი გადაეკრათ. უფლისწული დაემგვანა თავის მამას — უფლისწულს დავითს (კაცს უფრო სასტიკს, ვიდრე თეიმურაზი იყო).

მას გაახსენდა ჯერ ქართლიდან, ხოლო შემდეგ კახეთიდან განდევნილი თავისი პაპა, რომელიც მხოლოდ რუსთა დახმარების მოლოდინით ცოცხლობდა, და უფლისწულმა სწორედ ამით დაიწყო. მან განაცხადა: „ჩამოველ აქ, დიდებულ ქალაქ მოსკოვში, რომ დავადასტურო ჩემი და ჩემი პაპის, ქართველი მეფის თეიმურაზის ერთგულება დიდი ხელმწიფისადმი — მეფისა და დიდი მთავრის — ალექსი მიხეილის-ძისადმი! იყოს იგი დღეგრძელი მრავალჟამიერ“.

მეფისწულმა დასცალა თასი და დაუბრუნა იგი პეტრე ჩერკასკის. ჩერკასკიმ თასი გადასცა თავად ივანე ანდრიას-ძეხილკოვს, მან — დიმიტრი ვოლინსკის (რომელიც, ამასწინათ, მეფის ბრძანებით, გალახულ იქნა ჯოხით ცუდი ყოფაქცევისათვის უფლისწულის პირველი დარბაზობის დროს), ვო-

ლინსკისაგან თასი მიიღო ათანასე პრონჩიშჩევმა, ამის შემდეგ თასი ჩამოირიგეს მამაძეძეს ლაზარემ, მეფე თეიმურაზის ელჩებმა. ბოლოს თასი გადაეცათ დიაკვნებს — გერასიმ დოხტუროვს და გლებ პატრიკეევს... ყველამ შესვა დიდი ხელმწიფის სადღეგრძელო და ერთი მეორის მიყოლებით წარმოსთქვეს:

— იყოს ჯანმრთელი მრავალჟამიერ ხელმწიფე, მეფე და დიდი მთავარი ალექსი მიხეილის-ძე, კეთილმორწმუნე დედოფლით — მარიამ ილიას ასულით და მეფის კეთილმორწმუნე ქალწულებითურთ.

ამის შემდეგ თავადმა პეტრე ჩერკასკიმ ისეთი სახე მიიღო, თითქოს წასვლას, აპირებსო, მაგრამ უფლის წულმა, რა თქმა უნდა, არ გაუშვა და დაბეჯითებით სთხოვა, რომ თავადს მასთან ერთად მიერთმია დიდი ხელმწიფის ნაწყალობევი.

თავადმა პეტრემ უარი ვერ ჰკადრა, მაგრამ არ გაკადნიერდა მასთან ერთ სუფრაზე დამჯდარიყო, თუმცა ბრავალჯერ სთხოვა თავადს უფლისწულმა (წინასწარი განრიგება სასტიკად უკრძალავდა მას ერთ სუფრაზე უფლისწულთან დაჯდომას). თავადი ჩერკასკი თავმდაბლად მოთავსდა ცალკე სუფრაზე და თავის მხლებლებს — პრისტავებს და დიაკვნებს უბრძანა მის პირდაპირ სკამებზე დამჯდარიყვნენ.

უფლისწული, როცა ყველანი დასხდნენ და ჭამას შეუდგნენ, ერთბაშად მიყუჩდა, დადუმდა და მთელი სადილის მანძილზე, საღამომდე, კრინტი არ დაუძრავს.

ქართველ ბატონიშვილზე და იმაზე, თუ რარიგ ლამაზი და მოხდენილი იყო იგი, მთელს მოსკოვში ლაპარაკობდნენ.

სამი დღის შემდეგ, 1654 წლის სამს იანვარს, მეფე ალექსი მიხეილის-ძის მეუღლემ დედოფალმა მარიამ, თუმცა იგი ფეხმძიმედ იყო და [illegible] თვეში იდგა, თავის [illegible] ბაზში მიიღო ქართველი დედოფალი ელენე ლეონის-ასული. ქართველ დედოფალს, იმისათვის, რომ იგი სასახლემდე მიეცილებინათ, შინ ეახლნენ თავადის ცოლნი ანისია ვასილის-ასული ხილკოვა და მარია კორნელის-ასული ვოლინსკაია, აგრეთვე ათანასე ოსეფის-ძე პრონჩიშჩევი.

დედოფალ ელენეს დარბაზობა და სადილი გაუმართეს ოქროს პალატაში. დარბაზობაც და სადილობაც დედოფალ ელენეს საპატივსაცემოდ მდიდრული და ზარზეიმური იყო, მას ისეთივე რთული სამეფისკარო ცერემონიალი სდევდა თან, როგორიც ელენე ლეონის-ასული ვაჟის-ნიკოლოზ დავითის-ძის დარბაზობას. დედაც და ვაჟიშვილიც მაშინვე იქნენ მიღებულნი მეფისკარის დიდებულთა წრეში, სადაც მათ უმაღლესი მეფური პატივით ეპყრობოდნენ.

როცა მარხილი, რომელშიაც დედოფალი ელენე იჯდა, პარმაღს მიადგა, დედოფალს შეეგებნენ თავადის ცოლები — ავდოტია ანდრიას-ასული კურაკინა და ანასტასია ივანეს-ასული რამოდანოვსკაია. ესენი წარუძღვნენ დედოფალს პარმაღისაკენ, სადაც სტუმარს უცდიდნენ თავადის ცოლები — მარია ბორისის—ასული — აგრეთვე კურაგინა, და ანისია ივანეს-ასული, აგრეთვე რომოდანოვსკაია.

აქ დარბაზობის შემდეგ იგივე თავადის ცოლნი ეახლნენ ქართველ დედოფალს მის სასახლეში, როგორც ეს იყო წესად მიღებული მაშინდელ უმაღლეს წრეებში.

დედოფალი ელენე ლეონის-ასული — ქალი უაღრესად ჭკვიანი და კეთილშობილი (ასეთად თვლიდნენ მას რუსებიც და უცხოელებიც), მის შვილზე — უფლისწულ ნიკოლოზზე ნაკლებ არ

მოსწონდათ მოსკოვში. დედოფალ ელენეს მეუღლის — ბატონიშვილ დავით თეიმურაზის-ძის მოწამებრივმა სიკვდილმა ულმობელ „ბუსურმანთა“ ხელისაგან, რუს ქალებზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველას ეცოდებოდა მამაცი დავითის ვაჟიშვილი. ახალგაზრდა უფლისწული და სასახლეში მას არასოდეს არ ივიწყებდნენ.

თორმეტ იანვარს, ხელმწიფის დის — ტატიანა მიხეილის-ასულის დაბადების დღეს, სწორედ იმ ტატიანასი, რომელიც თეიმურაზმა ალექსი მიხეილის-ძეს თავისი შვილიშვილის ნიკოლოზის საცოლედ სთხოვა, ხელმწიფეს საუბარი ჰქონდა ქართველ ბატონიშვილზე პატრიარქ ნიკონთან. ამ დღეს მეფემ კვლავ გაუგზავნა ქართველ ბატონიშვილს მოსაკითხი იმავე პეტრე ჩერკასკის ხელით. ჩვიდმეტ იანვარს მოხდა უფლისწულის პირველი გასვლა მოსკოვიდან, — იგი ეახლა ხელმწიფეს, რომელიც ზვენიგოროდს, საბა სასწაულმოქმედის მონასტერში გაემგზავრა. ქართველ ბატონიშვილს, როგორც მეფის დიდგვაროვან შთამომავალს, გამყოლად მიუჩინეს თავადი ანდრეი მიხეილის-ძე მეშჩერსკი. თვალყურის დევნება მარხილისათვის, რომ იგი ნარვალებსა და ღრანტეებში არ გადაბრუნებულიყო, დაევალა სტრიაპჩის აბრამ სვიაზიევს.

ასე ცხოვრობდა ბატონიშვილი მოსკოვში. რა თქმა უნდა, იგი არ ითვლებოდა ხელმწიფის დის — ტატიანა მიხეილის ასულის საქმროდ, რასაც ესოდენ მოწადინებული იყო მეფე თეიმურაზი, მაგრამ უფლისწული მაინც ახლო იდგა სამეფო კართან.

ოცდარვა იანვარს, აღების კვირაში, ხელმწიფე სადილად ეწვია მოსკოვის პატრიარქს ნიკონს, საუბარი ისევ ქართველ ბატონიშვილ ნიკოლოზზე ჩამოვარდა, და მეფემ კვლავ გაგზავნა ბატონიშვილთან მოსაკითხი თავად გალიცინის ხელით. ერთი თვის მანძილზე ეს მესამე წყალობა და ყურადღება იყო მონარქისა ქართველი უფლისწულისადმი აღმოჩენილი.

თორმეტ თებერვალს, მეფის ვაჟის ალექსი ალექსის-ძის შობის დღეს, და თექვსმეტ თებერვალს ახლადდაბადებული უფლისწულის მონათვლის დღეს ბატონიშვილი ნიკოლოზი პატრიარქ ნიკონთან ერთად მეფის სუფრაზე მიიწვიეს.

ამის შემდეგ ხელმწიფე ალექსი მიხეილის-ძეს ყველგან მუდამ თან ახლავს ახალგაზრდა ქართველი უფლისწული. რუსული სამეფისკარო ცერემონიალის და მეფური პატივის რთულ კოდექსში ქართველ ბატონიშვილს უკვე უჭირავს მეორე ადგილი ხელმწიფის შემდეგ. „მეფის კარეტას,—სწერს უცხოელი ავტორი,—შეუძლია მიჰყვეს მხოლოდ ქართველი ბატონიშვილის კარეტა, რადგან შეუფერებლად და უმართებულად ითვლება სხვებისთვის კარეტით მგზავრობა, და თანხლება მეფისა იმგვარად, როგორადაც თავად მეფე მოგზაურობს.

თხუთმეტ მარტს დევიჩი პოლეზე რეიტერთა და ჯარისკაცთა ვარჯიშობის დროს, რომელიც მეფემ გეტმან ბოგდან ხმელნიცკის ელჩების პატივსაცემად გამართა, ბატონიშვილი ნიკოლოზი იდგა ხელმწიფის გვერდით, როგორც მისი უახლოესი პირი.

პატრიარქი ნიკონი არა ერთხელ ჰპატიჟებს ხელმწიფესთან ერთად სადილზე ქართველ უფლისწულს. მეფის მეუღლის დედოფალ მარია ილიას-ასულის სახელობის დღეს, უფლისწული ნიკოლოზი პატრიარქ ნიკონთან ერთად გვერდში უზის ხელმწიფეს ოქროპალატაში, უფლისწულის მომსახურება დავალებული აქვს სტოლნიკებს — პეტრე შერემეტიევს და ივანე აკინფოვს.

ქართველი უფლისწული დიდ დღესასწაულებზე ხელმწიფესთან ერთად დაბრძანდება მონასტერში, ხვდება იქ სუფრაზე მოსკოვის უმაღლეს სამღვდელოებას და თანდათან ეუფლება რუსულ ენას. მოსკოვში მისი ოცი წლის ყოფნის განმავლობაში იგი ეჩვევა რუსულ ენას, როგორც მკვიდრი მოსკოველი, მაგრამ მწიგნობრობის, კულტურისა და განათლების ენად მისთვის მაინც ქართული დარჩა. უფლისწული სწერს და კითხულობს მხოლოდ ქართულად, ყველა მისი ბარათი ხელმწიფე ალექსი მიხეილის-ძისადმი დაწერილია ქართულ ენაზე. ერთს 2ათგანში ბატონიშვილი კიდეც სჩივის, რომ, ალბათ, თარჯიმანები სწორად არ თარგმნიან ჩემი წერილების აზრსო.

შინ, თავის სასახლეში, ბატონიშვილს ქართული გარემოცვა ჰყავს — მასთან არის ქართველი სამღვდელოება, კერძოთ, ქართველი ეპისკოპოსი ეპიფანე და ამალა ასი ქართველი თავადისა და აზნაურისაგან.

1654 წელს ალექსი მიხეილის-ძემ დაიწყო ლაშქრობა პოლონეთსა და ლიტვის მეფის — იან კაზიმირის წინააღმდეგ და თან წაიყვანა ქართველი უფლისწული. ლაშქრობა თვრამეტ მაისს დაიწყო. პირველი ბანაკი დაცემულ იქნა ვორობიოვის მთებზე და გაგრძელდა ცხრამეტიდან ოც მაისამდე. აქ ხელმწიფე ინახულა იმერეთის მეფის ელჩმა — თავადმა ქაიხოსრომ, რომელიც მოსკოვს უფლისწულ ნიკოლოზთან ერთად ჩავიდა და იმ თავითვე მის ამალაში იმყოფებოდა.

ლაშქრობიდან დაბრუნდნენ 1655 წელს ქართველი ბატონიშვილი იყო ვიაზმაში, სმოლენსკის ახლო მიდამოებში, ნახა რუს რეიტერთა და ჯარისკაცთა პოლკები საბრძოლო მოქმედებაში. იგი რამდენჯერმე იქნა მოწვეული ხელმწიფის კარავში გამართულ სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულზე, — პეტრეპავლობას, ღვთისმშობლის მიძინების დღეს, აგრეთვე ... ... აკურთხეს მეფის კარავის — ... დადგმული სახელდახელო კარვის ეკლესია.

ლაშქრობის დროს ნიკოლოზ დავითის-ძე ახლო გაეცნო ციმბირელ უფლისწულებს, რომლებიც მეფის ამალაში იმყოფებოდნენ. დებულებით ციმბირელი უფლისწულები ბევრად დაბლა იდგნენ ქართველ უფლისწულზე ხოლო იმ ყურადღების მიხედვით, რომელსაც მათდამი იჩენდნენ, ციმბირელი ბატონიშვილები არაფრით არ განირჩეოდნენ მეფისკარის ჩვეულებრივ წარჩინებულთაგან.

ქართველი უფლისწული კარგად მიხვდა, რომ ესოდენ განსაკუთრებული მდგომარეობა ხელმწიფის კარზე მან მოიპოვა არა მარტო იმის გამო, რომ იგი მეფის შთამომავალი იყო; მოსკოვში მის ზურგს უკან ხედავდნენ საქართველოს და არა მარტო საქართველოს: არსებითად ჯერ კიდევ უცნობი და იდუმალებით მოცული, ზღაპრული და საოცრად მდიდარი აღმოსავლეთი, მდებარეობდა საქართველოს სამეფოს საზღვრებს გადაღმა. გზა ამ აღმოსავლეთისაკენ ჩინებულად იცოდნენ ქართველმა მეფეებმა, რომელთა არაჩვეულებრივი სიმამაცე უკანასკნელად შესანიშნავად დაამტკიცა უფლისწული ნიკოლოზის პაპამ — თეიმურაზმა.

ლიახებზე ლაშქრობის დროს, რომელიც რუსული იარაღის წარმატებით დამთავრდა, ქართველი ბატონიშვილი ყველზე მეტად გააკვირვა იმ გარემოებამ, რომ არც მეფე და არც მისი მხლებელი დიდებულები ომში პირდაპირ მონაწილეობას არ ღებულობდნენ, უფლისწულ ნიკოლოზსაც აკრძალული ჰქონდა ომში მონაწილეობა: ეს მაშინ, როცა მამა-მისი — ბატონიშვილი დავითი და უშიშარი პაპა-მისი—უმამაცესი თეიმურაზი არასოდეს არ გაურბოდნენ

მტერთან პირისპირ შებმას. ისინი შესანიშნავი ცხენოსნები და მხედრები იყვნენ, უყვარდათ პირადად ჩეხვა მტრისა შურდულისებური შეჭრა ბრძოლის შუაგულში.

უფლისწული ნიკოლოზი უკმაყოფილო იყო ლაშქრობით და თავი უხერხულად იგრძნო, გაწითლდა კიდეც, როცა მოსკოვში დედა-მისმა დედოფალმა ელენემ ჰკითხა, რამდენი ლიახი დაჩეხე პაპა-შენისაგან ნაბოძები ხმლითაო.

მესამე ზამთარი უფლისწულმა მოსკოვში გაატარა. როგორც წინა წლების, ასე მესამე წლის ზამთარშიც იგი ესწრებოდა შეხვედრებს მეფის კარზე, მეცადინეობდა ქართველ ეპისკოპოს ეპიფანესთან (რომელიც ცხოვრობდა ნიკოლსკის ბერძნულ მონასტერში — კიტაი-გოროდში) ღვთისმეტყველებასა და ქართულ მწერლობაში, ესაუბრებოდა დედას, რომლის თვალებზე მას ხშირად შეუმჩნევია ცრემლი, როცა დედოფალი თოვლის ნამქერს, მოსკოვის დადაბლებულ ღრუბლიან ცას გაჰყურებდა, ან საქართველოზე ლაპარაკობდა. სამხედრო ხელოვნებაში ბატონიშვილს ავარჯიშებდა მამამძუძე ლაზარე დავითაშვილი.

გაზაფხულზე, მაისში ბატონიშვილი დაესწრო უცხოელი სტუმრების მიღებას, მიწვეულ იქნა სადილზე, რომელიც გაიმართა რომაელთა ელჩების — ანგარეტ დე ალეგრეტუსის და იოჰან დისტრიხ ვანიუნბარხის პატივსაცემად.

უცხოელები მოსკოვში პირველად ეცნობიან ქართველებს, ჩნდება ჩანაწერები ქართველებზე მათ მოხსენებებში.

„ჩვენ არა ერთხელ გვქონდა შემთხვევა, — სწერს ერთი მათგანი, რეიტენფელსი, უფლისწულ ნიკოლოზზე, — გვენახა იგი მოსკოვში, სადაც ის ცხოვრობდა როგორც კერძო პირი, დედითურთ, უგონიერესი და უკეთილშობილესი ქალით. მისი ლირსეული შვილი მეფური ახოვანებისა და სულგრძელობისა, რაც ოდნავ არ დაუკნინებია ძის სვეტიცხოველს. საზეიმო გამოსვლის დღეებში იგი თან ახლავს მეფეს მეორე ადგილზე“. მარტო თავის გარეგნობითაც ქართველები უცხოელებზე ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებენ. „ქართველებს, — სწერენ ისინი, — აქვთ კუპრივით შავი თმა, დიდი თვინიერი თვალები, არწივისებური ცხვირი, თოვლივით თეთრი კანი, საერთოდ ისინი ძალიან ლამაზნი არიან, მათი ქალები ბუნებით ფრიად მიმზიდველნი არიან, ამასთან ატარებენ სპარსულ ყაიდაზე მოკაზმულ მდიდრულ, საზეიმო ტანსაცმელს“.

როგორც კი მდინარეებზე ყინული ვალღვა, ვოლგით წამოსულმა ნავებმა მოიტანეს ამბავი საქართველოდან. კახეთი ყიზილბაშებს ეჭირათ, მართავდა იქ განჯელი ხანი სელიმი, თბილისში იჯდა გამუსულმანებული როსტომი, რომელიც ახერხებდა, რომ ეამებია შაჰისათვის და იმავე დროს ხალხიც არ შეეწუხებინა. როსტომის მეუღლე მარიამი ქრისტანობის ერთგული რჩებოდა და დიდ სახსარს ხარჯავდა ქრისტიანული მონასტრების აღსადგენად და შესამკობად. მისი შვილიც ქრისტიანი იყო. ხალხი თავისუფლად ლოცულობდა ეკლესიებში და ყველაფერში ქართული წეს-ადათების ერთგული რჩებოდა.

მეფე თეიმურაზი კვლავ განდევნილი იყო, იმერეთის ზეთებს შეხიზნებოდა. ამჯერად იგი მწვავედ განიცდიდა თავის განდევნას, მხოლოდ მოსკოვის დახმარებას შეეძლო მისი ხსნა.

თეიმურაზი ემზადებოდა მოსკოვს გასამგზავრებლად და მოსკოვის ხელმწიფეს სწერდა[1]:

---

[1] დედანი წერილისა დაწერილია ბერძნულ ენაზე.

„დიდ ხელმწიფესა და დიდ მთავარს ალექსი ბიხეილის-ძეს, დიდ და მცირე რუსეთის თვითმპყრობელს, ვლადიმირის, მოსკოვის, ნოვგოროდის, ყაზანის, აშტრახანის ხელმწიფეს, ციმბირის მეფეს, ფსკოვის ხელმწიფეს და ტვერის დიდ მთავარს, იუგრის, პერმის, ვიატის, ბულღარის, ნოვოგოროდსკის რიაზანის, როსტოვის, იაროსლავის ბელოზერსკის, უდერსკის და მრავალთა სხვათა მეფეთა ხელმწიფეს და ივერიის დიდ მბრძანებელს! მე — მორჩილი შენი ბსახური, ივერიის მეფე თეიმურაზი მრავალჯერ თაყვანსვცემ მეფისა შენის დიდებულების ტახტსა და მუხლს ვიდრეკ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს და დედისა მისის ყოვლადწმინდა ღთის შობლის წინაშე.

იყავნ მტერნი შენნი ფერხთა შენთა ქვეშე!

მე შევიტყე, დღეგრძელო და დიდო მეფეო, წასულხარ ლიახებზე სალაშქროდ და როცა ჩემამდე ხბამ მოაღწია — დღეგრძელი მეფე ალექსი მიხეილის-ძე მტერზე ლაშქრიდ მიდისო, მაშინ ჩვენცა გადავიხადეთ მღვდელმთავრებითა და მღვდლებით პარაკლისი, რათა ღმერთს მოენიჭებია გამარჯვება და ყოველ ჟამსა აბარცხებდე მტერთა შენთა. გარდა ამისა, თავს ვუკრავ მეფისა შენის დიდებულებას და თაყვანს ვცემ მეფისა შენის, დიდებულების ტახტსა—მოიღოთ მოწყალება, მომაშველოთ ჯარი, რათა დავეუფლო ქვეყანასა ჩემსა, რომელი იგი იყოს ხელქვეითი მეფის შენის დიდებულებისა. ნუ დაგვტოვებ აგარიანთა ხელში, ნუ მისცემ მტერსა ჩემსა დასარბევად და გასაძარცავად წბინდა ეკლესიათა და მონასტერთა.

გებრძანებია მეფესა შენსა დიდებულებასა: „თუ შენ, — მეფე თეიმურაზი, გამოგიგზავნი შვილიშვილსა, მაშინ მოგაშველებ ჯარსა რათა დაიუფლო ქვეყანა შენი, და იყო ხელქვეითი ჩემი და არა სხვათა“.

და მეც აღვასრულე მეფის შენის დიდებულების ბრძანება, — გამოგიგზავნე შვილიშვილი ჩემი და მეც ვარ ხელქვეითი მეფის შენის დიდებულებისა. და ვითარ მე აღვასრულე მეფის შენის დიდებულების ბრძანება, ეგრეცა შენ მოიღე წყალობა — გამომიგზავნე ჯარი, დეე იყოს ივერიის ქვეყანა შენს სახელმწიფოდ, ვითა სხვა სახელმწიფოებზედა ბრძანებლობ.

როცა შვილიშვილი ჩემი ნიკოლოზი — დავითის შვილი გამოგიგზავნე, განრისხდა შაჰი ჩემზედა უნდოდა შეეპყარი და წავეხდინე.

მოიღე ჩემზე წყალობა, დამეხმარე ქრისტეს გულისათვის.

ასე მითვლის ყაენი: „ან იყავი ჩემი ხელქვეითი, ანუ წადი, სადაც შვილიშვილი გაგზავნე, — მოსკოვის მეფესთან — და იყავი მისი ხელქვეითი“.

აგერ უკვე რვა წელიწადია რაც ჩემი სახელმწიფოდან განდევნილი ჩავვარდნილვარ დიდ უბედურობასა და შევიწროებაში. ამჟამად ვიმყოფები იმერეთში — სიძის ჩემის ალექსანდრეს სამფლობელოში. მაგრამ აქაცა — სიძის ჩემის საფლობელოში შაჰი არ მაყენებს. თუ შენი დიდებულება ინებებს ჯარის გამოგზავნას ამ ქვეყნების დასაუფლებლად, კარგი იქნება, თუ არა, — მაშინ გამომიგზავნე თერგს ბოიარინი ჯარით, რათა ჯარი ბალყარში მოვიდეს, მეც ჩემის დიდებულებით, დედოფლით და შვილიშვილი ლუარსაბითურთ მოვალ თერგს და ვიქნები მეფის შენის დიდებულების მპყრობელობის ქვეშე.

ეგრემც ღმერთმან ინებოს, შეგეწიო — მიბოძო ჯარი ქვეყნისა ჩემის დასაუფლებლად!

გიგზავნი წერილსა ამას ელჩის ჩემის დიმიტრი იეზიკილოვიჩის ტორებნინის ხელით, მასთან არის თარჯიმანი ივანე

გრიგოლიშვილი. და გიგზავნი წმინდა ნაწილს — ფეხის დიდ თითსა დედიჩემისას, რომელიცა აწამა შაჰ აბასმან სექტემბერსა ცამეტს. ორმოცი წელიწადია, რაც მან იგი აწამა. უწოდებდნენ მას ეკატერინეს.

იყოს წყალობა მეფის შენის დიდებულებისა რათა მოვიდეს ჯარი ბალყარში თერგს ჩემს წასაყვანად, რათა არ წავხდე აგარიანთაგან, არ იქნას ცოდვა ღმრთისა და შერცხვენა კაცთა წინაშე".

მეფე თეიმურაზი.
1656 წელი 24 აპრილი.

ბრძანება მეფე თეიმურაზის შესახებ ჯარის თერგს გაგზავნის შესახებ გაცემულ იქნა დაუყოვნებლივ.

1648 წლიდან თეიმურაზი განდევნილ იყო თავის საბეფოდან, მაგრამ მიუხედავად მოსკოვის მიწვევისა, ერთხელაც არ ისურვა მოსკოვს წასვლა. დევნილებაში მყოფი იგი არ სწყვეტდა საქართველოს განსათავისუფლებლად მიმართულს ბოლვაწეობას. იგი ისწრაფდა გაეერთიანებია საქართველო, შეერიგებია სამეგრელოს მთავარი იმერეთის მეფესთან, შეეკრიბა ქართველთა მთელი ძალები და მიემართა ისინი საერთო მტრის წინააღმდეგ. ახლა თეიმურაზის იმედი საკუთარი ძალებით საქართველოს განთავისუფლებისა დაიმსხვრა. მხოლოდ მოსკოვს, მხოლოდ რუს ერს, თუ კი მოინდომებს, შეუძლია იხსნას საქართველო „უნდა გავხდეთ რუსი ხელმწიფის ხელქვეითი" — თეიმურაზისაგან გადასროლილს ამ აზრს ხელი ჩასჭიდა მრავალმა ქართველმა.

1658 წელს, როცა თეიმურაზმა მოსკოვს წასვლა გადასწყვიტა, რათა „აგარიანთა ხელიდან არ წამხდარიყო", შაჰის მიერ კახეთის მმართველად დაყენებულმა სელიმ-ხანმა კახეთში მომთაბარე თურქი ტომების ჩასახლება დაიწყო. ბახტრიონი, ალავერდი, ალვანი და კახეთის ბევრი სხვა ადგილი მუსულმანთა ხელში აღმოჩნდა.

მთიელმა ქართველებმა ფშავებმა, ხევსურებმა, თუშებმა, რომელნიც არ სწყვეტდნენ კავშირს ნიკოლოზ ბატონიშვილსა და დედა ბისსთან—დედოფალ ელენესთან. ჯერ კიდევ-როცა მოსკოვს მიმავალი თეიმურაზი გზაზე იყო, მეფე ალექსი მიხეილის-ძეს ასეთი წერილი გაუგზავნეს:

„ყოვლისა მპყრობელო! შენის ბრძანებითა ჩვენს დედოფალსა და ბატონიშვილსა კაცი ებოძა, და ჩვენი ქვეყნის კაცი დაებარებინა, რომე ჩვენც ამ დიდის ხელმწიფის ხელთა ვართო, და თქვენც ამისი ყმანი შეიქენითო და თქვენც ამას დაუკარით თავიო... ჩვენც თუშეთისა და ხევსურეთის და ფშავის ქვეყანათა, სამთავ ქრისტიანთ ქვეყანასა პირობა გვიქნია და ზურგი მოგვიბამს ერთმანეთისათვინ და ელჩები გამოგვიგზავნია, ხევისბერი სოზამე მაქსიმიჩ, და გრიგოლ სიდორიჩ, და პავლე ივანიჩ, და შენი ყმანი შევქნილვართ და თავი დაგვიკრავს, როგორც თქვენი ბრძანება იქნება ჩვენ იმისი მქმნელნი ვართ. ჩვენა ერთი ღმერთი ვიცით და მეორე ხელმწიფე თეიმურაზ. ჩვენ მაგარს ალაგს ვართ და არას კაცს შევეპოვებით. ამდენი ხანი არის საქართველოს ყაენი ებრძვის და ჩვენც არც შემოგვიშვია ყაენის კაცი, და სადაც მოგვიხელებია, მოგვიკლავს და მისი სარდალი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგვიწყვეტია. აწე, დიდო ხელმწიფევ, ჩვენი ხელმწიფე ყაენმა წაახდინა, და ზურგი აღარ სადით გვქონდა, და მღვთისაგან ველოდებოდით, რომე ერთი შენი ბრძანება და კაცი მოგვსვლიყო: აწე მოგვივიდა შენი ბრძანებაცა და ჩვენის დედოფლის კაცისა, და თქვენი ბრძანება გაგვითავებია და შენ შეგვიბოდიშენივართ და შენთვის თავი დაგვიკრავს. გვიმსახურე და გვალაშქრე, ამ დღეშით შენი ყმანი შევქმნილვართ".

როცა თეიმურაზ მეფე, თერგზე ზარზეიმით მიღებული, ზღვით ასტრახანს მიდიოდა და იქ ჩასული ელოდა სამოგზაურო საშუალებას მოსკოვს გასამგზავრებლად, ამ დროს კახეთში აჯანყება ეზადებოდა. არხოტსა, შატილსა, ბარისახოსა, ჭონთიოსა და მატურხევში იკრიბებოდნენ ქართველნი და ამუშავებდნენ თავდასხმის გეგმას ყიზილბაშთა ლაშქარზე და იმ მომთაბარე თურქ ტომებზე, რომელთაც კახეთის ნაყოფიერი მიდამოები დაეპყრათ და ახლა უკვე თვალი ეჭირათ კავკასიონის მთების მდიდარ საძოვრებზე.

თეიმურაზი ნელა მიიწევდა ზევით მდინარე ვოლგაზე აყოლებით მრავალრიცხოვანი თავისი ამალით, რომელიც დიდგვაროვანი დიდებულებისა და მაღალი წოდების სამღვდელოებისაგან შესდგებოდა... ასტრახანიდან სარატოვამდე იგი ხმელი გზით მიდიოდა. ვოევოდები ასტრახანისა და სარატოვისა არ ჩქარობდნენ, აყოვნებდნენ ქართველ სტუმრების გაგზავნას. ასტრახანს თეიმურაზი მივიდა ოქტომბრის დამდეგამდე, ხოლო სარატოვს მიაღწია შემდეგი წლის 7 მაისს. სარატოვიდან ის სწერს ბარათს ხელმწიფეს და ატყობინებს მას, რომ ყუბანელები და დაღესტნელებიც მდაბლად თავს გიკრავენ ხელმწიფესო და მე თეიმურაზიც მზად ვარ, მეფეო, შენი სამსახურისათვისო.

— „გთხოვ, — სწერდა ბარათის დასასრულს თეიმურაზი, — წამოვიდეს შვილიშვილი ჩემი ნიკოლოზი, დავითის შვილი, ჩემს შესახვედრად, რადგან უკვე ექვსი წელიწადია იგი არ შინახავს.

მე დიდი საქმე მაქვს მეფის შენის დიდებულებასთან და თუ ღმერთმანინება და მეფის შენის დიდებულების ხილვა მაღირსა, მაშინ საკუთარი ჩემი ლექსით გიამბობ, თუ რა ხიფათი გარდამხდა ზღვაზე და ჩერქეზთა ქვეყანაში ჩემთა მტერთაგან, რადგან ჯარმა, რაიც შენი წყალობით ჩემთვის გამოგეგზავნა, არ დამიცადა, და მე მარტო მოველი ჩემის დიდებულებით.

1658 წლის 21 მაისს თეიმურაზის შესაგებებლად ვლადიმირს გაიგზავნენ სტოლნიკი თავადი ვასილი ხილკოვი და დიაკი ივანე ფომინი. ისინი უნდა გამოჰყოლოდნენ თეიმურაზს ვიდრე მოსკოვამდე.

20 ივნისს თეიმურაზი მოსკოვს ჩავიდა.

თეიმურაზი იყო პირველი ქართველი მეფე, რომელიც მოსკოვს ესტუმრა. ის მოსისხლე დაუძინებელი მტერი იყო ირანელი შაჰებისა და მუსულმანური კულტურისა, რომელსაც საქართველოში ნერგავდნენ და ავრცელებდნენ ქრისტიანული კულტურის საწინააღმდეგოდ. ამიტომ საკვირველი არ არის, თუ მეფე ალექსი მიხეილის-ძის ბრძანებულებაში ამ გარემოების გამოსაჩენად და თეიმურაზის გმირული ბრძოლისადმი თანაგრძობის გამოსახატავად ნათქვამი იყო: „მეფე თეიმურაზს, დავითის შვილს მოუწყეთ შეხვედრა ყიზილბაშთა ელჩებზე უკეთესი, წინანდელ ადგილზე, უსტრეტენსკის ალაყაფის კარებამდე, ზემლიანოი გოროდს იქით იაროსლავის გზაზე“.

გაიცა ბრძანება მოეწესრიგებიათ ყველა ქუჩა, რომელზედაც მეფე თეიმურაზს უნდა გაევლო.

„კიტაიზე, ბელი გოროდში, ზემლიანოი-ვალზე, ქუჩებზე, სადაც ქართველთა მეფემ უნდა გაიაროს, პოჟარზედაც — სადუქნე კარვები, ყაფაზები, მერხები, ხეფენილის ძველი ძელები სუფთად მილაგ-ზოლაგდეს; სავაჭროები, რომელნიც არ იკეტებიან, დაიგავოს, რომ ყველგან სიფაქიზე იყოს“.

თეიმურაზი შუატანის მხრებგანიერი, წელვიწრო პირხმელი კაცი იყო; ოდნავ ნაყვავილევ მის თეთრ სახეს მოკლედ შეკრეჭილი შეღებილი წვერი ამშვენებდა. თვალები ნაცრისფერი და ოდ-

ნავ შეწითლებული ჰქონდა. ცოცხალი და მოყვანილი თეიმურაზი ყოველ-მხრივ მშვენიერი ვაჟკაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა მოსკოველებზე, თუმცა მაშინ უკვე სამოცდაათი წლის ასაკს იყო მიღწეული.

მოსკოვის ქუჩებზე ქართველი მეფის გასასვლელ მთელს გზაზე ჩამწკრივებული იყვნენ მეფის შესაგებებლად გამოგზავნილნი სტოლნიკები, სტრიაპჩები, აზნაურები ქალაქების — ტულის, კოლომნის, რიაზანის და სხვადასხვა მსახური ხალხის წარმომადგენელნი, დიაკები, მეკარენი, მეჯინიბენი, მონასტრების და ბოიარების მსახურნი.

დაწესებულებათა უფროსთ შესახვედრად მისულთ, მეთაურობდა რეიტერის პოლკოვნიკი სტოლნიკი ბენედიქტე ანდრიას-ძე ზმეევი, ხოლო — სტრიაპჩებს — თავადი ივანე რეპნინი.

ამ დღეს ერთადერთი სალაპარაკო მოსკოვში ქართველი მეფის ჩამოსვლის ამბავი იყო. ქუჩებზე გამოფენილი მკვიდრნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ვინ არის ეს ქართველი მეფე, ან თავათ ეს საქართველო რა ქვეყანაა, რა რჯულის და სარწმუნოების ხალხია ქართველები, — ბუსურმანები არიან, თუ მართლმადიდებელი ქრისტიანენი? და დიდ მოსკოვში მოინახა არა ერთი და ორი, კაცი, რომელთაც ყველაფერი ეს დაწვრილებით იცოდნენ. მოსკოვში, მეფე თეიმურაზის ჩასვლის დღეს, გამოჩნდა ყოფილი თერგელი მოისარი ვასკა ყასიმოვი. იგი საქართველოში ყოფილა ნამყოფი 1643 წელს — მოსკოვის ელჩს, თავად ეფიმ მიშეცკის ჰხლებია და შეხვედრია კახეთში მეფე თეიმურაზს და შვილს იმისას — უფლისწულს დავითს. უნახავს ვასკა ყასიმოვს ქართული ტაძრები — წმინდა გიორგის ალავერდის დიდი მონასტერი — ისეთი, როგორიც ჩვენი „უსპენსკის სობოროაო". ვასკა ყასიმოვმა ისიც დაადასტურა, რომ ქართველები ნამდვილად მართლმადიდებლები არიან ბერძნულ რჯულს და სარწმუნოებას ერთგულად მისდევენ, [illegible] — იცავენ, რისთვისაც ყიზილბაშები [illegible] აწუხებენ ქართველ ხალხს და მეფესაო; თუმცა არც ყიზილბაშებს ადგიათ კარგი დღე ქართველთაგან, — ურიცხვი ყიზილბაში ეთხოვება სიცოცხლეს ქართველთა მიწაზე და საგონებელში ჩავარდნილმა ურჯულო სპარსელებმა არ იციან, სად და როგორ დააღწიონ თავი ქართველთა რისხვასო. მოხდება ხოლმე, ყიზილბაშები ისე აჭერენ ფეხს ხალხს, რომ გარეშე კაცი ვერ უძლებს ხალხის საცოდაობასო. როცა თავად მიშეცკის ვახლდი საქართველოში,— ჰყვებოდა ვასკა ყასიმოვი, — მოვიდა იქ სპარსეთის შაჰის ელჩი — ბაირამ ბეკი, — თავათ მე ვნახე, როგორ გაემგზავრნენ ალავერდს თეიმურაზ მეფე, ვაჟი მისი დავით უფლისწული, აზნაურები, თეიმურაზ მეფის ახლობელი ადამიანები ყიზილბაშურად გამოწყობილნი, — ჩალმებსა, დოლბანდებსა, აზიამებში.

თავადმა ეფიმე მიშეცკიმ დამავალა ფარულად გავყოლოდი მეფე თეიმურაზს, რათა გამეგო, — რა საჩუქარი მოუტანა შაჰისაგან თეიმურაზს ბაირამ ბეკმა. მართლაც, კვალდაკვალ გავყევი მეფე თეიმურაზს და ვნახე, როგორ მივიდა მეფე ტაძართან, შაჰის ელჩი კი ამ დროს ფანჩატურს ქვეშ ჩრდილოში იჯდა; თეიმურაზ მეფე, უფლისწული დავითი და თეიმურაზის ყველა ახლობელნი მიუახლოვდნენ შაჰის მოციქულს ბაირამ ბეკს,—იმან კიდევ პატივი არ სცა მეფეს, ოდნავ წამოდგა მხოლოდ. მაშინვე ბრძანა ბაირამ ბეკმა თეიმურაზ მეფისა და დავით ბატონიშვილისათვის დოლბანდები და აზიამები მოეხადათ და მათ ნაცვლად შაჰისაგან ნაწყალობევი ჩალმები დაეხურათ და ხალათები ჩაეცვათ. სამი დღის შემდეგ თეიმურაზმა შაჰის ელჩს ბაირამ ბეკს საჩუქრები მისცა და შაჰთან გააბრუნა. იმავე

დღეს თავადმა მიშეცკიმ გამოჰკითხა ეფე თეიმურაზს და სახელდებულ მიტროპოლიტს ნიკიფორეს, რა მოსაკითხით და რა საქმის თაობაზე იყო მოგზავნილი შაჰისაგან შაჰის ელჩიო? მიტროპოლიტმა ნიკიფორემ თავად მიშეცკის უთხრა: მოვიდა თეიმურაზ მეფესთან და დავით უფლისწულთან ელჩი ახალი შაჰის აბას მეორისაგან და მოართვა მეფეს შაჰის ნაბოძები ხალათები, თან შაჰს მოეწერა: თეიმურაზ მეფეს, არ მჯერა შენი და ამიტომ გამომიგზავნე ამანათად შვილიშვილი შენი ნიკოლოზი, უფლისწულის შვილიო. თეიმურაზმა არ ინება გაეგზავნა შვილიშვილი, იმიტომ, რომ იგი ჩვილი იყო ახლახან დაბადებული. ელჩმა თავადმა მიშეცკიმ ჰკითხა თეიმურაზ მეფის ბოიარინს-რევაზბეის, — რისთვის შეეგებნენ თეიმურაზ მეფე, უფლისწული დავითი და მეფის ყველა ახლობელნი შაჰის ელჩს ყიზილბაშურად ჩაცმულნი—დოლბანდებსა და აზიამებშიო? ხოლო ბოიარინმა რევაზ ბეიმ თავად მიშეცკის მიუგო: „თქვენ თავათ ხედავთ, რომ ყიზილბაშებს ჩვენ ტყვეებად ვყავართ, თუ ასე არ მოვიქეცით, ისინი ერთ დღესაც არ გვაცოცხლებენო“.

და მოედო მთელს მოსკოვს ამბები მართლმადიდებელი ქართველი ხალხისა, თუ რა რიგად ჩაგრავენ მას ყიზილბაშნი ქრისტეს სარწმუნოებისათვის, რა დიდებული ტაძრებია იქ; რომ იმ საქართველოში, ივერთა ქვეყანაში სხეთად (მცხეთად) წოდებულ ეკლესიაში ინახება კვართი უფლისა, იქაა ლურსმები, რომლებითაც ქრისტე ჯვარზე იქნა გაკრული, იქვეა წმინდა ნაწილები მრავალწამებულის ეკატერინესი, უფლისწული ნიკოლოზის დიდ-დედისა, რომელიც წამებით მოაკვდინა სპარსთა ქვეყანაში შაჰ აბას პირველმა იმიტომ, რომ იგი თავის სარწმუნოებას არ განუდგა. ხოლო თავად ქართველები ყველანი ვაჟკაცები, ჩინებული მეომრები არიან, და თუ მათ ცოტა შეწევნა ექნებოთ, ყველა ურჯულოს მოსპობენ და ქართლადიდებელ ქრისტეს ტაძრებს ურწმუნოთაგან იხსნიანო.

გამოჩნდა კიდევ სამი დედაკაცი, კაცმა არ იცის, ქვრივნი, თუ ქმართაგან დატოვებული,—პირველი ორი ხატმწერელ ოსტატების სემიონ სავინისა და ივანე დენისოვის ცოლნი, ხოლო მესამე სარკმლის ხელოსნის მიკიფორე გრიგორიევის ცოლი. სამივენი ატირებულნი მივიდნენ საელჩო პრიკაზში, ითხოვეს, შეგვიშვით მეფე თეიმურაზის სანახავადო. ის, რაც მათ დამართვნიათ, ჯერ კიდევ მეფე მიხეილ თედორეს-ძის დროს მომხდარა. მეფის ბრძანებით და თეიმურაზ მეფის თხოვნით ელჩ თედორე ვოლკონსკისთან და დიაკ არტემ ხატოვთან ერთად საქართველოში მეფე თეიმურაზისათვის გაუგზავნიათ ხატების ორი მწერელი ოსტატი სემიონ სავინი და ივანე დენისოვი და ერთიც-სარკმლის ხელოსანი მიკიფორკა გრიგორიევი. სამივენი საქართველოში დაუტოვებიათ და იქა ცხოვრობენ უკვე ოცი წელიწადია. უქმროდ ოჯახი დაგვექცაო,—ჩიოდნენ დიდკაცები.

საელჩო პრიკაზში ქალებს აუხსნეს—თქვენი კაცები მართლაც საქართველოში ყოფილან კახეთის სამეფოში მეფე თეიმურაზთან, უხატავთ და შეუკეთებიათ ხატები ყიზილბაშების მიერ დანგრეულ ეკლესიებში, ხოლო, როცა როსტომ ხანს თეიმურაზ მეფე განუდევნია, ის ხატის ოსტატები და სარკმლის ხელოსანი როსტომხანს დაუტყვევებია. როსტომ ხანის ცოლი მართლმადიდებელი ქრისტიანი ყოფილა. თბილისში ცხოვრობს თურმე. როსტომს რუსი ოსტატები თბილისში ცოლისთვის მიუგვრია, ახლაც ისინი ტაძრებში ხატებსა ხატავენ, და როსტომის ცოლი არსად მათ არ უშვებსო. ამჟამად ამ საქმეს არაფერი ეშველება,

იმიტომ, რომ ხელმწიფეს მეფე ალექსი მიხეილის-ძეს შაჰ-აბასთან მეგობრობა აქვსო.

ასე იმედგაცრუებული დაბრუნდნენ ქალები შინ. მეფე თეიმურაზთან დედაკაცები არ შეუშვეს. მათ ნახეს მხოლოდ, როგორ წაბრძანდა ხელმწიფის, ალექსი მიხეილის-ძის კარეტით მეფე თეიმურაზი. მასთან კარეტაში იჯდა პრისტავი ბოიარინი თავადი ივანე ანდრიას-ძე ხილკოვი. კარეტას წინ მიუძღოდა ცხენზე მჯდარი მოისართა უფროსი პოლკოვნიკი არტემ მატვეევი. კარეტის ორსავ მხარეზე ქვეითად მიაბიჯებდნენ საჯინიბოს მსახურნი წითელი და ლილისფერი ატლასის ქიფთანებში, პროტოზანებით ხელში. ბოიარინ ხილკოვის ამხანაგები — ანდრია ვენიამინოვი, ანდრიანე ანისიმოვი და დიაკები პავლე და ათანასე პაშალინოვები, ცხენებზე მჯდარნი, უკან მიჰყვებოდნენ კარეტას.

6 ივლისს მეფე ალექსი მიხეილის-ძემ მიიღო თეიმურაზ მეფე წახნაგებიან პალატაში. მიღებას ესწრებოდნენ მერხებზე ჩამომსხდარნი ერთი ყასიმელი და ორი ციმბირელი უფლისწული, აგრეთვე ბოიარები, ოკოლნიჩები, სტოლნიკები, სტრიაპჩები, საკრებულოს მსახურნი, აზნაურები, ყველანი მოოქრომკედებულ ტანსაცმელში გამოწყობილნი, ძვირფას ბეწვიანი ქუდებით თავზე.

წახნაგოვანი პალატის წითელ პარმაღთან საგუშაგოზე იდგა მოსკოველი მკვიდრი აზნაური ალებარდებით და პროტოზანებით ხელში, ზოგიერთებს მუქმოწითალო ხავერდის სამოსელი ეცვა, ხოლო სხვებს მოყვითალო, მწვანე, ლილისფერი აბრეშუმის ტანსაცმელი. ისინი გამოვიდნენ ხაზინის სასახლის შენობიდან წითელ პარმაღზე, წყვილწყვილად ჩამწკრივებულნი, დიაკ დავით დერიაბინის წინამძღოლობით.

თეიმურაზ მეფეს სამგზის შეხვედრა მოუწყეს,—ჯერ შეეგებნენ კარეტასთან, მერე პარმაღთან, ბოლოს პალატის შესასვლელ კარებთან.

ქართველი მეფის მობრძანებასთან აცხადა ოკოლნიჩიმ ვასილ სემიონის-ძე ვოლინსკიმ.

შევიდა თუ არა პალატაში, თეიმურაზ მეფე შესდგა ხელმწიფის ალექსი მიხეილის-ძის წინ.

საკრებულოს მდივანმა დიაკმა ლარიონ ლოპუხინმა სიტყვა წარმოსთქვა, მერე ხელმწიფის ბრძანებულებით ვასილი პეტრეს-ძე შერემეტიევმა ქართველი მეფე მაგიდასთან მიიპატიჟა.

თეიმურაზი დასვეს ხელმწიფის მარცხენა მხარეზე, ხარებიდან პირველ სარკმელში. თეიმურაზს წინ დაუდგეს მარმარილოს მაგიდა.

პალატა საზეიმოდ იყო მორთული. გამოფენილი იყო ყველაფერი, რასაც კი შეეძლო ადამიანის გაოცება ან სიმდიდრით, ან ოსტატური ნაკეთობით, ან თვით ნახელოვნების არაჩვეულებრივობით.

თეიმურაზის უკან სარკმელზე იდგა— ხაზინის სალაროდან და პალატის სახელოსნოებიდან საგანგებოდ ამ დღისათვის მოტანილი ვერცხლის ოთხი საათი.

სარკმელთან იდგა აგრეთვე კედლის ვერცხლის შანდალი; მეორე მხარეზე, ივანე დიდიდან პირველ სარკმელში,—მოზრდილი „სერებრიანნიკი“ ლაგანით, ხოლო იმის მარცხნით და მარჯვნით მაღალი „რასსოლნიკები“, აგრეთვე ამ შემთხვევისათვის ხაზინის სალაროდან მოტანილი.

ივანე დიდიდან მეორე სარკმელში ოქროსფერ ხავერდზე იდგა ვერცხლის დიდი „რასსოლნიკი“ და მოოქროვილი ვერცხლის კასრი. აქვე, სარკმელთანვე იდგა ვერცხლის დიდი შანდალი.

დიდი საკრებულო ტაძრიდან პირველ სარკმელს ამკობდა საკმაოდ მოზრდილი „სერებრიანნიკი“ ლაგანით.

ყველაფერი ეს ცხადჰყოფდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდოდათ ქართველი მეფე გაეოცებინათ მეფის პალატების არაჩვეულებრივი სიმდიდრით და მოკაზმულობით. მაგრამ თეიმურაზის ყურადღებას არ იქცევდა ეს მძიმე წონის ვერცხლის ნახელავნი. და ეს არა იმიტომ, რომ თეიმურაზს ნახული ჰქონდა სტამბოლის სასახლის არაჩვეულებრივი ბრწყინვალება. საჩვენებლად აქ გამოფენილ ძვირფას ნივთების უნახავადაც თეიმურაზმა კარგად იცოდა რუსი მეფის უთვალავი სიმდიდრე.

ხელმწიფის მარჯვენა მხარეზე, სარკმელებს შუა, საბოიარინო მაგიდის წინ საგანგებო მაგიდასთან ისხდნენ უფლისწულნი—ყასიმელი თავადი ვასილი არასლანის-ძე და ციმბირელი თავადები პეტრე ალექსის-ძე და ალექსი ალექსის-ძე. ქართველი უფლისწული ავადმყოფობის გამო მიღებას არ დასწრებია.

ალბათ არც უნდოდა თეიმურაზს და სამწუხაროც იქნებოდა მისთვის ენახა თავის შვილიშვილი ამ ყოფილ უფლისწულთა შორის, რომელთაც არ ეწერათ ამიერიდან მამა-პაპის ტახტზე ჯდომა, არც მათ და არც მათ შვილთ. თეიმურაზს ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ ბრძოლით დაიბრუნებდა თავის სამეფოს და საქართველოს სახელმწიფო ტახტზე კვლავ დასვამდა ერთერთს თავის შვილიშვილს — ნიკოლოზს ან ლუარსაბს.

თეიმურაზმა თვალი მოავლო შეკრებილთ.

ბოიარები, ოკოლნიჩები, საკრებულოს დიაკები ისხდნენ კამლოტის თურქულ ხივთანებში, აზნაურები გაინერ, გრძელკალთებიან სახელოებგაჭრილ და ოთხკუთხსაკინძიან „ოხაბნიებში“, ხოლო მოსკოველნი მოისარნი — გრძელსახელოებიან უსაკინძო გრძელ ფერეზებში. საელჩოს მსახურთა წინ იჯდა ხუთი ქართველი არქიმადრიტი და იღუმენი. საელჩო მაგიდას უსხდნენ ბოიარები და ქართველი მეფის დიდებულნი.

საგანგებო მაგიდასთან შემოსხდომოდნენ თანამდებობის მეფისა და ბოიართა საოჯახო ეკლესიის მღვდლები. პატრიარქი ნიკონი და მოსკოვის სამღვდელოება არა თუ მაგიდასთან, დარბაზშიაც არ სჩანდნენ. თეიმურაზმა უკვე იცოდა, რომ ხელმწიფე წაჩხუბებული იყო პატრიარქ ნიკონთან, უფრო მეტი: თეიმურაზმა იცოდა, რომ პატრიარქისაგან მოგზავნილი ბოიარინი ხელმწიფემ ჯოხის ცემით გააძევებინა მეფის პალატებიდან.

ხელმწიფე ალექსი მეიხელის-ძის ორსავე მხარეზე, როცა მას საჭმელი მოართვეს, შუბებით ხელში დადგნენ მარჯვნით—თავადი მიხაილო პროზოროვსკი, მარცხნით—თავადი პეტრე პროზოროვსკი.

სვეტის ახლოს ბუჯერზე ჩამწკრივებული იყო ოქროს, ვერცხლის, სარდიონისა და ბროლის ჭურჭელი საგანგებოდ შერჩეული.

ყველგან და ყველაფერი სიუხვით იყო მორთულ მოკაზმული, კარგა ხანი იყო მეფის დარბაზები ასე არ ყოფილან გაბრწყინებულნი და აელვარებულნი ოქრო-ვერცხლით და პატიოსანი ქვებით. მეთასენი, სტოლნიკები, სტრიაპჩები, ყველანი ოქროში იყვნენ ჩამსხდარნი; ბევრს ოქროს ჯაჭვი ამშვენებდა. შეიძლებოდა გვეფიქრნა, რომ ხელმწიფე ღებულობდა და მასპინძლობას უწევდა დედამიწაზე უძლიერეს თვითმპყრობელს და არა მეფეს, რომელსაც სამფლობელო წართმეული ჰქონდა და აგერ ცხრა წელიწადი იყო, რაც უნაყოფოდ დაეძებდა დახმარებას.

მაგრამ მოსკოვში კარგად იცნობდნენ თეიმურაზს. მისი სახით პატივს სცემდნენ არა უძლიერესს თვითმპყრობელს, არამედ ქედუხრელ მეომარს და დაუცხრომელ მებრძოლს. ხელისუფლების სათავეში იდგა იმერეთის მეფე

ალექსანდრე, ძალა-უფლება ხელთ ეპყრა სამეგრელოს მფლობელ მთავარს ლევან დადიანს, ქართლში მეფობდა როსტომი, მაგრამ არა ამათ, არამედ ივერთა ქვეყნის მეფედ მოსკოვში სთვლიდნენ თეიმურაზს, კაცს, რომელიც უკვე ორმოცდაათი წელიწადის მანძილზე ეომებოდა სპარსეთის შაჰს და რომელსაც არა ერთხელ დაუმარცხებია შაჰის ლაშქარი, რომელმა საქვეყნოდ გამოაცხადა რუსეთის მეფე ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანეთა მფარველად.

არ შეიძლებოდა თეიმურაზს პატივისცემით არ მოპყრობოდნენ. თავის ცხოვრების უმძიმეს წუთებში ამ კაცს თავი არ დაუხრია, არაოდეს არ უცდია პირფერობით ანუ მზაკვრობით მოეპოვებინა გამარჯვებულის წყალობა, ან როგორმე მისგან თავი დაეძვრინა, მხოლოდ და მხოლოდ თავის პირადი სიამოვნებისათვის ეცხოვრა და ეხელმწიფა.

ალექსი მიხეილის-ძესა და თეიმურაზთან ბუჯერს უკან იჯდა ოკოლნიჩი მესაჭურვე ხელმწიფის ნათესავი—ბოგდან მათეს-ძე ხიტროვო.

ქართველ მეფეს ემსახურებოდა სტოლნიკი თავადი თედორე კურაკინი.

მიღების საზეიმო ხასიათს ყველაფრისათვის კვალი დაემჩნია; ზეიმობის, სიუხვის, სიმდიდრის იერს ატარებდა ყოველივე. ხელმწიფის ბუჯერთან მდგარი მეკუჭნავენი მოოქრომკედებულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. მათ გვერდით იდგნენ ასევე მდიდრულად მოკაზმულნი მეთასენი, ხოლო ექვსს სტრაპჩის ხელში ეჭირა წითელსა და ყვითელ მერდინზე დალაგებული იაშის და ბროლის ჭურჭელი.

სადილის დამთავრებისას ალექსი მიხეილის-ძემ თეიმურაზს უბოძა საჩუქრად—თასები, ხავერდის, ოქროატლასის, ქამხას ქსოვილნი და სიასამურები.

საჩუქარს აცხადებდა ხაზინადარი ბოგდან მინას-ძე დუბროვსკი.

დასაჩუქრების შემდეგ—თეიმურაზი ზეიმით მიაცილეს კარეტამდე.

ხელმწიფემ ბრძანა, თეიმურაზისათვის მომსახურება გაეწიათ ბოიარებს—თავადს ალექსის ნიკიტას-ძეს ტრუბეცკოის, ვასილი პეტრეს-ძე შერემეტიევს და თავადს ივანე ანდრიას-ძე ხილკოვს.

8 ივლისს სუფრა გამართა ქართველმა მეფემ. ხელმწიფემ გასცა განკარგულება თეიმურაზს მიღებაზე სწვეოდნენ შემგებებელნი, ბოიარები და სტოლნიკები, აგრეთვე პრისტავები და ის სტოლნიკი, რომელიც ხელმწიფეს ემსახურებოდა.

სულ სამ თვეს დაჰყო თეიმურაზმა მოსკოვში.

ოდესღაც თითო-თითო წლით რჩებოდნენ აქ მისი ელჩები: 1624 წელს აქ იყვნენ არქიეპისკოპოსი თეოდოსი და ხუცესი კირილე, 1625 და 1640 წლებში—მიტროპოლიტი ნიკიფორე, ბოლოს 1649 წელს თავადი ივანე გრიგოლიშვილი და არქიმანდრიტი პახომი.

ორმოცი წელი გავიდა იმ დღიდან, რაც თეიმურაზ მეფემ თავისი პირველი ელჩი მოსკოვს გაგზავნა. მაშინ მოსკოვის ტახტზე იჯდა ალექსი მიხეილის-ძის მამა—მეფე მიხეილ თედორეს-ძე, პირველი რომანოვი.

რამდენი რამ გარდახდა მას მერმე საქართველოს? რად იქცა თეიმურაზის სამფლობელო საქართველოს უმდიდრესი მხარე—კახეთი? მუსულმანი მეფე როსტომ-ხანი მოექცა საქართველოს სათავეში. განა წარმოიდგენდნენ ამას ბაგრატიონნი, ღვთისმოსავნი და უქრისტიანესი მონარქები? ან როგორ შეურიგდა ისეთი დიადი და დიდებული ქვეყანა, როგორც არის მოსკოვის სახელმწიფო, იმას, რომ მოძმე და ერთმორწმუნე საქართველო მის თვალწინ ფეხით გასთელეს ყიზილბაშებმა? მეორე რომის, ბიზანტიის დაცემის შემ-

დეგ მესამე რომად, უძლიერეს მართლ-მადიდებელ სახელმწიფოდ დარჩა მხოლოდ მოსკოვი. მან არა თუ არ დაიხია და ქედი არ მოიხარა ურჯულოთა წინაშე, პირუკუ, თავათ დაიპყრო და დაიმორჩილა მუსულმანური ქვეყნები — კასიმოვი, ყაზანი, აშტრახანი და თავის საზღვრებით მიებჯინა საქართველოს. ქართველმა მეფეებმა მაშინვე დაამყარეს მოსკოვთან ურთიერთობა, აგერ უკვე ერთი საუკუნეა ქართველი მეფეები მოლაპარაკებას აწარმოებენ მოსკოვის მეფეებთან. მათ სცნეს მოსკოვის მეთაურობა საქართველოზე, თავის და შთამომავლობის სახელით ერთგულების ფიცი დასდეს რუსი ხელმწიფის ტახტის წინაშე, ემთხვივნენ წმინდა ჯვარს, იმათ იმედი ჰქონდათ, რომ ამით იხსნიდნენ თავიანთ ქვეყანას, და რა გამოვიდა? საქართველო მიწაზე გართხმული, ნანგრევებადაა ქცეული, ტაძარნი მისნი წაბილწულნი არიან, მისი ქრისტიანი მეფენი, იდევნებიან და მათ ნაცვლად ტახტზე სხედან მეფე-მუსულმანები. ნუ თუ ახლაც მეფე ალექსი მიხეილის-ძე არ უბოძებს თეიმურაზის ჯარს და ხაზინას, რათა მან, მეფე თეიმურაზმა, აამხედროს მთელი საქართველო და სამუდამოდ გააძევოს იქიდან ყიზილბაშები?

რა საჭიროა მთელი ეს პატივისცემის ცერემონიები. რისთვის ჰყავს აქ, რუსი ხელმწიფის კარზე თავისი შვილიშვილი? მოსკოვს საქართველოსათვის არ სცალია. ის უფრო მათთვის ახლობელი და გადაუდებელი საქმეებით,—უკრაინის, ყირიმის, პოლონეთის, ლატვიის საქმეებით არის გართული, მას აგრეთვე მოსაწესრიგებელი აქვს უაღრესად რთული საშინაო ამბები ფინანსიური მეურნეობისა, სასულიერო და საერო ხელისუფლების ურთიერთობის საკითხები და აგრეთვე ჩასახშობი აქვს აქა-იქ დაწყებული სახალხო მღელვარება.

მაგრამ საქართველო ბევრს რაღაც ითხოვდა! ბოლოს და ბოლოს ჰქონდა თუ არა თეიმურაზს უფლება, რომ მოსკოვის ხელმწიფის ხელქვეითს, მოეთხოვნა დაპირებული დახმარება? ნუ თუ მოსკოვის მეფე თეიმურაზს იმედებს გაუცრუებს? არა, თეიმურაზს სჯერა, სწამს კიდევ მოსკოვის ხელმწიფისა. იგი ცდილობს ეს რწმენა ჩაგონოს თავის თავს და მასთან და უფლისწულ ნიკოლოზთან მყოფ ყველა მოსკოველ ქართველებს.

21 სექტემბერს თეიმურაზ მეფე გამოემგზავრა მოსკოვიდან. სამშობლოში ის ბრუნდებოდა გულგატეხილი, ბრუნდებოდა ისე, რომ დაკარგული ჰქონდა საქართველოს ხსნის ყოველგვარი იმედი. ისტორიამ არ შემოგვინახა მისი უკანასკნელი საუბარი უფლისწულ ნიკოლოზთან, მაგრამ, თავისთავად ცხადია, ეს საუბარი თავისი შინაარსით იყო ფრიად მნიშვნელოვანი და მან, შესაძლოა, განსაზღვრა ერეკლე-ნიკოლოზის შემდგომი ყოფაქცევის ხასიათი. პაპის გამგზავრების შემდგომ ნიკოლოზი დავაუკაცდა, და მის გონებას საქართველოს ტახტზე ფიქრი არ მოშორებია.

ყაზანში თეიმურაზი შეხვდა ყაზანის მიტროპოლიტს ლავრენტის, რომელსაც გაუზიარა მთელი თავის გულისტკივილი. მიტროპოლიტმა დაამშვიდა და ანუგეშა თეიმურაზი. „ჩვენ-ცოდვილნი,—სწერდა თეიმურაზი მეფე ალექსი მიხეილის-ძეს ყაზანიდან,—ვევედრებით წმინდანებს თქვენი დიდებულებისათვის, რათა უფალმა ღმერთმან გყოს. დღეგრძელი, რათა მტერნი შენი განირთხონ შენს ფეხრთ ქვეშე“.

ლავრენტიმ თეიმურაზს იმედი გაუღვიძა და თეიმურაზიც სწერდა ხელმწიფეს:[1]

„მე—ივერიის ქვეყნის მეფე,—შენი

[1] დედანი დაწერილია ბერძნულ ენაზე.

მსახური, მოვედი უმაღლესი ტახტისა შენის წინაშე და გთხოვე მცირეოდენი დამხმარე ჯარი, რომ მომეპოვებია ჩემი სამეფო, რადგან მოგვეცა შემთხვევა და არ ყოფილა სხვა უკეთესი დრო დახმარებისათვის. ამიტომ ვთხოვ მეფეს შენსს დიდებულებას და მდაბლად თავს გიკრავს, მოიღო მოწყალება, და თუმცა, როგორც შემთხვევა იყო, ვერ მიბოძე ჯარით დახმარება, ახლა გთხოვ სიტყვით შეგვეწეო: გაგზავნე კარგი მოციქული სპარსთან, ესე იგი შაჰთან, და დააბარე შენს ელჩს ასეთი სიტყვა: „მოვიდა ჩემთან ქრისტიანე მეფე და მთხოვა, რომ ის აღარ შეაწუხო“. უბრძანოს კიდევ შენმა უდიდებულესობამ ელჩს, რომ მან მოახსენოს შაჰს: უკეთუ, შაჰო, შენ გინდა ჩემი სიყვარული გექნეს, ნუღა გექნება ომი თეიმურაზთან, უბოძე მას მისი სახელმწიფო და ნუღა შეაწუხებ; ის მოვიდა ჩემთან ჩემი სიყვარულისათვის და არა იმისათვის, რომ შენთან ომი უნდოდა“. იყოს მეფის შენის დიდებულების წყალობა,—მოვიდეს ჩემთან ამ ზაფხულს შენი ელჩი. იქნება ყოვლად მოწყალე ღმერთმან ქნას, რომ შაჰმა შეისმინოს მეფის შენის დიდებულების სიტყვა და მე აღარ შეეაწუხოს, შესაძლოა, ღმერთმან ინებოს და დამკვიდრდნენ წმინდა ეკლესიანი... ეს არის ჩემი სათხოვარი... მექნეს შენი წყალობა მე,—მეფე თეიმურაზს“.

*
* *

1659 წელს ქართველნი მთებიდან ალაზნის ველზე დაეშვნენ. მათი მოძრაობა ჰგავდა მოვარდნილ ნიაღვარს, რომელსაც უეცრად მაგარი ჯებირი გაუგლეჯია. ყველა ხეობიდან, ყოველ გზასა და ყოველ ბილიკზე ცხენებს მოაგელვებდნენ ხმალამოწვდილნი ხევსურები ფშავები, თუშები, კახელები. მომთაბარე ქოჩმა თურქებმა რომელთაც კახეთის ბაღ-ვენახები პირველ-ყოფილ საბალახო საძოვარ ადგილებათ გადაექციათ, ველარ გაუძლეს ქართველთა ნიაღვრისებურად მოვარდნას და უმალვე გაიქცნენ. კახეთის მმართველმა—ჯანჯის ხანმა სელიმმა ძლივს უშველა თავს,—ისიც მსწრაფლ გაიქცა.

კახელებმა კვლავ შესთავაზეს ტახტი თეიმურაზს. ამ დროს იგი უკვე 70 წლისა იყო. მისი უფროსი შვილიშვილი ლუარსაბი გარდაცვლილიყო.

კახელებმა გაიხსენეს ერეკლე—ნიკოლოზი, დავითის შვილი, კახეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე, რომელიც მოსკოვში მეფე ალექსი მიხეილის-ძესთან იყო და დაიწყეს მისი ხმობა საქართველოს ტახტზე ასაყვანად.

ალექსი მიხეილის-ძემ ნიკოლოზს დავითის შვილს, საზეიმო გაცილება მოუწყო.

მას როგორც საქართველოს მომავალ მეფეს, ისეთივე მეფური პატივი სცეს, როგორიც პაპა-მისს თეიმურაზს, როცა იგი—თეიმურაზი—მოსკოვში იყო. მოსკოვი ამით ქართველ უფლისწულს თითქოს საქართველოს სამეფო გვირგვინს ადგამდა. ეს იყო ნიკოლოზ დავითის-ძის სამეფო უფლებათა ოფიციალური აღიარება.

1660 წლის 8 მაისს უფლისწულს შინ ეახლნენ თავადი ანდრია ხილკოვი და პრისტავი დიმიტრი ვოლინსკი. უფლისწული სასახლიდან გავიდა სახელმწიფო კარეტით. ხილკოვი და ვოლინსკი ცხენებით უკან მიჰყვებოდნენ, მოოქრომკედებულ ტანსაცმელში. კარეტას ცხენით წინ უძღოდა აგრეთვე ოქროსფრად მბზინავ ტანსაცმელში გამოწყობილი დიაკი არტემ კოზლოვი. კარეტის ორსავ მხარეზე ქვეითად მიაბიჯებდნენ საჯინიბოს მსახურნი და სტოლნიკები მუქმოწითალო და ლი-

ლისფერ ატლასის ხიფთანებში, ხელში პროტოზანებით.

მოსკოვი ისევ ალაპარაკდა საქართველოს შესახებ.

უფლისწულის სასახლიდან ვიდრე წითელ პარმაღამდე გასავლელი გზის ორსავე მხარეზე ჩამწკრივებული იდგნენ მოისარნი თოფებით.

ხარების ტაძრიდან წითელი პარმაღის გასწვრივ ოქროს პალატის გასასვლელ წინკარამდე ორსავე მხარეზე იდგნენ პრიკაზებიდან გამოწვეულნი პოდიაჩები ფერად ტანსაცმელში.

გასასვლელი წინაკარიდან გრანოვიტი პალატის წინაკარამდე იდგნენ მოისარნი ხავერდის და აბრეშუმის ტერლიკებში, თავზე ოქროსფერი ქუდებით ხელში ალებარდებით და პროტოზანებით. მოისართაგან ოც კაცს ემოსა მუქ-წითელი ხავერდის და ცისფერი, ყვითელი, მწვანე და ლილისფერი აბრეშუმის ტერლიკები.

უფლისწულს სამგზის შეხვედრა მოუწყეს.

სამსავე შეხვედრაში მონაწილეობდნენ თავადები, სტოლნიკები, საკრებულოს მდივნები—დიაკები.

წინა კარებში მდგარ დიაკებს და სტუმრებს ემოსათ მოოქრომკედებული ტანსაცმელი და ძვირფასი ბეწვის ქუდები ეხურათ.

შეხვედრისას დიაკები მისალმების სიტყვებს ამბობდნენ.

უფლისწული ისმენდა მისალმებას და მდაბლად თავს უკრავდა ხელმწიფური წყალობისათვის.

როცა უფლისწულმა გრანოვიტი პალატაში ფეხი შესდგა, ალექსი მიხეილის-ძე უკვე თავის სამეფო ადგილზე იყო. მასთან იმყოფებოდნენ ბოიარები და ოკოლნიჩები, საკრებულოს მსახურნი, სტოლნიკები, სტრიაპჩები, აზნაურები, ოქროსფერ ტანსაცმლით მოსილნი, ძვირფას ქუდებში. ბევრს ამკობდა ოქროს ჯაჭვი.

მომავალი ქართველი მეფის უფლისწულ ნიკოლოზ დავითის-ძის [illegible]ნება გამოაცხადა თავადმა [illegible] ნეს-ძე ლაბანოვ-როსტოვსკიმ.

ხელმწიფის მარჯვენა მხარეზე ამ დროს იდგა თურქულ მოოქრომკერდებულ ხიფთანში სტოლნიკი ნიკიტა ივანეს-ძე შერემეტიევი, ხოლო მარცხენა მხარეზე — მოყვითალო ხავერდის ფერეზისში სტოლნიკი თავადი გრიგორი თედორეს-ძე შჩერბატინი.

ოფიციალური მიღების შემდგომ ალექსი მიხეილის-ძემ ქართველი უფლისწული და მასთან ერთად სტოლნიკები — თავადი ანდრეი ხილკოვი და დიმიტრი ვოლინსკი ოქროს პალატაში სუფრაზე მიიპატიჟა.

როცა გრანოვიტის პალატაში სუფრა გაშალეს, ქართველ უფლისწულს სუფრაზე მიუხმეს თედორე თედორეს-ძემ კურაკინმა და საკრებულოს მდივანმა — დიაკმა სემიონ აზბოროვსკიმ.

ხელმწიფემ მოისვა უფლისწული თავის სახელმწიფო ადგილის მარჯვენა მხარეზე. წინ დაუდგეს ნიჟარის მაგიდა, ხოლო უკან სარკმელზე დადგეს საათები,—ორი ვერცხლისა, მესამე—იაგუნდისა, ისევე, როგორც თეიმურაზის შეხვედრის დროს, პალატა მორთულ-მოკაზმული იყო ვერცხლის ჭურჭლეულობით, ვერცხლის დიდი სასანთლეებით, ხოლო ბუჯერზე ბრწყინავდნენ ვერცხლის, სარდიონის, იაგუნდის და ბროლის დოსტაქნები და კათხები.

სადილს ესწრებოდნენ მეფისკარის და საელჩოების ყველა დიდებულნი. იყვნენ აგრეთვე ზაპოროჟიეს მოციქულნიც, რომლებიც იმჟამად მოსკოვში იმყოფებოდნენ.

ბოიარები, ოკოლნიჩები, საკრებულოს მსახურნი და სტოლნიკები სუფრას უსხდნენ საპარადო ბოიარულ

ტანსაცმელში—„ოხაბნიებში“ გამოწ-ყობილნი.

საგანგებო სუფრას უსხდნენ ქართველი არქიმანდრიტები და იღუმენები, ხოლო საელჩო სუფრას—ქართლ-კახეთის და იმერეთის საძეფოების ელჩები და უფლისწული ნიკოლოზისა მსახურნი.

სუფრის შემდგომ ალექსი მიხეილის-ძემ საკუთარ სამეფოში მამა-პაპურ ტახტზე ასასვლელად მიმავალი ქართველი უფლისწული დაასაჩუქრა თასებით, ატლას-ხავერდის ქსოვილებით და სიასამურებით.

ხელმწიფის ბოძებულ საჩუქრებს აცხადებდა საკრებულოს მდივანი—დიაკი ლარიონ ლაპუხინი.

ქართველი უფლისწული ღებულობდა საჩუქარს და მიწამდე თავის დაბლა დახრით თაყვანს სცემდა მოსკოვის მეფეს წყალობისათვის. ალექსი მიხეილის-ძემ ინება უფლისწული ხელზეც მთხვეოდა. ერთი მხრით ეს იყო უმაღლესი წყალობის გამოაშკარავება, ხოლო მეორე მხრით რუსი ხელმწიფისაგან ქართველი უფლისწულის დამოკიდებული მდგომარეობის ხაზგასმა.

კარეტამდე უფლისწული მიაცილეს ბოიარინებმა თავადმა ალექსი ნიკიტას-ძე ტრუბეცკოიმ, ოკოლნიჩებმა ვასილი სემიონის-ძე ვოლინსკიმ და საკრებულოს მდივანმა სემიონ ზაბოროვსკიმ.

ქართველი უფლისწული შინ წავიდა ალექსი მიხეილის-ძის სახელმწიფო კარეტით.

კარეტას ისეთივე ზარ-ზეიმით მიაცილებდნენ, როგორადაც მეფის სასახლემდე მოაცილეს.

ნიკოლოზ დავითის-ძის სამომსახურად მის სასახლეში გაგზავნილ იქნენ თავადები ა. ნ. ტრუბეცკოი და თედორე თედორეს-ძე კურაკინი.

ქართული სუფრული სიმღერები არ შეწყვეტილა იმ ღამეს გათენებამდე. მაგრამ უფლისწული არ იყო მხიარულ გუნებაზე. მასა და მის დედას ფეოდოფალ ელენესაც კარგად ესმოდათ, თუ რა მძიმე ტვირთის ზიდვა მოუხდებოდათ მათ ამიერიდან.

საქართველო,—ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა (როგორც ამბობდნენ მაშინ ქართველები)—მძიმე დროს განიცდიდა. ქართლის ტახტზე ავიდა მეორე მუსულმანი ქართველი მეფე—შაჰ-ნავაზი, რომელსაც, რა თქმა უნდა, საქართველოში ასე როდი უწოდებდნენ რადგან მუსულმანი იყო იგი მხოლოდ სპარსთათვის, ხოლო შინ — საქართველოში მას ეძახდნენ ვახტანგს. იგი არ კრძალავდა ეშენებიათ ტაძრები და ქრისტიანული წესით ენათლათ ბავშვები. რიგით იგი მეხუთე ვახტანგი იყო და მას მთელი გულისყური იქეთკენ ჰქონდა მიმართული, რომ როგორმე ჭკუით მოეტყუებია საძულველი ყიზილბაშები, რომელთა წინაშე იძულებული იყო მუდამ ერთგულება ეფიცნა.

შაჰ-ნავაზმა ფარული მოლაპარაკება დაიწყო თურქებთან და მოსჭრა საკუთარი ფული.

1660 წლის 3 ივნისს უფლისწული და დედა მისი — დედოფალი ელენე აღმოსავლეთ საქართველოს და იმერეთის ელჩების თანხლებით გამოემგზავრნენ მოსკოვიდან.

მაშინვე ნიჟნი-ნოვგოროდს ოკოლნიჩ ვოევოდას სემიონ არტემის-ძე იზმაილოვს გაეგზავნა ქაღალდი იმის თაობაზე, რომ დიდი ხელმწიფის ბრძანებულებით მოსკოვიდან გამოშვებულნი არიან უფლისწული ნიკოლოზ დავითის-ძე დედით—ელენე ლეონის ასულითურთ, მათთან არიან მსახურნი და ჯალაბნი, ოთხმოცდათორმეტი კაცი დედრობითი და მამრობითი სქესისა, ქართველი ელჩები — მიტროპოლიტი გრიგოლი ოთხი სასულიერო პირით და სამი საელჩო კაცით, იმერეთის ელჩი მარკო ტომაევი სამი ამხანაგით, მეფის

და საელჩოს კაცები, თექვსმეტი ადამიანი. „პრისტავად—იუწყებოდა ბრძანებულება,—გამოგზავნილია დიმიტრი ვოლინსკი; თარჯიმანად—საელჩო პრიკაზის თარჯიმანი—ოსეფ პუშკანოვი, ჩამწერად პოდიაჩი ანდრეი საზინოვი და გამცილებლად კიდევ მოისარნი, ოცი კაცი“.

— „ხოლო იმ დროს, როცა ნიჟნის ახლო უფლისწული გამოივლის, ნაპირზე ხალხმრავლობა და წესრიგი იყოს!“

უფლისწულის და დედა-მისის უხიფათო მშვიდობიანი მგზავრობის უზრუნველსაყოფად მოსკოვი ასტრახანს ატყობინებდა:

„ჩვენი დიდი ხელმწიფის ბრძანებულებით აწ საქართველოში გაშვებულნი არიან ქართველი უფლისწული ნიკოლოზ, დავითის შვილი და დედა-მისი ელენე ლეონის-ასული თავიანთი კაცებით. მათი გაცილება ასტრახანიდან თერგამდე და თერგიდან სამშვიდობომდე ჩვენ ვუბრძანეთ ჩვენი ლაშქრის კაცებს, რათა მშვიდობით და მრთელად მიაღწიონ ქართველთა ქვეყანას“.

10 ივლისს მოსკოვიდან გამოიგზავნა ოკოლნიჩი ივანე ათანასის-ძე გავრენოვი, რათა გზაზე, სადაც მიეწეოდა უფლისწულ ნიკოლოზ დავითის-ძეს, გამოეკითხა მისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ეს იყო უფლისწულისადმი მეფის ყურადღების და მზრუნველობის უმაღლესი გამოვლინება. გავრენოვს თან მოჰქონდა უფლისწულისათვის ხელმწიფის ნაბოძები საჩუქრები.

ათი თვის შემდეგ, 1661 წლის 18 აპრილს, სტრიაპჩი ბახტიარ მიაკინინისა და დიაკ უშაკოვისაგან ასტრახანიდან მოსკოვს მიღებულ იქნა მოხსენებითი ბარათი, რომ 1660 წლის 8 აგვისტოს უფლისწული ნიკოლოზი და დედოფალი ელენე ასტრახანს ჩამოვიდნენო. აქ მათ მიიღეს ცნობა, რომ ქართველი მეფე თეიმურაზი ყიზილბაშების შაჰთან წასულა, ხოლო იმერეთის მეფე ალექსანდრე გარდაცვლილა.

27 აპრილს ალექსი მიხეილის-ძემ ასტრახანს სიგელი გაგზავნა:

„თუ უფლისწული მოსკოვს დაბრუნებას ინდომებს, ებრძანოს დაბრუნდეს, თუ არ ინდომებს, ხელმწიფის უბრძანებლად გზა არ განეგძოს“.

როგორც სჩანს მოსკოვის მეფეს თავისი ბრძანებულება უფლისწულის საქართველოში გაშვების შესახებ—შეუცვლია.

უფლისწულმა მცირე ყაბარდოზე გავლით მიაღწია ალაზნის სათავეებს და აქედან სცადა ძალით აეღო კახეთი.

შაჰის ბრძანებით, თეიმურაზმა შვილიშვილს გაუგზავნა ნდობით აღჭურვილი კაცები შაჰის მოთხოვნით, რათა ნიკოლოზი გამოცხადებულიყო შაჰის წინაშე. უფლისწულმა ნიკოლოზმა ცივი უარი სთქვა დამორჩილებოდა შაჰის მოთხოვნას.

ამ გარემოებამ დამღუპველი გავლენა იქონია 73 წლის თეიმურაზის ბედიღბალზე. შაჰმა მას ორგულობა დასწამა და ასტრაბადის საპატიმრო ციხეში გაგზავნა. ერთი წლის შემდგომ, (1663 წელს) მეფე თეიმურაზი, რომელმაც ვეღარ აიტანა მძიმე განსაცდელი გარდაიცვალა პატიმრობაში.

სიკვდილის წინ მან ითხოვა მიმბაარეთ მშობლიური კახეთის მიწასო. შაჰმა ნება დართო წაესვენებიათ პატიმრის ნეშტი საქართველოში. იქ კახელებმა დიდებული პატივით დაკრძალეს თავისი მრავალჭირნახული მეფე ალავერდის მონასტერში.

უფლისწული ნიკოლოზი რომელმაც ვერ შესძლო ტახტის მოპოვება, დაბრუნდა მოსკოვს 1666 წლის 16 აპრილს.

მას კვლავ საზეიმო შეხვედრა გაუმართეს. წინანდებურად უფლისწულს უნდა შეგებებოდნენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლე-

ბი, მათ შორის, ვაჭრები და მათი მსახურნი. ისინი, ვინც განწესების მიხედვით შესახვედრად არ გამოვიდნენ, სასტიკად იქნენ დასჯილნი და ფულადი ჯარიმით დაჯარიმებულნი.

10 ივნისს მეფე ალექსი მიხეილის-ძემ დიდ წახნაგებიან პალატაში მიიღო უფლისწული. როგორც წესი მოითხოვდა, მას სამგზის შეხვედრა მოუწყვეს. სუფრაზე უფლისწულს ემსახურებოდა ანდრეი ხილკოვი.

უფლისწული ნიკოლოზი და დედოფალი ელენე ლეონის-ასული კვლავ მოექცნენ სამეფისკარო ცხოვრების ამოებაში: დაუსრულებელ საზეიმო სადილებს, უცხოელ სტუმრებთან შეხვედრებს, ქალაქ გარეთ მდებარე მონასტრებში სიარულს უამრავი დრო მიჰქონდა.

უფლისწულის და დედოფლის ამალაში შედიოდა ასი-ასოცი ქართველი დიდებული თავადი, აზნაური, სამღვდელო პირი. ქართველებს მუდმივი კავშირი ჰქონდათ წმ. ნიკოლოზის ბერძნულ მონასტერთან, სადაც მეფე ივანე მე-IV-ის ბრძანებულებით, ნებადართული იყო წირვა-ლოცვა ბერძნულ ენაზე.

ქართველთა კოლონია თავისი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდა, აქ ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს ყველაფერს, რაც საქართველოსა და ირანში ხდებოდა. საქართველოში გამეფების აზრი არ ასვენებდა უფლისწულს. დედოფალი ელენე და მოსკოვში მყოფი ქართველი დიდებულნი, ქართველი სამღვდელოებითურთ, მხარს უჭერდნენ ერეკლე-ნიკოლოზის ამ მისწრაფებას ფიქრობდნენ, რომ ერეკლემ უნდა იხსნას საქართველო, გაანთავისუფლოს იგი მუსულმან მეფეთაგან. რაც ვერ მოახერხა პაპა თეიმურაზმა, ის უნდა შესძლოსო შვილიშვილმა. ერეკლე—ნიკოლოზის სიახლოვე მოსკოვის მეფის ოჯახთან, მეფე ალექსი მიხეილის-ძის განსაკუთრებით კეთილი განწყობილება, თავის აღზრდილისადმი აღტაცება [illegible] ამბედს, რომ მიუხედავად დიდი არეულობისა, რაც მაშინ მოსკოვის სახელმწიფოში ხდებოდა, უფლისწული შესძლებდა სამხედრო და ფულადი დახმარების მიღებას მოსკოვისაგან. ბიზანტიის დამხობის შემდგომ, მოსკოვი იქცა მართლმადიდებლობის ცენტრად. ბერძნულ ეკლესიას სული ედგა მოსკოვის ნაწყალობებით. მართლმადიდებლობა საქართველოში არ შეიძლება დაიღუპოს მას შემდგომ, რაც ქართველი მეფეები მოსკოვის ხელმწიფეთა ქვეშევრდომნი შეიქნენო.

უფლისწული ნიკოლოზი ამ იმედებით ცოცხლობდა. იგი არ შორდებოდა მოსკოვის მეფის კარს და ყოველთვის ესწრებოდა ყველა დიპლომატიურ, საზეიმო და საოჯახო შეკრებას.

27 ოქტომბერს პატრიარქ ნიკონის სამსჯავროდ მოსკოვს ჩავიდნენ მსოფლიო პატრიარქები: ალექსანდრიისა პაისი, ანტიოქიისა—მაკარი (რომელიც ამაზე ადრე საქართველოს ესტუმრა) მიტროპოლიტი ტრაპიზონისა—ფილოლეი (რომლის სამწყსო—ჭანები—ქართველები და ტრაპიზონის ბერძნები სასტიკად შევიწროებული იყვნენ თურქთაგან და მათი ძალადობის გამო თანდათან სტოვებდენ მართლმადიდებლობას), ქართველი არქიმანდრიტი პაზომი, არქიეპისკოპოსთა, ეპისკოპოსთა და სხვა სასულიერო ხელისუფალთა, სამღვდელო პირთა დიდი ამალა.

1666 წლის ოთხ ნოემბერს ალექსი მიხეილის-ძეს აღმოსავლეთის უმაღლესი სამღვდელოების ოფიციალური მიღება ჰქონდა. შეხვედრის (ყველაზე დიდი მეოთხე შეხვედრის) მონაწილეთა შორის იყო ქართველი უფლისწული ნიკოლოზ დავითის-ძე. უფლისწული ქართულად მიესალმა ტრაპიზონის მიტროპოლიტს. დანარჩენ მსოფლიო

სამღვდელო პირებს იგი თავისუფლად ესაუბრებოდა ბერძნულად.

სუფრას მსოფლიო პატრიარქები უსხდნენ ალექსი მიხეილის-ძესთან ერთად. ნიკოლოზ დავითის-ძის სამეფო მდგომარეობა ხაზგასმული იყო იმით, რომ მის—ქართველი უფლისწულის—ბუჯერს იქით იჯდა ხელმწიფის ნათესავი—ალექსანდრე საველის-ძე ხიტროვი.

პატრიარქები მოსკოვში დიდხანს დარჩნენ. ქართველი უფლისწული მონაწილეობდა ყველა შეხვედრასა, ზეიმობასა და სადილში, რომელიც იმართებოდა პატრიარქების პატივსაცემად ხელმწიფესთან და აგრეთვე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან ყოვლად უწმიდეს იოსებთან.

1668 წლის 15 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღეს, პაპის და პატრიარქის, ყოვლადუწმიდესის პაისის ბუჯერს იქით იჯდა პატრიარქის ბოიარინი მიხეილ ბეკლემიშევის შვილი მიკიფორე. ქართველ უფლისწულს საჭმელს სთავაზობდა იმავე ბუჯერიდან იგივე ბოიარინი—მიკიფორე ბეკლემიშევი.

მართლმადიდებელი საქართველოს ბედიღბალზე, ყველა საზეიმო და საქმიანი შეხვედრის დროს, ბევრს ლაპარაკობდნენ. ღმრთის ქალაქის—ანტიოქიის და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქი—ყოვლად უწმინდესი მაკარი საქართველოთი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო. საქართველოში მოგზაურობის დასრულებისას მან დასტოვა იმდროინდელი საქართველოს მორალური და სარწმუნოებრივი მდგომარეობის საკმაოდ დაწვრილებითი აღწერა.

*
* *

მოუსვენრობა იყო მოსკოვში უფლისწული ნიკოლოზის იქ ყოფნის უკანასკნელ წლებში.

პოლონელმა შლიახტიჩმა ყირიმის ხანთან ერთად სასტიკად [illegible] ცხა თავად ტრუბეცკოის [illegible] ბი. მოსკოვის ცხენოსანი ჯარი მთლიანად განადგურებულ იქნა.

ლიტვასა და ბელორუსიაში მოსკოვის ლაშქარი დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა.

ნიკონს ჩამოხადეს ხარისხი და ბელოზერსკის თერაპონტეს სახელობის მონასტერში გადაასახლეს.

დონში აჯანყდნენ კაზაკები. სტენკა რაზინმა დაიპყრო ყაზანი, ცარიცინი, სარატოვი, სამარა.

ძველი სარწმუნოების მოსავებმა სტაროვერებმაც თავი წამოჰყვეს და საეკლესიო არეულობით იმუქრებოდნენ.

გარდაიცვალა ალექსი მიხეილის-ძის თანამემცხედრე — დედოფალი მარია ილია მილოსლავსკის ასული.

მოსკოვს საქართველოსთვის დახმარების გაწევის თავი არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, უფლისწული ნიკოლოზი და დედოფალი ელენე ლეონის ასული თავისას არ იშლიდნენ—საქართველოსთან კავშირს არ სწყვეტდნენ. კახეთიდან, რაჭიდან, ქუთაისიდან და თვით თბილისიდანაც კი, სადაც მართვა-გამგებლობას განაგრძობდა ვახტანგ ძე-5 — შაჰნავაზი, ჩამოდიოდნენ მდევარნი და ჩამოჰქონდათ ამბები.

კახეთი კვლავ მიუხმობდა თავისკენ ერეკლე-ნიკოლოზს. შაჰი უკმაყოფილო იყო ვახტანგით. საქართველოს ცა ისევ შავად იღრუბლებოდა.

1668 წელს დეკემბერში გარდაიცვალა ქართველი მიტროპოლიტი ეპიფანე. უფლისწულმა ნიკოლოზმა და დედოფალმა ელენე ლეონის-ასულმა პატივით დაკრძალეს სწავლული ქართველი მღვდელმსახური წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, რომელიც ნიკოლსკის ქუჩაზე მდებარეობდა.

უფლისწული დავაქაცდა. ის უფ-

როდაუფრო ემსგავსებოდა თავის მამას—დავითს. ისეთივე ფიცხი, მაგრამ იმავე დროს თავდაჭერილი, ფიქრში წასული, ნიკოლოზი მხრებგანიერი, წელვიწრო, შუატანის თხელი კაცი იყო. იგი მუდამ დღე ცხენოსნობასა და სამხედრო ოსტატობაში ვარჯიშობდა, მთელი აზრით და ფიქრით იმას უტრიალებდა, რომ როგორმე სამშობლოში დაბრუნებულიყო და საქართველოს მეფედ გამხდარიყო. პირველმა მარცხმა გული ვერ გაუტეხა. მას არ სჯეროდა შაჰისა, მაგრამ არც მოსკოვის მხრით დახმარების შესაძლებლობა სწამდა. რაკი სხვა გამოსავალს ვერ პოულობდა, თანდათან იმ აზრს ადგებოდა, რაიმე გზით შაჰს შეთანხმებოდა და ჭკუით მოეტყუებია იგი. საქართველო უნდა გახდეს მუსულმანთაგან დამოუკიდებელი, მტკიცე ქრისტიანული სახელმწიფო, ქართული მიწები—საქართველოს ყველა კუთხე—უნდა გაერთიანდეს ერთი სამეფო კვერთხის ქვეშ და ეს კვერთხი ხელთ უნდა ეპყრას მას — ნიკოლოზს. ის არის ქართული ტახტის ერთადერთი პირდაპირი მემკვიდრე. როსტომ მეფის გარდაცვალების შემდეგ ქართლის მეფეთა შტო შეწყდა. ვახტანგ მე-5 თუმცა ბაგრატიონი იყო, მაგრამ ის მუხრან ბატონის ოჯახის შვილი იყო: მის წინაპარს, გიორგი მეცხრის ძმას—ბაგრატს ქართლის ტახტი არ სჭერია.

არჩილმა, ვახტანგის შვილმა, რომელიც ამჟამად ჰმართავს კახეთს, უდავოდ მე უნდა დამითმოს ტახტი,— ჰფიქრობდა ნიკოლოზი.

მოსკოვში უფლისწულის უფლებებს საქართველოს სამეფო ტახტზე ყველანი სცნობდნენ. ეს უნდა ერწმუნებია შაჰ-სეფი მეორესაც.

უფლისწული, რაც დრო გადიოდა, უფრო ხშირად ჩამოუგდებდა ხოლმე ამის თაობაზე სიტყვას ხელმწიფე ალექსი მიხეილის-ძეს.

უფლისწული ძალიან უყვარდა ხელმწიფეს, რომელსაც ნიკოლოზი [illegible] აღზრდილად, უახლოეს [illegible] ემ- აჩნდა.

1671 წლის იანვარში ალექსი მიხეილის-ძე მეორედ დაქორწილდა. ახალი მეუღლე მისი ნატალია კირილეს ასული ოცი წლის ახალგაზრდა ქალი იყო.

ხელმწიფის ქორწილში „ტისიაცკად“ იყო ქართველი ბატონიშვილი ნიკოლოზ დავითის-ძე. რუსული ჩვეულების მიხედვით ეს იყო საქორწინო ცერემონიალის ყველაზე დიდი თანამდებობა. როგორც წესი, „ტისიაცკი“ იყო იმავე დროს სასიძოს ჯვარის მამა. იგი განაგებდა საქორწინო მაყრიონს და ქორწილის მთელს ცერემონიალს. ტისიაცკი ლოცავდა ხოლმე სიძეს, თან დაჰყავდა იგი, უცვლიდა ბეჭდებს ნეფედედოფალს, იხდიდა ფულს ქორწინებისათვის, მიჰყავდა შინ დაქორწინებული ქალ-ვაჟი. ნიკოლოზისათვის ეს მოასწავებდა პირდაპირ, უშუალო მოხვედრას ხელმწიფის უახლოესს, ნდობითმოსილ პირთა წრეში.

იმის გამო,რომ უფლისწული ნიკოლოზი ხელმწიფის „ტისიაცკი“ იყო, დედოფალს ელენე ლეონის-ასულს ქორწილში განსაკუთრებული პატივი დასდეს: სუფრაზე მას ემსახურებოდნენ თვით ხელმწიფის მეუღლის სტოლნიკები.

შესდგა თუ არა ფეხი ხელმწიფის სასახლის დარბაზებში, ახალგაზრდა დიასახლისმა მეფის კარის საქალებოში ახალი წესრიგის შემოღება დაიწყო. დახშულ აღმოსავლურ ტერემებში საღი ჰაერი შეიჭრა. როცა კარეტაში ჯდებოდა, ახალგაზრდა დედოფალი გადასწევდა სარკმელებზე ფარდას, რომ ხალხისთვის შეეხედა. ქალაქ გარეთ მგზავრობის დროს დედოფალი ჯდებოდა ღია მაღალ ეკიპაჟში, რათა ბუნების სილამაზით დამტკბარიყო. დედოფლის ასეთი სითამამით შეცბუნე-

ბული ხალხი მორცხვადა ხრიდა ხოლმე თავს.

სანახაობაზე, თეატრში, რომელიც ევროპის დედაქალაქების მსგავსად იმ დროს მოსკოვშიც შემოდიოდა, ახალგაზრდა დედოფალი ხშირად დადიოდა, იჯდა თამამად და სრულიადაც არ ცდილობდა ტიხრს აქეთ დამალულიყო, ხალხის თვალს მორიდებოდა.

ერთი წლის შემდეგ 1672 წლის მაისში დედოფალმა შობა ვაჟიშვილი— პეტრე, რუსეთის მომავალი იმპერატორ

იმავე წელს, 30 ივნისს, ხელმწიფე მიხეილ ალექსის-ძე ახლობლებით წაბრძანდა ღვთისშობლის მიძინების ტაძარში საპარაკლისო გალობის მოსასმენად. სადღესასწაულო წირვა-ლოცვას დაესწრნენ უფლისწულნი, ოკოლნიჩები, საკრებულოს მსახურნი, სტოლნიკი სტრიაპჩები, აზნაურები, მოისართა პოლკოვნიკები, რომელნიც საზეიმოდ იყვნენ მორთულ-მოკაზმულნი.

საპარაკლისო გალობის მოსმენის შემდგომ — მღვდელმთავარმა — ველიკი ნოვგოროდის და ველიკიე ლუკის მიტროპოლიტმა — პიტირიმმა—მთელი სამღვდელოებით-მიტროპოლიტებით, არქიეპისკოპოსებით და ეპისკოპოსებით მიულოცა ხელმწიფეს ვაჟის შეძენა.

ხელმწიფეს მოულოცეს აგრეთვე უფლისწულებმა, ბოიარებმა, ოკოლნიჩებმა, საკრებულოს მდივნებმა ყველა თანამდებობის პირებმა.

ქართველმა უფლისწულმა ნიკოლოზ დავითის-ძემ მილოცვის ნაცვლად მთელი სიტყვა წარმოსთქვა. დოკუმენტებმა არ შემოგვინახეს ზეიმზე წარმოთქმული ამ ერთადერთი სიტყვის შინაარსი.

როგორც ასეთ შემთხვევებში ჯერ არს, ეს სიტყვა იქნებოდა მაღალფარდოვანი, სახოტბო-შემამკობელი, ახლადშობილის დიდებული მომავლის მაუწყებელი, მაგრამ, როგორადაც არ უნდა გაეზვიადებია ქართველ უფლისწულს მომხდარი ამბის—მეფის ახალი ვაჟის დაბადების მნიშვნელობა, იგი მაინც ვერ იტყოდა იმას, რასაც ნამდვილად მოასწავებდა ეს რუსეთისათვის. მიხეილ ალექსის-ძის ვაჟს წილად ხვდა გამხდარიყო შემდგომში რუსეთის იმპერატორი, რუსეთის სახელმწიფოსი და მთელი რუსული საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლების გარდამქმნელი.

ქართველი უფლისწულის სიტყვამ ხელმწიფეზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ამას მოწმობს ის, რომ შემდგომ ზეიმებში უფლისწულს ნიკოლოზს და დედა-მისს ელენეს მიუჩენენ ხოლმე მეფის შემდეგ, ყველაზე საპატიო ადგილს.

22 ივნისს პეტრე ალექსის-ძე მონათლეს ჩუდოვის მონასტერში. მეფემ სუფრა გრანოვიტის პალატაში გააშლევინა.

ამ სუფრაზე ყველა დამსწრე ტკბილეულით და ხილით დაასაჩუქრეს.

ხელმწიფის სუფრაზე მორთმეულ იქმნა 120 კერძი, რომელთა შორის იყო კერძი — წონით ორფუთნახევარი; კერძები გამოხატავდნენ სხვადასხვა საგნებს, მაგალითად, მოსკოვის სახელმწიფო ღერბს, ჩამოსხმულ შაქრის არწივს, ანუ შაქრის გედს, წონით ორ ფუთს, დიდ კოშკს არწივითურთ და სხვას.

ქართველ უფლისწულს მიართვეს 40 კერძი, ბევრად იმაზე მეტი, ვიდრე მიართვეს რომელსამე იქ დამსწრე პირს, რამდენიმე შაქრის კერძი მიიღო დედოფალმა ელენე ლეონისასულმა, რომელიც ამ დროს სტუმრად იმყოფებოდა ხელმწიფის ცოლთან — დედოფალთან სახელმწიფო ხორომებში.

საინტერესოა, რომ ახალდაბადებული, რომელიც მაშინ არ შეიძლებოდა

წარმოედგინათ მეფის ტახტის პირდაპირ მემკვიდრედ, ბავშვობის და ყრმობის წლებს ატარებდა სხვა ქართველ უფლისწულთან ალექსანდრესთან — იმჟამად კახეთში გამეფებული არჩილის შვილთან. ამ უფლისწულ ალექსანდრეს, ნიკოლოზ დავითის-ძის დისწულს, შემდგომში, უკვე სრულიად რუსეთის იმპერატორად ნაკურთხი პეტრე პირველი ანიჭებს გენერალ-ფელდცეიხმეისტრობას—ყველაზე მაღალი თანამდებობას არტილერიაში.

კიდევ ორი წელიწადი დაჰყო უფლისწულმა ნიკოლოზმა მოსკოვში და მერე დაუწყო თხოვნა ხელმწიფეს: საქართველოში გამიშვიო. საქმე ის იყო, რომ ირანის შაჰს გაეგო, ვახტანგი საკუთარ ქართულ ფულს სჭრისო, განრისხებულიყო და ემზადებოდა საქართველოს დასალაშქრად და დასარბევად.

უფლისწულმა შეიტყო თუ არა ეს, გადასწყვიტა გამგზავრებულიყო ირანს, ხლებოდა შაჰს, რათა აეცილებინა საქართველოსათვის ახალი უბედურება.

ჩვენთვის უცნობი დარჩა ბევრი წვრილმანი ამის თაობაზე გამართული მოლაპარაკებისა ქართველ უფლისწულსა და ხელმწიფე ალექსი მიხეილის-ძის შორის ალექსი მიხეილის-ძემ ქართველი უფლისწული გაუშვა საქართველოში, მაგრამ ეს „გაშვება“ ჰგავდა წინანდელი გულთბილი, თითქმის ნათესაური ურთიერთობის სრულ შეწყვეტას მათ შორის.

11 თებერვალს უფლისწული ცივად მიიღეს წინა ფიცრულში. შეხვედრა არ გაუმართავთ; მოსვლა არ გამოუცხადებიათ, სუფრაზე მოსაკითხი არ მიურთმევიათ.

ეს კიდევ ცოტაა: როცა 22 თებერვალს უფლისწული მოსკოვიდან გავიდა, პრისტავს ივანე ტელეპნევს და დიაკს ბოგდან ეფიმოვს ებრძანათ გაეცილებიათ უფლისწული მხოლოდ ყაზანამდე, ხოლო ყაზანიდან — როგორც ნაბრძანები იყო, ასტრახანამდე. უფლისწულს უნდა გაჰყოლოდა ყაზანელი აზნაური.

ასეთ გაცილებას უწყობდნენ საელჩოს ყოვლად უმნიშვნელო მსახურებს, ისეთს, როგორიც იყო უბრალო დიპლომატური მდივარი. მიუხედავად ყოველივე ამისა, უფლისწული მიეშურებოდა ჯერ საქართველოსკენ და მერე ირანს დიდი იმედით ფრთებშესხმული.

კახეთში ნიკოლოზი შეხვდა თავის ცოლისძმას — მეფე არჩილს. არჩილი უდავოდ დასთანხმდა დაეთმო უფლისწულ ნიკოლოზისათვის ტახტი და დიდი პატივით გაისტუმრა იგი ირანს.

დედოფალი ელენე ლეონის-ასული ჯერ ისევ მოსკოვში რჩებოდა. დედას არ ივიწყებდა რუს ხელმწიფისადმი მიმართულ თავის წერილებში შვილი ნიკოლოზი.

გავიდა ერთი წელიწადი და ალექსი მიხეილის-ძემ წერილი გაუგზავნა თავის აღზრდილს. მხოლოდ ამის შემდეგ უფლისწულმა ნიკოლოზმა მისწერა საპასუხო ბარათი ხელმწიფეს:

„თქვენ დიდს ხელმწიფეს წიგნი მოგეწერათ, მოვგონებოდით და ჩვენი ამბავი გეკითხათ. ღმერთმან დიდის ხელმწიფის დღე ერთი ათასად ქნას!

ბედნიერი ყეენი ქალაქში, გასულს სეკდენბერს, ყაზმინს, კარგად დამიხვდა.

თქვენ დიდს ხელმწიფეს ერთი ეს გებრძანებიათ: „მახარასა და გიორგი თოლმაჯის ხელით წიგნი მოგეწერაო და შემომხვეწოდიო“ მართალია, მახარა მაგაზედ გამოგზავნე და კიდეც შემოგეხვეწე თქვენ დიდს ხელმწიფეს აშტრახნიდაღმე, და დასტურნი და შენდობა გთხოვე, ასე, რომ უსაცილოდ ყეენთან წავალ მეთქი, თუ ხმალი და რაყამი მომივა მეთქი, რომ ეგების

ზემის მოსვლით საქართველო არ წაახდინოს მეთქი.

გზაშიგან ბევრი ომი გარდამხდა, და თქვენის ბედნიერებით, მოვრჩი.

საქართველოში რომ მოველ, ხმალი და საფიცარი მომივიდა, და ასრე ეწერა იმ საფიცარში: „ამ ხმალსა და საფიცარს მოენდეო“.

შამახიას რომ მოველ, ის საფიცარი გარდავაწერინე და მანდ გაახელით ჩვენის სტოლნიკის კნიაზ სვიმონისა და სტრიაფჩი მაქსიმის ხელით.

შამახიიდაღმე დავიწყე სიარული და ყაზმინს მოველ დამდეგს მაისს.

ყეენი მწვედ წყალობით დამხვდა და მწყალობელიც არის. თქვენის ბედნიერებით, კიდევ ახლა (მოვიდა) გერასიმ დოლგა, თქვენი ჩაფარი, და კაი წიგნი მოგეწერათ ყეენთან. ღმერთმან თქვენი დღე ერთი ათასად ქნას, რომ ჩვენი თქვენგან გაზრდილობა კიდევ მოგგონებოდათ“.

წერილის დასასრულს უფლისწული სწერდა:

„ერთი ეს მოგეწერათ: ჩვენი ხელქვეითი იყავიო“. ასრე ღმერთი როგორ მომიძულვებს, რომ მე თქვენი ნაზარდულობა და თქვენი წყალობა დავიწყო, მანამდი ცოცხალი ვიყო“.

ამ წერილმა, რომელსაც უნდა აღედგინა გულთბილი ურთიერთობა აღზრდილსა და აღმზრდელს შორის, ვერ ჩაუსწრო ხელმწიფეს ცოცხალს. ალექსი მიხეილის-ძე გარდაიცვალა 1676 წელს 29 იანვარს, უფლისწულის წერილი კი მიღებულ იქნა მოსკოვში იმავე წლის 25 მარტს.

მიუხედავად ახლო პირადი დამოკიდებულებისა, რომელიც ხელმწიფის და ნიკოლოზს შორის შეიქმნა უფლისწულის იქ ყოფნის წლებში, მოსკოვში ნიკოლოზს ახლობელი არავინ რჩებოდა. დედოფალი ელენე ლეონის-ასული მოსკოვიდან შვილთან წამოვიდა.

ირანში უფლისწულმა მწვავედ იგრძნო, თუ რამდენად აუცილებელი ყოფილა მისთვის მოსკოვში ჰყოლოდა ერთგული კაცი. ბოიარინ არტემ [illegible] გაგზავნილ ბარათში უფლისწული სწერდა: „მოსკოვში აღარ დამრჩა არავინ ნათესავთაგანიო“.

ირანში ჩასულს უფლისწულს შაჰი ყურადღებით და მზრუნველობით ეექცეოდა. ამას მოწმობს 1681 წელს მოსკოვს ჩასული მდევარი უფლისწულ ნიკოლოზისა—ქართველი მათე ივანიშვილი, ანუ როგორც მაშინ რუსები უწოდებდნენ „გრუზინეც მატვეი ივანოვი“, რომელმაც მოსკოვს ჩაიტანა დედოფალი ელენე ლეონის-ასულის ბარათი. საელჩო პრიკაზში დაკითხვისას მატვეი ივანოვმა განაცხადა:

ყაზვინში შაჰმა უფლისწული სამჯერ მიიღო. შაჰმა აჩუქა მას არღამაკი მთელი მოკაზმულობით და გაგზავნა ქალაქს არშაფში სანადიროდ. აქედან უფლისწული წავიდა ისპაჰანს, სადაც იგი დაქორწინდა ერთ-ერთი ქართველი დიდებულის ასულზე. საქართველოდან სასძლოს ჩამოსაყვანად გაიგზავნა უფლისწულის მოძღვარი ბერი დანიელი.

ამ ამბამდე სამი წლით ადრე უფლისწულმა ახალ ხელმწიფეს თეოდორე ალექსის-ძეს სასოწარკვეთილებით აღსავსე ბარათი გაუგზავნა:

— როცა ელჩები—ბორის ეფიმოვიჩ მიშეცკი და პეტრე დოლგა მივიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ განსვენებული შენი მამისაგან ნაბრძანები ქონდათ და ნაკაზშიც ეწერათ, რომ როცა დიდებულებთან მოლაპარაკება ექმნებოდათ, ჩემზედაც ელაპარაკათ, (რომ მათ ეს ნამდვილად უბრძანა დიდმა მეფემ, — ამაზე მწერდა დედა ჩემი მოსკოვიდან), მათ ჩემზე არაფერი თქვეს და შაჰმა იფიქრა, რომ დიდმა მეფემ მე სრულიად დამტოვა.

1676 წლის დიდ პარასკევს შაჰი ძალიან მაწუხებდა სარწმუნოებისათვის. მისი ცდა უფრო გაძლიერდა, როცა გაიგო დიდი მეფის სიკვდილი. ხან დაში-

ნებით, ხან მუქარით შაჰი მაიძულებდა მიმეღო მისი რჯული. მე ათას რამეს ვეუბნებოდი, რათა გავქცეოდი პირდაპირ პასუხს; ვაჩვენე საკუთრი მისი ბარათი, რომელიც ანდრეევოში გამომიგზავნა და სადაც იგი მეფიცებოდა, რომ არ ხელჰყოფდა ჩემს სარწმუნოებას.

მე შაჰს ვუთხარი:

— მეფენი მბრძანებლობენ, მაგრამ არ სტყუიან. მე წავიკითხე შენი ბარათი, ვერწმუნე შენს ფიცს და დაუეჭვებლად მოველი შენთან. მე არ მინდა გადაუდგე ჩემს სარწმუნოებას. არ იქნება კარგი, თუ ფიცი შენი დიდებულებისა დაირღვევა.

14 სექტემბრიდან სამ საღამოს ზედი-ზედ შაჰი ცდილობდა გაეტეხა ჩემი სიმტკიცე. მკლავში ხელი მომკიდა და მითხრა:

— მეტი რაღა გინდა: მოგცემ კახეთს, თბილისს, მთელს საქართველოს და ყოველივეს თერგიდან ვიდრე არაქსამდე, — ეს ირანის ერთი მეხუთედია, მე განიჭებ ისპაჰანის დარაგის წოდებას და შენც იმდენსავე ჯამაგირს მოგცემ, რამდენსაც შაჰ-ნავაზ ხანს ვაძლევდი. მხოლოდ სთქვი: ერთია ალაჰი და მაჰმადი მისი წინასწარმეტყველი. სთქვი, რომ ღებულობ ჩვენს რჯულს, რათა აღსრულდეს სიტყვა ჩემი, რათა არა მკიცხავდენ გარეშო სახელმწიფოთა მეფენი იმის გამო, რომ მიწა, რომელსაც ჰფლობენ მუსულმანები, მე ქრისტიანს განუბოძე. ხოლო როცა საქართველოში დაბრუნდები, იქ ირწმუნე ის, რაც გინდოდეს.

მე ვუპასუხე:

— არამც თუ საქართველო, მთელი ირანიც რომ მიბოძო, ბაგეთა ჩემთაგან არ ამოუშვებ არც ერთს სიტყვას, და სიმდიდრისა და ხელმწიფობის მოპოვებისათვის არ უკუვაგდებ ჩემს სარწმუნოებას. უკეთუ ღმერთსა ჩემსა მოვატყუებ და განუდგები სარწმუნოებას წარმავალი ხელმწიფებისთვის, როგორ შეიძლება ვაქციო ჭეშმარიტგული?

შაჰმა სთქვა:

— თუ კი მე შევიწყნარებ, რომ შენ, რომელიც ჩემთან სჭამს და სვამს, ურწმუნოებაში იტანჯებოდე, — დიდი იქნება ჩემი ცოდვა და პასუხი მომეთხოვება ღმრთისა წინაშე. შენი საკუთარი კეთილდღეობისათვის გატან ძალას!

უკეთუ ჩემსას არ შეისმენ, ვუბრძანებ, რომ ძალით გაგამუსულმანონ.

მე ვუპასუხე:

— ეს შენ ძალგიძს—მე შენს ხელთა ვარ, მე მოგაგონებ მხოლოდ შენს დანაფიცარს; ხოლო მე, მთელი ჩემი სხეულიც რომ ნაკუწ-ნაკუწად აქციონ და თავიც წამაჭრან, ვერ განუდგები ჩემს სარწმუნოებას და არც სხვის რჯულს ვირწმუნებ.

მაშინ შაჰი რისხვით გამშორდა და მითხრა:

—მე გირჩევდი შესულიყავ სამოთხეში; რაკი არ გინდა, ახლა წა ჯოჯოხეთში.

ამის შემდეგ აღარაფერი უთქვამს და ღმერთმან უწყის, რა განზრახვა აქვს გულში.

ამ ბარათის მიღებიდან სამი წლის შემდეგ იმავე 1681 წელს იგივე ქართველი მდევარი „გრუზინეც მატვეი ივანოვი“ საელჩო პრიკაზში დამსწრეთ უამბობდა:

— მას უკან, რაც უფლისწულმა უარი სთქვა გამოეცვალა სარწმუნოება, ორ წელიწადს იტანჯებოდა იგი საპყრობილეში. ბოლოს ვერ აიტანა სიმშილი, რომელშიც ჩააგდო შაჰმა, და რაკი ვერ დაინახა რა ვერსაით შეწევნა, დასთანხმდა გამოეცვალა სარწმუნოება... იგი მაშინვე გაანთავისუფლეს და ოცი ათასი მანეთი მისცეს. მასთან მყოფი დიდებულნი (გარდა მეღვინეთუხუცესისა და მეჭურჭლეთუხუცესისა), რომლებმაც აგრეთვე გამოიცვალეს სა-

რწმუნოება, საქართველოში გაუშვეს. უფლისწულთან დაახლოებული პირები ამბობენ, რომ უფლისწული ისევ მართლმადიდებელ სარწმუნოებას ადგას და ღამღამობით ჩუმად საიდუმლოდ ლოცულობსო. უფლისწულის მეუღლეს არავითარი იძულება არ განუცდია და მისთვის კარვის ეკლესიაში სწირავს ბერი დანიელიო.

„გრუზინეცმა მატვეიმ“ საელჩო პრიკაზში დაკითხვის დროს მეტი ვერაფერი სთქვა, შესაძლოა არც ისურვა მეტი ეთქვა. მეტად სამძიმო და შემაღონებელი იყო მისთვის ეამბნა მამაპაპათა სარწმუნოებისაგან განდგომის მთელი სამწუხარო ამბავი. ელენე ლეონის-ასულის მდევარს, შესაძლოა სურდა კიდევ ეამბნა ბევრი რამ ისეთი, რის თქმაც არ არის წესად საელჩო პრიკაზში, და მან დუმილი არჩია.

დედოფალი ელენე ლეონის-ასული ისევ ისე თავმდაბლად, რაიმე საყვედურის და მუნათის გამოუთქმელად, განაგრძობდა წერილების წერას ხელმწიფე თედორე ალექსის-ძისადმი.

„ნუ დაგვტოვებთ. ჩვენ გვაქვს ღმრთის და ქრისტეს იმედი, რომ არ წარწყმდება სული ჩვენი, მაგრამ გვამი ჩვენი არის აქ-ირანში და ღმერთმან უწყის, რა მოგველის. ჩვენს ნათესავთაგან მეფის კარზე აღარავინ არის, რომ გაგახსენოთ ჩვენი თავი. ნუ დაგვივიწყებთ, იყოს ბედნიერი და ღეგრძელი შენი დიდებულება. ამინ“.

შემდგომ ამისა, არც დედოფალი ელენე ლეონის-ასული და არც უფლისწული ნიკოლოზ დავითის-ძე, რომელსაც გამუსულმანების შემდეგ, ოფიციალურად ნაზარ-ალი-ხანს უწოდებდნენ, მოსკოვში აღარ ყოფილან.

შაჰმა შეასრულა სიტყვა — ნაზარ-ალი-ხანი საქართველოს მეფის ტახტზე აიყვანა.

ნაზარ-ალი-ხანმა იმეფა 1688 წლიდან 1703 წლამდე. მას არასოდეს აღარ უთხოვნია დახმარება მოსკოვისათვის. მისცა რა სიტყვა შაჰს, არ მიაჩნდა შესაძლებლად და საჭიროდ ეღალატნა მისთვის. მაგრამ განმარტოვდა, თავის თავში ჩაიკეტა ადამიანისადმი რწმენა დაკარგა, გაბოროტდა და საქართველოში ვერ მოიპოვა ვერც დიდება და ვერც ხალხის სიყვარული. გარეგნულად თითქოს იგი გულგრილი იყო რუსთა მიმართ, მაგრამ ოჯახში წმინდად ინახავდა მეფე ალექსი მიხეილის-ძისაგან ბოძებულ სიგელს. მან იგი უანდერძა თავის შვილებს—დავითს, კონსტანტინეს, თეიმურაზ მეორეს. ისინიც ამაყობდნენ ამ სიგელით და ყოველთვის მიუთითებდნენ მასზე ყველა მიმოწერაში, როცა მიმართავდნენ რუს ხელმწიფეებს პეტრე პირველიდან დაწყებული ეკატერინე მეორემდე.

ერეკლე — ნიკოლოზის შთამომავალნი — მართავდნენ საქართველოს მანამდე, ვიდრე იგი რუსეთს შეუერთდებოდა. მათ შორის ყველაზე დიდი და დიდებული სახელი მოიხვეჭა ერეკლე-ნიკოლოზის შვილიშვილმა, ერეკლე მეორემ (1744 — 1798).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკად. ნ. ვ. ციცინი

მცენარეთა შეჯვარების გზები

★

სამიწათმოქმედო კულტურათა თანამედროვე სამყარო გამოხატავს ათასწლეულთა ისტორიას და ადამიანის მარადიულ მისწრაფებას დაუმორჩილოს მცენარეები თავის ნებისყოფას, გონებასა და ინტერესებს.

ჩვენ ვიცით მრავალ თაობათა ღონისძიებებით ველური ფლორისაგან შექმნილი უამრავი კულტურული მცენარეების წარმოშობის ისტორია. ადამიანი ბუნებაში პოულობდა მისთვის საჭირო მცენარეებს, საუკუნოებით აუმჯობესებდა მათ, ამუშავებდა მათთვის ნიადაგს, ატარებდა შერჩევას და ამრავლებდა საუკეთესოებს.

დარვინი სწერდა, რომ „ყოველი ქვეყნის ველური ბინადრები, ხანგრძლივი და უძლიერესი ცდების შემდეგ, გაიგებდნენ რა, რომ ესადაეს მცენარე იყო ან შეიძლება ყოფილიყო სასარგებლო, თუ მას ასეთუისე მოამზადებდნენ, რამდენიმე ხნის შემდეგ ატარებდნენ დამუშავების პირველ ცდას, ე. ი. რგავდნენ ამ მცენარეებს თავიანთი ჩვეულებრივი სადგომების ახლოს“.

ამგვარად მრავალი ეპოქის განმავლობაში შერჩევის გზით ხდებოდა სასარგებლო ნიშანთვისებათა შეგნებული და ხანდახან შეუგნებელი დაგროვება, უაღრესად ძვირფასეულთა შენარჩუნება და უვარგის მცენარეთა მოსპობა-განადგურება. ასე შთაისახა და განვითარდა სელექციის ხელოვნება, რომელიც ნელნელა, მაგრამ უდავოდ გასაოცარ გაუმჯობესებასა და დიდ ცვლილებას ახდენდა, მცენარეთა ცხოვრებაში.

კულტურულ მცენარეთა ჩვენამდე მოღწეულ ფორმებს აჩნიათ ჯერ კიდევ ისტორიამდელი დროების უცნობ სელექციონერთა შემოქმედებითი შრომის კვალი. ეგვიპტელები, რომლებმაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4221 წელს შექმნეს ასტრონომიული კალენდარი, უკვე ამ წლამდე დიდიხნით ადრე სთესავდნენ გაუმჯობესებული ჯიშის ხორბალს, რომლის მარცვლები ნაპოვნია უძველეს პირამიდებსა და აკლდამებში. კულტურულ მარცვლოვანთა: მუხუდოს, სელის ახლაარსებული ფორმები ცნობილი იყო ჯერ კიდევ კაჟის ნაწარმთა პერიოდში შვეიცარიის ტბოვან ბინათა მკვიდრთათვის. სიმინდის უბადლო მარცვალი ცნობილი იყო ინკების ცივილიზაციის დროს, ხოლო ბამბის საუკეთესო ჯიშები მაიას ცივილიზაციის დროს ჩაისახნენ.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ადამიანმა ისწავლა მცენარეთა ბუნების გარდაქმნა არა მარტო შერჩევის, არამედ შეჯვარების გზითაც, ანაყოფიერებდა რა ერთი მცენარის ყვავილს მეორის მტვერით. შეჯვარების ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული მცენარის სქესის გამოკვლევასთან. საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა მცე-

ნარეს სქესი, დიდხანს გამოურკვეველი იყო. ასე, მაგალითად არისტოტელე ამტკიცებდა, რომ მცენარეებს მოძრაობის უნარი არა აქვთ, და მაშასადამე სხვადასხვა სქესის ერთეულებს არ შეუძლიათ მოსძებნონ ერთმანეთი და შეერთდნენო. აქედან არისტოტელე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მცენარეებს სქესობრივი პროცესი არ გააჩნიათო. ამასთან ერთად ჰეროდოტე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჯერ კიდევ 400 წლით ადრე — სწერდა, რომ ბაბილონელები კარგად არჩევდნენ კვების ერთერთი უმთავრესი პროდუქტთაგანის — ფინიკის პალმის მამრობითსა და დედრობითს მცენარესო. მამრობით მცენარეებად სთვლიდნენ ისეთებს, რომლებიც იძლეოდნენ მტვერს, დედრობითად, — რომლებიც ისხამდნენ ნაყოფს. მსხმოიარობის გასადიდებლად ნაყოფიან პალმებს ჩვეულებრივად მიაბამდნენ მამრობითს ყვავილებს. არისტოტელეს მოწაფე თეოფრასტემ კვის ხის განვითარებაზე დაკვირვებისას, აღიარა მცენარეთა მამრობითი და დედრობითი ერთეულების არსებობა. პლინიუსი „ბუნებისმეტყველების ისტორიაში“ სწერდა მტვერის გამანაყოფიერებელი როლისა და სქესის არსებობის შესახებ არა მარტო მერქნიან, არამედ ბალახოვან მცენარეთა შორისაც.

მაგრამ შორეულ წარსულში მიღებული ცოდნა მემინდვრეობაზე თითქმის დავიწყებული იქნა შემდგომი ოცი საუკუნის მანძილზე. მხოლოდ მე-17 საუკუნის დასასრულს ინგლისელმა მეცნიერებმა ტომას მელინგტონმა, გრუმ და რეიმ გამოსთქვეს მოსაზრება ორსქესიან მცენარეთა არსებობის შესახებ. მაგრამ ვერცერთმა მათგანმა ვერ დაამტკიცეს ეს ექსპერიმენტალური გზით. 1694 წელს მცენარეში სქესი მეცნიერულად პირველად აღმოაჩინა ტიუბინგენელმა რუდოლფ კამერერმა, რომელმაც განაზოგადა უძველეს დროთა ცდები და საფუძველი ჩაუყარა შეჯვარების პრობლემის ექსპერიმენტალურ შესწავლას. კამერერმა შენიშნა, რომ თუთას უჩნდებოდა უთესლო ნაყოფი იმ შემთხვევაში, თუ ახლოს არ იყო ამ კულტურის მამრობითი ერთეული. სიმინდზე, კანაფსა და სხვა მცენარეებზე ცდებით ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ ერთსახლიან მცენარეს მოვაშორებთ მამრობით ყვავილებს, ხოლო დავტოვებთ მარტო მდედრობითს, მაშინ თესლი არ გაინასკვებაო.

იმ დროს იმდენად აქტუალური იყო მცენარის სქესისა და შეჯვარების პრობლემა, რომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1760 წელს ამ თემაზე თხზულების დაწერისათვის პრემია მიანიჭა გამოჩენილ ბოტანიკოსს — ლინეის.

მცენარეთა სახეობათაშორისო ჰიბრიდიზაცია მეცნიერების ისტორიაში პირველად გამოიყენა იოზეფ კელრეიტერმა, რომელიც მე-18 საუკუნის 60-იან წლებში მუშაობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში. კელრეიტერმა დაამტკიცა, რომ მტვერი მართლაც მამრობითი საწყისის მატარებელიაო, და ჩაატარა მცენარეთა განაყოფიერების მრავალი ცდა. ხელოვნური შეჯვარებების გზით მან პირველმა მიიღო თამბაქოს, წეკოსა და სხვა მცენარეების სხვადასხვა სახეობათა ჰიბრიდები და საფუძველი ჩაუყარა მემკვიდრეობისა და ცვალებადობის შესახებ მეცნიერებას.

1764 წელს კელრეიტერი სწერდა: „ლითონების გარდაქმნას შესაძლებლად სთვლიდნენ ჯერ კიდევ უძველეს დროიდანვე, ხოლო, რამდენადაც ვიცი, არავის მოსვლია ფიქრად, რომ შესაძლებელი იქნებოდა ერთი მცენარის გარდაქმნა სხვა მცენარედ, ანდა ერთი ცხოველისა—სხვა ცხოველად. შეიძლება ვივარაუდოთ, ეს იმიტომ, რომ ორგანულ არსებათა გარდაქმნის

გზაზე განუზომლად უფრო დიდი სიძ-ნელეები იდგა, ვიდრე არაორგანული ლითონური სხეულების გარდაქმნისას. და მაინც, ძირითადში, მთელრიგ საუ-კუნეთა მანძილზე მრავალთაგან ეს ამაოდ ჩატარებული ცდა სულ მოკლე ხანში საკეთილდღეოდ დაგვირგვინ-და".

ჰიბრიდიზაციის მეცნიერების განვი-თარებას დიდად აფერხებდა სქოლას-ტიკური დოგმა სახეობათა უცვლადო-ბის შესახებ. საშუალო საუკუნეების ოფიციალური მეცნიერება გააფთრე-ბულ ბრძოლას აწარმოებდა ცვალება-დობის შესახებ ყოველგვარი შეხედუ-ლების წინააღმდეგ. ის უარყოფდა არა მარტო სქესის არსებობას, არამედ ადამიანის ხელით მცენარეთა ახალი ფორმების შექმნის შესაძლებლობასაც კი. მაშინ ეგონათ, რომ დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის მომენტიდან ყველა არსება ისეთივე დარჩა, როგო-რიც იყვნენ მათი წინაპრები „ქვეყნის გაჩენის" დღეებში. მეცნიერთა უმრავ-ლესობას სწამდა არსებულ ფორმათა მარადულობა, უცვლადობა, მაგალი-თად, ის, რომ ცხენი ყოველთვის იყო ცხენი, ფიჭვი—ფიჭვი, და ასე შემდეგ. ორგანული სამყაროს განვითარების გზაზე ასეთი მეტაფიზიკური წარმოდ-გენა ემყარებოდა სხვადასხვა შეხედუ-ლებას სამყაროს ბიბლიური წარმო-შობის შესახებ.

მაგრამ ცხოვრება და მეცნიერება წინ მიდიოდა. კელრეიტერის შესა-ნიშნავ გამოკვლევას გამოუჩნდა მრა-ვალი გამგრძელებელი, რომლებიც შე-ჯვარების გზაზე ენერგიულად ქმნი-დნენ ორნამენტულ საყვავილე და მინ-დვრის მცენარეებს. მე-18 საუკუნის პერიოდში და მე-19 საუკუნის 50-იან წლებში წარმოიშვა ჰიბრიდიზატორთა „მძლავრი ჯგუფი".

ჰიბრიდიზაციის იდეებს თანდათან იყენებდნენ დასავლეთ ევროპაში და, კერძოდ, ინგლისში. ინგლისის ფერმებ-ში გამოჰყავდათ სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის ახალი ჯიშები, საფრან-გეთისა და იტალიის ბაღებში ეშენ-ნენ ყურძნის ახალ ჯიშებს. წარმოიშვა ათობით სათესლე ფირმები გერმანია-ში, ინგლისში, საფრანგეთსა და ამე-რიკის შეერთებულ შტატებში.

სახეობათა წარმოშობაზე გენიალუ-რი ჩარლზ დარვინის ევოლუციურმა მოძღვრებამ უდიდესი გადატრიალება მოახდინა ბუნებისმეტყველებაში და გზა გაუხსნა ადამიანის უსაზღვრო ზე-მოქმედებას მცენარეთა და ცხოველთა ცვალებადობაზე. დარვინის მოძღვრე-ბამ სამუდამოდ დაამსხვრია სახეობათა მარადისობის მეტაფიზიკური დოგმა და აღმოაჩინა დედამიწაზე ორგანულ არ-სებათა განვითარების კანონები. დარ-ვინიზმმა ასწავლა ადამიანებს არა მარ-ტო ბუნების სწორად გაგება, არამედ მისი დაუფლებაც, არა მარტო ორგა-ნულ ფორმათა განვითარების პირობე-ბის შესწავლა, არამედ მათი გარდაქმ-ნა სასურველი მიმართულებით.

დარვინმა დააწესა შეჯვარების კა-ნონები. ვ. ლ. კომაროვი სწერდა, რომ „შინაური პირუტყვის ახალი, გაუმჯო-ბესებული ჯიშების გამოყვანა, შეჯ-ვარების გზით მცენარეთა არნახული ჯიშების მიღება — აი ის კონკრეტუ-ლი ამოცანები, რომელსაც აყენებს ჩვენს წინაშე დარვინიზმი". დარვინი ამტკიცებდა, რომ შეჯვარება არის სა-ფუძველი მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმების უდიდესი ნაირფეროვა-ნების წარმოსაქმნელად. ის სწერდა: „მე შევაგროვე უამრავი ფაქტი და მო-ვახდინე მრავალი დაკვირვება, რომ-ლებიც მებაღეთა და მეცხოველეთა თითქმის საყოველთაო დადასტურებით გვიჩვენებენ, რომ ცხოველებისა და მცენარეების მრავალ სახესხვაობათა შორის ან იმავე სხვაობის ერთეულებს შორის, შეჯვარება ნამატს ანიჭებს განსაკუთრებულ ძლიერებასა და ნა-ყოფიერებას"..

დარვინის მოძღვრებასთან დაკავშირებით ძლიერ გაიზარდა ინტერესი მცენარეთა და ცხოველთა ფორმების ნებსითი შეცვლისადმი. იწყეს არქივებიდან პირველ სელექციონერთა დავიწყებული მიღწევების ამოღება. ჰიბრიდიზაციის მეთოდებმა თანდათანობით განდევნეს უბრალო შერჩევის ნაკლებად სრულყოფილი და მოძველებული მეთოდები. მაგრამ ცდამ დაამტკიცა, რომ ჰიბრიდიზაციის წარმატება დამოკიდებული იყო შეჯვარებისათვის საანეულო ნარბილი მიწის სწორ შერჩევაზე. მაგრამ ამ საკითხში ჯერ კიდევ ახლაც არ არსებობს სრული ერთიანობა.

როგორ უნდა გავაუმჯობესოთ ძველი ან შევქმნათ ახალი ჯიში? რომელი გზით უნდა წავიდეთ: იმ სასარგებლო ნიშანთვისებათა თანდათანობითი გაძლიერებით, რომლებიც გააჩნიათ მცენარეთა და ცხოველთა ძირითადში ახლობელ სახეობებს, თუ ერთმანეთისაგან შორი-შორ მდგარ სახეობების დადებით თვისებათა ერთ მთლიანად შეკავშირების გზით? სელექციონერთა უმრავლესობა უკანასკნელ წლებამდე საკითხს სწყვეტდა შესაჯვარებლად უფრო ადვილად განსახორციელებელ ახლობელ მცენარეთა სასარგებლოდ. შორეული ჰიბრიდიზაციით დაინტერესებული იყვნენ უმთავრესად თეორეტიკოსები — გენეტიკოსები — ცალკეულ სახეობათა შორის ნათესაობის ხარისხის გამოსარკვევად. ამ მიზნით იქნენ, მაგალითად, ჩატარებული შეჯვარებები ხორბალსა და სამხრეთის გარეული მარცვლოვანის—ეგილოფსის შორის, ბოლოკსა და კომბოსტოს შორის. შორეული ჰიბრიდიზაციის მეთოდთა გამოყენების წინააღმდეგ ჩვეულებრივ აყენებდნენ ამ მუშაობის სიძნელეებთან დაკავშირებულ შეხედულებებს. ცნობილია, რომ შორეული ჰიბრიდიზაციის დროს ჰიბრიდთა პირველი თაობა, უმრავლეს შემთხვევაში, იქნება უნაყოფო, ისე როგორც უნაყოფონი არიან ცხენისა და ვირის ნარევისაგან მიღებული ჯორები. უნაყოფობის დასაძლევად მცენარეულთა ჰიბრიდებს სჭირდებათ განმეორებითი დამტვერვა ერთერთი მშობლის მტვერიანასაგან. შემდგომ თაობათა ჰიბრიდების ნაწილობრივ უნაყოფობას, რომელიც მოითხოვს აგრეთვე ერთერთი მშობლის მტვერიანას ხელოვნურად შეტანას, მოყვება, როგორც ამას ამტკიცებს მრავალი მკვლევარი, მშობელთა მხრივ ფორმადწარმომქნელი პროცესების სრული ნაწილობრივი დაბრუნება.

ი. ვ. მიჩურინისა და ამერიკელი სელექციონერის ლუთერ ბერბანკის მრავალწლიანმა საქმიანობამ უდავოდ დაამტკიცეს პრაქტიკული ძვირფასი შედეგების მისაღებად სახეობათაშორისო ჰიბრიდიზაციის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა. ყველასათვის ცნობილია გაბედულად მოფიქრებული და ეფექტიურად შესრულებული სამუშაოები მიჩურინისა, რომელმაც მაგალითად, შეაჯვარა ვაშლი მსხალთან, შოთხვი ალუბალთან და ამ გზით ჩვენს ქვეყანას მისცა მთელი რიგი ძვირფასი ჯიშებისა. მიჩურინმა გვიჩვენა, რომ ჰიბრიდიზაცია ადამიანის ხელში იყო, არის და იქნება უმძლავრესი რევოლუციური მეთოდი ბუნებაზე გამარჯვებისათვის.

მიჩურინი სწერდა, რომ ჰიბრიდიზაციის მეთოდი „გახდა ხეხილის ახალი საუკეთესო ჯიშების გამოყვანის ქვაკუთხედი, როგორც შეჯვარებულ მწარმოებელ-მცენარეთაგან მემკვიდრეობით გადმოცემული სილამაზისა, საზღვარგარეთული ჯიშების მაღალი პროდუქტულობის, საგემოვნო თვისებისა და ჩვენი გარეული, ყინვაგამძლე მცენარეთა ამტანიანობის შემაერთებელი“.

მიჩურინის გზას გაჰყვა საბჭოთა მკვლევარების მთელი პლეადა. ასე, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალითად, გარეულ მრავალწლიან სახეობებთან კულტურული ჭარხლის შეჯვარებით მსოფლიოში პირველად მიღებულ იქნა ახალი ჯიშის შაქრის ჭარხალი. მიწავაშლასა და მზესუმზირას შეჯვარების გზით მიღებულ იქნა მცენარეთა ახალი ფორმები, რომელიც აერთიანებს მიწავაშლას მრავალწლიანობას, ტუბეროსნობას, და ზამთრისგამძლეობას მზესუმზირას მოსავლიანობასა და ადრეულ სიმწიფესთან. თამბაქოს გარეული ჯიშების გამოყენების გზით შექმნილია ყვითელი თამბაქოს ახალი ჯიშები, რომლებიც უძლებენ თამბაქოს მოზაიკას, ნაცარს და სხვა დაავადებებს. თითქმის არ არსებობს მემცენარეობის არცერთი დარგი, სადაც არ შეჭრილიყოს ჰიბრიდიზატორის შემოქმედებითი ხელი, რომელიც ჰქმნის მცენარეთა ახალ ფორმებს. ამ გზით გამოყავთ ბამბის, იონჯის, ბოსტნეულის, მინდვრის, ტექნიკური და მერქნიან მცენარეთა ახალი ჯიშები.

ამ გზითვე წავმართეთ ჩვენც ჩვენი კვლევა-ძიებები.

ახალი ხორბლეული მცენარეები

ხორბალი უმთავრესი პურეული კულტურაა. მას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. ის მოწოდებულია გამოკვებოს ადამიანი ამ ქვეყანაზე. ყველა ხალხში ეს კულტურა იწვევდა საყოველთაო აღტაცებასა და აღიარებას. სამიწათმოქმედო ცივილიზაციები ათასწლეულთა განმავლობაში ქმნიდნენ ხორბლის თავიანთ სახეობებსა და ჯიშებს. ადამიანთა ასობით თაობები ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ამ საუკეთესო კულტურას და დაუცხრომლად შრომობდნენ მისი სრულყოფისა და გავითარებისათვის. ხორბლის ახალი ან გაუმჯობესებული ჯიშის შექმნა მოწინავე სელექციონერის ოცნებაა, და ყოველი წარმატება ამ მიმართულებით ადამიანის თავდადებად და უდიდეს შემოქმედებით აქტად ითვლება.

ისტორიული ძეგლებიდან — ლიტერატურებულია, რომ ადამიანი მუშაობს ხორბალზე ოთხი ათას ხუთას წელზე მეტი ხნის განმავლობაში. საკმაოდ დიდ ვადაა იმისათვის, რომ წამოვჭრათ საკითხი: არის თუ არა სადმე, დედამიწის რომელიმე კუნჭულში ხორბლის იდეალური ჯიში, რომელიც კი მთლიანად დააკმაყოფილებდა ადამიანის ყველა მოთხოვნილებას?

დიახ, ჩვენ უკვე გვაქვს ბევრი ძვირფასი ხორბალი, მრავალი მათგანი უკვე შესულია თანამედროვე მხვნელ-მთესველის ხმარებაში, მაგრამ გაზვიადება როდი იქნება თუ ვიტყვით, რომ ხორბლის ის ჯიში და ფორმა, რომელიც გააჩნია ახლა კაცობრიობას, წარმოადგენს იმ მომავალი ხორბლის წინამორბედს, რომლის შექმნისკენაც უკვე შეგვიძლია მივისწრაფოდეთ.

და მართლაც, ადამიანი ხომ სავსებით სამართლიანად ვერცერთ კულტურას ვერ წაუყენებს იმდენ მოთხოვნას, როგორც ხორბალს, რომლის როლიც სახალხო კვებაში სულ უფროდაუფრო იზრდება!

როგორია ეს მოთხოვნები? უწინარეს ყოვლისა ხორბალი უნდა იყოს მაღალმოსავლიანი, პროდუქტიული, გვაძლევდეს მსხვილსა და კარგი ფორმის მაღალხარისხოვან და მდიდარ-ფქვილიან მარცვალს. სოციალისტური მიწათმოქმედების მექანიზაცია — სამკალი და ძნასაკონი მანქანების და კომბაინას შემოღება — მოითხოვს, პურეული არ ჩაწვეს, არ დაცვინდეს. ხორბალმა უნდა გამოიჩინოს გამძლეობა გვალვისადმი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის სამიწათმოქმედო ზოლის უზარმაზარი ნაწილის კონტინენტალური მშრალი ჰავის პირობებში. ხორბალი და, კერძოდ, საშემოდგომო ხორბალი, უნდა უძლებდეს ყინვასა და დაბალ ტემპერატუ-

რას, მონოსტვას, ამოხუთვას. ხორბალმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს სოკოთი დაავადებას, გათავისუფლდეს ისეთ დაავადებათა მსხვერპლად გახდომის საფრთხისაგან, როგორიცაა მამხობელი, ნაცარი, ოდი, ფუზაროზი.

საფქველი მრეწველობის მტკიცავ წისქვილებზე გადასვლასთან დაკავშირებით თვალსაჩინოდ შეიცვალა მოთხოვნილება მარცვლის ხარისხის მიმართაც. პურის საცხობი მრეწველობა ახლა მოითხოვს მინისებურ, ცილეულით მდიდარ, მაღალტევადიანი პურით სავსე ხორბალს. მასთან პური უნდა იყოს საკმაოდ ფოროვანი, შემთვისებადი, სასიამო ფერის. შეგვეძლო ჩამოგვეთვალნა კიდევ ბევრი სხვა თვისება, რომელმაც უნდა დაუახლოოს ხორბალი მის ხარისხულ იდეალს.

ხოლო არის თუ არა დედამიწაზე ხორბლის ისეთი ჯიში, რომელსაც გააჩნდეს ყველა ამ თვისების თუნდაც ნახევარი? არა, სამწუხაროდ, ასეთი ჯიში ჯერ კიდევ არ შეუქმნია ადამიანს. ხშირად ხდება ისე, რომ ჯიში მაღალმოსავლიანია, ხოლო მისი საცხობი თვისებები ძლიერ დაბალი; ის გვალვისგამძლეა, მაგრამ მეტად უსუსურია დაბალი ტემპერატურის დროს; მას გააჩნია მაღალი პროდუქტულობა, მაგრამ ვერ უძლებს სოკოთი დაავადებას ან მავნებლებს.

მსოფლიო მიწათმოქმედებაში გავრცელებული ხორბლის ჯიშების უმრავლესობა უბრალო შერჩევის გზითაა გამოყვანილი. ხორბლის საუკეთესო და მასთან უაღრესად ძვირფასი ჯიშები, — აგრეთვე შერჩევის შედეგია. თუმცა ყველა ეს ჯიში აღმოჩნდა უნარიანი განემტკიცებინა თვით ბუნების მიერ გამოყოფილი ესათუის სასარგებლო ნიშანთვისება, მაგრამ ვერ გამოამჟღავნა საჭირო ხარისხოვან ღირსებათა მთელი კომპლექსი.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მოწინავე ქვეყნებში ხორბლის ახალი ფორმებისა და ჯიშების მოლების ძირითადი მეთოდი გახდა ჰიბრიდიზაცია. ხორბალი თვითდაძმარებელი მცენარეა, მას არ გააჩნია ჯვარედინად განაყოფიერების უნარი. ხორბლის ყვავილი იშლება განთიადისას, როცა მისი მტვერი ეცემა მისსავე დინგზე, და ეს თვითგანაყოფიერება მეორდება საუკუნიდან საუკუნემდე. და მხოლოდ ადამიანმა შესძლო ხორბლის ცხოვრების საიდუმლოებაში ჩარევა და, მისი განვითარების ბიოლოგიურ კანონთა მიუხედავად, აიძულა გაერთიანებულიყო ხორბლის ორი ჯიში და მოეცა ახალი შორეული რასის საწყისი. შეჯვარების გზით გამოყვანილ იქნა მსოფლიოში გავრცელებული საუკეთესო თანამედროვე ჯიშები. ასე, მაგალითად, კანადის საგაზაფხულო ხორბლის ჰიბრიდულ ჯიშს „მარკიზს“ უჭირავს ჩრდილო ამერიკის მთელი ხორბლით ნათესი ფართობის სამი მეოთხედი. ხორბლის ჰიბრიდული ფორმები წარმატებითაა გავრცელებული ავსტრალიაში, არგენტინაში, ინგლისში, გერმანიაში, ჩრდილო აფრიკაში, შვეციაში. ხორბლის ჰიბრიდულ ჯიშთა დიდი რაოდენობა გავრცელებულია საბჭოთა კავშირშიც. მაგრამ ყველა ეს შეჯვარება ტარდებოდა უმთავრესად ერთი სახეობის შიგნით, ითავსებდა კულტურის ფარგლებში სხვადასხვა ჯიშებსა და ნაირსახეობებს. ძვირფას ჯიშთა უდიდესი მასა წარმოდგენილია ცალკეულ შემთხვევაში უახლოეს სახეობათა მოზიდვისას რბილი ხორბლეულის სხვადასხვა თვისებათა შეთავსებით. ამ პირობებში ადამიანმა შესძლო გადმოეღო ერთი ჯიშიდან მოსავლიანობა, მეორედან — კარგი ფქვილიანობის ხარისხი, მესამედან — გამძლეობა გარემოს არახელშემწყობი პირობებისადმი. მაგრამ საკმაოდ ძნელი საქმე აღმოჩნდა ერთს ჰიბრიდულ მცენარეში ყველა ამ ნიშანთვისების შეთავსება.

ჩვენს მიერ არჩეული გზა შორეული ჰიბრიდიზაციისა, ე. ი. გარეულ მცენარეებთან კულტურულ მცენარეთა შეჯვარება, შესაძლებლობას გვაძლევს შევარჩიოთ ისეთი მწარმოებლები, რომ საბოლოო შედეგად მივიღოთ მცენარის წინასწარნანატრი მაღალხარისხოვანი ფორმა ან ჯიში.

ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინთან პირველად შეხვედრისას ჩვენ მოვისმინეთ მისი შემდეგი დარიგება: „ხორბალთან ხორბლის შეჯვარებით მიიღებთ მარტოოდენ ხორბალს და სხვას არაფერს. უნდა ეძიოთ ახალი გზები ხორბალზე უფრო მეტად ძლიერი კომპონენტის შერჩევაში“.

მიჩურინის დარიგება გახდა ჩვენთვის ამოსავალი მომენტი ჩვენს შემდგომ გამოკვლევებში. განზრახული ამოცანის გადასაწყვეტად შეგვექმნა ხორბლის ახალი ფორმა — მივმართეთ თვით ბუნებას. ვინ არ იცის, რომ ბუნებაში უხვად არიან ჯერ კიდევ გამოუყენებელი მცენარეები, რომლებიც აოცებენ ადამიანს თავიანთი ელასტიურობით, განუზომელი გამძლეობითა და სხვა მრავალი თვისებით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ყოველი კულტურული მცენარის თვისებებს.

ვნახოთ, თუ როგორ სწარმოებდა ევოლუციის პროცესი კულტურულ და ველურ მცენარეთა შორის. ცნობილია, რომ კულტურული მცენარეები წარმოიშვნენ გარეული მცენარეებისაგან, მაგრამ როგორ და რა გზებით მოხდა ეს, ჯერჯერობით საიდუმლოდაა დარჩენილი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ყველა კულტურულ მცენარეს ათასწლეულების მანძილზე ჰქმნიდა ადამიანი თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამიტომ მრავალი საუკუნის მანძილზე კულტურულმა მცენარეებმა შეიძინეს ისეთი თვისებები და ნიშანთვისებანი, რომლებიც საჭიროონი იყვნენ ადამიანისათვის და არა მცენარისათვის. გარეულმა ფლორამ კი, პირიქით, იგროვებდა ისეთ თვისებებს და ნიშნებს, რომლებიც საჭიროონი იყვნენ თვით მცენარისათვის, და არა ადამიანისათვის.

ეს თვისებები სჭირიათ გარეულ მცენარეებს თავის გადარჩენისა და თავდაცვისათვის, არსებობისათვის საბრძოლველად, ბუნებაში ცხოვრებისა და გავრცელების უფლებისათვის.

ჩარლზ დარვინი სწერდა, რომ „ადამიანი არჩევს თავის სასარგებლოდ, ბუნება — მის მიერ დაცული არსების სასარგებლოდ. მის მიერ შერჩეული ყოველი ნიშანთვისება ხმარდება საქმეს, და არსება შედის ცხოვრების კარგად მოწესრიგებულ პირობებში“.

ეი ამიტომ ჩვენამდე მოღწეული ყველა კულტურული მცენარე გასათუთებულია, შედარებით სუსტია, არ გააჩნია უნარი იცხოვროს თავისი მუდმივი თანამგზავრის — ადამიანის გარეშე. ხოლო გარეული მცენარე? მასში ჩანერგილია უდიდესი ძალა, რომელსაც უნარი შესწევს წინააღუდგეს გარემოს ყოველგვარ სიძნელესა და კატასტროფებს. დარვინი სწერდა: „როგორი წარმავალია ადამიანის სურვილები და ღონისძიებანი! როგორი ხანმოკლეა მისი დრო! და ამიტომ რა საცოდავია მის მიერ მოპოებული შედეგები იმასთან შედარებით, რაც დააგროვა ბუნებამ მთელი გეოლოგიური პერიოდების განმავლობაში! შეგვიძლია თუ არა ჩვენ გავვოცდეთ, რომ ბუნების ნაწარმოებებს უფრო მეტად „ჭეშმარიტი“ ხასიათი გააჩნიათ, ვიდრე ადამიანის ნახელავს, რომ ისინი უფრო უკეთ არიან შეგუებულნი ცხოვრების ურთულეს პირობებთან?“.

მართლაც, მიწათმოქმედის ათასწლოვანი გამოცდილების მიუხედავად, მსოფლიო მემცენარეობა შედარებით უფრო ღარიბია თავისი ასორტიმენ-

ტით, და მხოლოდ 50-60 სასოფლო სამეურნეო კულტურამ მიიღო ძირითადში ფართო სამრეწველო გავრცელება მიწათმოქმედებაში. არსებითად ადამიანი ახლა მხოლოდ შედის დედამიწის მთელი მცენარეული პოტენციალის რაციონალური გამოყენების პეროდში. მის წინ გადაშლილია ბუნების ფლორის გამოუყენებული დოვლათის ინტენსიურად ათვისების ბარაქიანი გზა.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ხარობს 20 ათასზე მეტი სახის მცენარე და დაახლოებით მხოლოდ 250 სახეობა, ე. ი. ერთ პროცენტზე ცოტა მეტი, გამოყენებულია სახალხო მეურნეობაში. მცენარეულთა ეს რესურსები კი წარმოადგენენ მწვანე „მადნეულის“ გიგანტურ მარაგს, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ და კიდეც უნდა გამოიყენოს ადამიანმა როგორც განუსაზღვრელი ნედლეული კულტურულ მცენარეთა ახალი სამყაროს შესაქმნელად.

გარეული, და თვით სარეველა მცენარეების ჩაყენება ადამიანის სამსახურში, — სელექციონერის პირდაპირი ამოცანაა.

ჩვენი გარეული ფლორა შევიდა სელექციის ისტორიაში როგორც მძლავრი იარაღი კულტურულ მცენარეთა ბუნების გარდასაქმნელად. მიჩურინი ბუნებრივი მცენარეული ფონდებისაგან იღებდა მასალას ნაყოფიანი და ხილეული კულტურის ახალი ჯიშების შესაქმნელად. გარეულ ბალამწარასთან ალუბალ „როგნედას“ შეჯვარების შედეგად მიღებულ იქნა სახელგანთქმული „ბასტარი-ბალი“. საუცხოო ტვიის ფოთლოვანი ალუბალი „იდეალი“ წარმოიშვა სამარის გარეული ალუბალისაგან, რომლის ყვავილი განყოფიერებული იყო პენსილვანიის ამერიკული ალუბლის მტვერიანათი. მიჩურინის ცნობილი ქლიავი „ეკლოვანი რენკლოდი“ მიღებულია გარეულ ეკალთან „მწვანე რენკლოდის“ შეჯვარებით. ... სანიშნავი მსხალი „რუსული-ექსელანი“ მიღებულია უსურული გარეული მსხლის მტვერიანათი მსხალატამას განაყოფიერებით. ჩვეულებრივი მწარე ცირცელისაგან წარმოიშვნენ მიჩურინის ცირცელის საუკეთესო ჯიშები, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მცენარეთა სხვადასხვაგვარი გარეული სახეობებიდან შეიქმნენ ვაშლების ახალი, უბადლო გვარები და ჯიშები. უსურიის მხარისა და აღმოსავლეთ მანჯურიის ტყეებში აღმოცენებული გარეული აკტინიდია მიჩურინის ხელში გადაიქცა კულტურულ მცენარედ, რომელიც ჩრდილოეთში ყურძნის თავისებური შემცვლელია.

ცნობილია, რომ ჩრდილო ამერიკაში ვაშლის ახალ სელექციურ ჯიშთა შექმნის მთავარი წყარო გახდა ციმბირის გარეული ვაშლის ყინვაგამძლე სახეობები. ამერიკული მსხლის საუკეთესო ჯიშები მიღებულ იქნა უსურული გარეული მსხლის ნაირსახეობებსა და ფორმებთან შეჯვარებით. სემიპალატინსკის ოლქში ამერიკელთა მიერ ნახევარი საჩაიე კოვზის მოცულობით შეკრებილ იონჯას თესლით ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ გავრცელდა იონჯის კულტურა და ახლა მას ათიათასობით ჰექტარი უჭირავს. ციმბირის ველურადმზარდი გარეული ფართოთავთავიანი კაპუეტა სელექციონერის შრომათა შედეგად ფართოდ გავრცელდა ამერიკის შეერთებული შტატების გამოგვალვულ რაიონებში, როგორც ახალი კულტურული მცენარე და ა. შ.

გარეული ფლორა ბუნების ჯერ კიდევ ფარული ძალების დაუშრეტელი წყაროა და მკვლევარი მხოლოდ მასში იპოვის იმ დასაყრდენ წერტილს, რომლის დახმარებით შესძლებს ის რევოლუციურად დააყენოს მცენარე-

თა სამყარო ადამიანის ინტერესებისადმი სამსახურის გზაზე.

და მართალი იყო მიჩურინი, როცა სწერდა: „ველური ბუნებისაგან ახალი და ახალი სასარგებლო მცენარეების ბრძოლით მოპოების მიზნით უნდა მივიღოთ ყველა ღონისძიება კულტურისათვის მცენარის დაუცხრომლად საძებნელად, ვეცადოთ გამოვიყენოთ მკვლევართა დაგროვილი გამოცდილება და ყოველმხრივ გავამრავლოთ ეს გამოცდილება ჩვენი ქვეყნის შორეულაღმოსავლეთის რაიონების, ჩვენი ვრცელი განაპირა მხარეების, და მთების, ტყეების, ველმინდვრებისა და ჭაობების, განსაკუთრებით მთიანი კავკასიის მეცნიერული გამოკვლევებით. ეს მხარეები თავიანთ წიაღში ფარავენ მცენარეების გამოუყენებელ სახეობათა უდიდეს რაოდენობას“.

ჩვენი მეცნიერული ძიებანი წავმართეთ მიჩურინის მიერ მითითებული გზით, ვცდილობდით რა ყოვლად შემძლე ბუნებაში გვეპოვა ისეთი გარეული მცენარე, რომელიც ხელს შეუწყობდა უძველესი კულტურის — ხორბლის ძირფესვიანად გარდაქმნასა და განახლებას. ჩვენ ყურადღება მივაქციეთ ჩვენი მინდვრების უბოროტეს სარეველას — ჭანგას (пырей). რას წარმოადგენს ჭანგა? მცენარეთა სისტემატიკაში ჭანგას სამართლიანად უწოდებენ „აგროპირუმს“ ანუ „ყანების ცეცხლს“. ჩვენს ქვეყანაში ჭანგა ატარებს ისეთ არაკეთილხმოვან სახელებს, როგორიცაა „ქაჯის-ცოცხა“, „მწოვარა ბალახი“, „ჯღარდლა“, „მაჯალვერა“ და სხვ. მიწის მუშა საუკუნეთა განმავლობაში სწყევლიდა ამ ბალახს. ყანაში მისი გამოჩენა „მწვანე ჭირად“ ითვლებოდა, და სასოწარკვეთასა და საშინელებაში აგდებდა ყველა მხვნელ-მთესველს. ტყუილად კი არ უწოდებდნენ ძველად ამ ბალახს „ღვთის რისხვას“, ხშირად ჭანგასთან ბრძოლაში არაქათგამოცლილი ადამიანი სტოვებდა ძველ, [illegible] ადგილს და ახალ თავშესაფარს ეძებდა.

ჭანგას ყველგან შეხვდებით, ქვეყნის ყოველ ნაწილში. ის შეიძლება ნახოთ ჭაობიან ადგილებშიც ისლთან ერთად, ბიცობ, მლაშობ და ქვიშიან ნიადაგზეც, კლდოვანი მთის ფერდობებზეც, გადახრუკულ ტრამალებშიც და ტყეებისა და ბუჩქნარების ჩრდილშიც. თითქმის არ არსებობს ჭანგაზე უფრო გამძლე მცენარე არსებობისათვის ბრძოლაში. დიდია მისი თვითგამრავლების უნარი. ჭანგას მაგარი ქაცვიანი ფოთლებით დაცული ყლორტები იმდენად ძლიერნი არიან, რომ გაივლიან ყოველგვარ ნიადაგს, ხვრეტენ კარტოფილის ბოლქვებს და ხის მაგარ ფესვებსაც კი. ჭანგას მძლავრ ფესვოვან სისტემას გააჩნია საკვებ ნივთიერებათა დიდი მარაგი, და ამიტომ ის ეგუება ყოველგვარ პირობებს. ჭანგა მეტისმეტად უძლებს გვალვასა და ყინვებს, არ არჩევს ნიადაგს, არაფრად აგდებს მრავალგვარ დაავადებას. და, ბოლოს, ჭანგა მრავალწლიანი მცენარეა. თუ შევადარებთ ჭანგას მის კულტურულ ნათესავს — ხორბალს — მათ შორის წინააღმდეგობათა და კონტრასტების მთელი უფსკრულია. არ არსებობს ისეთი ხორბალი, რომელიც არ განიცდიდეს სხვადასხვა დაავადებას. ჭანგას კი არც ერთი ავადმყოფობა არ აწუხებს. უფრო მეტი, ხელოვნური დასნებოვნების დროსაც კი ჭანგა გამოამჟღავნებს თავის თანდაყოლილ იმუნიტეტს. ხორბალი ვერ უძლებს გარემო მოვლენებს, და გვალვები, ყინვები და ბუნების სხვა არახელისშემწყობი პირობები ყოველწლიურად ამცირებენ მის მოსავალს. ჭანგა კი უშიშრად იტანს ამ პირობებს. ხორბალი ხარობს მხოლოდ შერჩეულ, კარგადდამუშავებულ, ნაყოფიერ ნიადაგზე. ჭანგა ხში-

რად მლაშობ ნიადაგს ამჯობინებს შავ-ნიადაგიან მიწას. საუკუნოებით დაგროვილი აგრონომიულ ცოდნათა არსენალი მიმართულია გვალვისაგან, ყინვებისა და დაავადებათაგან ხორბლის დასაცავად. იმავე აგრონომიამ შეიმუშავა სტრატეგიული გეგმები ჭანგასთან გააფთრებული ბრძოლისათვის, გამოიყენა რა მისი მოსპობის ისეთი ზომები, როგორიცაა გახმობა, გაყინვა და ა. შ. და, ბოლოს, საკითხი ამ წვანე ანტიპოდების მოსავლიანობის შესახებ. რასაკვირველია, ხორბლისა და ჭანგას მარცვალი შეუდარებელი სიდიდეები არიან. ხორბლის ათასი მარცვალი 30 გრამს იწონის, ხოლო ჭანგას ამდენივე მარცვალი — 5-6 გრამს. მაგრამ თუ შევადარებთ ერთი ბუჩქის ხორბლისა და ჭანგას მოსავალს, მაშინ სულ სხვა სურათს მივიღებთ, ასე, მაგალითად, ხორბლის ერთი მცენარის ბუჩქი 2-2½ გრამ მარცვალს იძლევა, ხოლო ჭანგა—15-16 გრამს. ეს ხდება ბუჩქოვნობისა და ერთ თავთავზე მარცვლის რაოდენობის გამო. ჭანგას 10-12 მარცვალი აქვს. ამგვარად ჭანგას აქვს იმდენი საუცხოო სამეურნეო ძვირფასი ბიოლოგიური თვისება, რომ იგი შეეხარბება ყოველ სამიწათმოქმედო კულტურას.

როგორი ამაღელვებელი და კეთილშობილური ამოცანაა—წავართვათ ეს თვისებები ველურ ჭანგას და გადავცით ისინი კულტურულ ხორბალს! ამ ამოცანის გადაწყვეტა ჩვენს წინაშე გადაშლის ადამიანთა საზოგადოების საკითილდღეოდ უძველესი ხორბლის ბუნების ძირითადი გარდაქმნისათვის ისტორიაში არნახულ პერსპექტივებს.

ცხრამეტი წლის წინათ პირველად შევუდექით ჩვენი სასურველი ოცნების — ჭანგასთან ხორბლის შეჯვარების — განხორციელებას. ჩვენი გზა ნარეკლოვანი იყო. სკეპტიკურად და ხშირად მტრულად გვეპყრობოდა მრავალი მკვლევარი, რომელსაც [illegible] ად მიაჩნდა ჩვენი [illegible] შრომის, სიმტკიცისა და ძალლონის დახარჯვა მოგვიხდა, სანამ მიწათმოქმედების უბოროტესი მტერი — ჭანგა — დაემორჩილა ადამიანის ნებისყოფას და მისი მეგობარი გახდა. 1930 წელი გახდა ჩვენთვის ისტორიული თარიღი. მაშინ პირველად მივიღეთ დიდიხნით ნანატრი, დედამიწის ზურგზე არნახული ხორბალ-ჭანგას ჰიბრიდი. ჭანგას სხვადასხვაგვარ სახეობებთან კულტურული ხორბლის შეჯვარების გზით ჩვენ შევქმენით საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლის მთელი რიგი ჯიშები, რომლებიც ნიშანთვისებათა მიხედვით აღემატებიან საუკეთესო თანამედროვე ჯიშებს. ასეთი ჰიბრიდები ჩვენ გვაქვს. მათ მემკვიდრეობით გამოყავთ თავისი მშობლის — ჭანგას—ხასიათი და ხორბალთან შეთავსებით გააჩნიათ ისეთი ნიშანთვისებები, როგორიცაა გამძლეობა სოკოსაგან დაავადების, ყინვებისა და გვალვის მიმართ, გამოირჩევიან მაღალი მოსავლიანობით და კარგი ხარისხის პურით.

შევჩერდეთ იმ ჯიშებზე, რომლებიც უკვე გასცილდნენ ლაბორატორიის ფარგლებს და ხარობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე. აი ხორბალ-ჭანგას ჰიბრიდის საგაზაფხულო ჯიში, რომელიც ცნობილია № 22850-ით. მასში შეერთებულია სამეურნეო-ძვირფას ნიშანთვისებათა მთელი კომპლექსი: არ ჩაწვება თვით უხვი დატენიანების პირობებშიაც კი, არ ჩამოცვივდება და კარგად ილეწება, თითქმის არ ზიანდება სოკოთი დაავადებით: საფქვავ-საცხობი თვისებებით ერთერთი უპირველესი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ამ ჯიშის მოსავლიანობა კოლმეურნეობის პირობებში ჰექტარზე 50-60 ცენტნერს აღწევს. ამ ჯიშს ფართოდ

გამოიყენებენ ნესტიან რაიონებში და სარწყავ მიწათმოქმედებაში.

საგაზაფხულო ტიპის ხორბალ-ჭანგას ჰიბრიდთა შორის უკვე გვაქვს მთელი რიგი უაღრესად საინტერესო და პერსპექტივიანი ჯიშები, რომელნიც მეტისმეტად უძლებენ გვალვას. თვით უდიდესი გვალვების დროსაც კი ისინი იძლევიან სრულმოსავლიანობას.

საშემოდგომო ხორბლეულის მიხედვით შექმნილია ფორმები, რომლებიც ჩრდილოეთის ზამთრის მკაცრ კლიმატურ ვითარებაში არ იყინებიან და ძლებენ წლიდანწლამდე. არაშავნიადაგიანი ზონის თვალუწვდენ სივრცეებზე ბატონობს საშემოდგომო ხორბლის სტანდარტული ჯიში № 2411. მის შესაცვლელად ჩვენს მიერ დამზადებულია ახალი ჰიბრიდული ჯიში—№ 599. ამ ხორბლის მძლავრს თავთავებს არაჩვეულებრივი ლამაზი ფორმა აქვთ, და თითოეული მათგანი იძლევა 80-დან 100-მდე მარცვალს. მისი მოსავალი თითოეულ ჰექტარზე აღწევს 50 და უფრო მეტ ცენტნერს მარცვლეულს.

ხორბლისა და ჭანგას სხვადასხვა სახეობათა შორის ჰიბრიდთა გამოჩენამ პირველად შეუწყო ხელი პრინციპულად ახალი კულტურის — მრავალწლიანი ხორბლის შექმნის შესახებ — ჩიმში ფანტაზიის მსგავსი აზრის შთასახვას. მრავალწლიანი ხორბალი, გამოცდათა ხანგრძლივი და ძნელი გზის შემდეგ, ამჟამად შექმნილია. და მისი არსებობისა და განვითარების უფლება უდავოა. ამ ხორბლის ერთერთი პირმშოა ჯიში № 34085. თავის განვითარების ციკლის მიხედვით ეს ჯიში შეიძლება თანაბრად მიეკუთვნოს როგორც საგაზაფხულოს, ისე საშემოდგომოს, ხოლო ყვავილობის ხასიათით—როგორც თვითდამამტვერიანებელ, ისე ჯვარედინად დამამტვერიანებელ მცენარეებს. მის დადებითს თვისებებს შეადგენენ: მრავალწლიანობა, ჩაუწოლობა, გვალვისადმი, მლაშე ნიადაგისა და სოკოთი დაავადებისადმი გამძლეობა. წებოვანას შემადგენლობის მიხედვით ამ ჯიშს ცოტა კონკურენტი ჰყავს ხორბლის ყველა ცნობილ ჯიშთა შორის. ამასთან ერთად № 34085 ხორბალს გააჩნია ზოგიერთი უარყოფითი თვისებაც: ძნელად გასალეწია და წიბოვანი მარცვლები აქვს. ფართო საწარმოო ცდებმა, განსაკუთრებით ყაზახეთისა და ყირგიზეთის სამხრეთ ოლქებში, გვიჩვენეს, რომ ამ ხორბალს ხელახლა დაუთესავად შეუძლია მოგვცეს მოსავალი 2—3 წლის განმავლობაში, რაც გადააჭარბებს ადგილობრივად გახარებული ხორბლის ჯიშთა მოსავალს. ცდების შედეგად ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ მრავალწლიანი ხორბლის აღნიშნული ფორმის საწარმოო გამოყენება ჩვენი კავშირის შუა ზოლსა და ციმბირში ჯერ-ჯერობით შეზღუდული იქნება იმიტომ, რომ ის საკმაოდ ვერ უძლებს ჩრდილოეთის ზამთრის მკაცრ პირობებს. უკანასკნელ ხანებში ჩვენს მიერ ჩრდილოეთისათვის შექმნილია მრავალწლიანი ხორბლის ახალი ფორმები, რომლებიც მოსკოვის პირობებში უკვე ორ მოსავალს იძლევიან. ჩვენს მიერ მიღებულმა ერთერთმა ნომერმა ბუჩქიდან საშუალოდ მოგვცა 60 ნორმალური თავთავი, ხოლო თითოეულმა თავთავმა—38-40 მარცვალი.

ჩვენ გვაგონდება კლიმენტი არკადის-ძე ტიმირიაზევის შესანიშნავი სიტყვები: „გლეხის ნამდვილი მარჩენალი მიწა კი არაა, არამედ მცენარე, და მიწათმოქმედების მთელი ხელოვნება იმაში, მდგომარეობს, რომ გაათავისუფლოს მცენარე, და მაშასადამე, მიწათმოქმედი „მიწის ძალა-უფლებისაგან“. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მრავალწლიანი ხორბლის სრულყოფისათვის ჩვენი შემდგომი მედგარი მუშაობის გზით შევძლებთ ისეთთა შექმნას, რომლებიც მართლაც დაეხ-

მარებიან გლეხს გათავისუფლდეს „მიწის ძალა-უფლებისაგან“.

ჩვენ დავისახეთ კიდევ ერთი ამოცანა: შევაჯვაროთ ჭანგა ჭვავის კულტურასთან. ცნობილია, რომ ხორბალი გვაძლევს საუცხოო პურს იმიტომ, რომ მის მარცვალში არის განსაკუთრებული ცილოვანი ნივთიერებანი, რომლებსაც ეწოდებათ შემაერთი-წებოვანა. წებოვანას მეოხებით ხორბლის ფქვილისაგან მოზელილი ცომი არ იშლება, აქვს ჭიმვადობის კარგი უნარი, ადვილად ღვივდება და შეუძლია მიიღოს ყოველნაირი ფორმა. საშემოდგომო ჭვავის კულტურასაც აგრეთვე გააჩნია წებოვანა, ხოლო ის შემაერთი როდია, არამედ სუსტი. ამიტომ ჭვავის ფქვილის ცომი ვერ ინარჩუნებს სასურველ ფორმას და იშლება. ჭანგას სხვადასხვა ფორმის შესწავლისას დავამტკიცეთ, რომ მასში ბლომადაა შემაერთი წებოვანა და მნიშვნელოვნად უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ხორბალში. შემდეგ თვალსაჩინო გახდა, რომ შემაერთი წებოვანას ნიშანთვისება მემკვიდრეობით გადადის ყველა ჰიბრიდულ თაობაში. ამან მიგვიყვანა მოსაზრებამდე შეგვექმნა ჭვავის ახალი ფორმა, რომლის მარცვალში იქნებოდა შემაერთი წებოვანა. აი რატომ შევაჯვარეთ ჩვენ ჭვავი ჭანგასთან. ჭვავ-ჭანგას ჰიბრიდის შექმნას შეუძლია მოყვეს ის, რომ მაღალწებოვან ჭვავს შეუძლია შეეჯიბროს ხორბალს და გაბატონდეს საბჭოთა კავშირის ჩრდილო რაიონების თვალუწვდენ სივრცეებზე. პირველი ჭვავ-ჭანგას ჰიბრიდები ჩვენს მიერ მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 12 წლის წინათ. მაგრამ დიდი სიძნელეებიც გადაგვეღობა გზაზე. ჰიბრიდები ჯიუტი „მცენარეული ჯორები“ აღმოჩნდნენ და 5—6 წლის მანძილზე ვერ მოვახერხეთ მათი უნაყოფობის დაძლევა და თუნდაც ერთი მარცვლის მიღება. მხოლოდ ჩვენი მედგარი მუშაობის მეშვიდე წელს მივიღეთ, როგორც იქნა, პირველი მარცვლები, რომლებმაც უზრუნველყვეს ჭვავ-ჭანგას ჰიბრიდების მომავალ თაობათა სიცოცხლე. უეჭველია, რომ ჭვავ-ჭანგას ჰიბრიდთა უნაყოფობის დაძლევა საბჭოთა მეცნიერების დიდი გამარჯვებაა ბიოლოგიური მეცნიერების ფრონტზე.

ჩვენს მიერ ახლა სხვადასხვა შეუღლებებითა და კომბინაციებით მიღებულია ათობით ახალი მრავალწლიანი სამსქესოვანი ჭვავ-ხორბალ-ჭანგას ჰიბრიდები, მასთან წარმატებით გადაჭრილია მათი უნაყოფობის დაძლევის ამოცანა და უკვე გვაქვს ამ, აქამდე არნახული, ჰიბრიდების მეორე თაობა.

უკანასკნელ დროს შექმნილია მრავალწლიანი ჰიბრიდები მრავალწლიანი კუტურული საშემოდგომო ჭვავის შეჯვარებით, რაც ფართო პერსპექტივებს შლის მიწათმოქმედებაში ჭვავის ახალი მრავალწლიანი ფორმების გამოსაყენებლად.

ჩვენ განვაგრძეთ წებოვანას ძებნა სხვა მარცვლოვან მცენარეებშიც, და შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბეს. რამდენიმე ხნის წინათ ვიპოვნეთ წებოვანა ისეთი მარცლოვანებში, როგორიცაა ქერი და შვრია. მართალია წებოვანას ხარისხი განსხვავდება ხორბლისეულზე. ის უფრო მძიმეა, მნიშვნელოვნად სუსტად იჭიმება. ქერის წებოვანი ფორმების ფქვილისაგან ლაბორატორული ცდებით პურის ცხობას დადებითი შედეგები მოჰყვა. მივიღეთ მსუბუქი, ფაშარი, თეთრი ფერისა და გემრიელი პური. ქერის მომწარო გემო მთლად დაიკარგა. ქერის, ჭვავისა და სხვა მარცვლოვანი მცენარეების მაღალ-წებოვანი ჯიშების შექმნას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ეს ხელს უწყობს პურის პრობლემის გადაწყვეტას ჩვენი ქვეყნის ჩრდილო რაიონებში.

ჩვენი გამოკვლევები როდი შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რაც უკვე ნაპოვნია და ათვისების პროცესშია. ჩვენ მივისწრაფით შეჯვარების ორბიტში მოვაქციოთ სულ უფროდაუფრო ახალი მცენარეული ობიექტები— ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით საბჭოთა მიწაწყლის გასამდიდრებლად.

ათი წლის წინათ ჩვენ ყურადღება მივაქციეთ ერთ მეტად საინტერესო გარეულ მარცვლოვან მცენარეს — ელიმუსს. რა მცენარეა ეს? ყოველდღიურობაში ელიმუს უწოდებენ „მახვილაკს“, „ქვიშის შვრიას“, ან უფრო ხშირად „თავთაუნას“. მისი ჯიში ითვლის 50-ზე მეტ სახეობას. ელიმუსის უაღრესად საინტერესო სახეობები არიან ნახევრადუდაბნოეთის ზონის წარმომადგენელნი. სსრ კავშირში ელიმუსი გავრცელებულია კოლის ნახევარკუნძულზე, შუა აზიის ქვიშრობიან ტრამალებში, ჩვენი ქვეყნის ევროპული ნაწილის ყველა სამხრეთ განედში. ეს მცენარე გასაოცრად გამძლეა. ვერც სასტიკი ყინვები, ვერც პაპანაქებისაგან გახურებული ჰაერი, ვერც გამომშრალი, გადახრუკული ნიადაგი,—თითქმის ვერაფერი ვერ შეძლებს დააბრკოლოს მისი განვითარება, ზრდა და ნაყოფიერება. ელიმუსის მძლავრი, გრძელი, განშტოებული ფესურა მისი მრავალრიცხოვანი ფესვებით ღრმადაა ჩაფლული მიწაში, ხოლო გაფშეკილი და მაგარი ფოთლები იცავენ მცენარეს ცხოველების მიერ გაფუჭებისაგან.

ელიმუსი პირველად დავინახეთ ყაზახეთის ნახევარ უდაბნოეთის გადახრუკულ ტრამალებში და გაგვაოცა მისმა ბუმბერაზულმა სიდიდემ და სიმძლავრემ. ნიადაგი გახურებული იყო, სიცხე 70° აღწევდა, ელიმუსი კი ამაყად აღმართულიყო ქვიშიან ტრამალზე, და მასთან არავითარ ვნებას არ განიცდიდა. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიეკვეთა ამ მწვანე ფენომენს მაშინ, რომ — [illegible] მის თავთავზე ათასამდე მარცვალი დავითვალეთ! გადავწყვიტეთ შეგვეჯვარებინა ელიმუსი კულტურულ მარცვლეულებთან—ხორბალთან, ჭვავთან, ქერთან,—ვხელმძღვანელობდით რა წარმტაც პერსპექტივით, მემკვიდრეობით გადაგვეცა მათთვის გარეული მცენარის არაჩვეულებრივი თვისებები. რამდენიმე წელი დაგვჭირდა იმისათვის, რომ გვეპოვა ყველაზე უფრო სწორი გზა მათს შესაჯვარებლად. ჩვენ სხვადასხვა კომბინაციებით დავმტვერეთ ასობით ათასი ყვავილი, მაგრამ შედეგი არ ჩანდა. და მხოლოდ ოძის წლებში მოვახერხეთ ხორბლის, ქერისა და ჭვავის კულტურებთან ელიმუსის პირველი არნახული ჰიბრიდების მიღება. ციტოლოგიური კვლევაძიებით დამტკიცებულია ამ ახალ მცენარეთა ჰიბრიდული წარმოშობა. მარცვლეულ მცენარეთა ერთერთი მნიშვნელოვანი ნიშანთვისება — მრავალნაყოფიანობა, — როგორც ჩვენ დავამტკიცეთ, მემკვიდრეობითია. უეჭველია, რომ ახალ ჰიბრიდულ პურეულებში, საბოლოო ჯამში, თავთავზე მივიღებთ 500—600 და უფრო მეტ მარცვალს. მაშინაც კი, თუ ხორბლის, ქერისა და ჭვავის მომავალი ჰიბრიდული ჯიშებიდან მივიღებთ თავთავზე 200—300 მარცვალს, ჰექტარზე შეგვიძლია ავიღოთ 150—200 ცენტნერი მოსავალი. ამით რევოლუციურად შევძლებთ გადავჭრათ ერთერთი ურთულესი პრობლემა — ე. წ. „მოსავლიანობის ზღვარის“ დაძლევა.

შეიძლება წინასწარ ვთქვათ, რომ მომავალი ჰიბრიდული პურეულები დაიპყრობენ ჩვენი ნახევარუდაბნოეთის „უნაყოფო“ სივრცეს და აყვავებულ მინდვრებად გადააქცევენ მას.

მყნობა

საინტერესო და მრავალისაღმთქმელ სამუშაოს წარმოადგენს ჩვენი კვლევა-ძიებები ბალახოვანებთან მერქნიან მცენარეთა მემკვიდრეობით დაახლოების — ჰიბრიდიზაციის შესახებ. ჩვენს კვლევა-ძიებამდე მყნობას ატარებდნენ უმთავრესად მერქნიან მცენარეებთან მერქნიანი და ბალახოვანებთან ბალახოვანი მცენარეების ფარგლებში.

მცენარეებზე მყნობითი მუშაობის საკითხის ისტორია უძველეს დროს მიეკუთვნება. ძნელია, თუნდაც უძველესი დროის ზოგიერთი ცნობის საფუძველზედაც კი, წარმოვიდგინოთ ის მიზეზები, რომლებმაც აიძულეს იმ დროთა ხალხები ეწარმოებინათ მცენარეთა მყნობა. შესაძლოა, ადამიანმა შენიშნა ბუნებაში ხეების ბუნებრივი შეზრდის მოვლენები, საიდანაც წამოიღო ეს მოვლენები და გადაიტანა კულტურაში.

პირველი ცნობებს მყნობათა შესახებ ვპოულობთ აღმოსავლეთის ქვეყნებში. ვიქტორ გენი აძის შესახებ სწერდა: „სირიელმა არაბებმა აღმოსავლეთიდან მრავალ ცთუნებასთან ერთად მოიტანეს აგრეთვე ცხოველებისა და მცენარეებისადმი ფაქიზად მოპყრობის ჩვეულებები. იქ უძველეს დროიდანვე ეტახებოდნენ როგორც კასტრაციას, წინადაცვეთასა და ბასტარდების წარმოებას, ისე ხეების გასხვლისა და მყნობის საშუალებით ხეხილის სხვადასხვა ჯიშთა შეერთებას“.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მყნობის ხელოვნების დაუფლება სრულყოფილი გახდა მხოლოდ ძველი რომის ეპოქაში. მყნობით გატაცება იმდენად ძლიერად იყო გაწვითარებული, რომ ამ სამუშაოებს აქებდნენ სიმღერა-ლექსებში, მათზე სწერდნენ პოემებს და მათ უძღვნიდნენ მეცნიერულ ტრაქტატებს. ამ დროის მყნობითი ექსტაზი მკაფიოდ ასახა პლინიუსმა, რომელმაც სთქვა: „ახლა ცხოვრების ამ ნაწილმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, ადამიანებმა ყველაფერი გამოსცადეს, ვეღარაფერს ვეღარ გამოიგონებ, ყოველ შემთხვევაში, დიდიხანია არა ჩანს ახალი ნაყოფი. და ცოდვაც კია ყველაფერი აურ-დავურიოთ მყნობით“.

მყნობაზე ადამიანთა მუშაობის გავითარების მთელი ისტორიის განმავლობაში შეგვიძლია დავინახოთ, რომ ეს სამუშაო უაღრესად სხვადასხვაგვარი მიმართულებით მიმდინარეობდა. სამყნობი მიზნებისათვის ხელს კიდებდნენ მეტად ვრცელ მცენარეულ მასალას.

მაგრამ მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს ი. ვ. მიჩურინის თვალსაჩინო მუშაობის მეოხებით ვეგეტატიური მყნობა ხდება მეცნიერული სელექციის ძირითად მეთოდთა განუყოფელი ნაწილი.

შეიძლება ჩვენგან ჯერ კიდევ შორს იყოს არნახული ჰიბრიდული მცენარეების მიღების მომენტი, მაგრამ უკვე ახლა წინასწარ ვხედავთ მათს ზღაპრულ შედეგიანობას. მერქნიან და ბალახოვან მცენარეთა შორის ჰიბრიდების შექმნა მოგვცემს უაღრესად ნაირფეროვან ფორმათა დიდს რაოდენობას. უბრალოდ რომ ვსთქვათ, ამ დარგში სიძნელეთა დაძლევითა და ცოდნათა დაუფლებით, შევძლებთ ბალახოვანი მცენარეები გადავაქციოთ მერქნიან მცენარეებად, ხოლოდ მერქნიანი—ბალახოვანად.

ჩვენს ცდებში პირველი მცენარეული ობიექტები იყვნენ ყვითელი აკაცია და მუხუდო. ჩვენი ყურადღება მცენარეთა ამ ორ სახეობაზე შევაჩერეთ შემდეგი მოსაზრებით. ცერცვოვანთა ოჯახი განსაკუთრებით მდიდარია თავისი სახეობებისა და ფორმათა ნაირფეროვანებით. მასში ითვლება 12 ათასამდე სახეობა. მათ შორის

არიან ბალახები, ლიანები, ბუჩქნარები, ხეები. ამ ოჯახში ჩვენ ვიპოვით მცენარეთა სხვადასხვანაირ ფორმებს, დაწყებული ბალახოვან ჯუჯებიდან ხისმსგავს გიგანტებამდე.

ამ ოჯახის ერთერთი წარმომადგენელი—ყვითელი აკაცია — უაღრესად ძვირფასია ჩვენი ექსპერიმენტირებისათვის. ყვითელი აკაცია მეტად გამძლე და გავრცელებული მცენარეა. ჩრდილოეთში ის გამოირჩევა ყინვისგამძლეობით, სამხრეთში—ძლიერ ხარობს მლაშე ნიადაგზე და უძლებს სასტიკ გვალვებს. ეს თვისებები არ გააჩნია კულტურულ მუხუდოს. ყვითელი აკაცია მოსავლიანობით მნიშვნელოვნად აღემატება კულტურულ მუხუდოს. გასულ საუკუნეში ციმბირელები აკაციას „მუხუდოს ხეს“ უწოდებდნენ. ყვითელი აკაციის თესლს მოსახლეობა საჭმელად ხმარობდა, იყენებდა მას პირუტყვისა და ფრინველების გამოსაკვებად და ეს შემთხვევითი როდი იყო. აკაციის თესლი მნიშვნელოვნად უფრო მეტს ცილას შეიცავს, ვიდრე, მაგალითად, მუხუდო, ოსპი, ლობიო და მხოლოდ ოდნავ ჩამოუვარდება სოიას. გამოფქვისა და გამოცხობის მხრივ ყვითელი აკაციის თესლი აგრეთვე მეტად საინტერესოა. ფქვილიდან შეიძლება მომზადდეს გალეტები, სხვადასხვა ნამცხვრები. მარცვლის ტექნოლოგიური დამუშავების შემდეგ ყვითელი აკაციის ფქვილი იძლევა გემრიელ, საუცხოო ფერის ყუათიან პურს. ყვითელი აკაციის ამ თვისებათა გადაცემა კულტურული მუხუდოსათვის საინტერესო ამოცანაა. მაგრამ კულტურულ მუხუდოსთან ყვითელი აკაციის შეჯვარების მაგალითზე ძირითად ამოცანას წარმოადგენს ერთწლიანი ბალახოვანი მცენარის — მუხუდოს — გადაქცევა მრავალწლიან ბუჩქოვან მერქნიან მცენარედ. უფრო კარგად რომ ვსთქვათ, ჩვენ გვინდა ავიძულოთ მუხუდო იცხოვროს, სახელდობრ, ხეებზე, და არა იქ, სადაც აქამდე [illegible] ბუნებამ მიერ ჰქონდა დაწესებული [illegible] ამისა, ამგზით შეიძლება მივიღოთ მუხუდოს როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი ჯიშების ჩაუწოლელი ფორმები.

მთელი რიგი წლების განმავლობაში ძიებებმა მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეებისა, რომლებიც ურთიერთშორის უშუალო ჰიბრიდიზაციით შესძლებდნენ ჰიბრიდული თესლის მოცემას, წარმატებით შედეგები არ მოგვცა. ხელოვნური და ბუნებრივი გზით ურთიერთშორის დამტვერიანებულმა ამ მცენარეთა ათიათასობით ყვავილმა უარყოფითი შედეგები მოგვცეს. ჩვენმა წარუმატებლობამ მუხუდოსთან ყვითელი აკაციის უშუალო ჰიბრიდიზაციის დარგში მიგვიყვანა აუცილებლობასთან გამოგვეყენებინა წინასწარი დაახლოების მიჩურინული ნაცადი მეთოდი, მაგრამ ყვითელ აკაციაზე მუხუდოს, ისე როგორც სხვა მარცვლეულ-ცერცვოვანთა დამყნობა პირველ ხანებში იოლი საქმე როდი აღმოჩნდა. მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა მედგარი შრომა. რამდენიმე ხნის წინათ მიღებულ იქნა ყვითელი აკაციისა და მუხუდოს პირველი ნამდვილი ნამყენი. შემდგომ წლებში ჩვენ მთლიანად მოვახერხეთ დაგვემყნა აკაციაზე ისეთი მცენარეები, როგორიცაა ლობიო, ოსპი და სხვ.

აგრეთვე ამ მიზნებისათვის ვიყენებთ, მაგალითად, თეთრ აკაციას და ტირიფს, რომლებიც უფრო მეტად პერსპექტიულნი არიან კულტურულ ცერცვოვანებთან ჰიბრიდიზაციის საქმეში.

ჩვენს კვლევა-ძიებაში მეორე არანაკლები საინტერესო ობიექტია ციფომანდრა ანუ ტომატის-ხე, რომელიც სორენტოდან საჩუქრად გამოგვიგზავნა დაუვიწყარმა ალექსი მაქსიმეს-ძე

გორკიმ. ციფომანდრა სუბტროპიკული, მარადმწვანე, სწრაფზარდი მცენარეა. ამ მცენარეზე მრავალი წლის მანძილზე დამყნის გზით ჩვენ ვახარებთ ნამდვილ ტომატს, ძაღლყურძენას, ბადრიჯანს, პილპილს, კარტოფილს, ბუზენჰოლციას, ლემასა და ა. შ. ყველა ეს მცენარე მშვენივრად იმყნობა როგორც ტომატის-ხეზე, ისე ბუჩქოვან მექსიკურ ძაღლყურძენაზე, კარგად ყვავილობენ და ნაყოფიერნი არიან; ნაყოფი ნორმალურია, ხოლო მათი ხილის თესლი არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი ტომატის თესლისაგან. ასეთივე შედეგი მივიღეთ ბადრიჯანზე დამყნილი ციფომანდრის ყვავილთა შეჯვარებისას. ციფომანდრით დამტვერიანებული ბადრიჯანი იძლევა ნაყოფს, რომელიც ფორმით მოგვაგონებს ციფომანდრას, ხოლო სიდიდით თვალსაჩინოდ ჩამოუვარდება ბადრიჯანს.

უკანასკნელ ხანში ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ ვარდყვავილოვანი და რთულყვავილოვანი ოჯახებისაგან ბალახოვანი და მერქნიანი კომპონენტების შერჩევას. ვავითარებთ რა ჩვენს ახალ მიმართულებას მერქნიან მცენარეებთან ბალახოვანთა ჰიბრიდიზაციისა და მყნობის დარგში, ხელი მოვკიდეთ იმ საკითხთა შესწავლას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სხვადასხვა ოჯახის მცენარეთა წინასწარ ვეგეტატიურ დაახლოებასა და შემდგომს ჰიბრიდიზაციასთან. ამ დარგში უკვე გვაქვს გარკვეული წარმატება. მოვიგონოთ, რომ წარმატებითი მყნობა, როგორც ამაზე ჯერ კიდევ მიჩურინი ლაპარაკობდა, არის ერთმანეთზე დამყნილი ორი მცენარის ნათესაობის მაჩვენებელი. აქედან გამომდინარეობს ჩვენი მისწრაფებაც დავძლიოთ არამარტო მცენარეთა შეუჯვარებლობა, არამედ ასეთ შემთხვევაში პირველ რიგში—უმყნობლობაც. ზოგიერთი გარეული ბოჭკოვანი მცენარეების გამოკვლევისას, ყურადღება მივაქციეთ გომფოკარპუსს, ბამბასებრი ოჯახიდან, და ოლეანდერსაც. ამ მცენარეებს არაფერი არა აქვთ საერთო. გომფოკარპუსი სარეველა მცენარეა, რომელიც გვხვდება ამიერკავკასიისა და შუა აზიის რაიონებში. ის მრავალწლიანი, ბუჩქოვანი ტიპის მცენარეა, კარგი განშტოება აქვს. დათესვიდან პირველ წელიწადს იზრდება ორანჟერეის პირობებში ერთი მეტრის სიმაღლემდე, ყვავილობს და ნაყოფს ისხამს. ოლეანდერი ხარობს თავის სამშობლოში, ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში, ფართოდაა გავრცელებული მდინარეების, სარწყავი და სადინარი არხების ნაპირებზე. საბჭოთა კავშირში ოლეანდერი ხარობს სუბტროპიკებში, გაშლილ ნიადაგზე, როგორც დეკორატიული მცენარე. ჩვენ გომფოკარპუსი დავამყენით ოლეანდერზე და პირიქით—ოლეანდერი გომფოკარპუსზე, და ორივე შემთხვევაში სრული წარმატება მივიღეთ. ჩვენ კვლავ განვაგრძობთ ამ მიმართულებით მუშაობას. თუ იქნება ნაპოვნი გზები ოჯახთაშორისო ჰიბრიდიზაციის საზღვართა მოსპობისაკენ, მაშინ ნამდვილად გაქარწყლდება ყველა ჩვენი წარმოდგენა არსებულ ფლორაზე. ჩვენ მივისწრაფით ასეთი გზით შევქმნათ არა მარტო მცენარეთა ახალი ფორმები, არამედ ხელახლად აღვადგინოთ ის, რაც იყო წინათ ბუნებაში, და შემდეგ დაიკარგა. ევოლუციის პროცესის დროს ბუნებაში დაკარგულ ფორმათა აღდგენის პრობლემის გადაწყვეტისაკენ გზების გამონახვა ნიშნავს ძლიერ ახლოს მივიდეთ მცენარეთა სამყაროში ოჯახთაშორისო ნათესაობის პრობლემათა უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის გადაწყვეტასთან.

საბჭოთა ბიოლოგიურ მეცნიერებას საგრძნობი მიღწევები გააჩნია ახალ კულტურულ მცენარეთა შექმნის

დარგში. მაგრამ ეს მიღწევები მხოლოდ პირველი ნაბიჯებია ბუნებისმეტყველების დიდსა და საინტერესო სფეროში. ჯერ კიდევ წინ გვიძევს კვლევა-ძიებათა და ახალ შემოქმედებით ღონისძიებათა უამრავი მხარე, რომლებიც მიმართულნი არიან ადამიანთა საზოგადოების ინტერესებისათვის მცენარეთა სამყაროს დაჩქარებით და რევოლუციურად გარდასაქმნელად.

მიჩურინი სწერდა: „ცხოვრება შეიცვალა, ის აღივსო აზრით, საინტერესო და საამური გახდა. ამიტომ მცენარეებიცა და ცხოველებიც უნდა იყვნენ პროდუქტულნი, უფრო მეტად ამტანიანი, უფრო მეტად უნდა უპასუხებდნენ ამ ახალი ცხოვრების მოთხოვნებს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ყოვლისშემძლე ტექნიკისა და ყოვლისშემძლე სელექციის საფუძველზე“.

საბჭოთა ბიოლოგების ათასობით გულში ცოცხლობს შეუდრეკელი და მგზნებარე მისწრაფება შექმნან ახალი მცენარეები და ახალი ცხოველები ჩვენი მშობლიური ქვეყნის ხალხთა აყვავებისათვის.

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში არის ღირსშესანიშნავი [illegible]: ჩემი თარიღია 1935 წლის 27 [illegible], დღე ამხანაგ სტალინთან შეხვედრისა. მოსავლის მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირზე წილად მხვდა დიდი ბედნიერება—მიმეწოდებინა პირველი, მორიდებული ცნობა ხორბალ-ჭანგას ჰიბრიდებზე მუშაობის შესახებ.

ამხანაგმა სტალინმა მითხრა: „გაბედულად ჩაატარეთ ექსპერიმენტები, შეცდომების ნუ შეგეშინდებათ. ჩვენ დაგეხმარებით“.

ეს ისტორიული სიტყვები გაისმა როგორც მოწოდება საბჭოთა ნოვატორების, მოწინავე მეცნიერთა მრავალრიცხოვანი არმიისადმი, შეეცნოთ და დაეძლიათ ბუნების ძალები თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მსურს გავიმეორო ჩემი მასწავლებლის ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინის სიტყვები.

„მე არ გამაჩნია სხვა სურვილი, გარდა იმისა, რომ ათასობით ენთუზიასტებთან ერთად განვაგრძო დედამიწის განახლების საქმე, როგორც ამას მოგვიწოდებდა დიდი ლენინი“.

Библиотека ИЧЭП при ЦК ВКП (б)